ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

სტუდენტების საუნივერსიტეტო
სამეცნიერო კონფერენცია

2022
27 მაისი

© ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, 2022

ISBN 978-9941-36-025-1 (pdf)

სარჩევი

ანა აბესაძე. ქალთა დასაქმებისა და საოჯახო საქმეების შეთავსების სტატისტიკური კვლევა 5

გიორგი აკობია. საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა 13

ლუკა არქანია. სწრაფი მიტანის სერვისის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა 23

გვანცა ახალაია. სიღარიბე და მისი ძირითადი პარამეტრები საქართველოში 36

დავით ბუტულაშვილი. რუსეთ-უკრაინის ომის ეკონომიკური კონტექსტი 45

თინათინ გოლეთიანი. მუშევრობა საქართველოში: გამოწვევები, მიზეზები და ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები 53

მარიამ დადუნაძე. ღირსეული ხელფასი 64

თამარ ვეკუა. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოზე (Covid-19 პანდემიის მაგალითზე) 71

დავით თურანიძე. საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ბერკეტები 79

დიმიტრი კითაია. შრომის საერთაშორისო დანაწილება და საერთაშორისო წარმოება 89

თამთა ლუტიძე. ეკოლოგიური პრობლემა-მუდმივი საზრუნავი მდგრადი განვითარებისთვის (წყლის დაბინძურება საქართველოში) 96

ნიკა მათიაშვილი. საწარმოთა ფულადი ნაკადების ეფექტიანობის აქტუალური საკითხები საანალიზო საწარმოებში 104

გიორგი მელია. NFT-უნიკალური ციფრული საკუთრების უფლება, ეკონომიკური არსი და პერსპექტივები 111

გიორგი მოდებაძე. რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს სავაჭრო ბალანსზე 116

ვერონიკა ნიორაძე, გიორგი ბერიანიძე. მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პერსპექტივა საქართველოში 122

ანა ჟვანია. კოვიდ-19ის გავლენა საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე სადაზღვევო კომპანია „ირაოს“ მაგალითზე 131

ბექა რაზმაძე. საფასო დისკრიმინაცია 136

მარიამ ტაბატაძე. საბანკო საქმის ტრანსფორმაცია საქართველოში 141

როზა ტატულაშვილი. Fintech 146

ანი ტლაშაძე. სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომიკური არსი და მისი მართვა 153

ოთარ ფსუტური. შიდა ტურიზმის განვითარების სტატისტიკური ტენდენციები და მოლოდინები საქართველოში 161

ვიქტორია ქეჯენაშვილი. უმუშევრობა და ფილიპსის მრუდი 167

ანა ყაჭიაშვილი. ინოვაცია ფარმაცევტულ სექტორში 181

ლუდმილა ხატოიანი. ფირმის გაციფრულება 190

ნინო ჯაღიაშვილი. მონოპოლია 195

ნატა ჯოხაძე, ნათია აბულაძე. საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური მნიშვნელობა გლობალური პანდემიის პირობებში 199

ქალთა დასაქმებისა და საოჯახო საქმეების შეთავსების სტატისტიკური კვლევა

ანა აბესაძე

სტატიაში გადმოცემულია შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები ქალთა დასაქმების კუთხით. დახასიათებულია ქალის მიერ შესრულებელი ფუნქციების პრიორიტეტები, გაანალიზებულია მათი დასაქმებისა და საოჯახო საქმეების გაძღოლის შეთავსების შეფასების მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები, განსაზღვრულია ქალის მიერ საოჯახო საქმეებზე დახარჯული დროის სტრუქტურა და შესასრულებელი საქმეების ნუსხა. განსაზღვრულია ქალთა დასაქმების ზრდისა და საოჯახო საქმეების მართვის გაუმჯობესების ღონისძიებები.

შემუშავებულია შესაბამისი დასკვნები და რეკომენდაციები.

საქართველოს შრომის ბაზარზე ჩამოყალიბებული ტენდენციები ადასტურებს ქვეყანაში მიმდინარე როგორც პოზიტიურ, ისე ნეგატიურ ცვლილებებს. ფაქტია, რომ სახეზეა ეკონომიკური აქტივობისა და დასაქმების დონის შემცირება, გაზრდილია უმუშევრობა, გენდერული დისბალანსები, მამაკაცებთან შედარებით ქალების ხელფასების შესაბამისობის დაბალი დონე და ა. შ. თუმცა, ამის პარალელურად, პანდემიური შოკიდან თავის დაღწევისა და მიმდინარე რეაბილიტაციის ფონზე ხდება გარკვეული პოზიტიური ძვრებიც დასაქმების გენდერულ ჭრილში. ამის ერთ-ერთი მიზეზი შემორჩენილი სტერეოტიპის გაქრობაცაა, რამაც გავლენა იქონია ქალთა შრომის ბაზარში ჩართულობის გაზრდაზე.

ქალს, დასაქმების გარდა, სხვა მრავალი ფუნქციის შესრულება უწევს ოჯახში და, ბუნებრივია, ტრანსფორმირდება მისი საოჯახო საქმეებზე დახარჯული დროის სტრუქტურა და შესასრულებელი საქმეების ნუსხა. ქალის ძირითადი ფუნქცია მაინც დედობაა და მისი გავლენის ხარისხი შვილების აღზრდაზე საკმაოდ დიდია. რადგანაც ძირითადად ქალია შვილების ბედ-იღბლის გადამწყვეტი, ამიტომ როგორც დიდი ვაჟა-ფშაველა ბრძანებდა, საჭიროა უპირველეს ყოვლისა დედა იყოს განათლებული, განვითარებული შინ, ოჯახში და გარეთ საზოგადოებაში. იგი უნდა სთესდეს თესლს სიკეთისა. დიახ, ესმოდეს როგორ აღზარდოს შვილი, რა აზრები გაავრცელოს, რას

ემსახუროს, ვინაიდან მას შეუძლია დაამხოს ერი და კიდეც აღადგინოს (მ. ჩორგოლაშვილი, 1991).

ჩვენი კვლევის მიზანს წარმოადგენდა თანამედროვე ეტაპზე შრომის ბაზარზე ქალთა გაზრდილი აქტიურობის ფონზე საოჯახო საქმეების შეთავსების ძირითადი ტენდენციების გამოკვეთა, შესაბამის მაჩვენებელთა გაანგარიშება და სტატისტიკური ანალიზი.

კვლევის ინფორმაციული ბაზის ფორმირებისათვის ჩავატარეთ შერჩევითი გამოკვლევა, რისთვისაც გამოვიყენეთ Google Drive-ის აპლიკაცია და იქ ჩაშენებული ფორმის მიხედვით, შერჩეული დიზაინით (კვლევის კითხვარი, დრო, მეთოდი) სპეციალურად შედგენილი ანკეტების დამუშავებით მივიღეთ საინტერესო შედეგები.

კვლევაში სულ მონაწილეობა მიიღო 378 ქალბატონმა, რომელთა შორის 70.4%-ს შეადგენდნენ 25-44 წლის ასაკობრივი ჯგუფის ქალები, შემდეგ 45-64 წლის ასაკის ქალბატონები - 24.5%, 15-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში - 4.1% და 1% - 65 წლის და ზევით.

კვლევაში მონაწილე რესპონდენტების აბსოლუტური უმრავლესობა, ანუ 78.9% უმაღლესი განათლების მქონე, ხოლო 7.1% პროფესიული განათლებით იყო. გამოკითხული ქალების 61% დაქირავებით დასაქმებულს წარმოადგენდა, 20%-მდე იყო თვითდასაქმებული, დიასახლისი აღმოჩნდა რესპონდენტების მხოლოდ 9%.

ეკონომიკური აქტიურობის მიხედვით კვლევის შედეგების პროცენტული განაწილება წარმოდგენილია შემდეგ დიაგრამაზე:

დიაგრამა 1. რესპონდენტების განაწილება ეკონომიკური აქტივობის სტატუსის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ქალების დასაქმების სფერო მრავალფეროვანია: 19,2% საფინანსო სექტორშია დასაქმებული, 18,1% - საბანკო სექტორში, 18.3% - საგანმანათლებლო დაწესებულებებში, 11.1% - სამედიცინო სფეროს თანამშრომელია, 6,1% - სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებების და ა. შ.

დიაგრამა 2. რესპონდენტების განაწილება დასაქმების სფეროების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ოფიციალური სტატისტიკა დასაქმებას განიხილავს არა მხოლოდ სფეროების მიხედვით, არამედ მრავალ სხვა ჭრილშიც, როგორიცაა: სქესობრივ-ასაკობრივი, რეგიონი, დარგები, დაკავებული თანამდებობები, მუშაობის სტაჟი (გელაშვილი და სხვ., 2020, გვ. 108). დასაქმებულ რესპონდენტ ქალთა მნიშვნელოვან ნაწილს, ანუ 31.3%-ს, დასაქმების საკმაოდ დიდი სტაჟი აქვს (5-10 წლამდე გამოცდილებით), 29,2%-ს აქვს 1-5 წლამდე, ხოლო 20 წელზე მეტი სტაჟი გამოკითხულთა 16.7%-ს აღმოაჩნდა.

დიაგრამა 3. რესპონდენტების განაწილება დასაქმების სტაჟის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

დასაქმების და საოჯახო საქმეების შეთავსების შეფასებისათვის მნიშვნელოვანი იყო გაგვერკვია გამოკითხულთა ოჯახური მდგომარეობა. როგორც კვლევის შედეგებით დადგინდა, რესპონდენტთა 82.7% იყო დაქორწინებული, 4% განქორწინებული და 12.2% იყო დაუქორწინებელი.

აგრეთვე მნიშვნელოვანი იყო ოჯახში ბავშვთა რაოდენობის საკითხი. გამოკითხულთა თანაბარ რაოდენობას 28,6%-ს ოჯახში ჰყავდა 2 ან 3 ბავშვი, 6.1%-ს კი 5 და მეტი ბავშვი.

დიაგრამა 4. რესპონდენტ ქალთა განაწილება ოჯახში ბავშვების რაოდენობის მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

კროსტაბელური ანალიზიდან მივიღეთ, რომ ოჯახში ბავშვების რაოდენობის ზრდის პარალელურად მაღალი იყო ქალი დედების დასაქმების მაჩვენებელი და, როგორც შემდეგ კვლევის შედეგებმა აჩვენა, დიდია ასეთი ქალების შვილებზე გავლენა და გამოვლინდა შვილების სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაც.

რესპონდენტების ნახევარზე მეტი, ანუ 64.6%, თავისუფლად ახერხებს შეათავსოს საოჯახო საქმეები პროფესიულ აქტივობასთან ერთად. თუმცა, 29.2% აღნიშნავს, რომ საერთოდ ვერ ათავსებს ამ ორ რთულ სფეროში საქმიანობებს და ძალიან უჭირს, პროფესიულ ზრდას ნაწილობრივ ახერხებს გამოკითხულთა მხოლოდ 6,3%. ამის მიზეზი შეიძლება არის ისიც, რომ როგორც კვლევით დადგინდა, ქალების 51% საკმაოდ დიდ დროს უთმობს, დაახლოებით დღეში 3-5 საათს საოჯახო საქმეებს, 10.2% ამაზე ხარჯავს თავისი დროის 6-8 საათამდე, და დაახლოებით 10.2% კი დღეში 1-2 საათს უთმობს საოჯახო საქმეების მოწესრიგებას.

ტრადიციულად, ქალები ან მარტო უძღვებიან საოჯახო საქმეებს, ან დამხმარეები ჰყავთ. მარტო უვლის ოჯახს გამოკითხული ქალების 22.4%, მეუღლესთან ერთად ინაწილებს

საოჯახო საქმეებს ქალების 34.1%, დედები ეხმარებიან ქალების 16.1%-ს და დედამთილები - 10.2%-ს.

დიაგრამა 5. რესპონდენტების განაწილება საოჯახი საქმეებში დამხმარე პირების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენ მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტი ქალების დიდი ნაწილი ანუ 67.3%, დაკავებულია სახლის დალაგებადასუფთავებით, 61,2% - შვილების მოვლით, შვილების სწავლით - 32.7%, 53,1% - საჭმლის მომზადებით და ა. შ.

დიაგრამა 6. რესპონდენტების განაწილება საოჯახო საქმეების სახეების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

როგორც აღმოჩნდა, ქალების უმრავლესობას თავისუფალი დრო ძალიან ცოტა აქვს და მათი 71% მას შვილებთან, 40,8% მეუღლესთან, 8,2% შვილიშვილებთან, 34,7% მშობლებთან და ა. შ. ატარებენ.

მიუხედავად ასეთი სამუშაო და საოჯახო საქმეებში დატვირთვისა, რესპონდენტთა 27.7% მაინც ახერხებს კვალიფიკაციის ამაღლებას. 46.8% ამას აკეთებს იშვიათად და 25.5% საერთოდ ვერ ახერხებს იზრუნოს თავისი კვალიფიკაციის ამაღლებაზე.

რა განაპირობებს ქალების აქტიურობის ამაღლებას?

რესპონდენტების 32.7% მიიჩნევს, რომ პრინციპულობა არის ის თვისება, რაც დასაქმებისა და შრომის ბაზარზე აქტიურობის გაზრდის მნიშვნელოვან საფუძველს წარმოადგენს, 42.9% თვლის, რომ გადამწყვეტია ქალების გამჭრიახობა, შემდეგ, ქალბატონების 30,6% ასახელებს გადაწყვეტილების მიღების სისწრაფეს, 36,7% - კარგ მენეჯერულ უნარებს.

დიაგრამა 7. რესპონდენტების განაწილება ქალთა თვისებების უპირატესობისადმი დამოკიდებულების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, გამოკითხული ქალების აბსოლუტური უმრავლესობა არ ეთანხმება მოსაზრებას, ,,ქალი ვიცი სამზარეულოში.ნ რესპონდენტების დიდი ნაწილი, ანუ 71.4% მიიჩნევს, რომ მისი დასაქმება სასარგებლოა ფინანსური კუთხით, 28.6% აღნიშნა, რომ სამსახური მნიშვნელოვანია მისი შემოქმედებითი კარიერული წინსვლისთვის, ხოლო 42.9%-ს მიაჩნია, რომ მისი სამსახური სასარგებლოა შვილების მომავლისთვის. ამასთან, რესპონდენტების 43,5% აღნიშნავს, რომ მისი დასაქმება კარგად მოქმედებს შვილების განათლების ხარისხზე, 19,6%-ის აზრით კი ცუდად. *უმეტეს შემთხვევაში, ქალებს ეკისრება პასუხისმგებლობა ბავშვთა მოვლასა თუ აღზრდაზე. თუ ქალი, სავარაუდოდ, უფრო მეტად ზრუნავს ბავშვებზე, ვიდრე კაცი, უფრო მეტად მოუწევთ მათ ბავშვთა სამედიცინო დაწესებულებებსა თუ სკოლაში წაყვანა (გელაშვილი, ჩარექიშვილი, 2016, გვ. 34).*

საინტერესო იყო გაგვერკვია ქალების შეხედულებები მათი უფრო ეფექტიანი დასაქმების უზრუნველსაყოფად.

დიაგრამა 8. რესპონდენტების განაწილება ქალთა დასაქმების გაუმჯობესების ღონისძიებების მიხედვით



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით.

რესპონდენტების 58.3% მიიჩნევს, რომ აუცილებელია დეკრეტული შვებულების ვადის გახანგრძლივება, 77,1% -ის აზრით აუცილებელია მცირეწლოვანი ბავშვების დედებისათვის მცოცავი მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება.

დასკვნა

ჩატარებული კვლევის შედეგების საფუძველზე შესაძლებელია შემდეგი დასკვნების ჩამოყალიბება:

- ქალები დადებითად აფასებენ დასაქმების ზრდას;
- მიაჩნიათ, რომ მათი პროფესიული განვითარება სასარგებლო იქნება მათი შვილების მომავლისათვის;
- ქალები მშვენივრად ათავსებენ სამსახურსა და საოჯახო საქმეებს გაძღოლას;
- რესპონდენტ ქალთა უმრავლესობა საოჯახო საქმეების გაძღოლას თავად ახერხებს, თუმცა დიდი ნაწილი ამას მხოლოდ სხვების დახმარებით ახორციელებს;
- ქალებს მიაჩნიათ, რომ აუცილებელია მცირეწლოვანი ბავშვების დედებისათვის მცოცავი, მოქნილი სამუშაო გრაფიკის შემუშავება;
- ქალები კატეგორიულად არ ეთანხმებიან მოსაზრებას: „ქალი ვიცი სამზრეულოში.“
- უმუშევრობის გაზრდილი დონისა და და ეკონომიკური აქტივობის შემცირების პირობებში, იზრდება ქალთა დასაქმების მაჩვენებლები;

- სამუშაო ძალაში ქალების ხვედრითი წილის მაჩვენებელი პანდემიამდე სტაბილურად 44%-ის დონეზე იყო, ხოლო 2021 წელს 2%-ით შემცირდა.
- დასაქმების დისბალანსი უფრო მკვეთრად ვლინდება ქალაქად, ვიდრე სოფლად;
- ქალები შრომის ბაზარზე ნაკლები აქტიურობით გამოირჩევიან, უმუშევარი ქალების წილიც, შესაბამისად, დაბალი გამოდის;
- მართალია ნელა, მაგრამ იზრდება ქალთა შრომის ბაზარში ჩართულობის დონე.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე ნ., დასაქმების სტატისტიკა საქართველოში გენდერული სტერეოტიპების ფონზე (2017). თსუ საერთაორისო სამეცნიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. გვ. 19-25.
2. გელაშვილი ს., ჩარექიშვილი ლ. (2016). გენდერული სტატისტიკის საკითხები. გამომც. ,,მერიდიანი“, თბილისი.
3. გელაშვილი ს., შონია ზ., ქინქლაძე რ. (2020). სოციალური სტატისტიკა. გამომც. ,,უნივერსალი“, თბილისი.
4. ჩორგოლაშვილი მ. ,,საქართველოს ქალები გამოაბრუნებენ.“ გაზეთი საქართველოს რესპუბლიკა“, 1991 წლის 30 აპრილი.
5. Abesadze. N. Paresashvili, N. (2018). Gender aspects of youth employment in Georgia. Ecoforum journal. Volume 7, Issue 1.
6. Abesadze N., Abesadze O., Robitashvili N. (2019). Socio-Economic-Gender Disbalances In Georgia. Journal Globalization and Business. Volume 7, pp. 143-147.
7. Abesadze, N. The methodological issues of the improvement of gender statistics of employment. (2013). Journal Economics and Management, volume 18, Issue 1, pp 154-158.
8. Abesadze, N. (2009). Impact of women's psycho-physiological peculiarities on the employment gender balance. "The Economist", #7, pp. 267-271.
9. www.geostat.ge
10. http://pc-axis.geostat.ge/PXWeb/pxweb/ka/Database

საქართველოს საგარეო ეკონომიკური პოლიტიკა

გიორგი აკობია

მსოფლიოს ძალიან ბევრი ქვეყნისთვის საერთაშორისო ვაჭრობა მნიშვნელოვანია, ვინაიდან ვერცერთი ქვეყანა ვერ შეძლებს დამოუკიდებლად, ქვეყნის შიგნით არსებული რესურსებით, უზრუნველყოს მოსახლეობა. საქართველოც ამ ქვეყნების რიცხვს მიეკუთვნება. ჩვენი ქვეყნისთვის განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სავაჭრო ურთიერთობები, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის კომპონენტში წმინდა ექსპორტს განსაკუთრებული ადგილი უკავია. მსოფლიო ეკონომიკურ სივრცეში საქართველოს ეკონომიკის ინტეგრაციის პროცესი, სულ უფრო მეტად ღრმავდება თანამედროვე მსოფლიოს გლობალიზაციის ფონზე.საგარეო სავაჭრო ურთიერთობების არსისა და თავისებურებების შესწავლა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია საგარეო სავაჭრო მოვლენებისა და პროცესების დონის, დინამიკისა და განვითარების ტენდენციების დადგენაში, ასევე არსებული მდგომარეობის ანალიზისა და შეფასების საკითხებში.

საქართველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნებს უმეტესობა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრია და მათ შორის სავაჭრო ურთიერთობები ძირითადად ,,უპირატესი ხელშეწყოის რეჟიმისნ საფუძველზე ხორციელდება.დამოუკიდებელ სახელმწიფოათა თანამეგობრობის (დსთ) წევრ ქვეყნებთან(გამონაკლისია რუსეთის ფედერაცია), თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი რეგულირდება ,,თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-ს 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით. ასევე იმ ქვეყნებთან, რომლებთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი შეთანხმება, თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი ორმხრივ ფორმატში რეგულირდება.

საქართველო ყოველწიურად ცდილობს გააფართოვოს თავისუფალი ვაჭრობის ,,საზღვრები“, რაც გულისხმობს იმას,რომ გაიზრდება, როგორც იმპორტირებული ასევე ექსპორტირებული პროდუქციის რაოდენობა.

საქსტატის მონაცემებით, 2021 წელს საქართველოში საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 14 315.6 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წელთან შედარებით 25.6 პროცენტით მეტია. აქედან ექსპორტი 4 242.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (26.9 პროცენტით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 10 073.3 მლნ. აშშ დოლარს (25.1 პროცენტით მეტია). საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2021 წელს, 5 831.0 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.7 პროცენტია.[1]

დიაგრამა 1: საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები 2016-2021 წლებში



2021 წელს ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნის წილმა საქართველოს მთლიან საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 69.5 პროცენტი შეადგინა. ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორები არიან: თურქეთი (2 145.9 მლნ. აშშ დოლარი), რუსეთი (1 638.6 მლნ. აშშ დოლარი) და ჩინეთი (1 480.5 მლნ. აშშ დოლარი). [1]

დიაგრამა 2: ათი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა 2021 წელს



2021 წელს სასაქონლო ჯგუფებიდან საექსპორტო ათეულში პირველი ადგილი სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა დაიკავა 815.4 მლნ. აშშ დოლარით, რაც მთელი ექსპორტის 19.2 პროცენტს შეადგენს. მეორე ადგილს იკავებს ფეროშენადნობები 477.4 მლნ. აშშ დოლარით (მთლიანი ექსპორტის 11.3 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა მსუბუქი ავტომობილები 456.6 მლნ. აშშ დოლარით (10.8 პროცენტი) [1]

დიაგრამა 3: უმსხვილესი საექსპორტო საქონლის ათეული



უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი 2021 წელს წარმოდგენილი იყო მსუბუქი ავტომობილების სახით, რომლის იმპორტმა 898.8 მლნ. აშშ დოლარი და მთელი იმპორტის 8.9 პროცენტი შეადგინა. მეორე ადგილს იკავებდა ნავთობი და ნავთობპროდუქტები 822.6 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 8.2 პროცენტი), ხოლო მესამე ადგილზეა სპილენძის მადნები და კონცენტრატები 736.1 მლნ. აშშ დოლარით (იმპორტის 7.3 პროცენტი). [1]

დიაგრამა 4: უმსხვილესი საიმპორტო საქონლის ათეული



საქართველო-თურქეთის სავაჭრო ურთიერთობები

2007 წელს, თურქეთ-საქართველოს შორის თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება გაფორმდა. თურქეთთან თავსუფალი ვაჭრობის ინიციატორი ქართული მხარე იყო. მთავ-რობა ელოდა, რომ რუსული ემბარგოს შემდგომ ქართული ღვინო 70 მილიონიან ბაზარზე, თურქეთში გადამისამართდებოდა. ხოლო ქვეყანაში კი თურქული ინვესტიციების ,,ბუმინ

დაიწყებოდა. შეხვედრები ასევე გაიმართა 2017 წელს, სადაც ტრანსპორტისა და ენერგეტიკის სფეროში მნიშვნელოვან შეთანხმებებს გაესვა ხაზი და გაფორმდა შეთანხმება 2017-2020 წლებისთვის კულტურულ სფეროში თანამშრომლობის თემაზე. როგორც თურქეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა ,,25 წლის განმავლობაში საქართველომ და თურქეთმა მიაღწიეს მეგობრულ, კეთილმეზობლურ და ძმურ ურთიერთობებს, რაც ნაკარნახევია გეოგრაფიით, სტრატეგიული თანამშრომლობის საჭიროებით და ჩვენ განვაგრძობთ საქართველოსთან ურთიერთობების გაღრმავებას. ორივე მხარე მივიღებთ სარგებელს თანამშრომლობის ყველა მექანიზმიდან და მაქსიმალურად მხარს დავუჭერთ ერთმანეთს ჩვენი ურთიერთობების გაფართოებაში.“

2018 წელს ქართულ და თურქულ მხარეებს შორის მოლაპარაკება გაიმართა, სადაც ორი ქვეყნის დელეგაციის შეხვედრა შედგა და შეთანხმდნენ თავისუფალი ვაჭრობის არსებული შეთანხმების გაფართოებაზე. შეთანხმების ფარგლებში კვოტები გაიზარდა თაფლზე (თურქეთში თაფლზე მოთხოვნა საკმაოდ დიდია), ცოცხალ ცხვარზე, თხასა და მსხვილფეხა რქოსან პირუტყვზე. აღნიშნული შეთანხმება საქართელოსთვის მომგებიანია, რადგანაც საქართველოს მიეცა საშუალება 20 პროცენტით გაზარდოს ექსპორტი თურქეთში.

რაც შეეხება სტატისტიკას, როგორც უკვე აღვნიშნე, თურქეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანაა. ამ წლის მონაცემებით, საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ფეროშენადნობები,-ტრიკოტაჟის ნაწარმი,შავი ლითონის ნარჩენები, ქსოვილები და ა.შ . ამ პერიოდში ექსპორტმა შეადგინა $322 225.5 ათასი, რაც მეტია გასული წლის ექსპორტზე (ექსპორტირებული იყო $190 571.8 ათასი პროდუქცია)ამ პერიოდთან შედარებით.

ცხრილი 1: საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

თურქეთი

საქართველოდან თურქეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2020 წელი		2021* წელი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**190 571.8**		**322 225.5**	
მათ შორის:				
ტრიკოტაჟის ნაწარმი	39 685.3	1 299.2	62 431.5	2 136.1
ფეროშენადნობები	32 757.2	34 137.8	50 127.0	33 177.8
შავი ლითონების ნარჩენები და ჯართი	2 885.6	8 863.3	37 613.9	85 713.0
კოსტუმები, კომპლექტები, ტრიკოტაჟისა, ნაქსოვი, მამაკაცისა ან ბიჭისა	17 332.9	701.9	34 094.7	1 378.3
ნახევარფაბრიკატები ნახშირბადიანი ფოლადისაგან	11 105.7	30 419.9	25 820.2	47 121.5
დანარჩენი საქონელი – სულ	86 805.0		112 138.2	

იმპორტის მხრივ, 2021 წელს თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებულ უმსხვილეს სასაქონლო ჯგუფებს შორის აღსანიშნავია: ავტომობილები, შავი ლითონის მილები, სამკურნალო საშუალებები, მზა ნაწარმი და ა.შ. იმ დროისთვის იმპორტმა შეადგინა $1 823 658.6 რაც კვლავ მეტია გასული წლის ამ პერიოდთან (2020 წელს, სულ იმპორტირებული იყო $1 407 581.3 -ის პროდუქცია) შედარებით.

ცხრილი 2: თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

თურქეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2020 წელი		2021* წელი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი – სულ	**1 407 581.3**		**1 823 658.6**	
მათ შორის:				
ავტომობილები, განკუთვნილი 10 კაცის ან მეტის გადასაყვანად, მძღოლის ჩათვლით (ცალი)	49 633.1	665	70 600.9	1 147
შავი ლითონების მილები, მილაკები და ღრუ პროფილები	42 353.5	67 220.0	48 476.0	46 429.9
მზა ნაწარმი სხვა, ტანსაცმლის თარგების ჩათვლით	29 366.9	1 443.5	46 601.3	2 331.9
სამკურნალო საშუალებები დაფასოებული	45 940.8	528.4	46 450.5	496.7
შავი ლითონების მეტალოკონსტრუქციები და მათი ნაწილები	35 020.9	23 515.5	39 646.6	20 687.2
დანარჩენი საქონელი – სულ	1 205 266.2		1 571 883.3	

*წინასწარი მონაცემები.

ამრიგად, თურქეთ-საქართველოს პარტნიორობა ორივე მხარისთვის მომგებიანია. ათეული წლებია საქართველო თურქეთისათვის მეტად მნიშვნელოვან პარტნიორად იქცა. თურქეთს სურს საქართველოსთან მეგობრული ურთიერთობები კიდევ უფრო მეტად გააღრმავოს. ამისთვის მზად არის, გაზარდოს პოლიტიკური, ეკონომიკური და სამხედრო მხადრაჭერა. ანკარა თბილისს სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიაში გასასვლელ ხიდად განიხილავს.

საქართველო-რუსეთი სავაჭრო ურთიერთობები

რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები რამდენიმე ათწლეულს ითვლის. ამ დროის განმავლობაში იყო დროებითი ,,შეჩერებან (ემბარგო), თუმცა დღეს მაინც რუსეთ-საქართველოს სავაჭრო ურთიერთობები წარმატებით მიმდინარეობს. შევეცდები მოკლედ მიმოვიხილო ისტორია.

2006 წელს რუსეთის ფედერაციის მთავრობამ დააწესა აკრძალვა საქართველოდან სოფლის მეურნეობის პროდუქციის იმპორტზე. ემბარგო მოიხსნა 2013 წელს. იგი ძირითადად ეხებოდა ღვინისა და მინერალური წყლების იმპორტს.

2011 წლის 9 ნოემბერს საქართველომ და რუსეთის ფედერაციამ ხელი მოაწერეს ორმხრივ შეთანხმებას საბაჟო ადმინისტრირებისა და სასაქონლო ბრუნვის

მონიტორინგის მექანიზმის შექმნის შესახებ. რომლის თანახმადაც, მათ უნდა შეექმნათ სავაჭრო დერეფნები საზღვრის აფხაზეთის, ცხინვალის რეგიონის და ზემო ლარსის მონაკვეთებზე, რომელთა დასაწყისში და ბოლოში მიმავალი ტვირთების მოძრაობას შვეიცარიული კომპანია გააკონტროლებდა. შეთანხმების ხელმოწერის შემდეგ საქართველომ რუსეთის ვაჭრობის მსოფლიო ორგანზიაციაში (WTO) გაწევრიანებაზე თანხმობა განაცხადა.

როგორც ადრე, დღესაც რუსეთი ქვეყნის მთავარ სავაჭრო პარტნიორად რჩება, რასაც ციფრებიც ადასტურებს. მაგალითად, ომიდან 10 წლის თავზე, 2018 წლის იანვარ-ივნისის

მონაცემებით, ექსპორტის მიმართულებით რუსეთი 12.8%-ით პირველ ადგილზეა, იმპორტით კი 10.1%-ით მეორე ადგილზე.

რაც შეეხება პროდუქციის იმპორტსა და ექსპორტს, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ყურძნის ნატურალური ღვინოები, მინერალური და მტკნარი წყლები, ფეროშენადნობები, სპირტიანი სასმელები; ხილი (მათ შორის გარგარი, ალუბალი, ატამი და სხვა). რუსეთიდან კი საქართველოში იმპორტირდება ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, სატელეფონო აპარატები.

რაც შეეხება უახლოეს სტატისტიკას, 2021 წელს, საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფებია: ყურძნის ნატურალური ღვინოები, ფეროშენადნობები, მინერალური და მტკნარი წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილი (ალუბალი, ქლიავი, გარგარი, ღოღნოშო) და ა.შ. ამ პერიოდში $610 026.7 ათასი პროდუქცია გაიტანა საქართველომ ექსპორტზე რუსეთში.

ცხრილი 3: რუსეთიდან საქართველოში ექსპორტირებული სასაქონლო ჯგუფები

რუსეთი

საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2020 წელი		2021* წელი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
ექსპორტი – სულ	**441 105.0**		**610 026.7**	
მათ შორის:				
ფეროშენადნობები	108 523.7	108 251.7	171 793.7	104 795.0
ყურძნის ნატურალური ღვინოები	119 558.3	41 134.5	130 760.7	47 357.0
მინერალური და მტკნარი წყლები	43 939.3	78 414.5	60 917.3	107 429.7
სპირტიანი სასმელები	31 276.2	6 664.2	41 230.3	9 903.8
ახალი გარგარი, ალუბალი და ბალი, ატამი, ქლიავი და ღოღნოშო	19 940.8	20 113.5	26 684.2	24 911.5
დანარჩენი საქონელი – სულ	117 866.7		178 640.5	

*წინასწარი მონაცემები.

რაც შეეხება იმპორტს, ამ პერიოდში რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული პროდუქციაა: ნავთობი და ნავთობპროდუქტები, ხორბალი, მზესუმზირის ზეთი, სატელეფონო აპარატები და ა.შ. ხოლო იმპორტირებული საქონლის სრული ღირებულება კი $1 028 550.4 -ს შეადგენს.

ცხრილი 4: რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

რუსეთიდან საქართველოში იმპორტირებული უმსხვილესი სასაქონლო ჯგუფები

	2020 წელი		2021* წელი	
	ათასი აშშ დოლარი	ტონა	ათასი აშშ დოლარი	ტონა
იმპორტი – სულ	**888 445.8**		**1 028 550.4**	
მათ შორის:				
ნავთობი და ნავთობპროდუქტები	130 557.8	348 701.3	134 615.4	224 705.6
ნავთობის აირები და სხვა აირისებრი ნახშირწყალბადები	47 746.7	172 116.9	96 889.2	319 181.4
ხორბალი და მესლინი	107 356.8	488 279.3	87 436.0	337 694.7
მზესუმზირის ზეთი	41 032.6	41 923.3	41 640.8	28 350.2
სატელეფონო აპარატები	28 756.0	27.8	37 277.0	46.3
დანარჩენი საქონელი–სულ	532 995.8		630 691.9	

*წინასწარი მონაცემები.

მოკლედ რომ ვთქვათ, მიუხედავად ბევრი დაბრკოლებისა, რუსეთ-საქართველოს შორის ეკონომიკური კავშირი მაინც გრძელდება, გაძლიერდა რუსული კაპიტალის აქტიურობა ქართულ ეკონომიკაში, ქართული სამუშაო ძალა კი რუსულ ეკონომიკაში გამოიყენება.

საქართველო-ჩინეთის სავაჭრო ურთიერთობები

საქართველოსა და ჩინეთს შორის დიპლომატიური ურთიერთობები 1992 წლის 9 ივნისს დამყარდა. ის იყო ერთერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა და გახსნა საელჩო საქართველოში

ქართულ-ჩინური ეკონომიკური ურთიერთობები მზარდი დინამიკით ხასიათდება, ყოველწლიურად იზრდება ქართული პროდუქტის ექსპორტი ჩინეთში,რამაც განაპირობა 2017 წლის 13 მაისს პეკინში საქართველოს მთავრობასა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ხელშეკრულების გაფორმება. ხელშეკრულების ფარგლებში ჩინეთში იმპორტისას ქართული პროდუქციის დაახლოებით 94% გათავისუფლდება საბაჟო გადასახადისაგან. ამასთანავე, აღსანიშნავია ისიც,რომ საქართველო რეგიონში პირველი ქვეყანაა, ვისთანაც ჩინეთმა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება გააფორმა.

ჩინეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმების ამოქმედების შემდეგ საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურეობას გაეხსნება მსოფლიოს უმსხვილესი ბაზარი, სადაც დაახლოებით 1,4 მილიარდი მომხმარებელია და ამით ქართველ მწარმოებლებს აქვთ შესაძლებლობა თავიანთი პროდუქცია ჩინეთის ბაზარზე დამატებითი საბაჟო გადასახადის გარეშე შეიტანონ.

2021 წლის სტატისტიკა: საქართველოდან ჩინეთში ექსპორტირდა 615 581.2 ათასი აშშ დოლარის ღირებულების პროდუქცია. მათ შორის: ყურძნის ნატურალური ღვინოები,-ძვირფასი ლითონის მადნები, მედიცინასა და ვეტერინარიაში გამოსაყენებელი ხელსაწყოები, სხვადასხვა სასმელი, დაფნის ფოთოლი, ურცი და სხვა.

ამავე პერიოდში ჩინეთიდან საქართველოში იმპორტირდა $864 892.6 ათასი პროდუქცია-მზა ნაწარმი, ტანსაცმელი,გამომთვლელი მანქანები და მათი ბლოკები, ვაქცინები, სისხლი და იმუნური პროდუქტები და ა.შ.

მოკლედ რომ ვთქვათ, ჩინეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყანა, გასათვალისწინებელია ის ფაქტიც,რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველოს დამოუკიდებლობა აღიარა, ამავდროულად დაამყარა საქართველოსთან დიპლომატიური ურთიერთობები და გახსნა საელჩო თბილისში. ჩინეთთან ჩვენი პარტნიორობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის,რადგანაც როგორც უკვე აღვნიშნე თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმება ჩინეთის სახალხო რესპუბლიკასთან, ნიშნავს ქართული პროდუქციისა და მომსახურების წვდომას მსოფლიოს ყველაზე დიდ ბაზარზე. საქართველოსთვის ჩინეთთან დადებული შეთანხმება იქნება ორმხრივად მომგებიანი, როგორც ექსპორტის თვალსაზრისით ისე საინვესტიციო კუთხითაც, რადგანაც იგი უზრუნველყოფს უფრო მეტი ჩინური ინვესტიციის შემოდინებას საქართველოში და ამასთანავე მოიაზრებს საქართველოში ჩინური გამოცდილების გაზიარებას, ახალი ტექნოლოგიებისა და ცოდნის ათვისებას, რაც საქართველოსთვის მნიშვნელოვანი და მომგებიანია.

COVID-19-ის გავლენა საქართველოს ვაჭრობის ტენდენციებზე

COVID-19-მა როგორც საქართველოს ,ისე მსოფლიო ეკონომიკაზე დიდი გავლენა მოახდინა,შესაბამისად ქვეყნის სავაჭრო ტენდენციები წინა წლებთან შედარებით საკმაოდ განსხვავებული იყო.სტატისტიკურ მონაცემებს თუ დავეყრდნობით 2019 წელთან შედარებით 2020 წლის საგარეო ვაჭრობის უარყოფითი სალდო შემცირდა,ვინადაინ პანდეემის გამო საზღვრები ჩაკეტილი იყო და შესაბამისად ვერ ხერხდებოდა დიდი რაოდენობით პროდუქტების როგორც იმპორტი, ასევე ექსპორტი,თუმცა 2021 წელს შედარებით გაუმჯობესდა პანდეემის პირობები და საზღვრებიც გაიხსნა,ამიტომ ქვეყანაში საკმაოდ დიდი რაოდენობით იმპორტი შემოვიდა რამაც უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო ,კიდევ უფრო გაზარდა.

გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის (UNECE-ს) მიერ მიმდინარე წლის იანვართებერვალში ჩატარდა კვლევა და მომზადდა ანგარიში „COVID-19-ის გავლენა ,,საქართველოს ვაჭრობასა და სტრუქტურულ ტრანსფორმაციაზე“. კვლევაში დადებითადაა შეფასებული საქართველოს მთავრობის მიერ პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად განხორციელებული ღონისძიებები. [6]

კვლევაში აღნიშნულია, რომ საქართველოს უჭირავს წამყვანი ადგილი რეგიონში სავაჭრო რეფორმატორთა შორის, ხოლო შეფასებამ აჩვენა, რომ „მთავრობამ გადააჭარბა მოლოდინს მიწოდების ჯაჭვის შეუფერხებელი ფუნქციონირების უზრუნველყოფის მხრივ. მან მინიმუმამდე დაიყვანა სავაჭრო შეზღუდვები; სწრაფად გააფართოვა და ხელმისაწვდომი გახადა საწარმოებისთვის ვაჭრობის გამარტივებისთვის საჭირო ყველა ინსტრუმენტი და შეიმუშავა დახმარების ზომები მოსახლეობის დაუცველი ფენებისთვის, განსაკუთრებით სოფლად მცხოვრებთათვის, და ასევე მძიმედ დაზარალებული სექტორების დასახმარებლად“. ვიტყვი იმასაც, რომ ანგარიშში მოცემულია რეკომენდაციები საქართველოს მთავრობისათვის. მასში ხაზგასმულია ვაჭრობის წვლილის გაზრდის მნიშვნელობა COVID-19 პანდემიის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის მშენებლობაში.

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე

თანამედროვე მსოფლიოს ახალი გამოწვევა არის რუსეთ-უკრაინის ომი, რომელიც ძალიან დიდ გავლენას ახდენს მეზობელი ქვეყნების ეკონომიკაზე და მათ შორის საქართველოზეც.

ბოლო ათწლეულია რუსეთი საქართველოს ერთ-ერთი უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია 2021 წელს 10.2%-იანი წილით, რუსეთი საქართველოს მეორე უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი იყო, თურქეთის შემდეგ. გასულ წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტირებული პროდუქციის ღირებულებამ „საქსტატის“ მონაცემებით, $610 მილიონს გადააჭარბა. აღსანიშნავია, რომ რუსეთზე საქართველოს მთლიანი ექსპორტის 14.4% მოდის 2021 წლის მონაცემებით. საქართველოს ძირითად საექსპორტო პროდუქციის, კერძოდ ღვინის 59%, მტკნარი და მინერალური წყლების 43%, სპირტიანი სასმელების 26% და ფეროშენადნობების 35% სწორედ რუსეთში იყიდება.

დასკვნა

ამრიგად, საგარეო ვაჭრობა მნიშვნელოვანია საქართველოსთვის, რადგანაც საქართველოს ეკონომიკური ზრდის კომპონენტში საგარეო ვაჭრობას,როგორც წმინდა ექსპორტს განსაკუთრებული ადგილი უკავია, რასაც ბოლო წლების ზრდის მოდელში მისი წვლილი მეტყველებს. ეს ყველაფერი ღია ეკონომიკისთვის დამახასიათებელი. ეკონომიკური ზრდა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან მჭიდროდაა დაკავშირებული. თუ სავაჭრო პარტნიორებში ადგილობრივი მოხმარება იზრდება და ეროვნული ვალუტა მყარდება, ეს საქართველოს ექსპორტის ზრდაზე დადებითად აისახება. საქართველოს სავაჭო პარტნიორები ძირითადად ცენტრალური აზრიისა და ევროპის ქვეყნებია (მათ შორის საერთო საზღვრის მქონე ქვეყნებიც), რომლებსაც საქართველოსთან საკმაოდ მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვთ.

ამასთანავე უნდა აღინიშნოს ისიც ,რომ 2021 წელს ახალი კორონავირუსის ეპიდემიის გამო შეჩერებულმა ეკონომიკურმა აქტივობამ განაპირობა ექსპორტისა და იმპორტის შემცირება (ექსპორტი დაახლოებით 13%-ით შემცირდა, იმპორტი კი 12%-ით),რაც ქვეყნის საგარეო ვაჭრობის მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ამცირებს. COVID-19-მა მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე.პანდემიის შედეგების შესამსუბუქებლად საქართველოს მთავრობამ განახორციელა გარკვეული ღონისძიებები. გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისიის მიერ ჩატარებული კვლევის მიხედვით საქართველოს უჭირავს წამყვანი ადგილი რეგიონში სავაჭრო რეფორმატორთა შორის. მნიშვნელოვანია ვაჭრობის წვლილის გაზრდა COVID-19 პანდემიის შემდეგ ძლიერი და მდგრადი ეკონომიკის მშენებლობაში.

ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ რუსეთ-უკრაინის ომის ძალიან დიდ გავლენას ახდენს საქართველოს საგარეო ვაჭრობაზე,ვინაიდან რუსეთი ჩვენი ქვეყნის უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორია .ეს დაძაბული ვითარება 2022 წლის წინასწარ მონაცემებზე არის ასახული. შეგვიძლია დავასკვნათ,რომ 2022 იანვარ-თებერვლის წინასწარი მოანცემებით კვლავ ისევ უარყოფითი საგარეო ვაჭრობის სალდო გვაქვს და ექსპორტი კვლავ მეტია იმპორტზე.

შედეგად კი რეგიონში საკმაოდ რთული ეკონომიკური ვითარება შეიქმნება,სწორედ ამიტომ ქვეყნებს შორის ურთიერთთანამშრომლობა ძალზედ მნიშვნელოვან როლს ასრულებს, როგორც მათ ეკონომიკურ სტაბულურობაში ისე მათსავე განვითარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.geostat.ge
2. http://eugeorgia.info/ka/article/368/turqettan-tavisufal-vachrobas-evrokavshiri-dcfta-gamoacocxlebs/
3. http://gov.ge/index.php?lang_id=geo&sec_id=462&info_id=61126
4. http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
5. https://www.mof.ge/export_importis_informacia
6. http://www.economy.ge/?page=news&nw=1580

სწრაფი მიტანის სერვისის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევა

ლუკა არქანია

მომსახურების ინდუსტრია მრავალფეროვანია. სხვადასხვა სექტორი გვთავაზობს მომსახურების განსხვავებულ სახეებს. მთავრობა ეწევა სასამართლო, სამედიცინო, სამხედრო, საპოლიციო და სხვა სახის მომსახურებას. კერძო კომერციული ორგანიზაციები კი ახორციელებენ ბანკების, სასტუმროების, ავიახაზების, გადაზიდვების და სხვა მომსახურების სახეებს. აღსანიშნავია, რომ ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში მომსახურების სექტორი მკვეთრი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. მაგალითად, 1970 წელს ამერიკაში სამუშაო ადგილების 55% მომსაურების სექტორზე მოდიოდა, დღეს კი იგი მთლიანი დასაქმების 82%-ს შეადგენს.

მომსახურების სექტორის მკვეთრმა ზრდამ განაპირობა სწრაფი მიწოდებს სერვისის განვითარება სწრაფი მიწოდების სერვისი ნიშნავს საფოსტო ნივთების შეგროვებას, დახარისხებას, ტრანსპორტირებას და მიწოდებას დაჩქარებული ფორმით და საიმედოობით.

კვლევის მიზანი და ამოცანები. მოცემული ნაშრომის მიზანია, საქართველოში მოქმედი სწრაფი მიტანის სერვისების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა. კვლევის მიზნიდან გამომდინარე, დასახულია შემდეგი ამოცანები:

- სწრაფი მიტანის სერვისის მსოფლიო ბაზარზე არსებული ტენდენციების მიმოხილვა;
- საქართველოში მიტანის სერვისის მნიშვნელობისა და განვითარების პერესპექტივების გამოვლენა;
- სწრაფი მიტანის მომსახურების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების შესწავლა;
- მიღებული ინფორმაციის ანალიზი და დასკვნების გამოტანა.

კვლევის საგანი და ობიექტები. კვლევის საგანია მომხმარებელთა ქცევა, ხოლო კვლვის ობიექტია საქართველოში მოქმედი მიტანის სერვისების მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულება.

კვლევის მეთოდოლოგია. კვლევის თეორიულ საფუძველს წარმოადგენს, როგორც ქართველი, ასევე უცხოური სამეცნიერო ნაშრომები. ინფორმაციის ძირითადი ნაწილი მოძიებული იქნა ინტერნეტის გამოყენებით, ონლაინ ლიტერატურისა და ვებ გვერდების სახით. მარკეტინგულ კვლევაში გამოყენებულია რაოდენბორივი კვლევის მეთოდი. გამოკითხვა ჩატარდა ონლაინ ანკეტის გამოყენებით.

პრაქტიკული შედეგები და ღირებულება. მოცემული კვლევის ფარგლებში გამოვლენილია ქართველი მომხმარებლების დამოკიდებულება სწრაფი მიტანის სერვისების მიმართ. კვლევის შედეგები გამოადგება სწრაფი მიტანის სერვისის სფეროში დასაქმებულ კომპანიებს შეთავაზებული მომსახურების გაუმჯობესებისა და ინოვაციური მიდგომების შემუშავებისათვის.

ჰიპოთეზები

კვლევის საშუალებით შემოწმდა შემდეგი ჰიპოთეზები:

H1: სწრაფი მიტანის სერვისის მომსახურების შეძენისას მომხმარებლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წამოადგენს პროდუქტის ხარისხი. ხარისხი წარმოადგენს ასევე ლოიალურობის ჩამოყალიბების მთავარ კრიტერიუმს;

H2: სწრაფი მიტანის მომსახურების კუთხით მთავარ საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ინტერნეტ რეკლამები;

H3: სწრაფი მიტანის მომსახურების ხარისხი შეესაბამება მის მიერ დაწესებულ ფასებს;

H4: საქართველოში მოქმედი სწრაფი მიტანის სერვისები სწორად ახორციელებენ გაყიდვების სტიმულირებას.

თავი 1. სწრაფი მიტანის სერვისის ბაზრის დახასიათება

1.1 სწრაფი მიტანის სერვისის არსი, მნიშვნელობა და განვითარების პერსპექტივები

სწრაფი მიტანის სერვისი, რომელსაც ასევე უწოდებენ დაჩქარებულ მიწოდებას, არის ტრანსპორტირების ყველაზე სწრაფი ფორმა. ეს ნიშნავს, რომ შეკვეთილი საქონელი რაც შეიძლება მალე ტოვებს საწყობს და იგზავნება უსწრაფესი საკურიერო მარშრუტით.

სწრაფი მიტანის მომსახურება ყველაზე საჭირო და აქტუალური გადხა 2020 წლიდან. ამის მიზეზია COVID-19-ის გამოჩენა. COVID-19-მა გავრცელების საწყის ეტაპზე გამოიწვია მრავალი მცირე ბიზნესის დახურვა, სერვისების განახლების კონკრეტული თარიღის გარეშე, რამაც სწრაფი მიტანის მომსახურების სფეროში მნიშვნელოვანი ცვილილებები განაპირობა.

როგორც ცნობილია ონალინ ვაჭორიბაში რეპუტაცია უმიშვნელოვანესია. ამიტომაც როცა კომპანია უხარისხო მიტანის სერვისს ეწევა, ეს უარყოფით გავლენას ახდენს მის რეპუტაციაზე. სოციალური მედია საშუალებას აძლევს მომხმარებლებს, გამოავლინონ თავიანთი რისხვა, რაც ცუდი მიტანის სერვისის შემთხვევაში კომპანიის განვითარებას აბრკოლებს.

მომხმარებლებისთვის ასევე მნიშვნელოვანია ფასი. ფასების მიხედვით წარმოქმნილი კონკურენციის დაძლევას კომპანიები აგვარებენ დიფერენცირებული შეთავაზების, მიწოდების და იმიჯის შექმნით. შეთავაზება უნდა შეიცავდეს ინოვაციურ ნიშან-თვისებებს, რითაც მომხმარებელს შესაძლებლობა ექნება, ერთმანეთისგან განასხვაოს კონკურენტი კომპანიების შეთავაზებები. მომსახურების მიმწოდებელ კომპანიებს შეუძლიათ თავიანთი მომსახურების პროცესი განახორციელონ უფრო სანდო და მაღალკვალიფიციური მომსახურე პერსონალით ან უფრო გაამარტივონ მიწოდება, მაგალითად, დისტანციურად, ონლაინ სერვისის მეშვეობით. მომსახურების მიმწოდებლებს სიმბოლოების და ბრენდინგის საშუალებითაც შეუძლიათ იმიჯის შეცვლაზე იმუშაონ.

1.2. სწრაფი მიტანის სერვისის მსოფლიო ბაზარზე მიმდინარე ტენედენციების მიმოხილვა

დღევანდელ გლობალიზებულ ეკონომიკაში, კომპანიები სულ უფრო მეტად ცდილობენ თავიანთი ლოგისტიკის მოგვარებას და კურიერების მოზიდვას, რათა შეამცირონ

ხარჯები და გააუმჯობესონ ეფექტიან. ვინაიდან მიწოდება არის ნებისმიერი წარმატებული ონლაინ ბიზნესის უზარმაზარი ნაწილი, მნიშვნელოვანია, შესაბამისი საკურიერო კომპანიის დაქირავება, რაც ადვილი როდია.

როგორც კი შეკვეთილი პროდუქტი ტოვებს გამყიდველის საწყობს, წარმოიშობა საკურიერო კომპანიის პასუხისმგებლობა. ცხადია ბევრ ონლაინ გამყიდველს შეუძლია აირჩიოს შიდა ლოგისტიკის გუნდი, რომელიც გააკონტროლებს გადაზიდვის ოპერაციებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს ის ფაქტი,, რომ პოპულარული რწმენის საწინააღმდეგოდ, მესამე მხარის კურიერის კომპანიებზე (3PLs) გადაზიდვის ლოგისტიკის გადასვლა რეალურად უფრო ეფექტურია, ვიდრე შიდა გუნდის მართვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საინტერესოა, განვიხილოთ მსოფლიოში წამყვანი კოპანიები სწრაფი მიწოდების დარგში. ქვემოთ მოცემულია 5 საუკეთესო საკურიერო კომპანია, რომელიც ეფუძნება ისეთ ფაქტორებს, როგორიცაა ღირებულება, მომსახურების ხარისხი და გეოგრაფიული წვდომა. მსოფლიოში წმყვანი ხუთი საკურიერო მომსახურების კომპანიები მოცემულია 1-ელ დიაგრამაზე.



შენიშვნა: შემოსავლები გამოსახულია დოლარით, მილიარდებში.

დიაგრამა 1. მსოფლიოში წმყვანი ხუთი საკურიერო მომსახურების კომპანიები

1) **FedEx** არის მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი საკურიერო კომპანია, რომელიც გვთავაზობს მიწოდების ჯაჭვის მენეჯმენტს და ამანათების მიწოდების სერვისებს. მისი სათავო ოფისი მდებარეობს ტენესში, აშშ-ში და ეწევა დროისადმი მგრძნობიარე მიწოდებას მსოფლიოს 220-ზე მეტ ქვეყანაში. FedEx-მა ასევე ახლახანს დაიწყო სწრაფი მიწოდების ოპერაციები გამოწვევების მოსაგვარებლად.

2) **UPS** არის მსოფლიოში ცნობილი საკურიერო კომპანია, რომელიც სთავაზობს მომხმარებელს ყოვლისმომცველ ლოგისტიკას და კურიერის მიწოდების სერვისებს. ის დაფუძნებულია აშშ-ში და აქვს საკურიერო ოპერაციები მსოფლიოს 220-ზე მეტ ქვეყანასა

და რეგიონში. UPS ახორციელებს საკონტრაქტო ლოგისტიკურ მომსახურებას და ყოვლის-მომცველ სასაწყობო გადაწყვეტილებებს.

3) ZTO Express არის წამყვანი სახელი სწრაფი მიწოდების ინდუსტრიაში. ის დაფუძ-ნებულია შანხაიში. ZTO Express უზრუნველყოფს კურიერის მიწოდებას ევროპაში, ჩრდი-ლოეთ და სამხრეთ ამერიკაში, შესაბამისად, 5-8 და 8-10 დღეში. იგი აღჭურვილია სხვა-დასხვა საქონლის გადასატანად, როგორიცაა კოსმეტიკა, ლითიუმის ბატარეები, ელექ-ტრონული გაჯეტები, ტექნიკა და სხვა. საერთაშორისო კურიერებისთვის ZTO Express-ს შეუძლია განბაჟება და უბაჟო მიწოდება შემკვეთის კარამდე.

4) Blue Dart არის ლოგისტიკური და საკურიერო კომპანია, რომელიც სპეციალი-ზებულია სწრაფ მიწოდებასა და ტემპერატურის კონტროლირებადი ფლოტის მიწოდე-ბაში. Blue Dart-ის სათავო ოფისი მდებარეობს მუმბაიში (ინდოეთი) და ოპერირებს 220-ზე მეტ ქვეყანაში. Blue Dart ასრულებს ფუნქციას სახელწოდებით „Smart Box“ , რომელიც უზ-რუნველყოფს ონალინ სავაჭრო კომპანიები ყუთებით, რათა მოერგოს 10-დან 25 კგ-მდე ტვირთამწეობას მომხმარებლის კარამდე მიტანისთვის. როგორც DHL-ის შვილობილი კომპანია, Blue Dart ასევე შეიმუშავებს უმაღლესი სადაზღვევო გეგმებს მაღალი ღი-რებულების ნივთებზე.

5) Deutsche Post AG არის გლობალური, მრავალეროვნული საკურიერო და ლოგისტი-კური კომპანია ღრმა ქსელის სადისტრიბუციო ქსელებით მთელ მსოფლიოში.Ჯის დაფუძ-ნებულია ბონში, (გერმანიაში) და ოპერირებს მთელ მსოფლიოში, საწყობების ფართო ქსე-ლით. Deutsche Post-ს ასევე აქვს საფოსტო ოფისების ფართო ქსელი მთელ გერმანიაში ამანათებისა და ფოსტის მიწოდებისთვის. მისი შვილობილი კომპანია DHL მთლიანად ინვესტირებას ახდენს ელექტრონული კომერციის მიწოდების გაუმჯობესებაში ონლაინ მყიდველებისთვის და ონლაინ საცალო ვაჭრობისთვის.

საცალო ვაჭრობისა და ლოგისტიკური ინდუსტრიები ინვესტიციებს ახორციელებენ დრონების ტექნოლოგიაში, რათა განახორციელონ ალტერნატიული და მასშტაბური მიწოდების მოდელები. ინდუსტრიის მსხვილმა მოთამაშეებმა, როგორიცაა Amazon, UPS, DHL, Walmart და ა.შ., უკვე დანერგეს დრონით მიწოდების სერვისები თავიანთ პლატფორ-მებზე.Ჯინდუსტრიას ასევე მხარს უჭერენ დრონის მიწოდების სპეციალიზებული ოპერა-ტორები და ტექნოლოგიების პროვაიდერები, როგორიცაა Wing, Zipline და Matter-net. თვითმფრინავების პაკეტის მიწოდების გლობალური ბაზრის ზომა, სავარაუდოდ, მიაღწევს 8 მილიარდ აშშ დოლარს 2027 წლისთვის. ანალიტიკოსების აზრით, დრონით მიწოდების სერვისის საოპერაციო ხარჯები 40%-დან 70%-მდე დაბალია, ვიდრე მანქანის მიწოდების სერვისის მოდელი. გარდა ამისა, COVID-19-ის პანდემიამ კიდევ უფრო დააჩქარა ალტერნატიული, უსაფრთხო და უკონტაქტო მიწოდების მოდელების მოძიების მოთხოვნა. ამან გამოიწვია თვითმფრინავების მიწოდების სერვისებზე გლობალური მოთხოვნის ზრდა.

1.3 COVID-19-ის პანდემიის გავლენა მიწოდების სერვისზე, გამოწვევები და პერსპექტივები

მიტანის სერვისის ინდუსტრიაში ჩართულმა კონპანიებმა შეძლეს, დაეუფლონ იმ მოთხოვნებს, რომლებიც გამოიწვია COVID-19-ის პანდემიამ. წარსულში მკაცრი ჩაკეტვა თანდათან შემსუბუქდა ეკონომიკური აღდგენის დაჩქარების მიზნით. ყველა ამ ცვლი-

ლებაში, ადგილზე მიტანის სერვისები არსებობდა თავიდანვე, რაც ითვალისწინებს იმ მოთხოვნებს, რომლებსაც ადამიანები ითხოვს მათგან.

რა მნიშვნელობა აქვს ადგილზე მიტანის სერვისებს COVID-19-ის პანდემიის დროს?

1. **სოციალური დისტანციის ხელშეწყობა.**მიტანის სერვისებმა ამ დროისთვის შეძლეს ადაპტირება სოციალურ დისტანციურ ზომებთან, რომლებიც საჭირო იყო ვირუსის გავრცელების თავიდან ასაცილებლად.

2. **მაღალი ხელმისაწვდომობა**. მიტანის სერვისებს შეუძლიათ უზრუნველყონ კერძო პირების ან, თუნდაც, მცირე საწარმოებს ხელმისაწვდომობის მაღალი დონე.

3. **მოსახერხებელი მეთოდების გამოყენება**. მიტანის სერვისები მუდმივად გვთავაზობენ მომხმარებელთა ბაზის მომსახურების მოსახერხებელ მეთოდებს. ისინი ამას შესაძლებელს ხდიან სერვისებისა და პროდუქტების დივერსიფიკაციით, რომელთა მიწოდება სურთ.

4. **თანმიმდევრული შემოსავლის ნაკადის არსებობა**. ბიზნესის მფლობელების პერსპექტივასთან დაკავშირებით, მიწოდების სერვისები მათთვის იყო გზა შემოსავლების თანმიმდევრული ნაკადის მოსაპოვებლად. მათ შეიძლება უჭირდათ ადაპტაცია არსებულ უკიდურეს ცვლილებებთან, რომლებიც დაკავშირებული იყო პანდემიასთან, მაგრამ საბოლოოდ მათ გააცნობიერეს ლოგისტიკური პროვაიდერის მომსახურების საჭიროება.

5. **ადაპტირდება ახალ ნორმასთან**. ადგილზე მიტანის სერვისები აუცილებელია ქვეყნის დასახმარებლად ახალ ნორმასთან შეგუებაში. მიწოდების ჯაჭვის ყველა დონე ძალზედ მორგებულია ამ ტიპის სცენარისთვის საჭირო ცვლილებების შესატანად.

6. **სამუშაო ადგილების შექმნა**. ადგილზე მიტანის სერვისებზე მოთხოვნის ზრდას სამუშაო ადგილების შექმნაც დაერთო.

1.4 სწრაფი მიტანის სერვისების მიმოხილვა საქართველოს ბაზარზე

საქართველო მსოფლიოში მიმდინარე გლობალურ პროცესებს და გამოწვევებს უპასუხოდ არ ტოვებს. ქართველი მომხმარებელიც, როგორც გლობალური სამყაროს წევრი, ფეხს უწყობს სწრაფ ცვლილებებს და სულ უფრო მეტად ცდილობს, დაზოგოს დრო და ენერგია. აქედან გამომდინარე, იზრდება მოთხოვნა სწრაფი მიტანის სერვისის კომპანიებზე. თუ წლების წინ მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილი სარგებლობდა ამ სერვისით და მოსახლეობის დიდ ნაწილს უბრალოდ ინფორმაციაც არ ჰქონდა იმის შესახებ, რომ სახლიდან გაუსვლელად შეიძლებოდა ნებისმიერ ნივთის სასურველ ადგილზე მიტანა, დღეს სიტუაცია აბსოლუტურად შეიცვალა, ყოველდღიურად იზრდება მომხმარებელთა რაოდენობა და ინტერესი მსგავსი ერვისების მიმართ. საწყის ეტაპზე სწრაფი მიტანის სერვისის გამოყენება ძირითადად ხდებოდა რესტორნებიდან და სწრაფი კვების ობიექტებიდან საკვების გამოსაძახებლად. დროთა განმავლობაში დაემატა სხვა პროდუქტები, როგორიცაა საკვები, სასმელი, ფარმაცევტული ნაწარმი, საჩუქრები, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და სხვა.

დღეს მსოფლიოში და საქართველოში მიმდინარე პროცესებმა კიდევ უფრო ცხადყო, თუ რამდენად მნიშვნელოვანია სწარფი მიწოდების სერვისის კომპანიების საქმიანობა. მსოფლიო პანდემიის გამოცხადების შემდეგ ყველა ქვეყანაში გაიზარდა მოთხოვნა მიტანის სერვისის კომპანიებზე და ისინი უწყვეტ რეჟიმში განაგრძობენ მუშაობას.

მომხმარებელთა ინტერესის ზრდა გამოიწვია ისეთი გლობალური კომპანიების შემოსვლამ საქართველოს ბაზარზე, როგორიცაა Glovo და Wolt. ამ კომპანიების მარკეტინგულმა აქტივობებმა და მომხმარებელზე მორგებულმა სერვისმა თანდათან გამოიწვია მოსახლეობაში ცნობიერების გაზრდა, რაც პირდაპირ კავშირშია მოთხოვნის ზრდასთან. მომხმარებელს გაუჩნდა გაზრდილი მოთხოვნები მომსახურების ხარისხთან დაკავშირებით, რასაც შესაბამისი ნაბიჯებით უნდა უპასუხოს ქართულ ბაზარზე მომუშავე კომპანიებმა.

Glovo და Wolt ოპერირებენ საქართველოს 5 უდიდეს ქალაქში (თბილისი, ბათუმი, ქუთაისი, რუსთავი და ზუგდიდი). ამასთან, ორივე საერთაშორისო კომპანიაა და წარმოდგენილია მსოფლიოს 20-ზე მეტ ქვეყანაში. საქართველოში ეს ორი კომპანია ბაზრის დაახლოებით 95%-ს ფლობს 2020 წლის მდგომარეობით. საქართველოში ბაზარზე ასევე ახალი საკურიერო მომსახურების კომპანია AloModi გამოჩნდა. კომპანია ინდუსტრიულ-მომსახურების სფეროშიჟოპერირებს და საქართველოს გარდა კიდევ ოთხ სხვა ქვეყანაში მუშაობს: თურქეთში, უკრაინაში, ტანზანიასა და ეთიოპიაში. აღსანიშნავია, რომ კონკურენცია გაიზარდა 2021 წელს, რადგან ბაზარზე გააქტიურდნენ Bolt Food, Elvis და სხვა შედარებით მცირე ზომის მოთამაშეები.

მთავრობის მიერ კორონავირუსის გავრცელების საპრევენციო ღონისძიებების ფარგლებში კომპანია Glovo არ წყვეტს მუშაობას. კომპანია ითავლისწინებს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის მიერ დაწესებულ უსაფრთხო მომსახურების წესებს მომსახურების ყველა ეტაპზე, როგორც შეკვეთის მომზადების დროს ასევე, მისი შეფუთვის და მიტანის დროსაც.

კომპანია „Wolt-ის" სათავო ოფისი მეთვალყურეობით და სხვადასხვა ქვეყნებში წარმოდგენილი მენეჯმენტის მეშვეობით ითვალისწინებს მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის რეკომენდაციებს Covid-19-თან დაკავშირებით მსოფლიოში შექმნილი სიტუაციიდან გამომდინარე (Wolt.com, 2020). ვირუსის თავიდან ასაცილებლად სოციალური პასუხისმგებლობის ფარგლებში კომპანია Wolt-მა სხვადახვა აქტივობები განახორციელა და, სიტუაციიდან გამომდინარე, მზად არის დამატებითი ღონისძიებების გასატარებლადაც.

თავი2. სწრაფი მიტანის სერვისის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულების მარკეტინგული კვლევის შედეგები

2.1 კვლევის მეთოდლოგია

კვლევა წარმოადგენს სწრაფი მიტანის სერვისის მიმართ მომხმარებელთა დამოკიდებულებების შესწავლას. კვლევით დადგინდა, თუ როგორი დამოკიდებულება აქვთ სწრაფი მიტანის სერვისის მიმართ მომხმარებლებს და რას ანიჭებენ ისინი უპირატესობებს. ასევე ცნობილი გახდა, თუ რომელი საინფორმაციო წყაროს მეშვეობით ღებულობდა მოხმარებელი ინფორმაციას სწრაფი მიწოდების სერვისის შესახებ.

კვლევის პროცესი მოიცავდა ორ ეტაპს. პირველ ეტაპზე მოხდა ანკეტის შემუშავება და მიზნობრივი ჯგუფის დადგენა. კვლევის შემდეგ ეტაპზე უშუალოდ განისაზღვრა კვლევის მეთოდი, მოხდა ანკეტის გავრცელება და რესპოდენტთა გამოკითხვა. კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, გადაწყდა რაოდენობრივი კვლევის ჩატარება. ეს უკანასკნელი მოიცავს ინფორმაციის შეგროვებას რაოდენობრივი ფორმით. შემდეგ კი მოხდა მიღებული ინფორმაციის სტატისტიკურ ანალიზს.

კვლევის დიზაინი ასეთია:

- კვლევის მიზნობრივი ჯგუფი - სწრაფი მიწოდების სერვისის მომხმარებლები;
- კვლევის მეთოდი - რაოდენობრივი კვლევა;
- კვლევის არე - საქართველოს ნებისმიერ ტერიტორიაზე მცხოვრები რესპონდენტები;
- შერჩევის მოცულობა - გამოკითხვაში მონაწილეობა მიიღო 100-მა ადამიანმა, საიდანაც 99 იყო უშუალოდ მომხმარებელი;
- კვლევის ფორმა - გამოკითხვა ჩატარდა სტრუქტურირებული კითხვარის ფორმით. ანკეტები სოციალური ქსელის მეშვეობით დაეგზავნა რესპონდენტებს.

2.2. მარკეტინგული კვლევის შედეგების ანალიზი

2.2.1. მომხმარებელთა სოციალურ-დემოგრაფიული მახასიათებლები

დიაგრამა 2.1. რესპოდენტების სქესობრივი სტრუქტურა



დიაგრამა 2.2. რესპოდენტების ასაკობრივი სტრუქტურა



დიაგრამა 2.3. რესპოდენტების თვიური შემოსავლები



2.2. სწრაფი მიტანის მომსახურების მოხმარება

დიაგრამა 2.4. რესპოდენტების ინფორმირება სერვისის სწრაფი მიტანის შესახებ



დიაგრამა 2.5. სწრაფი მიტანის სერვისის შესახებ რესპოდენტების ინფორმირების წყარო



დიაგრამა 2.6. გამოკითხულთა შორის სწრაფი მიტანის მომსახურების მოხმარებელი



დიაგრამა 2.7. მოხმარებელთა შორის სწრაფი მიტანის მომსახურების მოხმარება პანდემიამდე



დიაგრამა 2.8. რესპოდენტების მიერ კვირის განმავლობაში დახარჯული თანხა



სწრაფი მიტანის მომსახურების მოხმარების სიხშირე, მიზეზები და მიზნები

დიაგრამა 2.9. სწრაფი მიტანის მომსახურების მოხმარების სიხშირე



დიაგრამა 2.10. სწრაფი მიტანის მომსახურების ყიდვის მიზანი



დიაგრამა 2.11. სწრაფი მიტანის მომსახურების ყიდვის მიზეზი



სწრაფი მიტანის მომსახურების მომხმარებლის არჩევანი

დიაგრამა 2.12. სწრაფი მიტანის მომსახურების უპირატესობები



დიაგრამა 2.13. სწრაფი მიტანის მომსახურების არჩევის ძირითადი ფაქტორები



დიაგრამა 2.15. გაყიდვების სტიმულირების მნიშვნელობა სერვისის შეძენისას



დიაგრამა 2.14. მომხმარებელთა არჩევანი სერვისებს შორის



სწრაფი მიტანის სერვისის ფასები და მომხმარებელთა კმაყოფილება

დიაგრამა 2.16. გამოკითხულთა აზრი სწრაფი მიტანის მომსახურების ფასებზე



დიაგრამა 2.17. მომხმარებელთა კმაყოფილების ხარისხი



ცხრილი 1. სწრაფი მიწოდების მომსახურების დამახასიათებელი თავისებურებები, შეფასებული ხუთ ბალიანი სისტემით.



დასკვნები

დადასტურდა ჰიპოთეზა H1: „სწრაფი მიტანის მომსახურების შეძენისას მომხმარებლებისთვის ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორს წამოადგენს პროდუქტის ხარისხი. ხარისხი წარმოადგენს ასევე ლოიალურობის ჩამოყალიბების მთავარ კრიტერიუმს;“ კვლევიდან გამომდინარე, მომსახურების შეძენის მიზეზები შემდეგი თანმიმდევრობით განაწილდა: ხარისხი 57%, ფასი 38% და ბრენდი 5%.

დადასტურდა ჰიპოთეზა H2: „სწრაფი მიწოდების სერვისის კუთხით მთავარ საინფორმაციო წყაროს წარმოადგენს ინტერნეტ რეკლამები;“ კვლევის შედეგიდან გამომდინარე რესპოდენტთა 39% აფიქსირებს, რომ სწრაფი მიწოდების მომსახურების შესახებ ინტერნეტ რეკლამიდან გაიგო.

დადასტურდა ჰიპოთეზაა H3: „სწრაფი მიტანის მომსახურების ხარისხი შეესაბამება მის მიერ დაწესებულ ფასებს;“ მიტანის სერვისი ეწევა მაღალი ხარისხის მომსახურეობას შესაბამის ფასებში. ამ არგუმენტს ადასტურებს ის ფატი, რომ სწრაფი მიტანის მომსახურების ფასებს რესპოდენტა 82% თვლის საშუალოდ.

არ დადასტურდა ჰიპოთეზა H4: „საქართველოში მოქმედი სწრაფი მიტანის სერვისები სწორად ახორციელებენ გაყიდვების სტიმულირებას“; კვლევამ აჩვენა, რომ სწრაფი მიტანის სერვისების მიერ გამოყენებული ფასდაკლებები არ ახდენს დიდ გავლენას მომხმარებლებზე მიიღონ ყიდვის გადაწყვეტილება. ეს მიანიშნებს გაყიდვების სტიმულირების არასწორ მართვაზე.

ჩატარებული კვლევიდან გამომდინარე, შეიძლება ჩამოვაყალიბოთ შემდეგი რეკომენდაციები:

- **საქართველოში მოქმედი სწრაფი მიტანის სერვისებმა უნდა მოახდინოს გაყიდვების უფრო მეტად სტიმულირება,** სპეციალური კუპონების გამოყენების, სხვადასხვა შეჯიბრების მოწყობის, ფასდაკლებების და პრემიების დაწესებით.
- **უნდა გატარდეს ღონისძიებები, მომხმარებელთა მიტანის სერვისის შესახებ ინფორმირების ხარისხის ამაღლების კუთხით**. მომხმარებლები, როგორც დადგინდა, კვლევის შედეგად კარგად არ იცნობენ ამ სერვისს. ქართველი მომხმარებელი ძირითადად ასეთ კომპანიებს კვების ობიქტებიდან საკვების გამოსაძახებლად იყენებენ, მაშინ როცა შესაძლებელია სხვადასხვა კატეგორიის პროდუქტის მიღება. ინფორმირებულობის ხარისხის ზრდისთვის არსებულმა კომპანიებმა, პირველ რიგში, უნდა განახორციელონ მარკეტინგული აქტივობები, რათა მომხმარებლამდე მივიდეს სრული და დაწვრილებით ინფორმაცია აღნიშნული სერვისის შესახებ. ასევე კარგი იქნება სხვადასხვა სოციალური აქტივობების წახალისება.
- **სწრაფი მიწოდების სერვისის მომსახურების ბაზარზე წარმოდგენილმა კომპანიებმა უნდა გაითვალისწინონ მომხმარებლებთან ლოიალური ურთიერთობის ჩამოყალიბების მთავარი კრიტერიუმები**. გამოკითხულ მომხმარებელთა უმრავლესობისთვის ლოიალურობის განმსაზღვრელ მთავარ კრიტერიუმებს წარმოადგენს სტაბილური ხარისხი და ხელმისაწვდომი ფასი. საინტერესოა ისეთი კრიტერიუმებიც, როგორიცაა იმიჯი, პროდუქციის მრავალფეროვნება, მუდმივად განახლებადი პროდუქცია. საჭიროა, თითოეული კომპონენტი იქნეს გათვალისწინებული.
- **მომსახურების ხარისხის გაუმჯობესება**. კომპანიებმა უნდა შეძლონ უკუკავშირის დამყარება მომხმარებელთან, ეს ერთ-ერთი საუკეთესო გზაა ხარისხის გაუმჯობესე-

ბისთვის. კვლევის შედეგებით თუ ვიმსჯელებთ, ძირითადი პრობლემა რომელიც წარმოიქმნება მომსახურების მიღების დროს არის შეკვეთის დაგვიანება, ასევე ტექნიკური ხარვეზი და ანაგარიშსწორებასთან დაკავშირებული პრობლემები.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. თოდუა, ნ. მომხმარებელთა ქცევის მარკეტინგული კვლევა. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2012.
2. თოდუა, ნ., ურუტაძე, ე. მარკეტინგული კვლევის პრინციპები. თსუ გამომცემლობა, თბილისი, 2013.
3. Chen, H. S., Liang, C. H., Liao, S. Y., & Kuo, H. Y. (2020). Consumer attitudes and purchase intentions toward food delivery platform services. *Sustainability*, *12*(23), 10177.
4. Fadhila, E. A., Wadud, M., & Roswaty, R. (2021). The Effect of Service Recovery on Customer Satisfaction in J&T Express Goods Delivery Services in Palembang. *International Journal of Marketing & Human Resource Research*, *2*(1), 43-57.
5. Mathew, A. O., Jha, A. N., Lingappa, A. K., & Sinha, P. (2021). Attitude towards Drone Food Delivery Services—Role of Innovativeness, Perceived Risk, and Green Image. *Journal of Open Innovation: Technology, Market, and Complexity*, *7*(2), 144.
6. Muljono, W., & Setiyawati, S. (2019). Exploring the Effects of Service Quality, Shipping Cost, Brand and Attitude on Consumer's Intention to Choose Express Courier Services in E-Commerce. *Journal of Marketing and Consumer Behaviour in Emerging Markets*, *1*(9).
7. Tang, R. Q., Tan, Y. J., Tan, Z. X., Tan, Y. T., Almawad, G., & Alosaimi, A. (2022). A Study of Courier Service Quality and Customer Satisfaction. *International Journal of Applied Business and International Management (IJABIM)*, *7*(1), 137-150.
8. https://airspeed.ph/blog/importance-delivery-services-covid-19/
9. https://www.interpressnews.ge/ka/article/597347-axali-sakuriero-kompania-alomodi-upaso-mitanis-serviss-gtavazobt/
10. https://www.wipro.com/business-process/the-future-of-delivery-with-drones-contactless-accurate-and-high-speed/
11. https://www.clickpost.ai/blog/top-10-best-courier-services-provider-companies-in-the-world

სიღარიბე და მისი ძირითადი პარამეტრები საქართველოში

გვანცა ახალაია

სიღარიბე ეკონომიკური ფენომენი, რომლის ნეგატიური ეფექტი ძალიან დიდია, დღეს მსოფლიოს უდიდესი ნაწილი ებრძვის, მათ შორის საქართველოც. მოცემულ კვლევაში განხილულია სიღარიბის ეკონომიკური ფაქტორები, საქართველოში სტატისტიკური მაჩვენებლები მეტყველებენ იმაზე, რომ საქართველოს წინაშეც მწვავედ დგას ეს პრობლემა. კვლევის შედეგები საფუძველს გვაძლევს გავაკეთით გარკვეული დასკვნები, რომლის მიხედვითაც შეგვიძლია შევიმუშაოთ მისი გადაჭრის გზები, რადგან პრობლემა აღმოიფხვრას.

საკვანძო სიტყვები: *სიღარიბის დონე, აბსოლიტური სიღარიბე, ფარდობითი სიღარიბე, ჯინის კოეფიციენტი, სიღარიბის მახასიათებლები, სიღარიბის ეკონომიკურიფაქტორები.*

გლობალური პრობლემების ჩამონათვალი სკმაოდ დიდია და მათ შორის უმთავრესი არის სიღარიბე, რომლის დაძლევასაც მსოფლიო ათეული წლების განმავლობაში ცდილობს. სიღარიბის დონე განსხვავებულია ქვეყნებს შორის მაგრამ მისი აქტულურობა ყველა ქვეყანაში საკმაოდ მაღალია. იგი გვევლინება, როგორც უმწვავესი, უმნიშვნელოვანესი ფენომენი და მოვლენა, როგორც ეკონომიმური ასევე სოციალური, კულტურული თუ პოლიტიკური თვალსაზრისით. ყველა ქვეყანაში არსებობს მინიმალური სტანდარტი, რომლის ქვემოთაც ხალხი „ღარიბთა“ კატეგორიაში ხვდება. როდესაც ადამიანის ან ოჯახის შემოსავალი გარკვეული დონის, ნორმალური ცხოვრების სტანდარტებისთვის მიჩნეული აუცილებელი მინიმუმის ქვემოთაა, ასეთი პიროვნება ან ოჯახი ღარიბად მიიჩნევა.

სიღარიბის დონის ზრდის გვერდით ეფექტებს წარმოადგენს უმუშევრობის ზრდა, შიმშილი, კრიმინალის დონის ზრდა, ნარკომანია, რესურსების და ძალაუფლების არათანაბარი გადანაწილება, ჯანდაცვაზე განათლებაზე, სოცაილურ კაპიტალსა და პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ხელმისაწვდომობის ნაკლებობა და სხვა. ყოველივე ზემოთ ჩამოთვლილი წარმოადგენს სიღარიბის ეკონომიკურ, სოცილაურ, კულტურ და პოლიტიკურ ასპექტებს. სიღარიბის დონის ზრდამ შესაძლოა განაპირობოს ქვეყნის დეცენტრალიზაცია. მკაცრი სიღარიბის სხვადასხვა ეფექტით ძირითადად იტანჯებიან განვითარებადი ქვეყნის მაცხოვრებლები. სიღარიბეში მცხოვრებნი იტანჯებიან შიმშილით, რასაც ხშირად ლეტალური შედეგი მოჰყვება. სტატისტიკური მონაცემების თანახმად მსოფლიოში სიკვდილის შემთხვევების ერთი მესამედი (დაახლოებით 18 მილიონი) უკავშირდება სიღარიბეს. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემების თანახმად,მოსახლეობის ჯანმრთელობისთვის ერთ-ერთი ყველაზე სერიოზული საფრთხე არის შიმშილი. სიღარიბეს ასევე აქვს გავლენა კოგნიტური ფუნქციის შეფერხებაზე.

2020 წელის მონაცემებით საქართველოში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ იმყოფება მოსახლეობის 21.3%, ანუ მოსახლეობის თითქმის მეხუთედი. სიღარიბე საქართველოსათვისაც მწვავე პრობლემად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ 2009-2011 წლებში სიღარიბის დონის ზრდის შემდეგ, 2012-2014 წლებში სიღარიბის დონემ დაიკლო, 2015-2019 წლებში ის არსებითად არ შეცვლილა, რაც გვაძლევს იმის შესაძლებლობას ვივარაუდოთ, რომ კლებას შესაძლოა, ეტაპობრივი ხასიათი ჰქონოდა.

სიღარიბე და მისი ძირითადი პარამეტრები

სიღარიბე და ეკონომიკური უთანასწორობა თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება. მიუხედავად მსოფლიო გლობალიზაციის მაღალი ტემპებისა, ცხოვრების დონის მიხედვით მსოფლიოს რეგიონები ერთმანეთისაგან მნიშვნელოვნად განსხვავდებიან. პროცენტულად სიღარიბის ყველაზე მაღალი დონეა საჰარის სამხრეთ და სამხრეთ აზიის ქვეყნებში. სიღარიბის მაღალი დონეა ასევე აღმოსავლეთ აზიის, ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის აუზის ქვეყნებში. ევროპის კონტინენტზე სიღარიბის შედარებით მაღალი დონით გამოირჩევიან აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის ქვეყნები. სიღარიბის შედარებით დაბალი მაჩვენებლებით ფიქსირდება ევროპის, კერძოდ, ჩრდილოეთ და დასავლეთ ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნებში. რაც შეეხება სიღარიბის დონის მიხედვით კონტინენტების განაწილებას, სიღარიბის ყველაზე მაღალი დონე აფრიკის, ხოლო ყველაზე დაბალი დონე ევროპის კონტინენტზეა. ამასთან ღარიბი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ცხოვრობს განვითარებადი და გარდამავალი ეკონომიკის მქონე ქვეყნებში.

სიღარიბე არის სოციალური მდგომარეობა, რომელიც ხასიათდება ძირითადი გადარჩენისათვის საჭირო რესურსების ნაკლებობით ან აუცილებელი ცხოვრების დონის გარკვეული მინიმალური სტანდარტის დასაკმაყოფილებლად, სადაც ის ცხოვრობს. სიღარიბე არის მატერიალური რესურსებისა და სიმდიდრის არათანაბარი განაწილების შედეგი გლობალური მასშტაბით და ერებს შიგნით. სოციოლოგები მას განიხილავენ როგორც საზოგადოების სოციალურ მდგომარეობას, რომელსაც აქვს შემოსავლისა და სიმდიდრის არათანაბარი და უთანასწორო განაწილება, დასავლური საზოგადოების დეინდუსტრიალიზაცია და გლობალური კაპიტალიზმის ექსპლუატაციური შედეგები. სოციოლოგები აღიარებენ რამდენიმე ტიპის სიღარიბეს: აბსოლუტური სიღარიბე, ფარდობითი სიღარიბე, ფიზიოლოგიური სიღარიბე, ციკულური სიღარიბე, კოლექტიური სიღარიბე, კონცენტრირებული კოლექტიური სიღარიბე, საქმის სიღარიბე და აქტივების სიღარიბე. გარდა ამისა გამოიყოფა ქრონიკული დაწარმავალი სიღარიბე.

აბსოლუტური სიღარიბე განისაზღვრება, როგორც რესურსებისა და საშუალებების სრული ნაკლებობა, რაც საჭიროა ცხოვრების ყველაზე ძირითადი სტანდარტების დასაკმაყოფილებლად. იგი ხასიათდება საკვების, ტანსაცმლისა და თავშესაფრის ხელმისაწვდომობის ნაკლებობით. ფარდობითი სიღარიბე არსებობს მაშინ, როდესაც ადამიანს არ აქვს საშუალება და რესურსები, რომლებიც საჭიროა ცხოვრების მინიმალური დონის დასაკმაყოფილებლად, რაც ნორმალურად ითვლება საზოგადოებაში ან საზოგადოებაში, რომელშიც ის ცხოვრობს. აქტივების სიღარიბეს ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ადამიანს ან ოჯახს არ აქვს საკამრის ქონების აქტივები, რომ საჭიროების შემთხვევაში სამი თვის განმავლობაში გადარჩეს. ფიზიოლოგიური სიღარიბე როდესაც პრიორიტეტი კვებაა და ეს იმდენად ძირითადი პრიორიტეტია, რომ ყველა სხვა პრობლემა უკანა პლანზეა. საქმის სიღარიბე ხდება მაშინ, როდესაც ადამიანს ან ოჯახს არ შეუძლია ძირითადი საჭიროებების დასაკმაყოფილებლად საჭირო რესურსების უზრუნველყოფა, მიუხედავად იმისა, რომ რესურსები არ არის მწირი და მათ გარშემო მყოფი ადამიანები ზოგადად კარგად ცხოვრობენ. შემთხვევითი სიღარიბე შეიძლება წარმოიშვას სამსახურის მოულოდნელი დაკარგვით, შრომისუუნარობით, დაავადებით ან ტრავმით. მართალია ეს ერთი შეხედვით შეიძლება ინდივიდუალურ მდგომარეობად მოგეჩვენოთ, მაგრამ სინამდვილეში ეს სოციალურია, რადგან ნაკლებად სავარაუდოა, რომ ეს მოხდეს საზოგადოებებში, რომლებიც თავიანთ მოსახლეობას ეკონომიკური უსაფრთხოების ქსელებით უზრუნ-

ველყოფენ. როდესაც კოლექტიურ სიღარიბეს განიცდიან საზოგადოების სპეციფიკური ქვეჯგუფები, ან ლოკალიზებულია კონკრეტულ თემებში ან რეგიონებში, რომლებიც არ არიან მრეწველობე, არ აქვთ კარგი ანაზღაურებადი სამუშაოები და არ აქვთ ახალი და ჯანსაღი საკვები, ადგილი აქვს კონცენტრირებულ კოლექტიურ სიღარიბეს. ციკლური სიღარიბე არის მდგომარეობა, რომელშიც სიღარიბე ფართოდ არის გავრცელებული, მაგრამ ხანგრძლივობით შეზღუდულია. ამ ტიპის სიღარიბე, როგორც, წესი, დაკავშირებულია კონკრეტულ მოვლენებთან, რომლებიც არღვევს საზოგადოებას, როგორებიცაა ომი, ეკონომიკური კრიზისი ან რეცესია, ან ბუნებრივი მოვლენები და კატასტროფები, რომლებიც არღვევენ კვების და სხვა რესურსების განაწილებას. საშემოსავლო სიღარიბე არსებობს მაშინ, როდესაც შინამეურნეობა არ აკმაყოფილებს განსაზღვრულ მინიმალურ შემოსავალს, რომელიც საჭიროდ მიიჩნევა ამ ოჯახის წევრებისათვის ცხოვრების ძირითადი სტანდარტების მისაღწევად სიღარიბის პარამეტრები საქართველოში

საქართველო იმ ქვეყანათაგან ერთ-ერთია, რომელიც ჯერაც ებრძვის მწვავე სიღარიბეს. საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით ერთ მეხუთედი იტანჯება სიღარიბის მწვავე ტვირთით. 2020 წლის მდგომარეობით ქვეყნაში სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (აბსოლიტური სიღარიბე), 21.3% იყო. 2009-2011 წლებში სიღარიბის დონის ზრდის შემდეგ, 2012-2014 წლებში სიღარიბის დონემ კლება განიცადა, 2015-2019 წლებში ის არსებითად არ შეცვლილა (**იხ. სქემა-1**). 2020 წელს კი ზრდა განიცადა, შესაძლებელია ვივარაუდოთ რომ მოცემული ზრდა პანდემიის ეფექტს წარმოადგენს.

სქემა-1

სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი (%)



	004	005	006	007	008	009	010	011	012	013	014	015	016	017	018	019	020
	4.3	5.4	6.9	8.8	4.9	4.9	7.3	4.1	0	6.2	3.5	1.6	2	1.9	0.1	9.5	1.3

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებისსაფუძველზე. ცხოვრების დონე - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

2004 წლიდან სიღარიბის მაჩვენებლები გამოითვლება მხოლოდ მედიანური მოხმარების 60%-ისა და მედიანური მოხამარების 40%-ის მიმართ. 2020 წლის მონაცემებით მედიანური მოხმარების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი შეადგენს 19.7%. არაერთგვაროვანია საანალიზო პერიოდში ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლის ცვლილებაც. მედიანოური მოხამრების 60%-ის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი 2005-2010 წლებში ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა, 2012- 2015 წლებში მისი დონე უმჯობესდებოდა, ხოლო 2015-2017 წლებში კვლავ ზრდას განიცდის. 2020 წლის მონაცემებით მდიანური მოხამრების 40% პროცენტს ქვევით იმყოფება 7.0%. მოცემული მაჩვენებელი 2005- 2010 წლებში ხასიათდებოდა ზრდის ტენდენციით, 2012 წლიდან შეინიშნება კლება, მხოლოდ 2017 წელს დაფიქსირდა ზრდის ტენდენცია, თუმცა 2018 წლის წლიდან კველავ კლების ტენდენცია შეინიშნება (**იხ. ცხრილი**-1).

ცხრილი-1

ფარდობითი სიღარიბის მაჩვენებლები საქართველოში (%)

	2004	2005	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020
მედიანური მოხმარების 60 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი									
ქალაქი	20.7	20.0	19.2	15.4	15.5	17.0	17.2	16.2	14.9
სოფელი	23.2	23.1	27.4	26.8	28.5	29.6	25.4	25.5	26.8
საქართველო	**21.8**	**21.3**	**22.8**	**20.2**	**21.0**	**22.3**	**20.5**	**20.1**	**19.7**
მედიანური მოხმარების 40 პროცენტის ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი									
ქალაქი	7.6	7.7	8.3	4.8	4.9	6.5	6.6	6.0	4.9
სოფელი	10.8	9.9	12.3	10.4	10.5	11.3	9.1	9.4	10.0
საქართველო	**9.0**	**8.6**	**10.0**	**7.2**	**7.2**	**8.5**	**7.6**	**7.4**	**7.0**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. ცხოვრების დონე - საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური (geostat.ge).

საინტერესოა რომ საქართველოში სულ ახლახან გაჩნდა ოფიციალური ინფორმაცია აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებლების შესახებ (**იხ. ცხრილი**-2), რომლებიც გაანგარიშებულია სიღარიბის საერთაშორისიო ზღვართან (**იხ. ცხრილი**-3) მიმართე- ბაში. ასე მაგალითად, აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 1.9 დოლარის მიმართ დღეში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (2011 PPP) გათვალისწინებით საქართველოში 2020 წელს 4.2%-ს შეადგენდა. აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი

3.2 დოლარის მიმართ დღეში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (2011 PPP) გათვალისწინებით საქართველოში 2020 წელს 17.0%-ი იყო. ხოლო აღნიშნული მაჩვენებელი 5.5 დოლარის მიმართ დღეში მსყიდველობითუნარიანობის პარიტეტის (2011 PPP) გათვალისწინებით 2020 წელს კი 46.6%-ს აღწევს.

ცხრილი-2სიღარიბის საერთაშორისო ზღვარს ქვევით მყოფი მოსახლეობის წილი (%)

	2004	2005	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020
აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 1.9 დოლარისმიმართ დღეში (2011 PPP)	9.9	10.7	12.0	3.7	3.8	5.0	4.5	3.8	4.2
აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 3.2 დოლარის მიმართ დღეში (2011 PPP)	27.8	30.1	30.6	15.7	16.1	16.1	15.5	14.8	17.0
აბსოლუტური სიღარიბის მაჩვენებელი 5.5 დოლარის მიმართ დღეში (2011 PPP)	58.8	61.3	60.8	44.8	43.3	43.0	42.5	41.9	46.6

ცხრილი-3

სიღარიბის საერთაშორისო ზღვარი (ლარი)

	2004	2005	2010	2015	2016	2017	2018	2019	2020
აბსოლუტური სიღარიბისზღვარი 1.9 დოლარის მიმართ დღეში (2011 PPP)	28.7	31.1	44.5	51.0	52.1	55.2	56.7	59.4	62.5
აბსოლუტური სიღარიბისზღვარი 3.2 დოლარის მიმართ დღეში (2011 PPP)	48.4	52.4	74.9	85.9	87.7	93.0	95.4	100.1	105.3
აბსოლუტური სიღარიბისზღვარი 5.5 დოლარის მიმართ დღეში (2011 PPP)	83.2	90.1	128.7	147.6	150.8	159.9	164.0	172.0	180.9

საქართველოში სიღარიბის დონესა და მასშტაბებზე მოქმედებს არა მარტო შემოსავლების დონე, არამედ მათი დიფერენციაციის ხარისხი. ჯინის კოეფიციენტისაქართველოში 2016-2019 წლებში მთლიანი შემოსავლების მიხედვით მერყეობს 0.39- 0.44-ის ფარგლებში, ხოლო მთლიანი ხარჯების მიხედვით 0.4-0.45-ის ფარგლებში (იხ. სქემა-2). მოცემული მაჩვენებელი საკმაოდ მაღალია, რაც მეტყველებს, იმაზე რომ შემოავლების და ხარჯების განაწილება საკმაოდ არათანაბარია.

სიღარიბის დონის განხილვისას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სტატისტიკური მაჩვენებელია საარსებო მინიმუმი. საქართველოში საარსებო მინიმუმი გაიანგარიშება ნორმატიულ-სტატისტიკური მეთოდით. საარსებო მინიმუმის დონის მაჩვენებელი ღირებულებით გამოხატულებაში 2020 წლის დეკემბრის თვეში შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 192.5 ლარი შეადგინა, საშუალო მომხმარებლითვსთვუს 170.5 ხოლო საშუალო ოჯახისთვის 328.5. საარსებო მინიმუმის ზრდის ტენდენცია შეინიშნება 2004-2020 წლებში (იხ. სქემა-3).

სქემა-2



	2006	2007	2008	2009	2010	2013	2014	2015	2016	2017	2018	2019
მთლიანი შემოსავლების მიხედვით	0.43	0.44	0.43	0.43	0.44	0.4	0.4	0.4	0.4	0.41	0.39	0.39
მთლიანი ხარჯების მიხედვით	0.4	0.42	0.43	0.43	0.44	0.42	0.44	0.43	0.43	0.45	0.42	0.43

სქემა-3



მოცმეული სტატისიტიკური მაჩვენებლების პოზიტიური დასკვნებისა და ოპტიმალური პროგნოზის გაკეთბის საშულებას არ იძლევა. მიუხედავად იმისა რომ ქვეყნის ეკონომიკაში გარკვეული დადებითი ძვრები შეინიშნება, სიღარიბის მაჩვენებლები დიად არ გაუმჯობესებულა. აქიდან გამომდინარე სიღარიბის წინააღმდეგ ბრომოლა კვლავ რჩება სარათველოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრეს პიორიტეტად. უმუშევრობისა და სირარიბის წინააღმედგ ბრძოლის დამატებითი შემაფერხებელი ფაქტორი როგორც მსოფლიოსთვის ასევე საქათველოსთვის გახდა პანდემია.

სიღირიბის წინაღმდეგ ბრძოლა საქართველოში

ქვეყნაში სიღარიბის დონის შემცირებისა და მოსახლეობის სოცილაური დაცვის სრულყოფის ღნისძიებათა მიზნამიმართულად დაგეგმვისა და განხორციელების მიზნით შექმნილია სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიანი ბაზა და დამტკიცებულია მისი ფორმირების წესი. პანდემიის პერიოდში შემუშავებულ იქნა სრული გეგმა, რომლის მიზანიც არის მოქალაქეებზე ზრუნვა, სოციალური მხარდაჭერა, ჯანდაცვის სისტემის გაძლეირება და ეკონომიკაზე ზრუნვა. საქართველოში შრომის ბაზრის არარსრულყოფილება ართულებს სიღარიბისა და უმუშევრობის აღმოფხვრის პროცესს. სოციალური დაცვის ღონისძიებებეის მოწესრიგება, შრომის ბაზრის სრულყოფა არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნიაბიჯისიღარიბის აღმოსაფხვრელად. თუმცა მოცემული ეკონომიკური ზრდა არ უნდა მოხდეს ნებისმიერ ფასად, რაგან მას მოყვება სავალალო შედეგები. სიღარიბის აღმოსაფხვრელად საჭიროა სიღარიბისა დონისა და უთანაბრობის მაჩვენებლების დიფერენციაცია და უფრო კონკრეტული დეტალიზაცია, რათა მოხერხდეს სწორი პოლიტიკის გატარება.

დასკვნა

თანამედროვე გლობალური კრიზისის პირობებში, სიღარიბე, როგორც სოციალური ეკონომიკური, კულტურული, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით კვლავ უმწვავეს პრობლემად რჩება. ფართოდ გავრცელებული უკიდურესი გაჭირვება მსოფლიოს ნებისმიერ ქვეყნაში ხელს უშლის ადამიანის უფლებებით სრულად და ექფექტურად სარგებლობას. აღსანიშნავია, რომ ჯანმრთელობის დაცვის, გამათლების, თანასწორობისა და სხვა აუცილებელი პირობების არ არსებობა, რაც სიღარიბის შედეგს წარმოადგენს ასევე აბრკოლებს სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობას. ბოლო წლებში ეკონომიკური განვითარების თვალსაზრისით, ქვეყანაში განხორციეულბულმა პოზიტიურმა ძვრებმა, არსებითი გავლენა ვერ მოახდინა სიღარიბის დონეზე და კვლავ მაღალია მისი მაჩვენებელი. ამიტომაც მისი აღმოფხვრა კვლავაც უდიდეს გამოწვევას წარმოადგენს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **ანანიაშვილი ი., გაფრინდაშვილი ლ.** საქართველოში კორონავირუსის გავრცელების მასშტაბები და მთავრობის პრევენციული ღონისძიებების ეფექტიანობა – რას ამბობენ მოდელები. გლობალიზაცია და ბიზნესი, N10, გვ. 49-57. https://doi. org/10.- 35945/gb.2020.10.005;
2. **არჩვაძე ი. კოღუაშვილი პ.** საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. „ეკონომიკა და ბიზნესი“, N1, 2020 წელი. Economics and Business (tsu.ge)
3. **გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., ოქრუაშვილი მ., ქუცურუა ქ., ფანცულაია ნ., გელაშვილი ნ.** COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე. მონოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წელი;
4. **კაკულია მ., კაპანაძე ნ., ქურხული ლ.** ქრონიკული სიღარიბე და შემოსავლების უთანაბრობა საქართველოში, ეკონომიკურ-სტატისტიკური კვლევა. საქართველოს სტრატეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობების კვლევის ფონდი. გვ. 8. ISBN 978- 9941-27-558-6. Ebert Report.indd (gfsis.org);
5. **კვარაცხელია მ.** სიღარიბის თეორიულ-მეთოდოლოგიური საკითხები. რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „გლობალიზაცია და ბიზნესი“, N6, 2018 წელი. გვ. 86-90. gb-N6.pdf (eugb.ge);
6. **კეპულაძე გ.** სიღარიბის ფსიქოლოგიური თეორია. 5-28.pdf (eugb.ge);
7. **მექვაბიშვილი ე.** კორონომიკური კრიზისის გამოწვევები მსოფლიოსა და საქართველოსთვის. თსუ-ის რეფერირებადი და რეცენზირებადი საერთაშორისო სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“. N1, 2021 წელი. Economics and Business (tsu.ge);
8. **პაპავა ვ.** კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი, 2020. https://- for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;
9. **პაპავა ვ.** კორონომიკა და თვისებრივად ახალი ეკონომიკური კრიზისი. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” ტომი XII, N2, 2020 წ. http://eb.tsu-.ge/?cat=nomer&leng=ge;
10. **პაპავა ვ.** სიღარიბის შემცირება კერძო სექტორის განვითარების გზით: ქართული სინამდვილე და პერსპექტივები. საქართველოს ეკონომიკურ მეცნიერებათა აკადემია. ტომი 7. საგამომცემლო ფირმა „სიახლე“, თბილისი, 2009 წელი;
11. **ტუხაშვილი მ.** საქართველოს მოსახლეობის შრომითი მიგრაციის ძირითადი ტენდენციები და სოციალურ-ეკონომიკური შედეგები. ჟ. „დემოგრაფია“, 2004, N1(6). გვ. 36-45.;
12. **ღაღანიძე გ.** მსოფლიო ეკონომიკა პანდემიამდე, პანდემიის დროს და პანდემიის შემდეგ. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” ტომი XII, N2, 2020წ. გვ. 24. http://eb.tsu.-ge/?cat=nomer&leng=ge;
13. **ცარციძე მ., კვირკველია ე.** სიღარიბე და ეკონომიკური განვითარების პრობლემები საქართველოში (ილია ჭავჭავაძის შეხედულებები და თანამედროვეობა), ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, N5, სექტემბერ-ოქტომბერი, თსუ, 2014 წელი. Problems of poverty and economic development in Georgia.pdf (tsu.ge);
14. **ცარციძე მ.** უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. თსუ გამომცემლობა. თბილისი 2022 წელი;
15. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი, 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);

16. საქართველოს კანონი N6819 „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი.
17. საქართველოს პრეზიდენტის განკარგულება N800 „საქართველოში ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის პროგრამის დამტკიცების შესახებ“, 2003 წლის 28 ივნისი, ქ. თბილისი;
18. საქართველოს კანონი N3070 „საარსებო მინიმუმის გაანგარიშების წესის შესახებ“საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე. ქუთაისი. 2018 წლის 5 ივლისი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/4247328? publication=0;
19. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N111/ნ ,,საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორმებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“, 2003 წლის 8 მაისი. https://www.matsne.gov.ge/ka/document/view/55534?;
20. შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდი, საქართველოს ეროვნული სტატისტიკის სამსახური-http://mamakacis-saarsebo-minimumi-(geo).-pdf (geostat.ge).;
21. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/192/tskhovrebis-done
22. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/50/shinameurneobebis-shemosavlebi
23. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/49/saarsebo-minimumi
24. https://www.unicef.org/georgia/ka/topics/%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A%E1%83 25. %90%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%91%E1%83%94.

რუსეთ-უკრაინის ომის ეკონომიკური კონტექსტი

დავით ბუტულაშვილი

მსოფლიოში ჯერ კიდევ კოვიდ პანდემია და მისი შედეგები იყო მთავარი განხილვის საგანი, როდესაც, ზამთრის მიწურულს, ჩვენმა ერთმორწმუნე მეზობელმა თავისი იმპერიალისტური მიზნებისა და მისწრაფებების განხორციელების მიზნით დაიწყო სამხედრო მოქმედებები უკრაინის წინააღმდეგ. დაახლოებით 06:00 მოსკოვის დროით, პრეზიდენტმა ვლადიმერ პუტინმა გამოაცხადა სამხედრო ოპერაცია. რამდენიმე წუთის შემდეგ სარაკეტო დარტყმები დაიწყო ქვეყნის მასშტაბით, მათ შორის დედაქალაქ კიევთან ახლოს.

რუსეთ-უკრაინის ომი თანამედროვე მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე ფართომასშტაბიანი დაპირისპირებაა, რომელიც ჯერაც არ დასრულებულა და დღითიდღე იზრდება დანაკარგები, როგორც ადამიანური რესურსის მხრივ, ასევე ეკონომიკურ ფაქტორებთან მიმართებით.

შევეცდები ეკონომიკურ კონტექსტში განვიხილო და შევაფასო აღნიშნული დაპირისპირება, რომელიც ჯერაც მიმდინარეობს, თუმცა, უკვე მთლიანად შეცვალა თანამედროვე მსოფლიო წესრიგი და რეალობა.

ეკონომიკური სანქციები

რუსეთის უკრაინაში შეჭრას სწრაფი პასუხი მოჰყვა საერთაშორისო ძალებისგან - ცივილიზებულმა მსოფლიომ საწყის ეტაპზე დაიწყო ლიმიტირებული სანქციების დაწესება რუსეთზე, როდესაც მან ლუგანსკისა და დონეცკის დამოუკიდებლობა აღიარა. უშუალოდ შეჭრის დაწყებისთანავე გაიზარდა ქვეყნების რაოდენობა, რომლებიც რუსეთს უწესებდნენ სანქციებს. სანქციების მიზანი გრძელვადიან პერსპექტივაში რუსეთის ეკონომიკის ღრმა რეცესიაში შეყვანა იყო. სანქციები მრავლისმომცველი იყო, მათ შორის იყვნენ ცალკეული ინდივიდები, ასევე ბანკები, ბიზნესები, იმპორტ-ექსპორტი.

ომის დაწყებიდან დაახლოებით 1 კვირის თავზე სანქციების პაკეტი შეეხო ვლადიმერ პუტინს და მასთან დაახლოებულ პირთა საბანკო აქტივებს. სანქციები ითვალისწინებდა სხვა სტრატეგიული მნიშვნელობის მიმართულებებსაც. მათ შორის:

- „აეროფლოტს“ აეკრძალა გაერთიანებული სამეფოს საჰაერო სივრცეში ფრენა;
- ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს აეკრძალათ რუსული იარაღის მწარმოებლისთვის - „კალაშნიკოვისთვის“ ტექნოლოგიების მიყიდვა;
- ევროკავშირის ქვეყნების კომპანიებს აეკრძალათ საქმიანი ურთიერთობა შემდეგ რუსულ კომპანიებთან: „ალმაზ-ანტეი“ (იარაღის მწარმოებელი), „კამაზ“ (სატვირთო მანქანების მწარმოებელი), ნოვოროსიისკის კომერციულ პორტთან, „როსტეხთან“, „რუსეთის რკინიგზასთან“, ბირთვული წყალქვეშა ნავების მწარმოებელ „სევმაშთან“, „სოვკომფლოტთან“ და „გაერთიანებულ გემთმშენ კორპორაციასთან“;
- რუსულ კომპანიებს („გაზპრომი“, „გაპზრომ ნეფტ“, „ტრანსნეფტ“, „რუსჰიდრო“, „სოვკომფლოტ“, „რუსეთის რკინიგზა“, „როსტელეკომი“, „ალროსა“) აეკრძალათ ფინანსირების მოზიდვა აშშ-ის ბაზარზე;

- ევროკავშირში აიკრძალა რუსეთის სახელმწიფო კომპანიების აქციების გაყიდვა;
- აიკრძალა რუსული ავიახაზებისთვის და კოსმოსური სექტორისთვის აღჭურვილობის მიყიდვა და მათზე დაზღვევის გაცემა;
- ვაშინგტონმა შეზღუდა მაღალტექნოლოგიური პროდუქციის ექსპორტი რუსეთში;

რუსეთის ცენტრალური ბანკი - ევროკავშირმა შეუწყვიტა პირდაპირი ან არაპირდაპირი ვაჭრობის საშუალება. რუსეთის ცენტრალურ ბანკსა და ეროვნული კეთილდღეობის ფონდს შეუწყდა წვდომა დოლარში ნომინირებულ აქტივებზე. სხვადასხვა შეფასებით, დოლარებსა და ევროებშია რუსეთის ცენტრალური ბანკის სავალუტო რეზერვების დაახლოებით ნახევარი (25 თებერვლის მონაცემებით, რეზერვები 500 მილიარდ დოლარს შეადგენდა). ამ ყველაფრის ფონზე 28 თებერვალს, ომის დაწყებიდან 4 დღის თავზე მოსკოვის ბირჟაზე რუბლის კურსი 100 რუბლზე დაბლა დაეცა დოლართან მიმართებაში.

Swift - სანქციების სიაში შესული ბანკები Swift-ის სისტემიდან გარიცხა აშშ-მ, დიდმა ბრიტანეთმა, კანადამ და ევროკავშირმა. სისტემიდან გარიცხული ბანკებისთვის ეს იმას ნიშნავს, რომ უცხოეთში და უცხოეთიდან ფინანსური ოპერაციების განხორციელება რთულდება - იძულებული იქნებიან, ეს გააკეთონ სხვა საშუალებებით, მაგალითად, ფაქსით ან ტელეტაიპით.

სბერბანკი - აშშ-ის მიერ გატარებული სანქციების შემდეგ რუსეთის ყველაზე დიდ ბანკს აეკრძალა დოლარში ტრანზაქციები.

VTB - რუსეთში სიდიდით მეორე ბანკი, რომელსაც აშშ-მ და დიდმა ბრიტანეთმა აქტივები გაუყინა(VTB ბანკს მოუწია საქმიანობის შეწყვეტა საქართველოშიც). დასავლეთის (მათ შორის ევროკავშირის) სანქციებში მოხვდნენ "ალფა-ბანკი", "გაზპრომბანკი, "შავი ზღვის განვითარებისა და რეკონსტრუქციის ბანკი", "მოსკოვის კრედიტბანკი" "ბანკი ოტკრიტიე", სააქციო კომპანია გენბანკი, "IS ბანკი" და სხვა.

ჩაკეტილი ცა - 25 თებერვალს ყველა რუსული თვითმფრინავისთვის ცა დაკეტეს პოლონეთმა, ბულგარეთმა და ჩეხეთმა; ესტონეთმა იგივე 26 თებერვალს გაიმეორა. ამერიკულმა Delta Air Lines-მა დაანონსა Aeroflot-თან ურთიერთობების გაწყვეტა. რუსეთს ფრენა აუკრძალა რუმინეთმა, ლიეტუვამ და ლატვიამაც. 27 თებერვალს პორტუგალიის საგარეო საქმეთა სამინისტრომაც განაცხადა რუსეთისათვის საჰაერო სივრცის დაკეტვის შესახებ. იმავე დღეს ცა რუსეთისათვის დაკეტა ევროკავშირმა.

"ჩრდილოეთის ნაკადი 2" - გერმანიამ შეაჩერა „ჩრდილოეთის ნაკადი 2-ის" სერტიფიცირების პროცესი, რომელიც 11 მილიარდი დოლარი დაჯდა და რომლის მიზანია რუსეთიდან ბალტიის ზღვის გავლით გერმანიაში ბუნებრივი აირის მიწოდება.

ევროპის საბჭოში წარმომადგენლობა - 25 თებერვალს ევროპის საბჭომ უმრავლესობით მხარი დაუჭირა გადაწყვეტილებას, რომ რუსეთს შეუჩერდეს წარმომადგენლობითი უფლება, როგორც საპარლამენტო ასამბლეაში, ასევე მინისტრთა კომიტეტში.

კომპანიები, რომლებმაც დატოვეს რუსული ბაზარი

რუსეთის ბაზარი ერთი მეორის მიყოლებით დატოვეს მსოფლიოს უმსხვილესმა კომპანიებმა უკრაინის მხარდაჭერის ნიშნად.

- **"ორაკლი"** - მსოფლიოში სიდიდით მეორე, ტექნოლოგიური უზრუნველყოფის კომპანია "ორაკლმა" შეწყვიტა რუსეთში საქმიანობა უკრაინის მხარდაჭერის ნიშნად.
- **Airbnb** - რუსეთისა და ბელარუსის ტერიტორიაზე ყველა ოპერაციის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილება Airbnb-ის გენერალურმა დირექტორმა ტვიტერზე განაცხადა. კომპანიამ მანამდე უფასო, დროებითი საცხოვრებლით 100 000 უკრაინელი ლტოლვილის უზრუნველყოფის გადაწყვეტილებაც მიიღო.
- **DHL** - ლოგისტიკის ბაზრის ერთ-ერთმა მსოფლიო ლიდერმა რუსეთში შეაჩერა მუშაობა.
- **BMW** - გერმანულმა ავტომწარმოებელმა 1 მარტს განაცხადა, რომ აჩერებს ექსპორტს რუსეთში. ასევე ხურავს ქარხანას კალინინგრადში.
- **ჯენერალ მოტორსი** - ამერიკული ავტოგიგანტი აჩერებს ბიზნესს რუსეთში.
- **Shell** - ბრიტანული ნავთობისა და გასის კომპანია გაზპრომთან სააქციო თანამშრომლობას წყვეტს და რუსეთიდან გადის.
- **მეტა/ფეისბუქი** - სოციალურმა ქსელმა ფეისბუქმა რუსულ პროპაგანდისტულ მედიასაშუალებებს შეუჩერა კონტენტის დასპონსორების საშუალება. "მეტამ" ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში შეზღუდა წვდომა RT-ს და "სპუტნიკის" ფეისბუქ გვერდებზე.
- **Nike და Adidas** - სპორტული სამოსისა და ინვენტარის ბრენდმა Nike-მ რუსეთში შეაჩერა ონლაინ ვაჭრობა. ამის მიზეზი ის გახდა, რომ კომპანია ვერ მიაწვდის საქონელს რუსეთში მცხოვრებ მყიდველებს. Adidas-მა კი გაწყვიტა რუსეთის სპორტის კავშირთან პარტნიორობის შესახებ კონტრაქტი.
- **Apple** - სერვიზების შეზღუდვის შემდეგ, კომპანია Apple-მა შეწყვიტა პროდუქტების გაყიდვა რუსულ ბაზარზე.
- **Google** - კრემლის პროპაგანდის გამავრცელებელი მედია RT და "სპუტნიკი" დაიბლოკა ევროპაში Google-ის პლატფორმებზე.
- **Honda** - ავტომობილებს აღარ მიაწვდის რუსეთს.
- **"ჰარლი დევიდსონი"** - კომპანიამ შეაჩერა ბიზნეს საქმიანობა რუსეთში და აღარ გაიტანს მოტოციკლებს ექსპორტზე.
- **მაკდონალდსი** - უკრაინაში ომის დაწყებიდან ორი კვირის თავზე "მაკდონალდსმა" გამოაცხადა, რომ მისი სწრაფი კვების ყველა ობიექტი რუსეთში იხურება. ასევე აჩერებს ბიზნეს საქმიანობას.
- **კოკა-კოლა და PepsiCo** - მსოფლიოში ყველაზე გავრცელებული უალკოჰოლო გაზიანი სასმელები რუსეთში აღარ გაიყიდება. ამის შესახებ კომპანიებმა 8 მარტს განაცხადეს.

ომის შედეგები ევროკავშირისათვის

უკრაინაში მიმდინარე ომი მესამე ასიმეტრიული შოკია, როგორც ამას ეკონომისტები უწოდებენ, რომელიც ევროკავშირმა ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში განიცადა - 2008 წლის ფინანსური და ეკონომიკური კრიზისის და ევროზონის შემდგომი კრიზისისა და კოვიდ-19 პანდემიის შემდეგ. ასიმეტრიული შოკი არის ეკონომიკური პირობების უეცარი ცვლილება, რომელიც ევროკავშირის ზოგიერთ ქვეყანაზე, სხვებთან შედარებით,

უფრო მეტ ზემოქმედებას ახდენს. უკრაინის ომი ბევრად ძლიერ ზემოქმედებას მეზობელ ქვეყნებზე ახდენს ლტოლვილების გაზრდილი ნაკადებისა და რუსეთის გაზზე მათი დამოკიდებულების გამო.

უკრაინის ომის შედეგები მარტში, ვერსალში გამართული ევროკავშირის ლიდერების არაფორმალური შეხვედრის ერთ-ერთი მთავარი განხილვის საგანი იყო. სახელმწიფოებისა და მთავრობების მეთაურები შეთანხმდნენ, მაქსიმალურად სწრაფად შეემცირებინათ დამოკიდებულება რუსეთის გაზის, ნავთობისა და ქვანახშირის იმპორტზე. რუსეთზე ევროკავშირის დამოკიდებულების შემცირებისთის სამი ძირითადი გზა გამოიყო: მიწოდების დივერსიფიკაცია, ენერგოეფექტურობა და განახლებადი ენერგიის წყაროების ათვისების დაჩქარება.

მეორე მხრივ, აღსანიშნავია ევროსა და რუსული რუბლის ურთიერთქმედება მიმდინარე პერიოდში. როგორც ქვემოც მოცემული დიაგრამა გვიჩვენებს, რუსული რუბლი ომის დაწყებიდან დაახლოებით 2 კვირის განმავლობაში თითქმის ორჯერ გაუფასურდა ევროსთან მიმართებით, რაც გამოწვეული იყო მიწოდების ჯაჭვების მორღვევითა და იმ აქტიური პოლიტიკით, რომელსაც ევროკავშირი ატარებდა რუსული ეკონომიკის წინააღმდეგ. მარტის მეორე ნახევრიდან შეინიშნება რუბლის სწრაფი გამყარება ევროსთან მიმართებით. ავტორიტეტული გამოცემა Bloomberg ცნობით, რუბლი ბოლო 4 თვის ყველაზე მაღალ მაჩვენებლებს აღწევს. ეს გამოწვეულია რუსული ნავთობისა და გაზის გაძვირებითა და ახალი მომხმარებლების გაჩენით, რამაც, მიუხედავად საერთაშორისო სანქციებისა, ხელი შეუწყო რუბლის გამყარებას.



რუსეთ-უკრაინის ომი და საქართველოს ეკონომიკა

რუსეთ-უკრაინის ომით ლოგიკურია დიდი დარტყმა მიიღო საქართველოს ეკონომიკამაც და ეს ფაქტი არც თუ ისე მოულოდნელი იყო, ვინაიდან უკრაინა და რუსეთი საქართველოსთვის ძალიან მნიშვნელოვანი ეკონომიკური პარტნიორები არიან.

იმისთვის, რომ წარმოდგენა შეგვექმნას რა გავლენა აქვს მიმდინარე ომს და რატომაა ეს მნიშვნელოვანი ჩვენთვის, უნდა განვიხილოთ თითოეული ქვეყნის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე.

რუსეთის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

გასულ წელს საქართველოდან რუსეთში ექსპორტი 38%-ით გაიზარდა და $610 მილიონს მიაღწია. შედეგად, რუსეთმა აზერბაიჯანი ჩამოიტოვა და საქართველოს მეორე უმსხვილესი საექსპორტო ბაზარი გახდა – მისი წილი მთლიან ექსპორტში 14.4%-ია.

იმპორტის მხრივ საქართველო ყველაზე მეტად რუსულ ხორბალზე და ხორბლის ფქვილზე იყო დამოკიდებული. მიუხედავად იმისა, რომ 2021 წელს ერთი ტონა რუსული ხორბლის ფასი 220 აშშ დოლარიდან 260 აშშ დოლარამდე გაიზარდა, რუსულ პროდუქციას საქართველოს ხორბლის ჯამურ იმპორტში 94% ეკავა. გასულ წელს 87 მლნ აშშ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა რუსული ხორბალი შემოვიტანეთ.

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა რუსეთიდან ბუნებრივი აირის იმპორტი. 2021 წელს რუსული ბუნებრივი აირის წილმა საქართველოს ბუნებრივი აირის მთლიან იმპორტში 23.1% შეადგინა, როცა ეს მაჩვენებელი 2018 წელს 2.8% იყო. 2021 წელს რუსული ბუნებრივი აირის შესყიდვა საქართველოს 77 მლნ აშშ დოლარი დაუჯდა.

რაც შეეხება ტურისტულ სექტორს, 2021 წლის ზაფხულიდან რუსეთიდან შემოსული ვიზიტორების რაოდენობამ ზრდა დაიწყო, მაგრამ პანდემიის გამო 2019 წლის მაჩვენებელს 86%-ით ჩამორჩებოდა. 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში 213 ათასი ვიზიტორი შემოვიდა, რაც საქართველოში შემოსული ვიზიტორების 11.3%-ია.

ასევე აღსანიშნავია ფულადი გზავნილები. რუსეთიდან ემიგრანტების მიერ გადმოგზავნილი თანხების წილი საქართველოს მიერ მიღებულ მთლიან გზავნილებში მცირდება, თუმცა იგი საქართველოს მოსახლეობის შემოსავლის მნიშვნელოვან წყაროდ რჩება. 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში 411 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა, რაც საქართველოს მიერ უცხოეთიდან მიღებული ჯამური ფულადი გზავნილების 17.5% იყო. 2019 წელს ეს მაჩვენებელი 25%-მდე იყო.

შესაბამისად, საქართველოს რუსეთზე ეკონომიკურ დამოკიდებულებას ძირითადად სამი მიმართულება განსაზღვრავს, ესენია: **საგარეო ვაჭრობა, ტურიზმი** და **რუსეთში დასაქმებულთა ფულადი გზავნილები**.



უკრაინის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

რუსეთის ეკონომიკისგან განსხვავებით უკრაინის ეკონომიკაზე საქართველო ნაკლებადაა დამოკიდებული. უკრაინას საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილი უჭირავს. 2021 წელს უკრაინაში 307 მლნ დოლარის საქონელი გავიტანეთ. 2021 წელს უკრაინაში ექსპორტი 41%-ით გაიზარდა. იმპორტში კი უკრაინა მე-7 ადგილზეა. გასულ წელს 418 მლნ დოლარის საქონელი შემოვიტანეთ.

ქართული საქონლის ექსპორტი უკრაინაში(2015-2021 წწ.)



რაც შეეხება ტურისტულ სექტორს, საქართველოში შემოსული ვიზიტორების მხრივ უკრაინა მე-4 ადგილზეა. 2021 წელს უკრაინიდან 145 ათასი ვიზიტორი შემოვიდა. უკრაინის წილი ვიზიტორებში 8%-მდეა. უკრაინული ტურიზმიდან შემოსავალი დაახლოებით 100 მლნ დოლარია. მაქსიმალური რაოდენობის – 208 ათასი ტურისტი – უკრაინიდან 2019 წელს შემოვიდა. უკრაინიდან ფულადმა გზავნილებმა 2021 წელს 93 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიან გზავნილებში უკრაინის წილი 4%-ია. ჯამში, უკრაინიდან ექსპორტით, ტურიზმით და ფულადი გზავნილებით საქართველომ 2021 წელს 500 მლნ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. საქართველო-უკრაინის ეკონომიკურ ურთერთობებს საფრთხე არ ემუქრება (თუ რუსეთმა უკრაინის სრული ოკუპაცია არ მოახდინა), მაგრამ უკრაინის ეკონომიკა დიდ ზიანს მიიღებს და, შესაბამისად, საქართველოს უკრაინიდან შემოსავლები შეუმცირდება. რა თანხა დააკლდება საქართველოს, დამოკიდებულია უკრაინის ეკონომიკის ზიანზე, თუმცა ეს თანხა 500 მლნ დოლარზე მეტი ვერ იქნება.

ომის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე

ჩვენ უკვე გვაქვს ზოგადი წარმოდგენა თუ რა გავლენა აქვს ომში ჩართულ ორ ქვეყანას საქართველოს ეკონომიკაზე. შესაბამისად, შეგვიძლია გარკვეული დასკვნები გავაკეთოთ იმასთან დაკავშირებით, თუ რა სავარაუდო შედეგებს მოგვიტანს აღნიშნული მოვლენები.

ზემოთ მოყვანილი მონაცემებიდან გამომდინარე, ყველაზე მკაცრ სცენარში საქართველო რუსეთ-უკრაინის ომიდან 1.5 მლრდ დოლარის პირდაპირ შემოსავალს დაკარგავს, თუმცა უფრო რეალური 700-800 მლნ დოლარის დანაკლისია, რაც საქართველოს ეკონომიკის (მშპ-ის) მიმართ დაახლოებით 4%-ია. ამას დაემატება რეგიონის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა. საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური ეკონომიკის ზრდა შეიძლება 2-3%-მდე შემცირდეს, როგორც ეს 2015-2016 წლებში მოხდა. ამასთან ერთად, საქართველოს მოსახლეობას დააზარალებს ომის გამო გაუფასურებული ლარი, რაც, თავის მხრივ, ინფლაციას შეუწყობს ხელს. რუსეთი და უკრაინა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების მომწოდებლები არიან. მათგან იმპორტის შემცირება ქართულ ბაზარზე ფასებს გაზრდის.

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე საქართველოს ეკონომიკისათვის მოსალოდნელი საფრთხეებია ვალუტის დევალვაცია და პროდუქტებზე ფასების ზრდა. ყველაზე დიდი ზრდა შესაძლოა შეეხოს პურის ფასს, რადგან ხორბლის 90% საქართველოში რუსეთიდან შემოდის და სხვა ქვეყნების ხორბლის შესყიდვა მნიშვნელოვნად გააძვირებს პურს. ფასების მატებას ვიხილავთ ასევე უკრაინიდან შემოტანილ პროდუქციაში – ზეთზე, ცხიმებზე, კარაქზე და სხვა პროდუქტებზე. აგრეთვე მოსალოდნელია სხვადასხვა საფრთხეები, როგორიცაა ინვესტორების მიერ უარის თქმა ინვესტიციების განხორციელებაზე ჩვენს ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე. ასევე ტურისტების ნაკადის შეწყვეტა, რაც ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისთვის. საქართველოს ეკონომიკაში უდიდესი წილი უჭირავს რუსეთიდან და უკრაინიდან ფულად გზავნილებს, რაც უახლოეს მომავალში საგრძნობლად შემცირდება სამუშაო ადგილების არ არსებობის გამო.

დასკვნა

რუსეთ-უკრაინის ომმა საკმაოდ დიდი ზეგავლენა იქონია თანამედროვე მსოფლიო დღის წესრიგის ჩამოყალიბებაში. ფაქტობრივად, 180 გრადუსით შეიცვალა პოლიტიკა, რომელსაც ცივილიზებული მსოფლიო ატარებს და სამომავლოდ გაატარებს რუსეთთან ურთიერთობისას. აუცილებლად გადაიხედება ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირებისკენ მიმართული პოლიტიკა, რასაც ასე აქტიურად იყენებს რუსული ხელისუფლება ბერკეტის სახით(ნავთობი, ბუნებრივი აირი, ელექტროენერგია).

ეკონომიკური პოლიტიკის გარდა, აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები მეტ ყურადღებას დაუთმობენ უსაფრთხოებაზე ზრუნვას თავდაცვის დაფინანსების გაზრდით, მოდერნიზებით და სხვადასხვა სამხედრო გაერთიანებებში გაწევრიანებით(ამას მოწმობს ფინეთისა და შვედეთის განაცხადი ნატოში გაწევრიანების შესახებ).

ვფიქრობ, საქართველომაც უნდა ცადოს მაქსიმალურად შეამციროს ეკონომიკური დამოკიდებულების შემცირება ჩრდილოელ მეზობელთან იმ ბერკეტებით, რომელიც ამ მომენტში გაგვაჩნია(მაგალითად, შესაძლებელია ენერგოდამოკიდებულების მნიშვნელოვნად შემცირება ადგილობრივი წარმოების გაზრდის გზით).

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://netgazeti.ge/life/596219/
2. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%90_%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98_(2022)#%E1%83%94%E1%83%99%E1%83%9D%E1%83%9C%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%99%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%98_%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
3. https://www.radiotavisupleba.ge/a/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%A5%E1%83%AA%E1%83%98%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A1%E1%83%94%E1%83%97%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1---%E1%83%A7%E1%83%95%E1%83%94%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%90%E1%83%93-%E1%83%A1%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%AE%E1%83%94%E1%83%93%E1%83%95%E1%83%98%E1%83%97-(%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%AE%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98)-/31732265.html
4. https://forbes.ge/ra-gavlenas-moakhdens-ruseth-ukrainis-omi-saqarthvelos-ekonomikaze/
5. https://www.eeas.europa.eu/eeas/%E1%83%9D%E1%83%9B%E1%83%98-%E1%83%A3%E1%83%99%E1%83%A0%E1%83%90%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%A8%E1%83%98-%E1%83%93%E1%83%90-%E1%83%9B%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%98-%E1%83%A8%E1%83%94%E1%83%93%E1%83%94%E1%83%92%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%94%E1%83%95%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%99%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A8%E1%83%98%E1%83%A0%E1%83%98%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%97%E1%83%95%E1%83%98%E1%83%A1_ka
6. https://www.exchangerates.org.uk/EUR-RUB-spot-exchange-rates-history-2022.html
7. https://geoeconomics.ge/?p=14419
8. https://www.transparency.ge/ge/post/sakartvelos-ekonomikuri-damokidebuleba-rusetze-vachroba-turizmi-puladi-gzavnilebi-da-rusuli#_edn2
9. https://kapitali.ge/ruset-ukrainis-omis-gavlena-sakartveloze/
10. https://bm.ge/ka/article/omis-gavlena-saqartvelos-ekonomikaze-irakli-kovzanadze-7-faqtors-asaxelebs/104720

უმუშევრობა საქართველოში: გამოწვევები, მიზეზები და ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

თინათინ გოლეთიანი

უმუშევრობა ერთ-ერთი ყველაზე დიდი გამოწვევაა, რომლის წინაშეც არა მარტო საქართველო, არამედ მსოფლიოს ყველა ქვეყანა დგას. უმუშევრობის დონის მაღალი მაჩვენებელი პირდაპირი ინდიკატორია იმისა, რომ ქვეყანა თავის რესურსებს ეფექტურად და ეფექტიანად ვერ იყენებს. ცხადია, რომ არსებობს უმუშევრობის ბუნებრივი დონე, რასაც ობიექტური ფაქტორების არსებობა განაპირობებს. თუმცა ქვეყანაში უმუშევრობის ფაქტიური დონე მნიშვნელოვნად აღემატება მას და შესაბამისად ციკლური უმუშევრობის აღმოსაფხვრელად ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო. ყველაზე დიდი პრობლემა, რასაც საქართველოში უმუშევრობის კვლევისას ვაწყდებით არის ის, რომ უმუშევრობა მაღალია ახალგაზრდებშიც, რაც ქვეყნის ეკონომიკისთვის ძალიან ცუდის მომტანია.

უმუშევრობის გამოწვევის აქტუალობიდან გამომდინარე, სტატიაში საკითხი განხილულია სხვადასხვა ჭრილში და საუბარია მის გამომწვევ მიზეზებსა და სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე.

საკვანძო სიტყვები: *უმუშევრობა, უმუშერვობის გამოწვევები, უმუშევრობის სოციალურ-ეკონომიკური შედეგები.*

,,საქართველოში უმუშევრობა ყველაზე მწვავე სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა და აქტუალური გამოწვევაა. იგი გვევლინება ქვეყანაში სიღარიბის განმაპირობებელ მთავარ ფაქტორად. უმუშევრობა მაღალია როგორც ქალაქად, ისე სოფლად. უმუშევარ მოსახლეობას შორის დომინანტია ახალგაზრდობა, რაც კიდევ უფრო ზრდის სოციალურ რისკებს და საფრთხეს უქმნის ქვეყნის მომავალს.'' - ეს ჩემი სიტყვები არ არის, ასე იწყება „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების" წინასიტყვაობა, რაც თემის სიმძიმესა და აქტუალობაზე მიუთითებს („საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, 2013-2014)

უმუშევრობა არა მხოლოდ საქართველოსთვის, არამედ მთელი მსოფლიოსთვის ურთულესი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემაა. შესამისად, ნებისმიერი სახელმწიფოს მაკროეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი ამოცანა - უმუშევრობის დაძლევა და შრომისუნარიანი მოსახლეობის ეფექტიანი დასაქმების უზრუნველყოფაა.

საქართველოს შრომის ბაზრის გამოწვევები და სტატისტიკური მაჩვენებლები

საბაზრო ეკონომიკის სრულფასოვანი ფუნქციონირების ერთ-ერთი აუცილებელი ფაქტორია შრომის ბაზრის გამართული ფუნქციონირება. შრომის ბაზრის ძირითადი ფუნქციაა ეკონომიკური სექტორების შესაბამისი ადამიანური რესურსებით დროული და ოპტიმალური უზრუნველყოფა. შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, როგორც ქვეყნის შრომითი და ეკონომიკური პოტენციალის გამოყენების ხარისხი, ასევე, მოსახლეობის ცხოვრების დონე და სოციალური კმაყოფილება (შრომის ბაზრის არსის გააზრებისას ვეყრდნობით მარქსის ნააზრევს და ვთანხმდებით, რომ

შრომის ბაზრისთვის ყიდვა-გაყიდვის ობიექტი არის სამუშაო ძალა). როგორც ვიცით, უმუშევრობის პირობებში ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის ნაწილი ვერ იყენებს თავის სამუშაო ძალას და შრომის ბაზარზე დარღვეულია მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობა.

საქართველოში, მრავალი ფაქტორის გავლენით, შრომის ბაზარი გამართულად ვერ ფუნქციონირებს და შესაბამისად უმუშევრობის დონეც მაღალია, რაც აფერხებს ქვეყნის წინსვლასა და სხვა მრავალ პრობლემასაც წარმოშობს (**იხილეთ ცხრილი N1**).

ცხრილი N1

უმუშევართა რაოდენობა და უმუშევრობის დონე 2014-2021 წლეში საქართველოში

მაჩვენებელი	2014	2015	2016	2017	2018	2019	2020	2021	2021 კვარტალი			
									I	II	III	IV
საუმუშაო ძალა (ათასი კაცი)	1629.0	1675.6	1653.8	1641.4	1605.2	1572.8	1523.7	1533.6	1447.2	1559.1	1592.0	1536.1
უმუშევარი (ათასი კაცი)	374.0	367.2	359.2	354.5	309.0	276.9	281.9	316.2	317.5	344.6	310.8	291.9
უმუშევრობის დონე (%)	**23.0**	**21.9**	**21.7**	**21.6**	**19.2**	**17.6**	**18.5**	**20.6**	**21.9**	**22.1**	**19.5**	**19.0**

წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge)

როგორც ცხრილის მონაცემებიდან ჩანს 2014 -2019 წლებში, გლობალური პანდემიის დაწყებამდე, უმუშევრობას კლებადი ხასიათი ჰქონდა, 23.0%-დან -17.6 %-მდე, რაც შეგვიძლია დავუკავშიროთ ევროინტეგრაციის პროცესში აქტიურად ჩართულობასა და საერთაშორისო ინსტიტუტების მხრიდან სერიოზულ მხარდაჭერას, რის შედეგადაც ქვეყანას საშუალება ჰქონდა ეკონომიკური ზრდისა და განვითარების თვალსაზრისით გარკვეული პოზიტიური ძვრები განეხორციელებინა. თუმცა 2020 წელს, პანდემიის დაწყებისთანავე, უმუშევრობის დონე 0.9 %-ით გაიზარდა, ეს ტემპი გაგრძელდა 2021 წლის მეორე კვარტლამდე და მიაღწია 22.1 %-ს. რაც შეეხება, მესამე და მეოთხე კვარტალს, ამ პერიოდში დაიწყო მკვეთრი დასტაბილურება -2.6% დან -3.1%-მდე, რაც ეკონომიკის გამოცოცხლებაზე მიანიშნებს. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ საქართველოში ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონე ბოლო 12 წლის მანძილზე 2010 -2011 წლებში დაფიქსირდა-27.2%.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მონაცემებით, საქართველო უმუშევრობის დონით მსოფლიოში მე-10 ადგილზეა. საქართველოს სტატისტიკის სამსახურის ინფორმაციით, 2020 წელს საქართველოში უმუშევრობის დონემ 18.5% შეადგინა. 18.5%-ზე მაღალი უმუშევრობა მხოლოდ 9 ქვეყანაში და ტერიტორიულ ერთეულშია, ესენია: სამხრეთი აფრიკა – 28.7%, დასავლეთი სანაპირო და ღაზა – 27.4%, ლესოტო – 24.6%, ესვატინი – 23.4%, გაბონი – 20.5%, ნამიბია – 20.4%, სენტ-ვინსენტი და გრენადინები – 20.3%, სომხეთი – 20.2% და ლიბია – 19.4%.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, 2019 წლიდან დაიწყო უმუშევრობის დონის მკვეთრი მატება და ეს პანდემიას დავუკავშირეთ, თუმცა ეს ზრდა მხოლოდ მისგან არ იყო გამოწვეული. ამასთან ერთად შეიცვალა უმუშევრობის დათვლის მეთოდოლოგია, რის შედეგადაც ბევრი ისეთი ადამიანი ჩაითვალა უმუშევრად, რომლებიც მანამდე ძირითადად თვითდასაქმებულად ითვლებოდნენ. ახალი მეთოდოლოგიით, საკუთარ საოჯახო

მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას ძირითადად საკუთარი მოხმარებისათვის აწარმოებენ, თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან. ძველი მეთოდოლოგიით, 2019 წელს უმუშევრობა 11.6% იყო, ახალი მეთოდოლოგიით კი 17.6%-მდე გაიზარდა. ასევე დაკორექტირდა წინა წლების უმუშევრობის მაჩვენებლებიც (**იხ.დიაგრამა N1**).

დიაგრამა N1



წყარო: ცარციძე, მ. უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია, 2022 წელი.

უმუშევრობის დონის ანალიზისას, არ შეიძლება, ყურადღების მიღმა დავტოვოთ დიფერენციაცია სქესობრივ ჭრილში. **იხ.დიაგრამა N2**.

დიაგრამა N2

უმუშევრობის დონე სქესობრივ ჭრილში 2010-2021 წლებში



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge).

ბოლო 12 წლის მანძილზე უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონე მამაკაცებში ფიქ-სირდება-2010 წელს-28.9%, ხოლო ქალბატონებში-2012 წელს-25.8%, ასევე 2012 წელს იყო მამაკაცებსა და ქალბატონებს შორის დიფერენცირების დონე ყველაზე დაბალი-1.8%, ხოლო ყველაზე მაღალი დიფერენცირება ფიქსირდება-2016 წელს, მამაკაცებში უმუშევრობის დონე ამ წელს იყო-24,9%, ქალებში-17.6, დიფერენცირებამ მიაღწია 7%-ს. სქესობ-რივი დისკრი-მინაციის უამრავი მაგალითის შემდეგ, ალბათ, ძალიან გაგვიკვირდება, როცა რიცხვებში ამხელა სხვაობა მამაკაცების უმუშევრობას უფრო ადასტურებს, ვიდრე ქალებისას, მაგრამ ქალებთან შედარებით მამაკაცების უმუშევრობის მაღალი დონე განპი-რობებულია იმით,

რომ დაუსაქმებელი ქალების უმრავლესობა ეკონომიკურად არააქტიურთა კატეგორიაშია. მამაკაცებსა და ქალებს შორის დიფერენცირება იგრძნობა შრომის ანაზღაურებაში, მამაკაცების საშუალო ხელფასი აღემატება ქალბატონების საშუალო ხელფასს.

უმუშევრობის დონე მნიშვნელოვნად განსხვავდება რეგიონების მიხედვით. ქალაქის მოსახლეობასთან შედარებით, უმუშევრობის დონე გაცილებით დაბალია სოფლის მოსახლეობაში. **იხ. დიაგრამა N3**.

დიაგრამა N3

უმუშევრობის დონე ქალაქ-სოფლის ჭრილში 2010-2021 წლებში



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge).

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობის დონე სოფლად ბევრად დაბალია, ეს არ გვაძლევს იმის საფუძველს, ვივარაუდოთ, თითქოს მოსახლეობა უფრო მდიდარია. პირიქით, სიღარიბის პრობლემები ძალზედ მწვავეა სქართველოს რეგიონებში, თუმცა ისინი ძირითადად თვითდასაქმებულები არიან, რაც გვაძლევს სხვაობას რიცხვებში.

ასევე საინტერესოა უმუსევრობის მდგომარეობის ანალიზი საქართველოს ცალკეული რეგიონის მიხედვით (**იხ. დიაგრამა-4**).

დიაგრამა N4

უმუშევრობის დონე რეგიონების მიხედვით საქართველოში 2020 წელს, %.



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge).

როგორც ვხედავთ, უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალი ფიქსირდება-რაჭა-ლეჩხუმსა და ქვემო სვანეთში-31.9%, ხოლო ყველაზე დაბალი მაჩვენებელი კი კახეთში-10.4%. ეს დამოკიდებულია სოფლის მეურნეობის განვითარების დონეზე, რადგან კახეთი შედარებით განვითარებულია მეღვინეობა, მევენახეობა და ა.შ., თვითდასაქმებულთა წილიც მეტია და შესაბამისად, ნაკლებია უმუშევრობის დონე. ამის საჩვენებლად, გთავაზობთ სამუშაო ძალაში თვითდასაქმებულთა წილს, 2020 წელს რეგიონების ჭრილში. **იხ.დიაგრამა N5**.

დიაგრამა N5

თვითდასაქმებულთა პროცენტული რაოდენობა, სამუშაო ძალაში-2020 წელს, რეგიონების ჭრილში.



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge).

რაც შეეხება უმუშევრობის დონის ვარიაციის ხარისხის შეფასებას, რეგიონების მიხედვით, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის ძველი და ახალი სტანდარტების მიხედვით 2010-2019 წლებში (**იხ. ცხრილი N2**).

ცხრილი N2

უმუშევრობის დონის ვარიაციის ხარისხის შეფასება საქართველოს რეგიონების მიხედვით 2010-2019 წლებში

წლები	ვარიაციის დიაპაზონი $R=X_{max}-X_{min}$	უმუშევრობის საშუალო დონე $\bar{x}=\frac{\sum x}{n}$	საშუალო წრფივი გადახრა $\bar{l}=\frac{\sum\|X_i-\bar{X}\|}{n}$	დისპერსია $\delta^2=\frac{\sum[X_i-\bar{X}]^2}{n}$	საშუალო კვადრატული გადახრა $\delta=\sqrt{\delta^2}$	ოსცილიაციის კოეფიციენტი $V_R=\frac{R}{\bar{x}}*100\%$	ვარიაციის წრფივი კოეფიციენტი $V_l=\frac{\bar{l}}{\bar{x}}*100\%$	ვარიაციის სავრთო კოეფიციენტი $V_\delta=\frac{\delta}{\bar{x}}*100\%$
	შსო-ის ძველი სტანდარტებით							
2010	20.1%	14.0%	4.35%	35.6%	6.0%	143.6%	31.1%	42.9%
2015	16.9%	10.8%	4.52%	31.4%	5.6%	156.5%	41.9%	51.9%
2016	18.6%	10.2%	4.54%	32.2%	5.7%	182.4%	44.5%	55.9%
2017	22.0%	10.3%	4.58%	34.4%	5.9%	213.6%	44.5%	57.3%
2018	17.0%	10.4%	3.84%	22.7%	4.8%	163.5%	36.9%	46.2%
2019	15.2%	8.9%	3.76%	20.5%	4.5%	170.8%	42.2%	50.6%
	შსო-ის ახალი სტანდარტებით							
2010	22.8%	27.59%	4.59%	33.77%	5.81%	82.64%	31.07%	21.06%
2015	19.1%	21.41%	2.69%	21.69%	4.66%	89.21%	41.85%	21.77%
2016	16.6%	21.28%	2.94%	16.44%	4.05%	78.01%	44.51%	19.03%
2017	14.1%	20.91%	4.23%	23.0%	4.80%	67.43%	44.47%	22.96%
2018	15.1%	19.80%	4.07%	24.16%	4.92%	76.26%	36.92%	24.85%
2019	21.0%	19.14%	3.99%	31.03%	5.57%	109.72%	42.25%	29.10%

წყარო: ცარციძე, მ. უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია, 2022 წელი.

როგორც უკვე ვახსენეთ, „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიაში“, აღნიშნულია, რომ ქვეყანაში მაღალია ახალგაზრდებში უმუშევრობის დონე, ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია, განვიხილოთ უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში (იხ.დიაგრამა **N5**).

დიაგრამის მიხედვით, მარტივი შესამჩნევია, რომ ყველაზე მაღალი უმუშევრობის დონეს ვხვდებით 15-19 ასაკობრივ კატეგორიაში და ის ნელ-ნელა იკლებს ასაკის მატებასთან ერთად. ეს შეიძლება აიხსნას იმით, რომ ამ ასაკობრივ კატეგორიებში ნაკლებია სამუშაო გამოცდილება და შესაბამისად ისინი ნაკლებკონკურენტუნარიანი არიან და გარდა ამისა, ამ ასაკობრივ წილში საკმაოდ მაღალია განათლების დონის მაჩვენებელი და ისინი უფრო მაღალანაზღაურებადი სამსახურისს მოლოდინით შედიან სამუშაოს მაძიებელთა რიგებში, თუმცა, სამწუხაროდ, სხვა რეალობის წინაშე დგებიან. მიუხედავად ამისა, ასაკის მატებასთან ერთად იმატებს სამსახურის აუცილებლობაც და ისინი მაინც ერთვებიან სამუშაო პროცესში. „ევროკავშირის ბევრი ქვეყნისაგან განსხვავებით, სადაც უმუშევრობა განათლების დაბალი დონის მქონე მუშაკებშია კონცენტრირებული, საქართველოში უმუშევართა 50 პროცენტს საშუალო სკოლა აქვს

დიაგრამა N5

უმუშევრობის დონე ასაკობრივ ჭრილში 2020 წელს,%



წყარო: ცხრილი შედგენილია ავტორის მიერ საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემების საფუძველზე. (geostat.ge).

დასრულებული, ხოლო 40 პროცენტს უმაღლესი განათლება აქვს". (საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრატეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ" , 2016 წლის 4 აპრილი)

უმუშევრობის გამომწვევი მიზეზები საქართველოში

უმუშევრობას ზოგადად ძალიან ბევრი განმაპირობებელი ფაქტორი აქვს, თუმცა უმუშევრობაზე საუბრისას ყველაზე მნიშვნელოვანია შრომის ბაზრის ანალიზი. შრომის ბაზრის ფუნქციონირება დამოკიდებულია: დემოგრაფიული, ეკონომიკური, სოციალური, საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ინსტიტუციური ფაქტორების ზემოქმედებაზე. ამ ფაქტორების გადაკვეთით გარკვეულწილად სტაბილურდება ქვეყანაში არსებული სოციალურ-ეკონომიკური ვითარება. თანამედროვე ეტაპზე საქართველოს შრომის ბაზარზე ვაწყდებით შემდეგ გამოწვევებს: დასაქმების შეზღუდული შესაძლებლობებსა და სამუშაო ადგილების მცირე რაოდენობას, ასევე მკვეთრი დისბალანსია სამუშაო ძალაზე მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. საქართველოს შრომის ბაზარი ასევე ხასიათდება ნაკლები ელასტიკურობით, შეზღუდული არეალით, დაბალი ანაზღაურებით, სამუშაო ძალის ნაკლები მობილურობითა და ხანგრძლივი უმუშევრობით, ასევე მაღალია უმუშევრებში უმაღლესი განათლების მქონე პირებისა და არაფორმალური დასაქმების წილი. სწორედ ეს ფაქტორები ახდენს საქართველოს შრომის ბაზრის ფუნქციონირებაზე უარყოფით გავლენას.

საქართველოში უმუშევრობის განმაპირობებელი ძირითადი მიზეზებია:

ა) ეკონომიკური განვითარების არასაკმარისი დონე - შეზღუდული მოთხოვნა სამუშაო ძალაზე;

ბ) საწარმოთა ეკონომიკური მაჩვენებლების თავისებურება - შრომის დაბალი ანაზღაურება;

გ) შრომის ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების შესახებ, აგრეთვე, პროფესიული კომპეტენციების შესახებ დამსაქმებელთა მოთხოვნაზე ინფორმაციის არარსებობა - სპეციალობით სამუშაოს შოვნის სირთულე და პროფესიული განათლების არასაკმარისი კავშირი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან;

დ)შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემის დანაკლისი - სამუშაო ძალის დაბალი პროფესიული მობილურობა;

ე)შრომის ბაზარზე ქცევის წესების არცოდნა - სამუშაოს მოძიებისა და თვითპრეზენტაციის უნარ-ჩვევების განუვითარებლობა;

ვ)სოციალურ დახმარებებზე და მიგრანტთა ფულად გზავნილებზე დამოკიდებულება, სამუშაოს მაძიებელთა პასიურობა.

შეგვიძლია ვთქვათ, რომ საქართველოში შრომის ბაზრის ინფრასტრუქტურის განუვითარებლობამ მნიშვნელოვნად შეაფერხა ქვეყნის წინსვლა და უამრავი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემა წარმოშვა უმუშევრობის, სიღარიბის, არალეგალური მიგრაციისა და მათთან დაკავშირებული პრობლემების სახით. ამიტომ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს გაუმჯობესებასთან ერთად, აუცილებელია შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა, სახელმწიფოს მხრიდან მისი ელემენტების განვითარების მხარდაჭერის გზით, რაც მოითხოვს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფოს სტრატეგიის განსაზღვრას, შესაბამისი საკანონმდებლო, ორგანიზაციული და ფინანსური ბერკეტების შემუშავებასა და გამოყენებას. („საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგია, 2013-2014)

უმუშევრობის ნეგატიური სოციალურ-ეკონომიკური შედეგები

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას იწვევს, მათ შორისაა: სოციალური უთანასწორობა, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, სიღარიბის ზრდა, ადამიანთა ფსიქიკის შერყევა, მორალის დაცემა, თვითმკვლელობა, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ქორწინებისა და შობადობის შემცირება, განქორწინებულთა რიცხვისა და გარდაცვლილთა რაოდენობის ზრდა და ა.შ. ის, თუ როგორი იქნება უმუშევრობის უარყოფითი შედეგები და მისი გავლენის ხარისხი სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაზე, დამოკიდებულია ქვეყანაში არსებულ ვითარებასა და სოციალური მდგომარეობის კონკრეტულ პარამეტრებზე. ამიტომ, შედეგები კიდევ უფრო მძაფრად ვლინდება ციკლური და გრძელვადიანი ქრონიკული უმუშევრობის პირობებში. ცხადია, რომ უმუშევრობა მკვეთრად ამცირებს როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავლებს. შესაბამისად, უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი წარმოებული პროდუქციის, შესრულებული სამუშაოს და გაწეული მომსახურების შემცირებაა, რაც საბოლოო ჯამში ერთიან ეროვნულ ანგარიშთა სისტემაში მთლიანი სამამულო პროდუქტის (მსპ) მოცულობაში აისახება. ოუკენის კანონის მიხედვით, უმუშევრობის ბუნებრივ დონესთან შედარებით (უმუშევრობის ბუნებრივ დონედ აიღება 5.0-7.0% და იგი არის ფრიქ-

ციული და სტრუქტურული უმუშევრობის ჯამი.) ფაქტობრივი უმუშევრობის ყოველი ერთი პროცენტით ზრდა პოტენციურ მსპ-ს ამცირებს 2.0-2.5%-ით. აღნიშნული გვაძლევს საშუალებას, რომ გამოვთვალოს უმუშევრობით გამოწვეული პროდუქციის აბსოლუტური დანაკარგები.

როდესაც ვსაუბრობთ უმუშევრობის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე, აუცილებელია ვახსენოთ სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯები, რომელიც მიმართულია უმუშევართა შემწეობასა და მათ მომზადება-გადამზადებაზე. ამ მიზნით საერთაშორისო მასშტაბებით იხარჯება საკმაო ოდენობის თანხა, თუმცა, რადგან საქართველოში ხელისუფლება კონპენსაციას არ იხდის ეს ჩვენს ქვეყანას არ ეხება.

საქართველოში მაღალია მიგრაცია, რაც პირდაპირ კავშირშია უმუშევრობასთან. საგანგაშოა, რომ ქვეყნის გარეთ გაედინება მაღალკვალიფიციური მუშახელი და ხდება ე.წ. ,,ტვინების გადინება'', შედგად ქვეყანაში მცირდება შრომითი პოტენციალის დონე, ხარისხი და წარმოებული მთლიანი სამამულო პროდუქციის მოცულობა. საქართველოში ასევე ხშირია ხანგრძლივი უმუშევრობა. მსოფლიო ბანკის შეფასებით, აქ უმუშევრების ორ მესამედს (67,1%) წელიწადზე მეტი ხნის განმავლობაში არ ჰქონდა სამუშაო ადგილი, რაც უფრო ამცირებს დასაქმების შესაძლებლობას. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ხანგრძლივ უმუშევართა წილი უმუშევართა საერთო რაოდენობის 42.1%-46.0%-ს შეადგენს. ხანგრძლივი უმუშევრობა ამცირებს მომუშავის კვალიფიკაციის დონეს და სამომავლოდ დიდი დრო სჭირდება სამუშაოზე ხელმეორედ ადაპტაციისათვის. სწორედ დიდი ხნის უმუშევრობა, საკუთარი თავის მიმართ უნდობლობა და უსარგებლობის შეგრძნება, იწვევს ადამიანების ფსიქიკურ პრობლემებს, რაც აუცილებლად უნდა აღინიშნოს ნეგატიურ სოციალურ შედეგებში.

საქართველოში ეკონომიკური რეფორმების დაწყებიდან რამდენიმე წელიწადში უკვე შეიმჩნეოდა კავშირი უმუშევრობასა და ისეთ მოვლენებს შორის როგორიცაა: საზოგადოებაში მორალის დაცემა, დაავადებების, თვითმკვლელობების და სიკვდილიანობის მაჩვენებლების ზრდა, ქორწინების და შობადობის რიცხვის კატასტროფული შემცირება. ერთ-ერთი ყველაზე ცუდი შედეგი, რაც შეიძლება უმუშევრობამ გამოიწვიოს, არის დანაშაულის ზრდა. იმის მიუხედავად, რომ ოფიციალურ სტატისტიკაში დაფიქსირებული არ არის დამნაშავის დასაქმებულია თუ უმუშევარი, უნდა ვივარაუდოთ, რომ დამნაშავეთა უმრავლესობა უმუშევარი ან არაკანონიერი საქმიანობით დაკავებული პირია.

დასკვნა

სტატიაში განხილული უმუშევრობის მიზეზების აღმოფხვრა მეტ-ნაკლებად შეამცირებს ქვეყანაში უმუშევრობის დონესა და მის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს. სახელმწიფომ პირნათლად უნდა შეასრულოს შრომის ბაზრის სახელმწიფო სტრატეგიის გეგმის მიხედვით განსაზღვრული მიზნები და ხელი უნდა შეუწყოს: მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობის შემცირებას, შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის (ALMP) გაძლიერებას, მიზნობრივი სოციალური და ინკლუზიური დასაქმების პოლიტიკით შრომის ბაზარზე ქალების და მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის ხელშეწყობას, სამუშაო ადგილებზე შრომის უსაფრთხოებისა და უფლებების დაცვის აღსრულების სისტე-

მის გაუმჯობესებასა და შრომითი მიგრაციის მართვის გაუმჯობესებას. საქართველოში უნდა ჩამოყალიბდეს ისეთი შრომისა და დასაქმების სისტემა, რომელიც მნიშვნელოვან როლს შეასრულებს ახალი სამუშაო ადგილების შექმნის ხელშეწყობაში, შრომის ბაზრის განვითარებაში, სტრუქტურული და ინსტიტუციურ გაუმჯობესებაში და შრომის ბაზარზე სოციალური ინტეგრაციისა და თანასწორობაში, რაც, საბოლოო ჯამში, დადებითად აისახება ქვეყნის სოციალურ ეკონომიკურ განვითარებაში, სიღარიბის დაძლევასა და ინკლუზიურ ზრდაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **აბესაძე რ**. გლობალიზაცია და მისი გავლენა ეკონომიკასა და უმუშევრობაზე. ჟურნალი „ეკონომისტი“, “Ekonomisti”, N4, 2018 წელი;
2. **ანანიაშვილი ი**. უმუშევრობის ბუნებრივი დონის ეკონომეტრიკული შეფასება. შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. თავი I. §1.4. „უნივერსალი“, თბილისი, 2012 წელი;
3. **არჩვაძე ი**. შრომითი მიგრაციის გავლენა შრომის ბაზრის მახასიათებელ ინდიკატორებზე. „მიგრაცია“, N6, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა, „უნივერსალი“, თბილისი, 2013 წელი;
4. **გელაშვილი ს., მინდორაშვილი მ., აბესაძე ნ., ოქრუაშვილი მ., ქუცურუა ქ., ფანცულაია ნ., გელაშვილი ნ**. COVID-19 პანდემიის გავლენა საქართველოს მოსახლეობის ცხოვრების სტანდარტზე. მონოგრაფია. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი, 2021 წელი;
5. **გველესიანი რ**. შრომის ბაზრისა და დასაქმების პოლიტიკის წინააღმდეგობები და წარმატების სტრატეგია. ეკონომიკა და ბიზნესი, №4, 2010 წელი;
6. დასაქმებისა და უმუშევრობის ტენდენციები საქართველოში. უმუშევრობის რეალური ფასი საქართველოში. Report_GEO.indd (osgf.ge);
7. **ლობჟანიძე მ**. ახალგაზრდობის დასაქმების პრობლემები და რეგულირების ძირითადი მიმართულებები. გამომცემლობა „უნივერსალი“, თბილისი, 2006 წელი;
8. **პაპავა ვ., ჭარაია ვ**. კორონომიკური კრიზისი და დაქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი გამოწვევა. ექსპერტის აზრი. N136. საქართველოს სტარტეგიისა და საერთაშორისო ურთიერთობათა კვლევის ფონდი. თბილისი. HTTPS://WWW. GFSIS.ORG/FILES/LIBRARY/OPINION-PAPERS/136-EXPERT-OPINION-GEO.PDF;
9. **პაპავა ვ**. კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი, 2020. https://for.ge/view/182671/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;
10. **პაიჭაძე ნ**. უმუშევრობის პრობლემები საქართველოში და მისი დაძლევის გზები. რეფერირებადი და რეცენზირებადი, საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, “Ekonomics and Business” N1, 2016 წ., გვ. 26. ISSN 1987-5789. http://eb.tsu.ge/doc/jurnali1_jan_fab_2016.pdf.
11. **სილაგაძე ა., ათანელიშვილი თ., სილაგაძე ნ**. პოსტსაბჭოური მიგრაციისა და უმუშევრობის ზოგიერთი ტენდენცია. საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მოამბე, ტ. 14, N1, 2020. science.org.ge/bnas/vol-14-1.html;
12. სამუშაო ძალის სტატისტიკა. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. www.geostat.ge;
13. **ტაბატაძე მ**. ევროკავშირის ანტიკრიზისული სტრატეგია გლობალური პანდემიის პირობებში. სტუ, საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია. თბილისი, 2021 წელი. https:/gtunet.000webhostapp.com/gallery.html;

14. **ტუხაშვილი მ., ანანიაშვილი ი., ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ., შელია მ., ჭელიძე ნ.** შრომის ბაზარი და დაბრუნებულ მიგრანტთა რეინტეგრაცია საქართველოში. პუბლიკაცია მომზადებულია ლტოლვილთა დანიის საბჭოს პროექტის „სარეინტეგრაციო საქმიანობა საქართველოში“ მხარ-დაჭერით. „უნივერსალი“, თბილისი, 2012 წელი;
15. **ტუღუში მ.** უმუშევრობის დონის ცვლილების ტენდენციები საქართველოში და მისი რეგულირების მიმართულებები. გლობალიზაცია და ბიზნესი. საერთაშორისო სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი, N5, 2018 წელი. https://www.eugb. ge/uploads/ content/N5/5-22.pdf;
16. უმუშევრობა – N1 პრობლემა საქართველოში. უმუშევრობა – N1 პრობლემა საქარ-თველოში-|თათა's ბლოგი (wordpress.com);
17. უმუშევრობა – საქართველოს უდიდესი პრობლემა. უმუშევრობა–საქართველოს უდიდესი პრობლემა – Mikhaelo’s Blog (wordpress.com);
18. **შელია მ.** უმუშევრობის გენდერული ასპექტები. „მიგრაცია 6“. უნივერსალი, თბილისი, 2012;
19. შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) ახალი სტანდარტებით გაანგარიშებული დასაქმებისა და უმუშევრობის მაჩვენებლები. მოსახლეობის ეკონომიკური აქტივობის მაჩვენებ-ლები (დასაქმება და უმუშევრობა) (geostat.ge);
20. **ცარციძე მ., ლაცაბიძე ნ.** უმუშევრობის ეკონომიკური და სოციალური შედეგები საქართველოში. ჟურნალი „ეკონომიკა და ბიზნესი“, მარტი-აპრილი, 2009 წელი. ISSN 1987-5789;
21. **ცარციძე მ.** უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. თსუ გამომცემლობა, 2022 წელი;
22. საქართველოს მთავრობის დადგენილება №167 „შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის სტრა-ტეგიისა და მისი განხორციელების 2016-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2016 წლის 4 აპრილი, ქ. თბილისი;
23. საქართველოს მთავრობის დადგენილება №199 „საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრატეგიისა და საქართველოს შრომის ბაზრის ფორმირების სახელმწიფო სტრა-ტეგიის რეალიზაციის 2015-2018 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“, 2013 წლის 2 აგვისტო, ქ. თბილისი;
24. საქართველოს მთავრობის დადგენილება N662 „საქართველოს შრომისა და დასაქმების პოლიტიკის 2019-2023 წლების ეროვნული სტრატეგიის დამტკიცების თაობაზე“, ქ.თბილისი, 2019 წლის 30 დეკემბერი (matsne.gov.ge);
25. საქართველოს კანონი N6819 „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“, თბილისი, 2020 წლის 14 ივლისი.

ღირსეული ხელფასი

მარიამ დადუნაძე

თანამედროვე Covid-19 პანდემიურ გარემოში დღის წესრიგში დგას საზოგადოების კეთილდღეობასთან დაკავშირებული რიგი გამოწვევები. იმისათვის, რომ მოსახლეობა უზრუნველყოფილი იყოს ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობებით, სახელმწიფომ, ბიზნესმა და პროფკავშირებმა აქტიური თანამშრომლობითა და ეფექტიანი კომუნიკაციით უნდა უზრუნველყონ მოქნილი სახელფასო სისტემის დანერგვა.

როგორც ვიცით, ადამიანური კაპიტალი დღეს ყველაზე ძვირადღირებულ და მნიშვნელოვან შრომით რესურს წარმოადგენს. სწორედ ამიტომ, მიზანშეწონილია თითოეული დასაქმებულის ღირსეული ანაზღაურებით უზრუნველყოფა. ეს უკანასკნელი კი წარმოადგენს იმ საცხოვრებელი ხელფასის განსაზღვრას, რომლითაც თითოეული დასაქმებული დაიკმაყოფილებს არა მხოლოდ მატერიალურ და არამატერიალურ საჭიროებებს, არამედ ექნება სტიმული პროდუქტიული მუშაობის. ღირსეული ხელფასი უზრუნველყოფს ღირსეულ შრომას, რაც ქვეყნის ეკონომიკის მდგრადი განვითარების საწინდარი იქნება.

სტატიაში განხილულია საცხოვრებელი ხელფასის კონცეფცია და მისი საჭიროება. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ღირსეული ხელფასის დანერგვაში სახელმწიფოსა და ბიზნესის როლის აუცილებლობას. მოცემულია საქართველოს სიტუაცია - უმუშევრობასთან და დასაქმებასთან, ადეკვატურ ანაზღაურებასთან დაკავშირებული გამოწვევები. წარმოდგენილია კვლევის შედეგები, რომლის მიზანიც მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების სტრუქტურის დადგენა წარმოადგენდა.

საკვანძო სიტყვები: *ცხოვრების დონე, საარსებო მინიმუმი, მინიმალური ხელფასი, საცხოვრებელი ხელფასი, დასაქმება და უმუშევრობა, სოციალური პოლიტიკა, ქვეყნის მდგრადი განვითარება.*

სიღარიბე მსოფლიოს მნიშვნელოვანი გამოწვევაა. ბევრი დასაქმებულისთვის ანაზღაურება არ წარმოადგენს მათი და მათი ოჯახების სიღარიბიდან გამოსვლის საშუალებას. Covid-19 პანდემიამ კი უფრო გაამწვავა აღნიშნული მდგომარეობა და ცხადყო ადამიანური კაპიტალის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემები თუ გამოწვევები. მიუხედავად იმისა, რომ რამდენიმე ნაბიჯი გადაიდგა მუშაკთათვის საცხოვრებელი ხელფასის უზრუნველსაყოფად, უფრო მეტი უნდა გაკეთდეს იმისთვის, რომ არცერთი დასაქმებული არ დარჩეს საცხოვრებელი ხელფასის მიღმა სიღარიბეში (United Nations Global Compact , n.d.).

სახელმწიფოს მნიშვნელოვანი როლი აკისრია დარგობრივ დონეზე ხელფასების დაფიქსირების მექანიზმის მხარდაჭერაში. 170-ზე მეტ ქვეყანას აქვს მინიმალური ხელფასი დადგენილი კანონმდებლობით ან სავალდებულო კოლექტიური ხელშეკრულებებით. თუმცა, კომპანიებისთვის მნიშვნელოვანი უნდა იყოს არა კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური ხელფასით ადამიანური რესურსების ანაზღაურების განსაზღვრა, არამედ უნდა უზრუნველყონ საცხოვრებელი ხელფასი ღირსეული ცხოვრებისთვის. მინიმალური ხელფასი არ იძლევა ყოველთვის ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას. საცხოვრებელი ხელფასის დანერგვა კი მნიშვნელოვანია, რათა ავამაღლოთ მუშაკთა ჯანმრთელობისა და კეთილდღეობის სტანდარტები (United Nations Global Compact , n.d.).

როგორც ადამიანების უფლებების დაცვისა და პატივისცემის კორპორატიული პასუხისმგებლობის ნაწილი, რომელიც ასახულია გაეროს ბიზნესისა და ადამიანის უფლებების სახელმძღვანელო პრინციპებში (The UN Guiding Principles on Business and Human Rights (UNGPs)), სამუშაო სიღარიბე, რომელიც გამოწვეულია სამუშაო ადგილზე დაბალი ხელფასით, უნდა აისახოს ადამიანის უფლებების სათანადო მიდგომებში, რომლებსაც ბიზნესი ატარებს (United Nations Global Compact , n.d.).

კერძოდ, კომპანიებმა უნდა უზრუნველყონ თანამშრომელთათვის, მიუხედავად მათი სამუშაო სტატუსისა, საცხოვრებელი ხელფასის გადახდა და ითანამშრომლონ მომწოდებლებთან, რათა მიაღწიონ საცხოვრებელ ხელფასს მიწოდების ჯაჭვში. ბიზნესს შეუძლია ცვლილებების განხორციელება შემდეგი მექანიზმებით:

- შეიმუშავოს ხელფასების გაუმჯობესებითვის მკაფიო გეგმა, რათა მოახდინოს ბიზნესის შესაძლებლობების იდენტიფიცირება;
- შეაგროვოს მონაცემები, რათა შეფასდეს სხვაობა მიმდინარე ძირითად ხელფასსა და რეალურ საცხოვრებელ ხელფასს შორის;
- დაამყაროს აქტიური კომუნიკაცია როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან;
- მოახდინოს პროგრესის გაზომვა და მონიტორინგი (United Nations Global Compact , n.d.).

ვთანხმდებით, რომ ხელფასის ოდენობა სამუშაო მოტივაციის მნიშვნელოვანი ფაქტორია, ბიზნესმა კი უნდა უზრუნველყოს სახელფასო სისტემის გაუმჯობესება და საცხოვრებელი ხელფასის კონცეფციის თანამედროვე რეალობასთან მორგება დასაქმებულთა საჭიროებების შესაბამისად. სახელმწიფოს, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის მთავარი გამტარებლის, როლი კი მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ხელფასის სტიმულირებაში, რომელიც დაეხმარება ქვეყანას საზოგადოებრივი კეთილდღეობის მაღალი სტანდარტების მიღწევასა და ეკონომიკის მდგრად განვითარებაში.

სწორედ ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისა და საზოგადოებრივი კეთილდღეობისთვის მნიშვნელოვანია საცხოვრებელი ხელფასის უზრუნველყოფა, რომელიც SDG-ების მიღწევის აქსელერატორს წარმოადგენს. მიზანი 1-სიღარიბის აღმოფხვრა, მიზანი 8-ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა, მიზანი 5-გენდერული თანასწორობა, საცხოვრებელი ხელფასის დანერგვა ამ მიზნების მიღწევაში დაგვეხმარება (United Nations Global Compact , n.d.).

რა ხდება საქართველოში?

საქართველოში მწვავედ დგას დასაქმებასთან, ინფლაციასთან, სიღარიბესთან და ადეკვატურ ანაზღაურებასთან დაკავშირებული პრობლემები. საქსტატის 2021 წლის მე-4 კვარტლის მონაცემით, დასაქმებულია 1244.2 ათასი კაცი, უმუშევარი-291.9 ათასი კაცი; გაზრდილია სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა წლებთან შედარებით: 2021 წელს სამომხმარებლო ფასების ინდექსი (საშუალო წლიური წინა წლის საშუალო წლიურთან) 109.6-ს წარმოადგენდა. 2020 წელს სიღარიბის აბსოლუტურ ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობის წილი 21.3%-ს შეადგენდა. აღნიშნულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ

გარემოს თან ახლავს ქართველ ემიგრანტთა დიდი რიცხოვნობაც (2020 წელს 74264 კაცი), რომლებიც შრომით მიგრაციაში არიან და მათი გზავნილები ოჯახების შემოსავლის მთავარ წყაროს წარმოადგენს. (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, n.d.).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური გვთავაზობს შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცის საარსებო მინიმუმის ღირებულების გაანგარიშების მეთოდს, რომელიც დგინდება მინიმალური სასურსათო კალათის საფუძველზე. ეს უკანასკნელი მოიცავს მხოლოდ 40 დასახელების პროდუქტსა და 2300 კილოკალორიის ენერგოდანახარჯებს. საარსებო მინიმუმის საერთო ღირებულებაში, რომელიც 2022 წლის მე-2 კვარტლის მონაცემით შრომისუნარიანი ასაკის მამაკაცისთვის 231.3 ლარია, სასურსათო ხარჯების წილი განისაზღვრება 70%-ით, ხოლო არასასურსათო ხარჯების წილი-30%-ით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, n.d.).

აღნიშნული დადგენილი ნორმა საერთაშორისო სტანდარტებისგან შორსაა, რადგან ჩვენს ქვეყანაში არსებული სამომხარებლო ფასების დინამიკის, სიღარიბისა და უმუშევრობის დონის გათვალისწინებით, 231.3 ლარი არარეალურ საარსებო მინიმუმს წარმოადგენს. ადამიანს ისე უნდა შეეძლოს ხარჯების გადანაწილება, რომ მისი უმეტესი ნაწილი არა სასურსათო საგნებზე, არამედ ღირსეული ცხოვრებისთვის აუცილებელი სხვა საჭიროებებზე დახარჯოს.

უნდა აღინიშნოს ის ფაქტი, რომ „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-14 მუხლის მიხედვით, საარსებო მინიმუმსა და შრომის ანაზღაურების სიდიდეს შორის დადგინდა კავშირი, კერძოდ, „სრულგანაკვეთიანი სამუშაოს შესრულებისთვის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება. იგი საარსებო მინიმუმს ორჯერ მაინც უნდა აღემატებოდეს“ (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, n.d.). 2022 წლის მე-2 კვარტლის მონაცემით, ეს 231.3X2=462.6 ლარს წარმოადგენს, რომელიც დღეს არსებული სოციოლურ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე, მიზერული და არასაკმარისი თანხაა ღირსეული ცხოვრების დონის მისაღწევად.

აღნიშნულ კანონთან კი წინააღმდეგობაში მოდის ის გარემოება, რომ მინიმალური ხელფასის სიდიდე საქართველოს პრეზიდენტის შესაბამისი ნორმატიული აქტის საფუძველზე 1999 წლის ივნისიდან 20 ლარით განისაზღვრა (ბრძანებულება N351, 1999); (ბრძანებულება N767, 2006). ეს ბრძანებულება დღემდე ძალაშია და იწვევს გაურკვევლობას და საჭიროებს განახლებას.

შედეგად, მნიშვნელოვანია შეიცვალოს საარსებო მინიმუმის გაანგარიშების მეთოდი, მიღებულ იქმნას შესაბამისი კანონმდებლობა, დაინერგოს საცხოვრებელი ხელფასი, რომელიც შესაბამისობაში მოვა ადამიანის ნორმალური ცხოვრებისთვის აუცილებელ რეალურ ხელფასთან.

კვლევა

აღნიშნული საკითხის უკეთ შესასწავლად ჩატარდა კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა მოსახლეობის შემოსავლებისა და ხარჯების განაწილების შესწავლას, თუ რამდენად საკმარისია ყოველივე ეს ცხოვრებისთვის აუცილებელი პირობების უზრუნველსაყოფად.

კვლევა განხორციელდა ონლაინ ფორმატით. რესპოდენტთა რაოდენობამ, ვინც შეავსო გამოკითხვის კითხვარი, შეადგინა 171. კვლევა ჩატარდა 2022 წლის აპრილში.

მიღებული ინფორმაციის დამუშავება-ანალიზის შედეგად შედგენილი იქნა შესაბამისი დიაგრამები, რომლებიც ქვემოთ არის წარმოდგენილი:

კვლევაში მონაწილეთა 81.3%-ს ქალები, ხოლო 18.7%-ს მამაკაცები შეადგენენ (დიაგრამა 1). გამოკითხულთა უმეტესობა მიეკუთვნება 18-20, 21-23 და 36+ ინტერვალის ასაკობრივ ჯგუფებს (დიაგრამა 2). რაც შეეხება დასაქმების სტატუსს, კვლევაში მონაწილეთა 68.4% დასაქმებულია.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



რესპოდენტთა 56.2%-ს აქვს ინფორმაცია საქართველოში შრომითი კოდექსის-საქართველოში შრომითი ურთიერთობების მარეგულირებელი კანონებისა და რეგულაციების შესახებ. 29%-ს არ აქვს ინფორმაცია.

დიაგრამა 3



გამოკითხულთა 39.1% კერძო, ხოლო 29.6% საჯარო სექტორშია დასაქმებული. რესპოდენტთა უმრავლესობა მუშაობს განათლების, მომხმარებელთა მომსახურების, ვაჭრობის, ფინანსებისა და საბანკო საქმის სექტორებში.

რაც შეეხება რესპოდენტთა ფინანსურ მდგომარეობას, გამოკითხულთა 15.5%-თვის შემოსავალი მერყეობს 1001-2000 ლარის ინტერვალში, 19.6%-თვის 700-401 ლარის ინტერვალში, 18.5%-თვის 401-700 ლარის ინტერვალში. მხოლოდ 7.7%-ის შემოსავალი აჭარბებს 2000 ლარს. 17,3%-თვის შემოსავალი 401 ლარზე ნაკლებია.

დიაგრამა 4



გამოკითხვაში მონაწილეთა მხოლოდ 10.7%-მა ადასტურებს, რომ მათი შემოსავლები საკმარისია სასურსათო და არასასურსათო მოხმარების საგნების შესაძენად, 29.6%-თვის - ნაწილობრივ საკმარისია. 48.5% მიიჩნევს, რომ მათი მიმდინარე შემოსავლები არ არის საკმარისი.

დიაგრამა 5



რაც შეეხება ხარჯების სტრუქტურას, რესპოდენტთა უმრავლესობა საკვებ-პროდუქტზე, სამედიცინო მედიკამენტებზე, ტანსაცმელზე, საყოფაცხოვრებო ნივთებსა და სესხის დაფარვაზე ანაწილებს ხარჯებს. გამოკითხულთა მხოლოდ მცირე ნაწილი გამოყოფს თანხებს დასვენებისთვის, კულტურული ღონისძიებებისთვისა და მოგზაურობისთვის.

აღმოჩნდა, რომ რესპოდენტთა 15.4%-ის ოჯახის წევრი ემიგრანტია. აქედან 1%-თვის მხოლოდ ემიგრანტის გზავნილი გახლავთ ოჯახის შემოსავლის ერთადერთი წყარო, ხოლო 14%-თვის შემოსავლები ოჯახის სხვა წევრების მუშაობაზეც იყო დამოკიდებული.

კვლევის ბოლო შეკითხვა ეხებოდა რესპოდენტთა აზრს, თუ რა თანხაა საჭირო თვეში ერთი შრომისუნარიანი ასაკის ადამიანის მინიმალურ დონეზე არსებობისთვის. რესპოდენტთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ 400-500 ლარად შეუძლებელია ფიზიკურად ადამიანმა იარსებოს თვიდან თვემდე. კვლევის მონაწილეების მიერ დაფიქსირებული პასუხების შედეგად დავადგინე საშუალო თანხა, რომელსაც ისინი მიიჩნევენ აუცილებლად თვეში მინიმალურ დონეზე არსებობისთვის და ეს შეადგენს 1470 ლარს.

დასკვნა

როგორც ვხედავთ, ქვეყნის წინაშე მწვავედ დგას სიღარიბესთან და უმუშევრობასთან დაკავშირებული პრობლემები. საარსებო მინიმუმი შეუსაბამო მეთოდით იანგარიშება, მინიმალური ხელფასი არაადეკვატურადაა განსაზღვრული, მოსახლეობის უმრავლესობა ხარჯებს ძირითადად პირველადი მოთხოვნილებების საგნებზე (საკვები, სამედიცინო მედიკამენტები, ტანსაცმელი) ანაწილებს. აღნიშნული ნეგატიური შედეგების ფონზე მოსახლეობის ნაწილი ხდება ემიგრანტი, რაც ქვეყნიდან შრომითი რესურსის გადინებასა და სამუშაო ძალის შემცირებას იწვევს.

იმისათვის, რომ განვახორციელოთ ეფექტიანი ცვლილებები და ავამაღლოთ ცხოვრების სტანდარტები, სახელმწიფომ, ბიზნესმა და პროფკავშირებმა აქტიური თანამშრომლობითა და ეფექტიანი კომუნიკაციით ხელი უნდა შეუწყონ საცხოვრებელი ხელფასის დანერგვას. ღირსეული შრომითი ანაზღაურება უზრუნველყოფს დასაქმებულთა მოტივირებას, ეკონომიკა და ბიზნესი იქნება უფრო მდგრადი და საზოგადოება ცხოვრებისთვის აუცილებელი საჭიროებებით უზრუნველყოფილი.

რეკომენდაციები:

✓ სამუშაო პირობები უნდა იყოს უსაფრთხო და შესაბამისი სამუშაო დასაქმებულებს უნდა სთავაზობდეს პროფესიული ზრდისა და განვითარების შესაძლებლობებს;

✓ პიროვნების მიერ გაწეული შრომა უნდა ანაზღაურდეს ადეკვატურად, რათა მან უზრუნველყოს შრომითი პოტენციალის კვლავწარმოება და ოჯახის წევრების კეთილდღეობა;

✓ ხელფასის დადგენისას უნდა გათვალისწინდეს რაციონალური სამომხმარებლო ბიუჯეტი და რეალური დონე ცხოვრებისთვის აუცილებელი მატერიალური და არამატერიალური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად;

✓ საჭიროა საკანონმდებლო დონეზე ცვლილებები და ეფექტიანი დასაქმების აქტიური პოლიტიკის გატარება, რომელიც მიზნად დაისახავს საცხოვრებელი ხელფასის დანერგვას ეკონომიკასა და ბიზნესში;

✓ მიზანშეწონილია სახელმწიფოს, პროფკავშირებსა და ბიზნესს შორის აქტიური კომუნიკაცია, რათა უზრუნველვყოთ შრომის ბაზრის ეფექტიანი ფუნქციონირება და საზოგადოების ცნობიერების ამაღლება საცხოვრებელი ხელფასის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. **არჩვაძე ი. კოღუაშვილი პ.** (2020). საარსებო მინიმუმი საქართველოში და მისი ოპტიმალური დონის განსაზღვრის აუცილებლობა. *„ეკონომიკა და ბიზნესი“, N1;*
2. **პაპავა ვ.** (2020). კორონომიკა და ეკონომიკა კრიზისის წინაშე. 21 მარტი https://for.ge/view/182671-/koronomika-da-ekonomika-krizisis-winaSe.html;
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის ვებ გვერდი: www.geostat.ge;
   a. United Nations Global Compact (www.unglobalcompact.org)
   b. Retrieved from: https://www.unglobalcompact.org/what-is-gc/our-work/livingwages.
4. Global Living Wage Coalition (www.globallivingwage.org) Retrieved from: https://www.globallivingwage.org/about/what-is-a-living-wage/
5. **ცარციძე მ.** (2022). უმუშევრობა და სიღარიბე საქართველოში. მონოგრაფია. თსუ-ის გამომ-ცემლობა, თბილისი;
6. **ცარციძე მ.** (2004). შრომის ბაზრის ფორმირება და სამუშაო ძალის კვლავწარმოება საქარ-თველოში. სადოქტორო დისერტაცია. თსუ, თბილისი;
7. **კანონები და ნორმატიული აქტები:**
8. საქართველოს კონსტიტუცია. საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტი. 24.08.1995 წელი. (matsne.gov.ge);
9. საქართველოს კანონი N6819, „დასაქმების ხელშეწყობის შესახებ“ (https://matsne.gov.ge/ka/docu-ment/view/4924109?publication=1);
10. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N111/ნ „საკვებ ნივთიერებებსა და ენერგიაზე ორგანიზმის ფიზიოლოგიური მოთხოვნილებებისა და საარსებო მინიმუმის განსაზღვრისათვის საჭირო სასურსათო კალათის შემადგენლობის ნორ-მებისა და ნორმატივების დამტკიცების შესახებ“ (matsne.gov.ge).

გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოზე (Covid-19 პანდემიის მაგალითზე)

თამარ ვეკუა

თავისი განვითარების ხანგრძლივ პერიოდში კაცობრიობა ზოგჯერ ევოლუციური, უფრო ხშირად კი რევოლუციური გზით ცდილობდა უკეთესი მომავლის უზრუნველყოფას, რასაც შედეგად არსებული პოლიტიკურ-ეკონომიკური სისტემათა რეფორმირება, ან მათი ახლით შეცვლა მოჰყვებოდა. განვითარების ეტაპების ამჟამინდელი სტადია გლობალიაზაციაა, რომელიც მეტად აკავშირებს ქვეყნებს ეკონომიკურად და ერთმანეთზე დამოკიდებულს ხდის. მსოფლიოს გლობალიზაცია უნებურად ხელს უწყობს არა მხოლოდ ეკონომიკის გლობალიზაციას, არამედ კრიზისის პირობებში არსებული ხარვეზების წარმატებულ გავრცელებას, პრობლემების შეცდომებით გადაჭრის კოპირებას სხვადასხვა ქვეყნების მიერ. შედეგად ვღებულობთ კრიზისის ანარეკლურ გამოსახულებებს სხვადასხვა დარგში. გლობალური ეკონომიკური კრიზისის გამომწვევ მიზეზების შესახებ დღემდე არ არის სრული კონსენსუსი მიღწეული მეცნიერებს შორის და კვლავ ბევრი ეკონომისტის ინტერესის სფეროს წარმოადგენს. უნდა აღინიშნოს, რომ წმინდა ფინანსური კრიზისის გარდა, არანაკლები გავლენა აქვს პანდემიის მიერ გამოწვეულ საერთო ეკონომიკურ კრიზისს მსფოლიოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის.

ნაშრომის მიზანია პანდემიის მაგალითზე საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზი, ასევე განხილვა საქართველოს მთავრობისა და ეროვნული ბანკის მიერ გატარებული ანტიკრიზისული ღონისძიებებისა და მათი შედეგების.

ნაშრომის დასკვნით ნაწილში კი განხილულია ის რეკომენდაციები, რომლებიც საქართველოს დაეხმარება ეკონომიკის გაუმჯობესებასა და საერთაშორისო ეკონომიკაში ადგილის დამკვიდრებაში.Ј

ეკონომიკური კრიზისები არის თანამედროვე ეკონომისტების ყურადღების ცენტრში. კრიზისების ბუნება საკმაოდ ბუნდოვანია, ასევე საკმაოდ რთულია იმ მიზეზების განსაზღვრა, რომელიც წარმოადგენს კრიზისის საფუძველს, ხოლო რაც შეეხება მის რეგულირებასა და პროგნოზირებას, ეს თემა მაინც ბუნდოვან და ნაკლებად შესწავლილ საკითხად რჩება. მიუხედავად იმისა, რომ განვითარებულ ქვეყნებში ეკონომიკური კრიზისების კვლევა ძალიან მაღალ დონეზე არის აყვანილი, ბევრი კითხვა ისევ პასუხგაუცემელი რჩება. ამიტომ, აღნიშული საკითხი დიდ სირთულეს და სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს ბევრი ეკონომისტისათვის. კრიზისებს ეკონომიკურ მეცნიერებაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, რადგან ისინი დიდ ზეგავლენას ახდენენ ქვეყნის ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. სახელმწიფოსთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის შემუშავება. ეფექტიანი მაკროეკონომიკური პოლიტიკის ქვეშ იგულისხმება ისეთი პოლიტიკის შემუშავება, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკაში კრიზისების შესაძლო სამომავლო არსებობას და მათ პრევენციას.

აღსანიშნავია, რომ ყველა რისკის გათვალისწინება და ზოგადად, ეკონომიკური კრიზისის თავიდან აცილება არ არის მარტივი, როგორც განვითარებად, ისევე განვითარებულ ქვეყნებში. ხშირ შემთხვევაში, მათი იდენტიფიცირება შეუძლებელია. ასეთივეა კოვიდური სიტუაციაც. ახალმა კორონავირუსულმა პანდემიამ Covid-19,Ј სერიოზული ეკონომი-

კური პრობლემების წინაშე დააყენა სამყარო. სახელმწიფოების მიერ პანდემიასთან ბრძოლისა და ადამიანთა სიცოცხლის გადარჩენისათვის მიღებულ იქნა რადიკალური ზომები, როგორიცაა საზღვრების ჩაკეტვა, ტრანსპორტის მოძრაობის შეზღუდვა/აკრძალვა, საგანგებო მდგომარეობის გამოცხადება და სოციალური დისტანცირების უზრუნველსაყოფად ეკონომიკური საქმიანობის შეზღუდვა, რამაც მნიშვნელოვნად შეაფერხა მსოფლიოს ქვეყნების ეკონომიკური განვითარება. პანდემიის მიმართ საქართველოს ეკონომიკა მაღალი მოწყვლადობით ხასიათდება, რაც სხვადასხვა ფაქტორებითაა გამოწვეული. ჩვენი მთავრობის ანტიკრიზისული გეგმა სოციალური დახმარების პროგრამებისა და ბიზნესისთვის ვირუსით გამოწვეული კრიზისის დამანგრეველი შედეგების შესამსუბუქებელი ზომების გატარებას ითვალისწინებს. მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ქვეყნის ეკონომიკური განვითარების კომპლექსური და თანმიმდევრული პოლიტიკის შემუშავება.

ნაშრომის პირველი თავი დაეთმობა საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობის პანდემიამდე და COVID-19-ის გავლენის შედეგებს შორის სხვაობების განხილვას, მათ ანალიზს, მონაცემების შედარებას ამიერკავკავიის ქვეყანა სომხეთთან და ასევე ეკონომიკური ანალიზის შედარებას ბალტიისპირეთის ქვეყანა ესტონეთთან.

ნაშრომის მეორე თავი კი დაეთმობა საქართველოს ამჟამინდელ ეკონომიკური საერთო სურათის განხილვასა და იმ რეკომენდაციებს რომელებიც აუცილებელია გლობალური კრიზისის გადასალახად.

COVID-19-ის გავლენა საქართველოს ეკონომიკურ მდგომარეობაზე

2020 წლის 11 მარტს ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ (WHO) ახალი კორონავირუსი პანდემიად გამოაცხადა. ამ ფაქტს წინ უსწრებდა 2020 წლის 30 იანვარს ჯანმოს მიერ კორონავირუსის გლობალურ საფრთხედ გამოცხადება. ჩინეთში პნევმონიის აფეთქება 2019 წლის დეკემბერში დაიწყო, რომელიც გამოწვეული იყო კორონავირუსის აქამდე უცნობი შტამის მასიური გავრცელებით. 21 იანვარს ჩინეთმა დაადასტურა, რომ კორონავირუსი გადამდებია, რის გამოც ქვეყნის ორ ქალაქში სრული კარანტინი გამოცხადდა.

მარტში ვირუსის შეკავების პრევენციის მიზნით, საქართველოს მთავრობის ქმედებები კიდევ უფრო სტრუქტურიზებული გახდა, რაც გამოიხატებოდა საზღვრების კონტროლის გამკაცრებით. მარტის შუა რიცხვებიდან უწყებათაშორისი საბჭოს რეკომენდაციების საფუძველზე დაიწყო შეზღუდვების შემოღება, რაც გამოიხატებოდა კულტურული, საგანმანათლებლო, სპორტული ღონისძიებების გადადებით. აგრეთვე, გაიცა რეკომენდაცია დისტანციურ მუშაობაზე გადასვლის შესახებ. თუმცა, მიუხედავად რეგულაციებისა და მთავრობის მიერ გატარებული ანტიკრიზისული პოლიტიკისა საქართველოს ეკონომიკა, მსგავსად სხვა ქვეყნებისა მკვეთრი რეცესიით ხასიათდება. მას შემდეგ, რაც გაუქმდა საგანგებო მდგომარეობა და მთავრობის გადაწყვეტილებით ეტაპობრივად აღდგა ეკონომიკის ფუნქციონირება, დაწესდა გარკვეული ტიპის რეგულაციები.

ეროვნული ვალუტის გაუფასურების პროცესი პანდემიის დაწყებამდე დიდი ხნით ადრე დაიწყო, თუმცა პანდემიის პირობებში მისი პოზიციები საგრძნობლად შესუსტდა, რაც მისი რეკორდული გაუფასურებით აღინიშნა. ეროვნულმა ბანკმა აღნიშნულ პროცესს სავალუტო რეზერვების გაყიდვის რამდენიმე ტალღით უპასუხა, რათა შეესუსტებინა დე-

ვალვაციის პროცესი. 2020 წლის ივლისის ბოლოს 1 აშშ დოლარის ღირებულება 3,0719 ლარი შეადგინა, რაც საქართველოსთვის, როგორც იმპორტდამოკიდებული ქვეყნისთვის ინფლაციური ზეწოლის და სოციალური მდგომარეობის გაუარესების მძიმე ფონს ქმნიდა. ამის საპასუხოდ, ხელისუფლებამ გარკვეულ საკვებ პროდუქტებზე ფასების შენარჩუნების პროგრამის ამოქმედებით უპასუხა, რომლის მიზანს გარკვეული ტიპის პროდუქციაზე ფასების სტაბილურობის შენარჩუნება წარმოადგენდა. პანდემიის პირობებში, ნავთობის ფასების მკვეთრმა დაცემამ, ფასების ზრდის და ინფლაციის განაკვეთზე დაღმავალი ეფექტი შეუნარჩუნა, რამაც ოდნავ დააბალანსა სხვა ნეგატიური შოკები.

ტურისტული სექტორი

2020 წლის ეკონომიკურ ზრდაში ყველაზე დიდი გავლენა იქონია ტურიზმთან დაკავშირებულმა სექტორმა, რასაც საქართველოს ეკონომიკის 10-12 პროცენტი უჭირავს. ტურიზმის სექტორმა პანდემიის შედეგად დიდი დარტყმა მიიღო და 2020 წლის მარტის თვიდან თითქმის 100 პროცენტით შემცირდა. 2021 წლის დასაწყისში COVID რეგულაციების ფონზე პირველი კვარტალის ეკონომიკურმა ზრდამ -4.5 პროცენტი შეადგინა. მიუხედავად ამისა, 2021 წლის მეორე კვარტლის დასაწყისიდან ეკონომიკამ სწრაფი აღდგენა დაიწყო, რამაც წინასწარი მონაცემებით ეკონომიკის 29.9 პროცენტით გაზრდა გამოიწვია, რომელიც 2019 წლის ამავე პერიოდის მონაცემს 12.8 პროცენტით აღემატება აღნიშნული ეკონომიკური ზრდის ტენდენცია დასტაბილურდა, მაგრამ მაინც მაღალი ნიშნული შეინარჩუნა და აგვისტოში10.3 პროცენტი შეადგინა, რაც 2019 წელის მონაცემს 4.5 პროცენტით აღემატება.

15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს არარეზიდენტი ვიზიტორების მიერ განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობა, ათასი [1]



ინფლაციის დონე

საქართველოს ეკონომიკისთვის პანდემიამ ერთი მხრივ იმოქმედა ერთობლივი მოთხოვნის მხარეს ტურიტული მომსახურების ექსპორტის კლების, ხოლო მეორე მხრივ, მობილობის შემცირების გამო შეაფერხა სამომხმარებლო პროდუქტების მიწოდების არხე-

ბი, რამაც პანდემიის გავრცელების საწყის ეტაპზე ინფლაციის ზრდა გამოიწვია. ანალოგიური ტენდენცია იყო მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში. მოგვიანებით, ივნისი-ივლისიდან, მოთხოვნის შემცირების ეფექტმა გადააჭარბა მიწოდების ეფექტს. შედეგად ინფლაციის მაჩვენებელმა შემცირება დაიწყო. თუმცა 2021 წელს მოხდა წლიური ინფლაციის მნიშვნელოვანი ზრდა 5.2 პროცენტიდან 9.6 პროცენტამდე. აღნიშნული მკვეთრი ზრდა იყო განპირობებული ზოგიერთ პროდუქტზე მთავრობის სუბსიდირების პროგრამის შეწყვეტით. მოცემული მაღალი ინფლაცია ძირითადად განპირობებულია სასურსათო პროდუტისა და ტრანსპორტირების ფასების ზრდით, რომლებიც გამოწვეულია მსოფლიო ბაზრებზე სურსათისა და ნავთობის ფასების ზრდით. მაგრამ მაღალი წლიური ინფლაციის ფონზე, სეზონურად მოსწორებული თვიური ანუალიზებული ინლფაცია მცირდება, რაც გამოწვეულია გამკაცრებუილი მონეტარული პოლიტიკის ასახვით ფასებზე. თუმცა, წლიურ ინფლაციაზე აღმავალი ზეწოლა დამოკიდებულია მსოფლიო სასოფლო-სამეურნეო ბაზრებზე გაზრდილი ფასებისა (მათ შორის ნავთობის ფასები) და წინა პერიოდში გაცვლითი კურსის გაუფასურებაზე, რაც ზრდის ინფლაციის მაჩვენებელზე იმპორტული საქონლისა და სურსათის ფასების გავლენას.

საქართველო, ინფლაციის დონე (წლიური %)[2]



მეტად ჩაღრმავებისთვის განვიხილოთ მეზობელი ქვეყნის, სომხეთის ინფლაციის დონე საქართველოს მონაცემებთან შედარებით. Covid-19-ს მიერ გამოწვეული ეკონომიკური კრიზისი არანაკლებ მტკივნეული აღმოჩნდა სომხეთისთვისაც. 2021 წლის აგვისტოს მონაცემებით, მსოფლიო ბანკმა დაადგინა, რომ სურსათზე ფასების დონის ზრდა სომხეთში ინფლაციის ზრდის დაახლოებით ორ მესამედს შეადგენდა. მსოფლიო ბანკმა ასევე აღნიშნა ტრანსპორტისა და სამედიცინო მომსახურების ფასების ზრდა, როგორც ინფლაციის ხელმშეწყობი მიზეზები. 2021 წლის ივლისიდან სომხეთის ვალუტა 2%-ით გაუფასურდა. 2020 წლის დეკემბერში, მსოფლიო ბანკმა შეაფასა, რომ სომხეთის ეკონომიკურმა რეაქციამ პანდემიაზე შეიძლება გააღარიბოს 70000 სომეხი და დაახლოებით 720000 ადამიანის ეკონომიკური მდგომარეობა გააუარესოს. მიუხედავად ამისა, დიაგრამის მიხედვით საქართველოს ინფლაციის დონე უფრო მაღალია, ვიდრე სომხეთისა. ოფიციალური მონაცემებით ირკვევა, რომ საქართველომ ვერ ითამაშა ეპიდემიის გამკლავების მხრივ კარგი როლი, ვიდრე მისმა მეზობელმა ქვეყნებმა. ეკონომიკური მაჩვენებლები გამამხნევებლად, რომ გამოიყურებოდეს, შეიძლება იმის მტკიცება,რომ ქვეყანა პრიორიტეტს ანიჭებდა

სიდუხჭირის მინიმუმამდე შემცირებას. მიუხედავად იმისა, იყო თუ არა ეს ასე, ქვეყანამ მარცხი განიცადა ამიერკავკასიაში მეორე ყველაზე მაღალი ინფლაციის მაჩვენებლით და მეორე ყველაზე უარესი ეკონომიკური რეცესიით რეგიონში.

ინფლაციის დონე %, საქართველო და სომხეთი[2]



მთლიანი შიდა პროდუქტი

2021 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ შემცირდა 4.5 პროცენტით, რაც განპირობებულია არსებული სოციალური დისტანცირების შეზღუდვებით, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე – ქვეყნებს შორის საერთაშორისო მოგზაურობის შემთხვევაში. თუმცა, 2021 წლის აპრილში ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 44.8 პროცენტი 2020 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ხოლო 2019 წლის აპრილთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 20.8 პროცენტი. მაისის წლიურმა ეკონომიკურმა ზრდამ შეადგინა 25.8 პროცენტი, რაც დაახლოებით უდრის 8.8 პროცენტიან ზრდას 2019 წლის მაისთან შედარებით. აღნიშნული დადებითი ტენდენცია, მსოფლიო ეკონომიკის გაჯანსაღება, ტურიზმის ეტაპობრივი აღდგენა 2019 წლის დონეზე, ექსპორტის და ფულადი გზავნილების მნიშვნელოვანი ზრდა და მოსალოდნელი ვაქცინაციის ტემპის დაჩქარება მაღალ საბაზო ეფექტთან ერთად ქმნის მაღალი ზრდის მოლოდინს. კერძოდ, საბაზო სცენარის მიხედვით, ეკონომიკური ზრდა 2021 წლის შემთხვევაში 7.7 პროცენტს შეადგენს. 2021 წლის მეორე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარე ბით საშუალოდ გაიზარდა 29.8 პროცენტით. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად გამოწვეულია მაღალი საბაზო ეფექტით, რადგან 2020 წლის მეორე კვარტალში მოხდა ეკონომიკური აქტივობის მკვეთრი შემცირება, როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე რეგიონში COVID-19 პანდემიის პირველადი გავრცელების გამო. ამავე დროს, 2021 წლის მეორე კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2019 წლის მეორე კვარტალთან შედარებით შეადგინა 13 პროცენტი საშუალოდ. აღნიშნული ზრდა განპირობებული იყო სოციალური დისტანცირების შეზღუდვების მოხსნით და რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებით. კერძოდ, მეორე კვარატლში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 47.1 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 44.8 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის მეორე

კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 10.9 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 1.3 პროცენტით.

საინტერესოა რა გავლენა ჰქონდა COVID-19-ს პოსტკომუნისტურ და ამავდროულად ბალტიისპირეთის ქვეყანა ესტონეთი. მართალია, ესტონეთმა და საქართველომ, ერთი და იგივე პერიოდში გამოვიდნენ სსრკ-დან და შედგეს ფეხი პოსტსაბჭოთა პერიოდში,მაგრამ ესტონეთის ეკონომიკურმა ზრდამ და განვითარებამ ბევრად გაუსწრო საქართველოს. დამოუკიდებლობის მიღების დღიდან,ესტონეთის ხელისუფლება ცდილობდა ისეთი ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა შეემუშავებინა, რითაც შეძლებდნენ ქვეყნის „ჭაობიდან“ ამოყვანას. პირველ რიგში ცენტრალიზებული ეკონომიკიდან უნდა გადასულიყვნენ საბაზრო ლიბელარულ ეკონომიკაზე ,ამიტომ მიზნად დაისახეს ევროატლანტიკური სტრუქტურებთან დაახლოება.მალევე მიაღწიეს დასახულ მიზანს და ესტონეთი ევროკავშირის და ნატოს წევრი გახდა 2004 წლიდან,ხოლო 2011 წლიდან უარი თქვეს ეროვნულ ვალუტაზე და ჩაანაცვლეს ევროთი,რამაც სავალუტო სტაბილურობა განაპირობა. რაც შეეხება 3კოვიდის ზეგავლენას ესტონეთზე 2021 წელს ესტონეთის ეკონომიკა 5,2 პროცენტით გაიზარდა პანდემიანდელ მდგომარეობასთან შედარებით. მთლიანობაში





2021 წელს ეკონომიკა 8,3

პროცენტით გაიზარდა. მშპ მიმდინარე ფასებში 8,7 მილიარდი ევრო იყო. რობერტ მიურსეპმა, ესტონეთის სტატისტიკის წამყვანმა ანალიტიკოსმა, განაცხადა, რომ ეკონომიკამ შეინარჩუნა სწრაფი ზრდა 2021 წლის ბოლო კვარტალში. ზრდა განპირობებული იყო წარმოებით, რომელიც დაუბრუნდა პანდემიამდელ მდგომარეობას. ეკონომიკას ასევე აძლიერებდა სწორი კომუნიკაცია მთავრობის მხრიდან მოსახლეობასთან. კორონავირუსული კრიზისის შედეგად განადგურებული განსახლება და საკვებით უზრუნველყოფა ძალიან სწრაფი ტემპით განაგრძობდა ზრდას.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

გარდამავალი პერიოდის ნებისმიერი სახელმწიფოსთვის, მათ შორის საქართველოსთვის, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვას, რომელიც უნდა განვიხილოთ ვალუტის სიმყარის ერთ-ერთ წინაპირობად. აღნიშნული მრავალ ფაქტორზე არის დამოკიდებული, მათ შორის უნდა

გამოვყოთ ეკონომიკის ზრდის მაჩვენებელი, ფინანსური ლიბერალიზაციის დონე, ინფრა-სტრუქტურის განვითარების დონე, წარმოების ფასები, საკანონმდებლო გარემო, საგადასახდელო სისტემის გამჭვირვალობა და ა.შ.ბოლო რამდენიმე წელია, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების დინამიკა კლების ტენდენციით ხასიათდება (გამონაკლისს წარ-მოადგენს 2017 წელი, როდესაც მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა). სწორედ აღნიშნულ წელს, ბოლო ათი წლის განმავლობაში დაფიქსირდა რეკორდული მაჩვენებელი პირპდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის თვალსაზრისით, განხორციელდა, რა 1978,3 მლნ. დოლარის ინვესტიცია. ბოლო რამდენიმე წელია, საკმაოდ გამძაფრდა კონკურენცია პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოსაზიდად. 2020 წლის პირველ სამი კვარტალის მონაცემებით, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ჯამურმა მაჩვენებელმა 719 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 25%-ით ნაკლებია წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით, ხოლო 37%-ით 2018 წლის მაჩვენებელთან შედარებით. მთავარ ინვესტორ ქვეყნებად კვლავ რჩება გაერთიანებული საემიროები, ნიდერლანდები, თურქეთი და აშშ. 2020 წლის პირველი სამი კვარტლის მონაცემებით, მნიშვნელოვნად დაეცა კაპიტალის წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში. შედეგად, ინვესტიციების სტრუქტურამ შემდეგი სახე მიიღო.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები, აშშ დოლარი							
წელი	**2015**	**2016**	**2017**	**2018**	**2019**	**2020**	**2021**
სულ	**1 728.8**	**1 654.0**	**1 980.8**	**1 317.1**	**1 335.8**	**572**	**1 152.8**
I კვ	343.4	392.9	413.3	329.3	317.2	171	132.5
II კვ	493.2	452.6	396.6	408.1	241.2	240.3	305.2
III კვ	531.1	507.8	635.4	367.2	403.6	294.8	303.8
IV კვ	361	300.6	535.4	212.4	373.8	-134.2	411.3

დასკვნა და რეკომენდაციები

არსებული მონაცემებით COVID-19-მა საკმაოდ მძიმე ზიანი მიაყენა ქვეყნის ეკონო-მიკას. ეს ეფექტი რამდენიმე ფაქტორზე არის დამოკიდებული. კერძოდ, მთავრობის მიერ ეკონომიკური გამოწვევების სწორად გააზრების უნარზე. დღესდღეობით, ხელისუფლება მიმდინარე გამოწვევებს გარკვეულწილად უმკლავდება, მართავს რა სამედიცინო საფრთხეებს და ჰუმანიტარულ ამოცანებს. თუმცა, გრძელვადიანი ეკონომიკური ეფექ-ტების შეფასებისთვის შედარებით შეზღუდული ფინანსური რესურსი რჩება. შეზღუდული ფინანსური რესურსების პირობებში, საკმაოდ რთულია სტიმულირების პაკეტების ინიცირება, შეზღუდვების დაწესება და ყველა შემთხვევაში მნიშვნელოვანია, ამ ნაბიჯების ეკონომიკური ფასის განსაზღვრა. ასევე მნიშვნელოვანია, რომ კრიზისის ე.წ. შეღავათების შეთავაზებას არ ქონდეს ისეთი ხასიათი, როგორიც მაგალითად, საბანკო „შეღავათიანი პერიოდის“ მექანიზმს, რომელიც მექანიკურად გაქცევს ამ რეჟიმში და მისი დატოვებისთვის გიწევს აქტივობის განხორციელება და არა მასში ჩართვისთვის. ყველგან, სადაც ეს შესაძლებელია, მნიშვნელოვანია არ შეიზღუდოს მოქალაქეთა ეკონომიკური არჩევანის თავისუფლება. პანდემიის პერიოდში კარგად გამოჩნდა ისიც, რომ განსა-

კუთრებით აქტუალურია ადგილობრივ დონეზე ჯანდაცვის პირველადი რგოლის გამართული მუშაობა, მეტი ძალისხმევაა გასაწევი ადგილობრივი სამედიცინო პერსონალის სათანადოდ მოსამზადებლად. უნდა დაჩქარდეს ინფრასტრუქტურული სამუშაოები, რაც ეკონომიკის ხელშეწყობის ერთ-ერთი ყველაზე ეფექტიანი გზაა - ეკონომიკის ვარდნის პირობებში, წესით, სწორედ ამ გზით ხდება ახალი დამატებითი ღირებულების და სამუშაო ადგილების შექმნა; ამიტომ კრიზისულ პერიოდში განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს ინფრასტრუქტურული პროექტების ტემპის არათუ შენელება, არამედ დაჩქარება და საერთაშორისო გზატკეცილებისა თუ ნავსადგურების და ა.შ. პროექტების დაფინანსება.

ადგილობრივ ხელისუფლებას საინტერესო და ინოვაციური იდეებით შეუძლია საკუთარი რეგიონის კონკურენტუნარიანობის ამაღლება არა მხოლოდ ტურიზმის სფეროში, რაზეც, უპირველეს ყოვლისა, და ყველაზე ხშირად კეთდება აქცენტი. ამ პოლიტიკამ სწორედ 2020 წელს აჩვენა, და მანამდე რუსეთის მიერ გამოცხადებული ტურისტული „ბლოკადის“ დროსაც, რამდენად მყიფეა ტურიზმთან და ზოგადად ერთ სფეროსთან დაკავშირებული ეკონომიკური ფსონები. სანაცვლოდ, შესაძლოა პერსპექტიული იყოს რეგიონებში სწორედ ლოჯისტიკური ჰაბების, საგანმანათლებლო ცენტრების, მაღალტექნოლოგიური იდეების განვითარების სივრცის შეთავაზება როგორც ქვეყნისთვის, ისე საერთაშორისო ინვესტორებისა და მომხმარებლისთვის.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ლიკა სარაჯიშვილი, გლობალური ეკონომიკური კრიზისები და მათი გავლენა ეკონომიკაზე. http://geoeconomics.ge/?p=13601
2. ზაზა წიკლაური, გლობალური ეკონომიკური კრიზისის გავლენა საქართველოს ეკონომიკაზე. https://openscience.ge/bitstream/1/936/1/samagistro%20wiklauri%20zaza.pdf
3. რატი ქირია, ეკონომიკური კრიზისი VS პანდე
4. პანდემიის კრიზისი (COVID 19).https://forbes.ge/blogs/ekonomikuri-krizisi-vs-pandemiis-krizisi-covid19/
5. თამუნა მაზანიშვილი, გლობალიზაცია და ეკონომიკური კრიზისი, როგორც ეკონომიკური პოლიტიკის გამოწვევები. http://geoeconomics.ge/?p=13190
6. გიორგი ხარშილაძე, ახალი კორონავირუსის (COVID-19) ზეგავლენა საქართველოზე და მისი მოსალოდნელი შედეგები. http://conferenceconomics.tsu.ge/?mcat=1&leng=ge&avto=246
7. COVID-19’S IMPACT ON ARMENIA. https://borgenproject.org/covid-19s-impact-on-armenia/
8. Estonia’s economy grows by 5.2 percent compared to 2019. https://news.err.ee/1608516185/estonia-s-economy-grows-by-5-2-percent-compared-to-2019
9. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, მაკროეკონომიკური სცენარების ანალიზი.https://www.mof.ge/images/File/2022-biujeti/01-10-2021/danartebi/scenarebis%20analizi.pdf
10. USAID Georgia, პოსტ-COVID ეკონომიკური პოლიტიკა. https://pdf.usaid.gov/pdf_docs/PA00Z2S4.pdf
11. ცხრილები: [1]https://www.geostat.ge/ka/modules/categories/102/utskhoel-vizitorta-statistika,[2]https://data.worldbank.org/indicator/FP.CPI.TOTL.ZG, [3]https://data.worldbank.org/indicator/NY.GDP.MKTP.CD?locations=GE-EE, https://www.geostat.ge/ka/modules/categories/191/pirdapiri-utskhouri-investitsiebi

საქართველოს სახელმწიფო ვალის მართვის ბერკეტები

დავით თურანიძე

ბიუჯეტის დეფიციტი მრავალი ქვეყნის ეკონომიკისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენს, თუმცა მთავრობას შეუძლია აიღოს ვალი და ამ რესურსის გამოყენებით წარმოქმნილი რისკები შეამციროს ან სრულიად გააქროს. მიღებული თანხის სწორი ინვესტირებისათვის საჭიროა ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარება და მისი მართვისთვის საჭირო სტრატეგიის შემუშავება. შედეგად, სახელმწიფო მოიპოვებს ინვესტორთა და საერთაშორისო ორგანიზაციათა ნდობას, რაც გაზრდის ქვეყნის ეკონომიკურ შესაძლებლობებს.

„ბიუჯეტის დეფიციტი არის პერიოდის განმავლობაში დანახარჯების სიჭარბე შემოსავლებზე“ (ჩიკვილაძე მ., არჩვაძე ი. – „საჯარო ფინანსები“ გვ.160). დეფიციტის დროს ქვეყანაში უამრავი პრობლემა წარმოიქმნება და მათ შორის ყველაზე რთული ეკონომიკის განვითარების შეჩერებაა, თუმცა ვალის აღებით მიღებული რესურსების გამოყენებით შესაძლებელია ინვესტიციების დაფინანსება, გადასახადების ზრდის თავიდან აცილება, სოციალური პროექტების წარმოება, მოსახლეობის კეთილღეობის ამაღლება და ა.შ. რამაც ეკონომიკის ზრდაზე შეიძლება მნიშვნელოვანი დადებითი ზეგავლენა იქონიოს.

სახელმწიფო ვალის მონაცემების პირველ წყაროს წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო. იგი ამუშავებს კრედიტორების, საქართველოს ეროვნული ბანკის, სტატისტიკის დეპარტამენტისა და მრავალი მმართველობითი ორგანოს მონაცემებსა და ინფორმაციას, რათა შეძლოს პირველ რიგში მისიისა და მიზნების დასახვა, თუ რისი მიღწევაა შესაძლებელი ვალის აღების შედეგად, ხოლო შემგომში მისი მდგრადობის გაანალიზება და შესაბამისი სტრატეგიის შემუშავება სახელმწიფო ვალის მართვისათვის.

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარების მთავარ მიზანს წარმოადგენს შესაძლებლობების შეფასება, თუ როგორ შეძლებს სახელმწიფო ვალდებულებების გარკვეულ პერიოდში შესრულებას. ეს ანალიზი მოიცავს რისკფაქტორების შეფასებას, რომლებიც შესაძლოა გავლენას ახდენდნენ მთავრობის ვალის პორტფელზე, იგი ეხმარება მთავრობას წინასწარ განჭვრიტოს ნეგატიური ფაქტორებით გამოწვეული შედეგები და შეიმუშაოს სამოქმედო გეგმა.

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტში ასახულია მთავრობის გეგმები, რომლებიც უზრუნველყოფენ ვალის მართვის ეფექტური პოლიტიკის წარმოებასა და დასახული მიზნების მიღწევას. მთავრობა ვალის აღებისას ითვალისწინებს თაობებს შორის რესურსების სამართლიანი გადანაწილების პრინციპებს, რაც გულისხმობს მის მიერ ვალის აღების შედეგად მიღებული რესურსებით განხორციელებული ინვესტიციები და მათი სარგებელი შეესაბამება იმ ხარჯების რაოდენობას, რასაც ისინი გაიღებენ სესხის მიერ წარმოქმნილი ვალდებულებების შესრულებისას. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია სწორი და მოქნილი სტრატეგიის შემუშავება ბოლო დროს მსოფლიოში განვითარებული კრიზისისა და კოვიდ პანდემიის მიერ წარმოქმნილი პრობლემების გამო. გლობალურ ეკონომიკაში მუდმივად მიმდინარეობს ცვლილებები და სახელმწიფო ვალდებულია

ნებისმიერ წარმოქმნილ დაბრკოლებას გაუმკლავდეს. საქართველოს ვალის მართვის სტრატეგია არის საჯარო დოკუმენტი, რაც ამაღლებს სახელმწიფო გამჭვირვალობას და მისი გაცნობით შესაბამისი ორგანიზაციები, კომპანიები თუ საზოგადოება მეტად ინფორმირებული ხდება.

თემის აქტუალობა. თემა აქტუალურია, რადგან სახელმწიფოს ვალი ქვეყნის ეკონომიკის მნიშვნელოვანი ნაწილია, რისი საშუალებითაც ხდება იმ შესაძლებლობების განვითარება, რომელთა განხორციელებაც საკუთარი რესურსებით ქვეყანას არ ძალუძს. სამთავრობო ვალი არის ბიუჯეტის დეფიციტის შევსების მთავარი მექანიზმი, თუმცა მის არასწორ დაგეგმვასა და განკარგვას შეუძლია ქვეყნის ეკონომიკაში სერიოზული პრობლემების გაჩენა. სწორედ ამიტომ, აუცილებელია ნებისმიერ ქვეყანაში წარმოშობილ პრობლემებზე მიმართული ეფექტური ვალის მართვის ბერკეტების შემუშავება.

ქვეყნების უმრავლესობისთვის სამთავრობო ვალის აღების მთავარ მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო სტრუქტურების რესურსების უკმარისობა. სამთავრობო ვალი აძლევს ქვეყნებს საშუალებას გაზარდონ არსებული ეკონომიკური მაჩვენებლები, წარმოება და შეიქმნან სტაბილური გარემო, თუმცა სახელმწიფოებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ მათი გადახდისუნარიანობა და აიღონ ვალი იმ რაოდენობით რის გადახდასაც შეძლებენ. საერთაშორისო სავალუტო ფონდის მიერ დაწესებულია სტანდარტები, რომელთა მიხედვითაც სახელმწიფო ვალი დაბალშემოსავლიანი ქვეყნებისათვის მშპ–ის 35%–ს, საშუალოშემოსავლიანი ქვეყნებისათვის 55%–ს, ხოლო მაღალშემოსავლიანი ქვეყნებისთვის, რომლებიც სტაბილური და მდგრადი ეკონომიკით გამოირჩევიანი, 70%–ს არ უნდა აღემატებოდეს. აღნიშნული მაჩვენებელი „ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქარ-თველოს ორგანული კანონის მიხედვით 60%-ს არ უნდა აღემატებოდეს.სახელმწიფოს ვალის აღებისას წინასწარ უნდა ჰქონდეს განსაზღვრული, თუ სად, როგორ და როდის გამოიყენებს მას.

საგარეო ვალის გაზრდა გარდაუვალია ინფლაციის მაღალი დონის შედეგად, ვალუტის გაუფასურებისა და დამატებითი რესურსების საჭიროების შემთხვევაში. შესაბამისად, შესაძლებელია ქვეყანამ ვერ მოახერხოს ან უარი განაცხადოს საგარეო ვალის გადახდაზე. ამ ყველაფერმა კი შედეგად კრიზისი გამოიწვიოს. სამთავრობო ვალის გადაუხდელობა ქვეყნის დეფოლტად, ანუ ვალდებულებების შეუსრულებლობად ითვლება. ასეთ შემთხვევაში საგარეო პარტნიორები უარს ამბობენ ქვეყნისთვის დამატებითი დახმარების გაწევაზე, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს უცხოური ვალუტის შემოდინებას, ეროვნული ვალუტის გაუფასურებას და ეკონომიკური სტაბილურობის შეწყვეტას. ამიტომ, მნიშვნელოვანია ქვეყნებმა შექმნან ისეთი ბერკეტები, რომლებიც დაეხმარებათ ვალის მდგრადობისა და გადახდისუნარიანობის შენარჩუნებაში.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

„ეკონომიკური თავისუფლების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის შესაბამისად განსაზღვრული ლიმიტის ფარგლებში სამთავრობო ვალის ნაშთი და შესაბამისი საჯარო და კერძო პროექტების ფარგლებში აღებული მიმდინარე ვალდებულებების ჯამი 2021 წლის სექტემბრის მონაცემებით 29 326. 0 მლნ ლარია, მათ შორის საგარეო ვალის

ნაშთი შეადგენს 23 723.5 მლნ ლარს (იხ. დანართი 1), რაც სახელმწიფოს მთლიანი ვალის 81%–ია. მოცემული რესურსის დიდი ნაწილი მრავალმხრივი და ორმხრივი პარტნიორი ქვეყნებისა და ორგანიზაციებისგან სახელმწიფოსთვის უმთავრესი ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლადაა მიღებული. საგარეო ვალის პორტფელი შეღავათიანია, იგი ძირითადად მოიცავს გრძელვადიან სესხებს, ხოლო რაც შეეხება საშინაო ვალს, 2021 წლის სექტემბრისათვის 5 456.8 მლნ ლარი შეადგინა (იხ. დანართი 2), რაც ფასიანი ქაღალდების გამოშვების შედეგადაა მიღებული. ამ ბაზრის განვითარება მთავრობის ვალის მართვისთვის მნიშვნელოვანი სტრატეგიულმიმიმართულებაა. ვალის პორტფელის ლიკვიდურობისა და ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდამ ბაზარზე ინვესტორებსა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შორის შუამავლების წარმოქმნა მოითხოვა, რაც მეორადი ბაზრის გააქტიურებასა და ინვესტორთა ფართო ნაწილის დაინტერესებას გამოიწვევს. ამიტომ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ ეროვნულ ბანკთან და რამდენიმე საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციასთან ერთად პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა შეიმუშავა. დილერების, ბროკერებისა და აგენტების გაჩენა ბაზარზე ბევრად უფრო სტაბილურს გახდის მას, რაც ხელს შეუწყობს სახელმწიფო ვალის სწორი მართვის პოლიტიკის ჩამოყალიბებას.

საგარეო ვალდებულებათა დაფარვისთვის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის ცვლილებით წელს გათვალისწინებულია 2 963.0 მლნ ლარი. აქედან 2 675.0 მლნ ლარი ძირითადი თანხის დაფარვას ემსაურება, ხოლო 288.0 მლნ ლარი პროცენტის თანხაა, ასევე გათვალისწინებულია სახელმწიფო ობლიგაციების გამოშვების შედეგად წარმოქმნილი საშინაო ვალის ძირითადი ნაწილის დაფარვაც (https://www.google.com/url?sa=t&rct=-j&q=&esrc=s&source=web&cd=&ved=2ahUKEwib6IKzrYv1AhXfSPEDHfc7DjkQFnoECBoQAQ&url=https%3A%2F%2Fwww.mof.ge%2Fimages%2FFile%2F2022-biujeti%2F02-12-2021%2F22.%2520Valis%2520Danarti%25202022%2520-%252028%252011%252021.docx&usg=AOvVaw1pce_a-rDyzvXvOgU6S4pn).

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზი პრიორიტეტულია, რადგან ის გვაძლევს პასუხს მთავრობის შესაძლებლობების შესახებ, თუ რამდენად ეფექტიანად მოემსახურება იგი დაკისრებულ ვალდებულებებს საშუალო და გრძელვადიან პერიოდში. ამ ანალიზის ჩატარება კიდევ უფრო ამაღლებს გამჭვირვალობის დონეს სახელმწიფოში და ასევე მნიშვნელოვანია ეფექტური საჯარო ფინანსების მართვის მეთოდების შემუშავებისთვის. ანალიზში შეფასებულია ის რისკ ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ სამთავრობო ვალის პორტფელზე. მისი დახმარებით შესაძლებელია წინასწარ განისაზღვროს ნეგატიური ფაქტორებით გამოწვეული შედეგები და შემუშავდეს შესაბამისი სამოქმედო გეგმა (https://www.mof.ge/images/File/DSA-mdgradobis-analizi.pdf).

მთავრობის ვალის მდგრადობის ანალიზში იყენებენ საბაზისო და ალტერნატიულ სცენარებს და შესაბამის ცვლადებზე დაყრდნობით აკეთებენ დაშვებებს, რათა მიიღონ საჭირო მონაცემები. ეს ცვლადი შეიძლება იყოს – რეალური მშპ–ს ზრდა, ინფლაცია, სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი და სხვა. ანალიზში, საბაზისო სცენარი არის

ეკონომიკური განვითარების ის ვარიანტი, რომლის რეალურად მოხდენის ალბათობა გარკვეულ პერიოდში ყველაზე მაღალია. ამ სცენარის შესაბამისად ხდება შემდგომში ბიუჯეტის დაპროექტება. ალტერნატიული სცენარების გამოყენებით კი ხდება სახელმწიფო ვალის მდგრადობაზე სხვადასხვა მაკროეკონომიკური და ფისკალური შოკების გავლენის შეფასება. (იხ. დანართი 3–4)

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგია

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიის დოკუმენტი არის საქართველოს მთავრობის გეგმა, რომელიც უზრუნველყოფს ვალის მართვის შესაბამისი პოლიტიკის გატარებასა და დასახული მიზნების მიღწევას.

2020 წლის დასაწყისში გავრცელებულმა გლობალურმა პანდემიამ უარყოფითი გავლენა იქონია მსოფლიოს ყველა ქვეყანის და მათ შორის საქართველოს ეკონომიკაზეც. 2020 წელს ეკონომიკა 6.2%–ით შემცირდა, 9.3%-ით გაიზარდა ბიუჯეტის დეფიციტის ფარდობა მშპ–სთან, ეროვნული ვალუტა გაუფასურდა მნიშვნელოვან ვალუტებთან მიმართებაში, რამაც გაზარდა მთავრობის ვალის მშპ–სთან ფარდობა, რომელმაც გადააჭარბა საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ 60%–იან ნიშნულს. შესაბამისად მთავრობის ვალის მართვაში წარმოიშვა ახალი რისკები და მნიშვნელოვანი გახდა შემდეგი სტრატეგიული ბერკეტების გამყარება:

1. მთავრობის წმინდა ვალის მშპ–სთან ფარდობის შემცირება;
2. მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა;
3. საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა;
4. მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია;
5. მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება.

განვიხილოთ თითოეული მიმართულება:

მთავრობის წმინდა ვალის მშპ–სთან ფარდობის შემცირება

საქართველო ყოველთვის გამოირჩეოდა ვალის დაბალი მაჩვენებლებით. თუმცა, მსოფლიოში პანდემიის გავრცელების შედეგად ეკონომიკის სხვადასხვა მიმართულებით გაზრდილმა დანახარჯებმა სამთავრობო ვალის მშპ–სთან ფარდობა 2020 წლისთვის საგრძნობლად გაზარდა. ამდენად, მთავრობის ახალ მთავარ მიზნად იქცა ამ მაჩვენებლის კრიზისამდელ მდგომარეობაში დაბრუნება. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განსაზღვრა მთავრობის ვალის უსაფრთხო დონე მშპ-ის 40%–ის ოდენობით, თუმცა 2021 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 51.2% იყო.

მთავრობის ვალის შემცირების მრავალი ინსტრუმენტი არსებობს და მათ შორის ერთდერთია ბიუჯეტის დეფიციტის მშპ–სთან ფარდობის მაჩვენებელი. სავალუტო კურსიც განსაკუთრებულად მოქმედებს მთავრობის ვალის მოცულობაზე. აქვე აღსანიშნავია ისიც, რომ კურსის გამყარება ან გაუფასურება მთავრობის პოლიტიკის მთავარ მიზანს არ წარმოადგენს, ამიტომ კეთდება დაშვება საპროგნოზო პერიოდისთვის გაცვლითი კურსის უც-

ვლელად შენარჩუნებაზე. ფისკალური დეფიციტის შემცირება მთავრობის წმინდა ვალის მშპ–სთან ფარდობის 40%–‘-“ მაჩვენებლამდე დასაყვანად ერთადერთი საშუალებაა.

პანდემიის შედეგად წარმოქმნილი ეკონომიკური შოკის შემდეგ, ხსენებული სტრატეგიის გამოყენება და წმინდა ვალის მყისიერი შემცირება მშპ–ის 40%–მდე არ არის მიზანშეწონილი, გამომდინარე იქედან, რომ ამისათვის ბიუჯეტის დეფიციტის მკვეთრი შემცირება იქნება საჭირო. დასახული მაჩვენებლის მიღწევა შესაძლებელია 2030 წლისათვის (იხ. დანართი 5).

მთავრობის ვალის პორტფელში ლარში დენომინირებული ვალის წილის ზრდა

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალი სახელმწიფო ვალის საკმაოდ დიდ ნაწილს შეადგენს, ამიტომ ეს საკითხი ვალის მართვის უმთავრესი პრობლემაა. 2021 წლისთვის ხსენებულმა ვალმა მთლიანი პორტფელის 81% შეადგინა.

სამთავრობო ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილის მაჩვენებელი ქვეყნის სუვერენულ რეიტინგზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს. საქართველოს სახელმწიფო საგარეო ვალის საგრძნობლად მაღალი დონე მნიშვნელოვნად ასუსტებს ქვეყნისთვის საკრედიტო რეიტინგის გაუმჯობესების შესაძლებლობას. საგარეო ვალის მაღალი წილი, ასევე ხელს უშლის ვალის მართვის ეფექტიანი პოლიტიკის გატარებას. იმისათვის, რომ ვალის მშპ–სთან ფარდობის გრძელვადიანი მიზნობრივი მაჩვენებელი მიღწეულ იქნეს საჭიროა ვალი მეტად მართვადი იყოს, რაც პორტფელში საშინაო ვალის წილის ზრდითაა შესაძლებელი. ამ მიმართულებით უკვე განსაზღვრულია შემდეგი მიზნობრივი მაჩვენებლები:

1. უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის მშპ–სთან ფარდობა უნდა შემცირდეს 35%–მდე;

2. მთლიანი ვალის პორტფელში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ვალის წილი უნდა შემცირდეს 72%–ზე დაბალ ნიშნულამდე.

ამ მაჩვენებლების მიღწევა დაგეგმილია 2025 წლისთვის.

საგარეო სესხების განვითარებაზე ორიენტირებულობის ზრდა

საქართველო საერთაშორისო საფინანსო და ორმხრივი განვითარების პარტნიორებისგან იღებს ორი სახის სესხს: საინვესტიციო პროექტებზე მიბმული სესხები და რეფორმის დასაფინანსებლად აღებული, პროგრამული, სესხები.

სამთავრობო ვალის ლარიზაციის მიზნიდან გამომდინარე, ვალის მართვის სტრატეგია ფოკუსირებულია მაღალი ტრანსფორმაციული ეფექტის მქონე სესხებზე. ამ სტრატეგიული მიზნის მისაღწევად სესხის აღებისას განისაზღვრა შემდეგი ძირითადი პრინციპები:

- საინვესტიციო სესხებს მთავრობა აიღებს მხოლოდ კომპლექსური პროექტების განსახორციელებლად და არ გააკეთებს განაცხადს სესხის თაობაზე ისეთი პროექტებისთვის, რომელთა განხორციელება სახელმწიფო ბიუჯეტის რესურსებითაც არის შესაძლბელი;
- თითოეული საინვესტიციო სესხით განხორციელებული პროექტებისათვის უნდა არსებობდეს დადებითი შეფასება მისი ეფექტიანობის შესახებ. სესხის აღება შესაძლებელი

იქნება იმ პროექტებისათვის, რომლებსაც გავლილი აქვთ წინასწარი შერჩევის ეტაპი სახელმწიფო ინვესტიციების მართვის მეთოდოლოგიის მიხედვით და მიღებულია დადებითი გადაწყვეტილება უწყებათაშორისი კომისიის მიერ;

- თუ სახელმწიფო საწარმო რეფორმირებისადმი მზად ყოფნას გამოაცხადებს, მხოლოდ ამ შემთხვევაში განხორციელდება თანხის გადასესხება მასზე.. ასე მთავრობა სტიმულს მისცემს კომპანიებს შევიდნენ კერძო კაპიტალის ბაზარზე და მოპოვებული რესურსების გამოყენებით განახორციელონ კომპანიაში ინვესტირება. ასევე მთავრობა კომპანიებზე გადასესხებული სესხების საბაზრო ინსტრუმენტებში კონვერტაციას მოახდენს. აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ 2025 წლისთვის 900მლნ–მდე ლარის გადასესხებული სესხების საბაზრო ინსტრუმენტებში კონვერტაცია მოხდება.
- პროგრამული სესხის აღება 2022 წლიდან მხოლოდ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაციული რეფორმებისთვის იქნება შესაძლებელი. პრიორიტეტულია განხორციელდეს განსაკუთრებული ტრანსფორმაციული ხასიათის მქონე რეფორმები, რადგან 2022–2025 წლებისათვის პროგრამული სესხების აღებაზე დაწესდება ლიმიტი 250 მლნ აშშ დოლარის ოდენობით.

მთავრობის ვალის პორტფელის ხარჯისა და რისკის ოპტიმიზაცია

ხსენებული მიმართულება ვალის ფორტფელისათვის რეფინანსირების რისკთან დაკავშირებულ საკითხებს და საგარეო სესხების აღებისას გასათვალისწინებელ მთავარ საკითხებს მოიცავს.

რეფინანსირების რისკის მართვისათვის პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობის მაქსიმალურად გაზრდა და მთლიან პორტფელთან მიმართებაში ერთ წელში დასაფარი ვალის სიდიდის კონტროლია მნიშვნელოვანი. შედეგად მთავრობა თავიდან აირიდებს ვალის დაფარვის გრაფიკებზე პიკების წარმოქმნას. ამისათვის მნიშვნელოვანია:

- მთავრობის მთლიანი ვალის პორტფელის საშუალო შეწონილი ვადიანობა 5.5 წელზე , ხოლო საშინაო ვალისთვის ეს მაჩვენებელი შენარჩუნდეს 3 წელზე ზევით;
- ერთ წელში დასაფარი ვალის წილი არ უნდა აღემატებოდეს 15%–ს მთლიანი ვალის პორტფელისა.

საგარეო სესხებისთვის აღნიშნული მიმართულება გულისხმობს სესხზე გასაწევი ხარჯებისა და მასთან დაკავშირებული რისკების მისაღებ დონეზე შენარჩუნებას. ძირითადი ფაქტორები, რომლებზეც უნდა გამახვილდეს ყურადღება არის :

- გრანტის კომპონენტი – სხვაობა განვითარების პარტნიორებისაგან შეღავათიანი პირობებით მიღებულ სესხსა და საბაზრო პირობებში ალტერნატიულ სესხზე მომსახურების მიმდინარე ღირებულებებს შორის. სესხი შეღავათიანია, თუ გრანტის კომპონენტი მაღალია.
- სესხის ვალუტა – ლარის გაცვლითი კურსის დინამიკასთან დაკავშირებული გრძელვადიანი ანალიზი აჩვენებს , რომ ლარი ევროსთან ნაკლები მეორყეობით ხასიათდება. ევროზონასთან დაახლოება საგარეო ვალის პორტფელში ევროში სესხების წილის ზრდას იწვევს, რაც ამცირებს სავალუტო რისკებს და შესაბამისად, სესხის ვალუტის არჩევისას ევროში დენომინირებულ სესხებს დიდი უპირატესობა ენიჭებათ.

• საპროცენტო განაკვეთის ტიპი – ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე ვალის წილი საგარეო ვალის პორტფელში არ იყოს 50%–ზე ნაკლები. ამდენად სეხების აღებისას მთავრობა ორიენტირებულია ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებზე.

მთავრობის ფასიანი ქათალდების ბაზრის განვითარება

საერთაშორისო გამოცდილებით დასტურდება, რომ მთავრობის ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება მეტად ამცირებს ბიუჯეტისთვის სესხების მომსახურებაზე გაწეულ ხარჯებს და იმ რისკებს, რომლებიც საშუალო და გრძელვადიან პერიოდში შესაძლოა წარმოიქმნან. მთავრობას შეეძლება ფულადი სახსრების ეფექტიანი მართვა და ფინანსურ საჭიროებებზე სწრაფი რეაგირება. ფასიანი ქაღალდების ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს ლარიზაციის ზრდას ვალის პორტფელში. აღნიშნული ბაზრის განვითარება ხელს შეუწყობს ინვესტორთა ბაზრის ჩამოყალიბებასა და გაფართოებას, ასევე იგი შექმნის სხვა კორპორაციული ფასიანი ქაღალდებისთვის ბენჩმარკს, რაც კორპორაციულ ემიტენტებს მისცემს საშუალებას უფრო მარტივად მოიზიდონ ინვესტორები.

მთავრობის ვალის მართვის სტრატეგიულ მიზნებს ამ მიმართულებით წარმოადგენს: ბაზრის ლიკვიდობის ზრდა; ფასიანი ქაღალდების გამჭვირვალობის, მიწოდებისა და პროგნოზირებადობის ზრდა; ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციის ზრდა.

დასახული მიზნების მისაღწევად საჭიროა გადაიდგას შემდეგი ნაბიჯები:

ლიკვიდობის ზრდის მიმართულებით:

1) ფასიანი ქაღალდების მოცულობის ზრდა – თუ მიმოქცევაში გაიზრდება ფასიანი ქაღალდების მოცულობა, მაშინ ავტომატურად გაიზრდება ინვესტორთა ინტერესიც, რადგან გაზრდილი ბაზარი ბაზარზე შესვლისა და ბაზრიდან გამოსვლის რისკებს ამიცირებს.

2) მეორადი ბაზრის განვითარება – ინვესტორებისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს განვითარებულ მეორად ბაზარს, სწორედ ამიტომ, 2020 წელს ფინანსთა სამინისტრომ საერთაშორისო პარტნიორი ორგანიზაციების დახმარებით დანერგა პირველადი დილერების საპილოტე პროგრამა, რომლის შემდგომი განვითარება და სრულ სისტემაზე გადასვლა ჩვენი ქვეყნისთვის უმნიშვნელოვანესია .

3) ძლიერი ბენჩმარკი – 2018 წელს ფინანსთა სამინისტრომ ბენჩმარკ ფასიანი ქაღალდების გამოშვება დაიწყო და მათმა მოცულობამ 240 მლნ ლარი შეადგინა. ამ დროისთვის ბენჩმარკის მოცულობა 972 მლნ ლარს შეადგენს, რაც საკმაოდ კარგი შედეგია.

ინვესტორთა ბაზის დივერსიფიკაციის მიმართულებით:

1) არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდა – შედეგად მოხდება ინვესტორთა ბაზის ზრდა, შემცირდება ადგილობრივ ვალუტაში დენომინირებული ვალის ხარჯი და გაიზრდება უცხოური ვალუტების შემოდინება ქვეყანაში, რისთვისაც მუდმივ რეჟიმში მიმდინარეობს ინვესტორებთან მოლაპარაკებები. არარეზიდენტი ინვესტორების წილის ზრდა 25%–მდე ფასიანი ქაღალდების მფლობელობაში 2025 წლის მიზნობრივ მაჩვენებლადაა განსაზღვრული.

2) ლოკალური ფასიანი ქაღალდების ბაზარზე საერთაშორისო ფინანსური სერვისების კომპანია EuroClear–ის შემოყვანა. ამ კომპანიის არსებობა ბაზარზე გაზრდის ნდობას

ინვესტორთა მხრიდან, რაც ხელს შეუწყობს საერთაშორისო ტრანზაქციების გამარტივებასა და მათზე გაწეული ხარჯების შემცირებას.

ფასიანი ქაღალდების პროგნოზირებადობის, მიწოდებისა და გამჭვირვალობის ზრდის მიმართულებით: ადგილობრივი ბაზრისთვის სახაზინო ფასიანი ქაღალდების გამოშვებასთან დაკავშირებული წლიური გეგმის შექმნა და წინასწარ გამოქვეყნება. მომდევნო წლებისათვის საპრონოზო მაჩვენებლების განსაზღვრა და ინფორმაციის ინვესტორებისათვის მიწოდება, რაც ინვესტორების ნდობას ემიტენტის მიმართ გაამყარებს და საშუალებას მისცემს მათ გაცილებით უფრო მარტივად მართონ ფინანსური რესურსები (https://www.mof.ge/images/File/sagvalebi/2021/29-11-2021/DMS2022D_draft.pdf).

დასკვნა

საქართველოს მთავრობა სახელმწიფო ვალის მართვის გაუმჯობესებისა და სრულყოფისთვის სხვადასხვა ტიპის ბერკეტების გამოყენებით გეგმავს: სრულყოფილი ვალის მდგრადობის ანალიზის ჩატარებას, სტრატეგიის შემუშავებასა და შესაბამისი დოკუმენტაციის მომზადებას, სადაც ზედმიწევნით იქნება გაწერილი სამოქმედო გეგმა დასახული მიზნების მისაღწევად და სრულიად უზრუნველყოფილი ამ ინფორმაციის გამჭვირვალობა, რაც გაზრდის აღნიშნულ საკითხზე ინვესტორების, კრედიტორების, სარეიტინგო ორგანიზაციების, საზოგადოების ინფორმირებულობასა და დაინტერესებას. შედეგად, მოხდება მეტი სესხის მოზიდვა და აღებული სესხების სწორი მიმართულებით ინვესტირება, უკუგების მაქსიმიზაცია, წარმოქმნილი რისკების მინიმუმამდე დაყვანა და ქვეყნის ეკონომიკის დასტაბილურება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1) ჩიკვილაძე მ., არჩვაძე ი. – „საჯარო ფინანსები“ თბ., 2021 წ.
2) https://www.transparency.ge/sites/default/files/saxelmcipo-valis-agricxvis-metodologia-saertashoriso-standartebs-ar-sheesabameba.pdf
3) https://matsne.gov.ge/ka/document/view/32452?publication=13
4) http://sab.ge/ge/activitiesresearch/897-saxelmcipos-valis-analizi
5) https://mof.ge/5233
6) https://mof.ge/5231
7) https://mof.ge/saxelmwifo_sagareo_valis_statistika
8) https://mof.ge/saxelmwifo_sashinao_valis_statistika
9) https://mof.ge/5343
10) https://mof.ge/4838
11) https://www.mof.ge/images/File/sagvalebi/2021/29-11-2021/DMS2022D_draft.pdf
12) https://www.mof.ge/images/File/DSA-mdgradobis-analizi.pdf
13) https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=&ved=2ahUKEwib6IKzrYv1AhXfSPEDHfc7DjkQFnoECBoQAQ&url=https%3A%2F%2Fwww.mof.ge%2Fimages%2FFile%2F2022-biujeti%2F02-12-2021%2F22.%2520Valis%2520Danarti%25202022%2520-%252028%252011%252021.docx&usg=AOvVaw1pce_a-rDyzvXvOgU6S4pn

დანართი 1: საგარეო ვალი 2021 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით

კრედიტორი	კრედიტის ვალუტა	ნაშთი ათასი აშშ დოლარი	ნაშთი ათასი ლარი
მთავრობის საგარეო ვალი		*7,500,802*	*23,423,505*
მრავალმხრივი კრედიტორები		5,444,602	17,002,403
ორმხრივი კრედიტორები		1,554,656	4,854,880
ფასიანი ქაღალდები		500,000	1,561,400
გარანტირებული კრედიტები		1,544	4,821

დანართი 2: საშინაო ვალი 2021 წლის 30 სექტემბრის მონაცემებით

სულ	**5,495,516.4**
სახაზინო ფასიანი ქაღალდები	**5,135,907.0**
6 თვიანი ვალდებულებები	75,000.0
12 თვიანი ვალდებულებები	255,000.0
2 წლიანი ობლიგაციები	980,000.0
5 წლიანი ობლიგაციები	2,520,339.0
10 წლიანი ობლიგაციები	1,305,568.0
სხვა ფასიანი ქაღალდები	**320,846.0**
ობლიგაცია სებ-სთვის	160,846.0
ღია ბაზრის ოპერაციებისთვის განკუთვნილი ოპერაციები	160,000.0
საბიუჯეტო ორგანიზაციების სესხის სახით აღებული ვალის ნაშთი	**38,763.4**

დანართი 3:



დანართი 4:

მთავრობის ვალის ცვლილებაზე მოქმედი ფაქტორები (%-ად მშპ-თან), საბაზისო სცენარი



დანართი 5: 2021-2030 წლის საპროგნოზო დინამიკა ბიუჯეტის დეფიციტისა და წმინდა ვალის მშპ-სთან ფარდობისა



შრომის საერთაშორისო დანაწილება და საერთაშორისო წარმოება

დიმიტრი კითაია

მსოფლიო ეკონომიკა ერთმანეთთან დაკავშირებული ეროვნული ეკონომიკების ერთობლიობაა. მსოფლიო ეკონომიკას უმნიშვნელოვანესი ადგილი უჭირავს ყველა ქვეყნისთვის. ქვეყნები აწარმოებენ პროდუქტს ან მომსახურებას. ქვეყნის საწარმოო შესაძლებლობები მნიშვნელოვანი ფაქტორია ეკონომიკური განვითარებისა და კეთილდღეობისთვის. მსოფლიო ეკონომიკური განვითარების საფუძველს წარმოადგენს შრომის დანაწილება, რომელიც თავისთავად საწინდარია ქვეყნის ეკონომიკური პროგრესის მისაღწევად. შრომის დანაწილება ნიშნავს, რომ დიფერენცირებულია შრომითი საქმიანობები, რომლებიც შემადგენელი ნაწილებია ერთიანი ეკონომიკის. არცერთ ქვეყანას არ შეუძლია უზრუნველყოს ყველა ის პროდუქტი და მომსახურება, რაც მას სჭირდება. სწორედ აქ უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს შრომის დანაწილება, რომელიც შრომითი საქმიანობების საერთაშორისო დიფერენციაციით საშუალებას იძლევა ქვეყნებმა მოახდინონ იმპორტირება იმ პროდუქტისა, რომელიც საკუთარ საზღვრებში არ გააჩნიათ და სხვა ქვეყანა აწარმოებს. შრომის დანაწილებას ადგილი აქვს არამხოლოდ ქვეყნებს შორის, არამედ ქვეყნის შიგნითაც შედარებით მცირე მასშტაბებით. შეუძლებელია არ შევნიშნოთ ის ფაქტი, რომ გასული რამდენიმე წლის განმავლოვაში მსოფლიო ეკონომიკის ყველა სფეროზე და არამარტო ეკონომიკის უარყოფითად იმოქმედა პანდემიამ და ზიანი მიაყენა საწარმოო პროცესების განვითარებას. პანდემიით მიყენებული ეკონომიკური ზიანის შედეგებიდან გამოსასვლელად მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულოს შრომის საერთაშორისო დანაწილებამ.

სტატიაში ყურადღება გამახვილებულია შრომის საერთაშორისო დანაწილებაზე, მის მნიშვნელობაზე მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის და საერთშორისო გამოცდილებასა და პრაქტიკაზე შრომის დანაწილებაში. დახასიათებულია შრომის დანაწილების სახესხვაობები. მისი მიზანია შრომის დანაწილების მნიშვნელოვანი ასპექტების დახასიათება და მასზე მოქმედ ფაქტორებზე აქცენტირება.

საკვანძო სიტყვები: *მსოფლიო ეკონომიკა, შრომის საერთაშორისო დანაწილება, საერთაშორისო წარმოება, საერთაშორისო გამოცდილება დ პრაქტიკა, შრომის დანაწილების სახესხვაობები.*

მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანა ჩართულია შრომის დანაწილებაში და საერთაშორისო წარმოებაში. ერთმანეთს აწვდიან ისეთ პროდუქტებს, რომლებიც საჭიროა მოსახელობის მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად. შრომის დანაწილებას თან ახლავს გაცვლითი ურთიერთობების გაფართოება და იგი ძალიან აქტუალური საკითხია მსოფლიოსთვის.

შრომის დანაწილება მარავალი წლის განმავლობაში ვითარდებოდა. მასზე უდიდესი გავლენა იქონია სამეცნიერო-ტექნიკურმა პროგრესმა და საბაზრო ურთიერთობების განვითარებამ. სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი განაპირობებს ახალი პროდუქტების და დარგების წარმოშობას, ბაზრის გაფართოება კი ამარტივებს მწარმოებლებს შორის პროდუქტების გაცვლას და ხელს უწყობს მოთხოვნილებების დაკმაყოფილებას. ასევე შრომის დანაწილების განვითარება მწარმოებლურობასა და შრომის ხარისხს აუმჯობესებს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი ხელს უწობს ასევე წარმოებას, მის ფუნქციონირებას. ტექნო-

ლოგიური განვითარების წყალობით წარმოება უფრო მარტივი და ნაკლებ დანახარჯიანი ხდება. ალბათ ბევრ დასაბუთებას არ საჭიროებს, რომ საერთაშორისო წარმოება მეტად აქტუალურია და მნიშვნელოვანი, შეიძლება ითქვას, აუცილებელი საზოგადოებისთვის.

ეკონომისტები ხშირად შრომის დანაწილების მნიშვნელობაზე ეკონომიკისა და საზოგადოების კეთილდღეობისთვის. ბრიტანელი ეკონომისტი ალფრედ მარშალი თავის თაშრომში ,,ეკონომიკური მეცნიერების პრინციპები" წერს, რომ საზოგადოების განვითარება გამოწვეულია მის სხვადასხვა ნაწილებს შორის ფუნქციების გადანაწილებით, ერთი მხრივ, და მათ შორის სულ უფრო მჭიდრო კავშირით მეორე მხრივ. მარშალი ასევე წერდა: ,,ყოველი ნაწილი ხდება სულ უფრო ნაკლებად თვითუზრუნველმყოფი, ხოლო მისი კეთილდღეობა კი სულ უფრო მეტად დამოკიდებული სხვა ნაწილებზე. ეს ფუნქციების მზარდი განაწილება, ან, როგორც მას უწოდებენ, ,,დიფერენციაცია" მრეწველობაში ვლინდება ისეთი ფორმებით, როგორიცაა: შრომის დანაწილება, სპეციალიზებული კვალიფიკაციის, ცოდნისა და მანქანების განვითარება..."[1]

შრომის საერთაშორისო დანაწილება, მისი სახესხვაობები და მასზე მოქმედი ფაქტორები

შრომის საერთაშორისო დანაწილება სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციას ასახავს, რომელიც ცალკეული ქვეყნის შიგნით არსებული შრომის დანაწილების გაგრძელებას წარმოადგენს. შრომის დანაწილება არის შრომითი საქმიანობის დიფერენციაცია, სპეციალიზაცია, რაც იწვევს მისი სხვადასხვა სახეობის გამოყოფას თანაარსებობას, საზოგადოებაში შრომითი საქმიანობის სახეების განცალკებებას.

შრომის დანაწილება შეიძლება იყოს ფუნქციური და ტერიტორიული. ფუნქციური დანაწილება თავის მხრივ მოიცავს ისეთ სახეებს, როგორიცაა: საზოგადოებრივი და ტექნიკური. შრომის საზოგადოებრივი დანაწილება არის საზოგადოებაში სხვადასხვა სოციალური ფუნქციის დიფერენციაცია, რომლებიც შესრულებულია ადამიანთა გარკვეული ჯგუფების მიერ და მიეკუთვნებიან განსაზღვრულ პროფესიულ ჯგუფებს. შრომის ტექნიკური დანაწილება არის შრომის დანაწილება ფუნქციებად, ოპერაციებად საწარმოს ან ორგანიზაციის ფარგლებში. იგი დამახასიათებელია ისეთი საწარმოებისთვის, რომლებიც დამყარებულია მანქანურ ტექნიკაზე. შრომის ტერიტორიული დანაწილება ასევე იყოფა: რეგიონულად და საერთაშორისოდ. რეგიონული, რომელიც ხორციელდება ქვეყნის რეგიონებს შორის და საერთაშორისო, რომელიც ხორციელდება სხვადასხვა ქვეყნებს შორის.

საქართველოში გავრცელებულია რეგიონული შრომის დანაწილება, რომელიც გამოიხატება იმაში, რომ სხვადასხვა პროდუქტი იწარმოება სხვადასხვა რეგიონებში.

გამოიყოფა ასევე შრომის დანაწილების სამი ძირითადი ტიპი: ზოგადი-წარმოების სფეროების მიხედვით, კერძო- დარგების და ქვედარგების მიხედვით, ერთეული დარგის შიგნით.

შრომის საერთაშორისო დანაწილება ვლინდება ორი პროცესის ერთიანობაში: სპეციალიზაცია და კოოპერაცია. სპეციალიზაცია არის საწარმოო და ტერიტორიული. სპეციალიზაციის ძირითად სახეებს წარმოადგენს: საგნობრივი-სპეციალიზაცია ცალკეული პროდუქტის წარმოებაზე; დეტალური- სპეციალიზაცია პროდუქტის ცალკეული ნაწილის

წარმოებაზე; ტექნოლოგიური(სტადიური) სპეციალიზაცია ცალკეული ოპერაციის შესრულებაზე. კოოპერაცია არის საქმიანობის გაერთიანების რთული პროცესი, ის მოიცავს კოოპერაციაც: სახეობის მიხედვით, სტადიების მიხედვით და ობიექტებისა და სუბიექტების რაოდენობის მიხედვით.

შრომის დანაწილება აისახება ასევე შრომის პროფესიულ დანაწილებაში. გარკვეული პროფესიის შესწავლისას ადამიანი იღებს ცოდნას რაიმე სფეროში სამუშაოდ. ის სპეციალიზდება იმ საქმეში, რომელსაც უფრო ეფექტიანად აკეთებს, ვიდრე სხვა. მას გააჩნია შედარებითი უპირატესობა. შედარებით უპირატესობას ადგილი აქვს ასევე ქვეყნებს შორისაც. სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული რესურსები აქვთ, როგორიცაა: ტერიტორია, მოსახლეობა, სასარგებლო წიაღისეული, ცოდნა, ტექნოლოგიები, ინოვაციები და სხვა. ყველა ქვეყანა სპეციალიზდება იმ დარგში,რომელშიც მას გააჩნია თავისი რესურსებით გამოწვეული შედარებითი უპირატესობა, სხვა ქვეყნებთან შედარებით. ამ დროს ეკონომიკური სუბიექტები თავიანთი საწარმოო ძალის თავმოყრა ახდენენ საქმიანობის ერთ ან რამდენიმე სახეზე. ის ასევე საშუალებას იძლევა შეზღუდული რესურსები გამოყენებულ იქნას ეფექტიანად და აწარმოოს და მოიხმაროს და მოიხმაროს საქონლისა და მომსახურების მეტი რაოდენობა, ვიდრე სპეციალიზაციის უქონლობისას.

სპეციალიზაციის საპირისპიროს წარმოადგენს თვითკმარობა, რომელიც ნიშნავს, რომ ქვეყანა საერთოდ არ მონაწილეობს საერთაშორისო გაცვლაში, ან შემოაქვს ისეთი საქონელი, რომელიც გადუდებელ მოთხოვნას არ წარმოადგენს, მხოლოდ მოსახლეობის მცირე ნაწილისთვის. სრული სპეციალიზაციის დროს ქვეყანა აწარმოებს ისეთ პროდუქტს, რომელიც სხვაგან არ იწარმოება და მას კონკურენტები არ ჰყავს. არასრული სპეციალიზაცია არის, როცა ერთსა და იმავე პროდუქტს რამდენიმე ქვეყანა აწარმოებს და კონკურენციას უწევენ ერთმანეთს.

მნიშვნელოვანია აქვე მოვიყვანოთ ადამ სმიტის თეორია შრომის სანაწილებაზე: ,, განვითარებული ქვეყნების შემოსავლის დონე დამოკიდებულია მათ მიერ მიღწეულ შრომის დანაწილების მაღალ ხარისხზე. შრომის დანაწილება ზრდის შრომის პროდუქტიულობას,რაც ერთ სულ მოსახლეზე შემოსავლის ზრდაზე მოქმედი ძირითადი ფაქტორინ2

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა, რა თქმა უნდა, ხელსაყრელია ყველა ქვეყნისთვის. ქვეყნებს შეზღუდული რესურსები გააჩნიათ და ამის პირობებში საჭირო ხდება მოსახლეობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილება.

შრომის საერთაშორისო დანაწილებაში უპირატესობების გამოსავლენად მარტივი მოდელია ,,ორი ქვეყანა- ორი საქონელინ. დავუშვათ, რომ მსოფლიო მეურნეობა ორი ქვეყნით არის წარმოდგენილი, რომლებიც იმ პროდუქტს აწარმოებენ, რომელშიც მათ უპირატესობა გააჩნიათ. ისინი მართალია ერთ პროდუქტს აწარმოებენ, მაგრამ საერთაშორისო გაცვლის საჭუალებით შეუძლია მოიხმაროს ორივე პროდუქტი.

სამეურნეო ცხოვრების ინტერნაციონალიზაციაზე, შრომის დანაწილებაზე, მოქმედებს შემდეგი ფაქტორები:

- გეოგრაფიელი ფაქტორები, ბუნებრივი რესურსები;
- საწარმოო განვითარების დონე;
- სამეცნიერო-ტექნიკური პროგრესი;

ამ ყველაფერთან ერთად შრომის დანაწილება შეუძლია შექმნას პრობლემებიც, რუტინული სამუშაოების შესრულების მონოტონურობის, ტექნოლოგიური უმუშევრობის ჩათვლით, წარმოიშობა გარკვეულ პროფესიებზე მოთხოვნის არარსებობის პირობებში, რომელიც ეკონომიკას ემუქრება მაშინ, როცა უნარი არ აქვს შრომის მაწარმოებლურობის ზრდის შედეგად გამოთავისუფლებული სამუშაო ძალის შთანთქმა მოახდინოს.

ყველა ქვეყანისთვის თავისი რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე დამახასიათებელია ეროვნული მეურნეობის გახსნისკენ სწრაფვა, უპირველესად, საგარეო ვაჭრობის განვითარების გზით. შრომის საერთაშორისო დანაწილება წარმოადგენს გლობალიზაციის შედეგს და იგი დაკავშირებულია თავისუფალი სავაჭრო ზონების ფორმირებასთან. შრომის საერთაშორისო დანაწილებას უდიდესი როლი აკისრია, როგორც გლობალური ეკონომიკის, ისე ცალკეული ქვეყნების განვითარებისთვის. მათ შორისაა საქართველოც, რომელიც აქტიურად მხოლოდ რეგიონულ შრომის დანაწილებაშია ჩართული. რაც შეეხება საერთაშორისო დანაწილებას, ამ მხრივ საქართველოს ჩართულობა უმნიშვნელოა. შრომის საერთაშორისო დანაწილებას შეუძლია დადებითად იმოქმედოს ქვეყნის ეკონომიკაზე. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ჩრთვა თვისუფალი ვაჭრობის საწინდარია, რაც თავის მხრივ ქვეყნის ეკონომიკური კეთილდღეობის წინაპირობას წარმოადგენს. ეს პროცესი ხელს შეუწყობს საქართველოს ინტეგრაციას საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში და პართნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას. შრომის საერთაშორისო დანაწილებაში ქვეყნის თავისუფალი მონაწილეობისაკენ გადადგმული უმნიშვნელოვანესი ნაბიჯია ვაჭრობის ლიბერალიზაცია, რომელიც შეიძლება წარმატებულად ჩაითვალოს თუ ის უზრუნველყოფს ქვეყნის, როგორც მსოფლიო ბაზარზე საქონლისა დამომსახურების მიმწოდებლის შესაძლებლობების გაფართოებას კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. საქართველოს მაგალითზე პირველ ნაბიჯად შეიძლება მოგვევლინოს მისი ევროკავშირში გაწევრიანებისკენ სწრაფვა, არამარტო ეკონომიკაზე, არამედ ყველა სფეროზე დადებითად აისახება.

საერთაშორისო წარმოება

სპეციალიზაციის განვითარება საფუძველს წარმოადგენს საერთაშორისო წარმოებისა და დარგების ტრანსნაციონალიზაციისთვის. საწარმოები და ფირმები თვიანთ წარმოებას აფართოებენ საკუთარი კვეყნებს გარეთ. ამის მრავალი მიზეზი არსებობს, მაგალითად, მასშტაბის ეფექტიდან დადებითი უკუგების მიღება, დანახარკების შემცირება და იაფი მუშახელი. საზღვარგარეთ მოღვაწე ფირმებს საწარმოები აქვთ ისეთ ქვეყნებში, სადაც წარმოება იაფი ჯდება, ასეთებია, მაგალითად, აღმოსავლეთ აზიის ქვეყნები. მრავალეროვნული საწარმოების საქმიანობა ხელს უწყობს შრომის საერთაშორისო დანაწილების და საერთაშორისო წარმოების ზრდას. საზღვარგარეთული ფილიალების საშუალებით განხორციელებული წარმოება ზრდის მაღალი ტემპით ხასიათდება.

წარმოების ტრანსნაციონალიზაცია ცვლის და აფართოებს ფირმების და საწარმოების საზღვრებს. საერთაშორისო წარმოების შედეგად მიღებული პროდუქტი ან მომსახურება თითქმის მთელ მსოფლიოში ვრცელდება. ფირმები ცდილობენ მათი პროდუქცია მაქსიმალურად ხელმისაწვდომი იყო გლობალური მასშტაბით. ტრანსნაციონალიზაციის გასაზო-

მად იყენებენ ტრანსნაციონალურობის ინდექსს, რომელიც გაერომ შეიმუშავა. ის გამოითვლება სამი მაჩვენებლის საშუალო არითმეტიკულით: კომპანიის საზღვარგარეთული აქტივების წილი მი მთლიან აქტივებში, საზღვარგარეთის ფილიალებში დასაქმებული ადამიანების წილი დასაქმებულთა საერთო რიცხოვნობაში და საზღვარგარეთ გაყიდვათა წილი მთლიან გაყიდვებში. ტრანსნაციონალიზაციის ინდექსის მნიშვნელობა წლიდან წლამდე იზრდება, რაც სამეცნიერო-ტექნოლოგიური განვითარებითაა გამოწვეული. ასევე ტრანსნაციონალური კომპანიების დასახასიათებლად გამოიყენება ინტერნაციონალიზაციის ინდექსი, რომელიც გამოითვლება საზღვარგარეთულ საწარმოთა რიცხვის შეფარდება საწარმოთა საერთო რიცხვთან და გეოგრაფიული გავრცელების ინდექსი, რომელიც გამოითვლება კვადრატული ფესვი ინტერნაციონალიზაციის ინდექსისა და მიმღები ქვეყნების რიცხვის ნამრავლიდან. 2022 წლის ეკონომიკების ინტერნაციონალიზაციის ინდექსმა 57.22% შეადგინა.

საერთაშორისო საწარმოები გავრცელებული ძირითადად მრეწველობაში, მომსახურების სფეროში. ყველა საწარმოსა, თუ ფირმის სურვილია და ისწრაფვის, რომ საწრამოები შექმნას საზღვარგარეთ ამას თავისი უპირატესობები გააჩნია:

- საკუთრებასთან დაკავშირებული უპირატესობები;
- ინტერნაციონალიზაციიდან მიღებული უპირატესობები;
- განთავსებიდან მიღებული სარგებელი;

ტრანსნაციონალურ ფირმებსაც გააჩნიათ თავისი უპირატესობები:

- ტექნიკური;
- საწარმოო;
- მომარაგების;
- მარკეტინგული;
- ორგანიზაციულ-მმართველობითი;
- მასშტაბის შიდა ეფექტის;
- ბაზარზე ხელმისაწვდომობის;

ტრანსნაციონალური კომპანიების საზღვარგარეთ უნქციონირებას უდიდესი დადებითი მნიშვნელობა აქვს მიმღები ქვეყნებისთვის: იქმნება სამუშაო ადგილები, გაიზრდება საგადასახადო შემოსავლები, რაც ქვეყნის ბიუჯეტის ზრდად გამოიწვევს. ასევე კომპანიის შემოსვლასთან ერთად შემოვა ახალი ტექნოლოგიები და ინოვაციები. ეს კი ქვეყნის განვითარებას იწვევს.

ტრანსნაციონალური კომპანიების ინვესტიციები განსაკუთრებით მნიშვნელოვანია გარდამავალი ქვეყნებისთვის, როგორიც საქართველოა. მართალია ეს ქვეყნები ჩამორჩებიან საერთაშორისო ტექნოლოგიურ სტანდარტებს, მაგრამ მათ არ უწევთ ყველაფრის ნულიდან დაწყება, რამეთუ იყენებენ ტრანსნაციონალური კომპანიების განვითარებასა და გამოცდილებას.

დღევანდელი გლობალიზაციის პირობებში ტრანსნაციონალური კომპანიები სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ეროვნული დამსოფლიო ეკონომიკის განვითარებაში. ქვეყნებში განხორციელებული პირდაპირი ინვესტიციები ხელშემწყობია დასაქმების ზრდის, უმუშევრობის შემცირების პროდუქტის კონკურენტუნარიანობის ამაღლების და

საგარეო ეკონომიკური ურთიერთობების გაძლიერების. რაც არუნდა სამწუხარო იყოს, კორპორაციული სისტემა საქართველოში ძალიან დაბალ დონეზეა განვითარებული.

საერთაშორისო წარმოება და შრომის საერთაშორისო დანაწილება მჭიდრო კავშირშია ერთმანეთთან და ორვე მათგანი უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისთვის.

ცხრილი 1.

ტნკ-ების ტოპ 10-ეული Global 2000-ის რეიტინგის მიხედვით 2019 წელს [4]

	ტნკ	ქვეყანა	ბრუნვა (მლრ. $)	მოგება (მლრ. $)	აქტივები (მლრ. $)	საბაზრო ღირებულ. (მლრ. $)
1.	ICBC	ჩინეთი	175.9	45.2	4,034.5	305.1
2.	JPMorgan Chase	აშშ	132.9	32.7	2,737.2	368.5
3.	China Construction Bank	ჩინეთი	150.3	38.8	3,382.4	225
4.	Agricultural Bank of China	ჩინეთი	137,5	30.9	3,293.1	197
5.	Bank of America	აშშ	111.9	28.5	2,377.2	287.3
6.	Apple	აშშ	261.7	59.4	373.7	961.3
7.	Ping An Insurance Group	ჩინეთი	151.8	16.3	1,038.3	220.2
8.	Bank of China	ჩინეთი	126.7	27.5	3,097.6	143
9.	Royal Dutch Shell	ნიდერლანდები	382.6	23.3	399.2	264.9
10.	Wells Fargo	აშშ	101.5	23.1	1,887.8	214.7

წყარო: Global 2000 (2019 წ.)

დასკვნა

შრომის საერთაშორისო დანაწილება, როგორც აღვნიშნეთ მნიშვნელოვან ადგილს იკავებს გლობალური თვალსაზრით შრომის მწარმოებლურობაზე. იგი ჩართულია თითქმის ყველა სფეროში. ქვეყნებმა შრომის დანაწილების საფუძველზე უნდა აწარმოონ ის პროდუქტი, რომელშიც შედარებითი უპირატესობა გააჩნიათ. ამ უპირატესობას მრავალი ფაქტორი განაპირობებს. შრომის საერთაშორისო დანაწილება თავისი დადებითი ასპექტებით უდიდესი ხელშემწყობია ეკონომიკის განვითარებისთვის და ქვეყნების კეთილდღეობისთვის.

შრომის საერთაშორისო დანაწილება თავის მნიშვნელოვან ადგილს იკავებს საერთაშორისო წარმოებაში, რომელშიც ქვეყნების უმეტესობაა ჩართული. საერთაშორისო წარმოებაში დიდი წილი აქვს ტრანსნაციონალურ კომპანიებს, რომლებიც მრავალ ქვეყანაში აწარმოებენ პროდუქციას, რომელის თითქმის მთელ მსოფლიოშია ხელმისაწვდომი. საქართველოსთვისაც უაღრესად დიდი მნიშვნელობა ექნება ტრანსნაციონალური კომპანიების შემოსვლას, მათ მოზიდვას საქართველოში, რას ბევრ სფეროში დადებით ასახვას ჰპოვებს და ქვეყნის განვითარებას გამოიწვევს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გურივა ი. (2014). მსოფლიო ეკონომიკა
2. კაკულია ე., ლაზარაშვილი თ. ტრამსეროვნული კომპანიების ზეგავლენა გარდამავალ ეკონომიკაზე
3. სმიტი, მარშალი და იანგი შრომოს დანაწილებაზე (2003)- ევროპული ჟურნალი ეკონომიკის ისტორია https://www.researchgate.net/publication/24079786_Smith_Marshall_and_Young_on_division_of_labour_and_economic_growth
4. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებ-გვერდი http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
5. ტრანსნაციონალური ინდექსი https://en.wikipedia.org/wiki/Transnationality_Index
6. Kakulia E., LazaraSvili T.- The Impact of Transnational Companies on the Transition Economy
7. Smith, Marshall and Young on division of labor (2003). The European Journal of the History of Economic Thought https://www.researchgate.net/publication/24079786_Smith_Marshall_and_Young_on_division_of_labour_and_economic_growth
8. Gurova I. (2014). The World Economy
9. Official Website of The Ministery of Economy and Sustainable Development of Georgia http://www.economy.ge/?page=ecopolitic&s=12
10. Transnationality index https://en.wikipedia.org/wiki/Transnationality_Index

ეკოლოგიური პრობლემა-მუდმივი საზრუნავი მდგრადი განვითარებისთვის (წყლის დაბინძურება საქართველოში)

თამთა ლუტიძე

წყალი დედამიწის 70% იკავებს, სასმელად ვარგის წყალს კი მხოლოდ დედამიწის წყლების 1% შეადგენს. წყალი გაცილებით მნიშვნელოვანი ენერგომატარებელია, ვიდრე სხვა ნივთიერი ელემენტები. ამასთანავე მას შემცვლელი არ გააჩნია. ადამიანისთვის სასიცოცხლო როლიც უჭირავს, ვინაირად ორგანიზმის 70 % წყლისგან შედგება. ყველაზე მეტად სასმელი წყალი ესაჭიროება თუმცა, ადამიანს ჯერ კიდევ არ აქვს ბოლომდე გაცნობიერებული, რამდენად მნიშვნელოვანია კაცობრიობისთვის სასმელი წყლით უზრონველყოფასთან დაკავშრებული პრობლემები. თუმცა ვერ ვხვდებით, რაოდენ ზიანს ვაყენებთ გარემოს, როდესაც მას ვაბინძურებთ.

მიუხედავად წყლის ასეთი დიდი რაოდენობისა, სუფთა წყლის ხელმისაწვდომობა არათანაბრადაა გადანაწილებული, გაეროს მონაცემებით თითქმის 2,2 მილიარდ ადამიანს აქვს სასმელი წყლის პრობლემა მთელი დედამიწის მასშტაბით (united nation, 2019).

საქართველოს კანონში წყლის შესახებ, მუხლი 15. წყლის დანაგვიანებისა და დაბინძურებისაგან დაცვა (საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო) ვკითხულობთ:

„წყლის ტრანსპორტის, მილსადენების, წყლის ობიექტებზე არსებული მცურავი და სხვა ნაგებობების მფლობელები, ხეტყის დამცურებელი ორგანიზაციები, აგრეთვე სხვა ფიზიკური და იურიდიული პირები ვალდებული არიან, არ დაუშვან წყლის დანაგვიანება და დაბინძურება ზეთის, მერქნის, ქიმიური პროდუქტების, ნავთობის, მინერალური და ორგანული სასუქების, შხამქიმიკატების და სხვა პროდუქტების დანაკარგებით“

თუმცა ის რეალობა რაც ქვეყანაში გვაქვს, ძალიან პრობლემურია. ქვემოთ გვაქვს განხილული მხოლოდ ერთი მაგალითი, მდ. ყვირილაზე, თუ რამდენად ბინძურდება იგი, მის ნაპირზე განლაგებული მანგანუმის საბადოებით, სადაც გამოყენებული მდინარის წყალი სათანადო დამუშავების გარეში ბრუნდება მდინარეში და აბინძურებს მას.

არა მხოლოდ ეს, ძალიანაა დაბინძურებული შავი ზღვაც, სადაც მდინარეებს ყოვლე საათში 6-დან 50-მდე ნარჩენი ჩააქვთ ზღვაში.

ქვემოთ ასევე განხილულია ის პრობლემები, დაბინძურებულმა წყალმა რა ზიანი შეიძლება მიაყენოს, როგორც ადამიანის ჯანმრთელობას, ასევე იმ ცხოველსა თუ ფრინველს რომლებიც ამ წყლებით სარგებლობენ. და საბოლოოდ განხილულია ამ პრობლემის გადაჭრის გზები.

1. წყლის რესურსები საქართველოში

მტკნარი წყლის რესურსები საქართველოს ერთ-ერთ ძირითად სიმდიდრეს წარმოადგენს. საქართველოს ტერიტორიის მთიანი ხასიათი, უხვი ატმოსფერული ნალექები, განსაკუთრებით შავი ზღვის აზში განაპირობებს იმას, რომ მის ტერიტორიაზე ერთი წლის განმავლობაში ფორმირებული მტკნარი წყლის ფენის საშუალო სიმალით

საქართველოს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მსოფლიოს შორის, ხოლო ევროპის ქვეყნებიდან იგი მხოლოდ ნორვეგიას, შვეიცარიას და ავსტრიას ჩამორჩება. (ტრაპაიძე, 2021)

საქართველოში 26060 მდინარეა და მათი საერთო სიგრძე დაახლოებით 60 ათას კმს შეადგენს, აქედან შავი ზღვის აუზს მიმეკუთვნება 18109 მდინარე, ხოლო კასპიის ზღვის აუზს 7951, რაც საქართველოს მდინარეთა საერთო რაოდენობის 30 % ს შეადგენს.

აღმოსავლეთ საქართველოს თითქმის ყველა მდინარე მტკვრის ერთიან სისტემას ქმნის და კასპიის ზღვაში ჩაედინება, დასავლეთ საქართველოს მდინარები კი შავ ზღვას დამოუკიდებლად ერთვიან. საქართველოს უდიდესი მდინარე მტკვარი, საქართველოს ტერიტორიაზე მხოლოდ მისი შუა წელია 400 კმ სათავე თურქეთსია, აზერბაიჯანის ტერიტორიაზე კასპიის ზღვაში ჩაედინება.

საქართველოში ჭაობებს განსაკუთრებით დიდი ფართობი (225 ათასი ჰა) კოლხეთის დაბლობზე უკავია. ჰიდროელექტროსადგურებსა და ირიგაციულ სისტემებს 43 წყალსაცავი ემსახურება. მათგან 35 აღმოსავლეთ საქართველოში მდებარეობს. წყალსაცავები ქვეყნის ეკონომიკაში უდიდეს როლს ასრულებენ. ამჟამად საქართველოში ელექტროენერგიის 75%-ზე მეტი ჰიდროელექტროსადგურებში გამომუშავდება. ქვეყნის აღმოსავლეთ, უფრო მშრალ ნაწილში ირიგაციას სასიცოცხლო მნიშვნელობა აქვს სოფლის მეურნეობისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მდინარეეები თავისი სიგრძისა და წყალშემკრები აუზების მიხედვით პატარანი არიან ისინი წარმოადგენენ უხვწყლიან მდინარეებს, განსაკუთრებით შავი ზღვის აუზში, ხასიათდებიან დიდ ვარდნით, ჩქარი დინებით და პოტენციური ენერგიის დიდი მარაგით. მიედინებიან ვიწრო და ღრმა ხეობებში

საქართველოს ტბების წყალი სასმელად გამოსადეგია, რადგანაც ძირითადად მათი მინერალიზაცია, წლის ყველა სეზონში, 500-700 მგ/ლ-ს. არ აღემატება.

საქართველოს დასახელებული პუნქტების სასმელი და საყოფაცხოვრებო კომუნალური წყლით უზრუნველყოფის წყაროს მდინარეები, წყაროები და მიწისქვეშა წყლები წარმოადგენენ. საქართველოს ყველა ქალაქი, რაიონული ცენტრი და ქალაქის ტიპის დასახლება აღჭურვილია წყალმომარაგების ცენტრალიზებული სისტემით. ყველაზე დიდ წყალმომხმარებელს თბილისი წარმოადგენს (საერთო კომუნალური 61 წყალმომარაგების 53%). წყალმოხმარება თბილისის ერთ სულ მოსახლეზე დაახლოებით 600 ლ/დღე-ღამეს შედაგენს.

2. წყლის დაბინძურების გამომწვევი მიზეზები და მისი შედეგები

მსოფლიოში მოსახლეობის ზრდასთან ერთად ერთ სულზე სასმელად ვარგისი წყლის რაოდენობა მცირდება, მაგალითად 1989 წელს ერთ სულზე საშუალოდ 9000 $მ^3$ დაიხარჯა, ხოლო 2000 წელს კი 7800 $მ^3$ მდე შემცირდა, და ვარაუდობენ, რომ ეს მაჩვენებელი 2025 წელს 5100 $მ^3$ შემცირდება («NOVIB») და მიუხედავად იმისა რომ საქართელო მდიდარია წყლის რესურსით, იგი ქვეყნის ტერიტორიაზე არათანაბრადაა გადანაწილებული და რა უცნაურადაცარ უნდა მოგვეჩვენოს, საკმაოდ დიდ პრობლემას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ნაწილის, სასმელი წყლით მომარაგება და ამავე დროს არ უნდა გამოგვრჩეს ის ფაქტიც, რომ დიდი ნაწილი წყლის დაბინძურებულია და არათუ სასმელად, არამედ

ყოველდღიური მოხმარებისათისაც არ გამოიყენება (სასმელი წყალმომარაგების სტრუქ-ტურა ჩვენი ქვეყნის მხოლოდ 65%-სთისაა შესაძლებელი (ქველაძე, 2014)).

წყლის დაბინძურება გულისხმობს ადამიანის საქმოანობების შედეგად წყალსატე-ვებში ნივთიერებების ჩაშვებას ისეთი კონცენტრაციით, როცა მათი ბუნებრივი გაუვნე-ბელყოფა ვეღარ ხორციელდება და ადგილი აქვს წყლის ეკოსისტემებსა და ადამიანის ჯანმრთელობის უარყოფით ზემოქმედებას.

რაც არ უნდა გაგვიკვირდეს, წყალს ჩვენ თავად ვაბინძურებთ ისეთი საქმოანობებით, როგორიცაა მრეწველობა, მიწათმოქმდებეა, ომები და სხვა. და ნივთიერებების პესტიცი-დები, სასუქები, ნავთობპროდუქტები, მძიმე მეტალები, ქიმიური და სამრეწველო პროცე-სები, ასევე საყოფაცხოვრებო საქმიანობების შედეგად წარმოქმნილი სხვადსხვა ნივთიერე-ბები და სხვა, თუმცა არამხოლოდ ჩვენ, წყლის დაბინძურება შეიძლება გამოიწვიოს წყალ-ში ცხოველების გამონაყოფების ან მიწის ქანებში არსებული მომწამლავი არაორგანული ნივთიერებების მოხვედრამაც. მონაცემების მიხედვით, 1990 წელს, მრეწველოლბის მიერ ჩაშვებული ნახმარი წყლების მთლიანი მოცულობიდან, რაც შეადგენდა 1671 მლნ მ^3-ს, 964 მლნ მ^3 წარმოადგენდა ნორმალურწყალს, თუმცა 227 მლნ მ^3 კი დაბინძურებულ წყალს (ქველაძე, 2014).

საქართველოში ყველაზე მეტად მდინარეები არის დაბინძურებული. ამის ძირითადი მიზეზი გაუმართავი, და მოუწესრიგებელი საკანალიზაციო სისტემაა. ამ მიზეზით ბინ-ძურდება ისეთი მდინარეები, როგორიცაა: მდ. მტკვარი, მდ. ვერე, მდ. ალაზანი, მდ.რიონი და სხვა. მათ შორის განსაკუთრებით დაბინძურებლია მდინარე მტკვარი, სადაც სპილენ-ძის რაოდენობა 100-ჯერ, ხოლო მოლიბდენის - 250ჯერ აღემატება დასაშვებ ნორმას (ტრა-პაიძე, 2012).

ქვეყნის წყლის რესურსებზე ასევე სერიოზული უარყოფითი გავლენა აქვს სოფლის მეურნეობისა და მინერალური სასუქების გამოყენებას. ზედაპირული წყლები დაბინძურე-ბულია სასუქებითა და პესტიციდების ნარჩენებით, თუმცა სამწუხაროდ არ არსებობს ზუსტი მონაცემები იმის შესახებ, თუ რა დატვირთვაა წყალსატევებზე სასოფლო-სამეურ-ნეო წარმოების შედეგად.

დაბინძურებული წყალი კი პრობლემას ისევ ჩვენ გვიქმნის. მრავალი დაავადების გა-მოწვევა შეუძლია მას, როგორიცაა : ქიმიური მოწამვლა, ინფექციური დაავადებები და სხვა, და რაც მნიშვნელოვანია, ბევრ შემთხვევაში ამ დაავადებების განკურნება ვერ ხერ-დხება, რაც საბოლოოდ ლეტალურად მთავრდება. მაგრამ, არა მხოლოდ ადამიანებს, და-ბინძურებული წყალი დამღუპველ გავლენას ახდენს თევზებზე, ფრინველებზეც და სხვა ორგანიზმებზეც.

როგორც ცნობილია, ნიტრატების არსებობა წყალში იწვევს მეტჰემოგლობინანემიას. ხოლო იოდის ნაკლებობა კი ჩიყვის მიზეზად ითვლება. რაც შეეხება ტყვიას, მისი მაღალი კონცენტრაცია წყალში იწვევს ცენტრალური და პერიფერიული ნერვული სიტემის მუშაო-ბაზე მკვეთრ უარყოფით გავლენას.

სასუქების დიდი რაოდენობით მოხვედრა წყალში იწვევს ე.წ წყლის "აყვავილებას[1]", რაც საზიანოა არა ,მხოლოდ გარემოსათვის, ასწევე ადამიანისათვის. მაგალითად, წაბლა

[1] წყალში მიკროსკოპული, მათ შორის ტოქსიკური მცენრეების აყვავილება

წყალმცენარეების გარკვეული სახეობების მიერ გამოყოფილი მავნე ნივთიერებები კანის დაავადებას იწვევს, ასევე ხშირია ასეთი წყლის დალევის შემდეგ, შინაური ცხოველების სიკვდილიანობაც.

პესტიციედების მიერ გამოწვეული დაავადებები საკამოდ სერიოზულია, ვინაოდან ეს ნივთიერება კვლავ გამოიყენება სოფლის მეურნეობაში. ხშირად ვხვდებით მის მიერ დაბინძურებული წყლით დაავადებულ ადამიანებს. პესტიციდებით დაბინძურებული წყლის მიღება იწვევს ნერვული სისტემის დაზიანებას, ღვიძლის ფუნქციის მოშლას, მრავალი სახის კიბოს განვითარებას, ენდოკრინული სისტემების დაზიარებასა და სხვა ("ორჰუსის ცენტრი საქართველოში").

საქართველოსა და მისი წყლის რესურსებზე საუბრისას გვერდს ვერ ავუვლით შავ ზღვაზე საუბარს. მასში ჩამდინარე ნარჩენების 85%-ს პლასტმასი შეადგენს. 20% იმ ნარჩენებისა, რომლებიც შავ ზღვაში მდინარეების მეშვეობით ხვდება, პლასტმასის ბოთლებია, პოლიეთილენის პარკები და პლასტმასის კონტეინერები კი შესაბამისად 10%-სა და 9%-ს შეადგენენ. პლასტმასით მნიშვნელოვნად არის დაბინძურებული შავი ზღვის სანაპიროც. 14% იმ დამაბინძურებლებისა, რომლებიც სანაპიროებზე გვხვდება, პლასტმასის ბოთლის სახურავებია, 6% - სხვადასხვა შესაფუთი საშუალებები, 5% - ბოთლები, 2% კი - კოქტეილის ჩხირები და სარევები (EMBLAS, 2019). თავდაპირველად ეს დამაბინძურებლები ზღვის სანაპიროზე არიან მიმოფანტული, ხოლო შედეგ ზღვაში გროვდებიან, რასაც იქ მცხოვრები ბინადრები საკვებად იყენებენ, ხოლო ამ უკანასკნელთ კი ჩვენ მივირთმევთ, რაც ჩვენს ჯანმრთელობაზე უარყოფითად მოქმედებს.

EMBLAS - ის მიერ შესწავლილი მონაცემების მიხედვით, შავი ზღვის დამაბინძურებელი 4 ძირითადი მდინარეა - დუნაი, დნესტრი, დონი და რიონი, რომელიც საქართველოში მოედინება (EMBLAS, 2019).

შავი ზღვა ნავთობ პროდუქტებითაცაა დაბინძურებული, ყოველწლიურად დაახლოებით 111 000 ტონა ნავთობი იღვრება.

ყურადსაღებია მონაცემები, დაბინძურებული წყლის მიერ მოწამლული ადამიანების შესახებ. მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაციის მიხედვით, დაავადებათა 5,7% გამოწვეულია უხარისხო, დაბინძურებული წყლით. ასევე დასავლეთ ევროპაში, ყოველწლიურად, 5 წლამდე 10 000-მდე ბავშვი იღუპება დაბინძურებული წყლის შედეგად, ხოლო ხმელთაშუა ზღვაში, ყოველწლიურად 2 მილიონამდე შემთხვევა ფიქსირდება კუჭნაწლავით დაავადების, საბანაო წყლის დაბინძურების გამო (ekofact.com). სამწუხაროა, მაგრამ საქართველოში ზუსტი მონაცემები არ გავქვს მსგავსი შემთხვევებისადმი. თუმცა, ადგილობრივი პოლიკლინიკებისა და საავადმყოფოების ინფორმაციით, საკმაოდ გაზრდილია ამ ბოლო პერიოდში ბავშვთა სხვადასხვა დაავადებების სიხშირე, დაბინძურებული მდინარეების, საბანაო წყლებისა თუ სასმელი წყლის გამო. ერთ-ერთი ასეთი შემთხვევა იყო წელს, გორში, სადაც წყლით ინტოქსიკაციისაგან 2 დღეში 48 არასრულწლოვანი შეიყვანეს ("რადიო თავისუფლება", 2021).

3. წყლის დაბინძურების გადაჭრის გზები

წყლის დაბინძურება არა მხოლოდ საქართველოს არამედ მსოფლიო პრობლემას წარმოადგენს. საინტერესოა ითქვას, რომ დაბინძურებული წყლის გაწმენდა დამაბინძურებელი ნივთიერებებისგან დიდ ფინანსურ რესურსებთანაა დაკავშირებული. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატების შუადასავლეთში, სადაც სასმელი წყლით მომარაგება გრუნტის წყლებით ხდება, წყალმომარაგებელი კომპანიები ყოველწლიურად დაახლოებით 400 მილიონ დოლარს ხარჯავენ მხოლოდ ერთი სახის ქიმიური ნივთიერების - პესდიციდ ატრაზინისგან წყლის გასაწმენდად. (ekofact.com)

აქედან გამომდინარე, მეტად მნიშვნელოვანია წყლის დაბინძურების თავიდან აცილება. ქვეყანაში დახვეწილი საკანონმდებლო ბაზის არსებობისა და სხვა მრავალი მაკნტროლებელი მექანიზმების არსებობის აუცილებლობასთან ერთად, უნდა იყოს საზოგადოებისა და თითოეული ჩვენთაგანის წვლილი მნიშვნელოვანი ამ მიმართულებით. მაგალითად, პესტიციდებისა და სასუქების მოხმარებაზე უარის თქმით ან მათი ზომიერი მოხმარებით, დეტერგენტების შემცვლელი პროდუქციის მოხამრების შემცირებით, ავტონომიური საკანალიზაციო სისტემბის გამართულ მდგომარეობაში მოყვანით, რათა არ მოხდეს მიმდებარი წყალსატევებისა თუ გრუნტის წყლის დაბინძურება და სხვა ღონისძებების გატარებით, ჩვენ შეგვიძლია გარკვეული წვლილი შევიტანოთ წყლის ობიექტების დაცვაში.

დანაგვიანების შედეგად წარმოქმნილი პრობლემების გადაჭრის საუკეთესო და იდეალური გზა უპირველესყოვლისა თითოეული წევრის მიერ საკუთარი წილი პასუხისმგებლობის გააზრება. საკუთარ თავზე აღება და ნარჩენების სწორად განთავსება იქნებოდა. თუმცა თუ მოსახლეობას მოეთხოვება, რომ არ დააგვიანოს გარემო, მეორე მხრივ, შესაბამისმა უწყებებმა ამისთვის საჭირო პირობები უნდა უზრუნველყონ. ადგილობრივმა ხელისუფლებამ უნდა მიიღოს ზომები, კონტეინერი განთავსდეწს შესაბამის ადგილებში.

უპირველესყოვლისა უნდა დავიწყოთ ნარჩენების სეპარირებით შავ ზღავში. ყველაზე მავნე პლასტმასის ნარჩენია, რომლის დაშლასაც დიდი დრო სჭირდება. თუკი პლასტამასის ნარჩენების შეგროვებას მოვახეხხებთ, შევძლებთ, თავიდან ავიცილოთ მათი ჯერ მდინარეებში, საბოლოოდ კი ზღვაში მოხვედრა.

რა თქმა უნდა, შავი ზღვის გაწმენდა დიდ თანხებთან არის დაკავშრებული, თუმცა შეუძლებელი არ არის. ვინაიდან სუფთა წყალი აუცილებელია ადამიანისთვის. არსებობს შავი ზღვის გაწმენდის რამდენიმე სტრატეგია, რომლებიც კარგად უნდა იქნეს შესწავლილი და გამოყენებული ნაყოფიერად.

2015 წლიდან დიდ ქალაქებში 100 ადგილობრივად დამზადებული გამჭირვალე ურნა დაიდგა პლასტმასის სეპარირებული შეგროვებისთვის. უნდა აღვნიშნო, რომ ეს პროექტი საკმაოდ მდგრადი აღმოჩნდა, რამდენადაც მიუხედავად იმისა, რომ ეს ერთ წლიანი პროექტი უნდა ყოფილიყო, მუნიციპალიტეტებში ეს პრაქტიკა დეღემდე გრძელდება. ახალი პროექტი, რომელიც ყურადღებას მდინარეებისა და ზღვის დაბინძურების შემცირებაზე ამახვილებს, განგრძობითი მცდელობაა იმისა, რომ ნარჩენების დახარისხების პრაქტიკა კიდევ უფრო ფართოდ დაინერგოს. პროექტის ფარგლებში ფოთში ახალი კონტეინერები დაიდგმება, ხოლო ქუთაისში საკომპოსტო მოედანი აშენდება.

ზოგჯერ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყალში დიდი რაოდენობით შემავალ ნივთიერებებს, რომლებიც შეიცავენ ორგანულ მინარევებს, აგრეთვე აზოტს, კალიუმს, ფოსფორს, კალციუმსსა და სხვა ელემენტებს, სათანადო დამუშავების შემდეგ იყენებენ სასოფლო-სამეურნეო კულტურების სასუქად.

ახლა კი განვიხილლოთ საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლების დამუშავების ერთ-ერთი ტექნოლოგია ,,Biotal''_ი.ეს კომპანია საქართველოს ბაზარზე მოქმედებს 2006 წლიდან, დღემდე მას მთელი საქართველოს მაშტაბით აქვს დამონტაჟებული 250 _ზე მეტი დანადგარი. ,,Biotal'' ი წარმოადგენს აცტონომიური კანალიზაციის სისტემების უნიკალურ წარმომადგენელს, რომელიც ახორციელებს ჩამდინარე წყლების ღრმა ბიოლოგიური გაწმენდის პროცესებს. მის საფუძველს ქმნის ადამიანის საყოფაცხორებო ნარაჩენების იმ პროდუქტებად გარდაქმნის კონცეფცია, რომლებიც შემდგომი გამოყენებისათვის შეიძლება იყოს მიმართული, კერძოდ, მათი გარდაქმნა ტექნიკურ წყლად და მინერალურ სასუქებად. (ეკოფრე, 2021)

როგორ მოქმედებს ეს დანადგარი?

გასაწმენდად მიწოდებული ჩამდინარე წყალი თანმიმდევრულად გადაედინება პირველიდან მეორე და მესამე ბიორეაქტორში და თითოეული მათგანში გადადის ბიოლოგიური გაწმდენის განსაზღვრულ ციკლს. თითეულ მათგანში მრავალჯერ მეორდება აერაციისა და შერევის პროცესები, ამასთან, მესამე საფეხურის ბიორეაქტორი პერიოდულად გადადის დაწმენდის რეჟიმში, რის შემდეგაც გაწმენდილი ჩამდინარე წყალი გადაიქაჩება ბიოლოგიურ, თხელშრიანფილტრ-სალექარში.

წყლის გაწმენდის ამ ტექნოლოგიას აქვს უამრავი დადებითი მხარე. მაგალითად: ელექტროენერგიის ეკონომია, შემოსული ჩამდინარე წყლის მოცულობის მიხედვით ხდება სიმძლავრის აცტონომიური რეგულირება, უსიამოვნო სუნის აბსოლუტური არარსებობა წმენდის ყველა ეტაპზე და კომპაქტური განთავსება მწიდროდ დასახლებულ ტერიტორიაზე.

2021 წლიდან საქართველოს (დოთში, გურჯაანსა და თელავში) მასშტაბით დაიწყო რამდენიმე წყალგამწმენდი ნაგებობის შენება.

ამგვარად, დაბინძურებული წყლის გაწმენდის სხვადასხვა ტექნოლოგია არსებობს საქართველოს ბაზრზე, თუმცა მასშტაბური წმენდა დაკვაშირებულია დიდ ხარჯებთან.

დასკვნა

წყალის დაბინძურების პრობლემასთან დაკავშირებით ჩავატარეთ კვლევა, სადაც ათობით ადამიანმა მიიღო მონაწილეობა. კვლევის შედეგები საკმაოდ დამაჯერებელია.

რესპოდენტთა უმეტესობას წარმოადგენენ 21-25 წლის ახალგაზრდები. აღსანიშნავია, რომ მათ უმეტესობას აქვთ ზუსტი ინფრმაცია, თუ რა რაოდენობას იკავებს წყალი, დედამიწის ზედაპირის, თუმცა მხოლოდ 16%-მა თუ იცის, რომ სასმელად მხოლოდ 1% არის ვარგისი.

დიაგრამა 1



ასევე, როგორც კვლევამ აჩვენა, უმეტესობას, 72%-ს, არ აქვს ზუსტი ინფორმაცია, თუ რამდენი ათასი ზღის ბინადარი იღუპება ყოველწლიურად პოლიეთილეის მიერ წყლის დაბინძურებით, ეს მაჩვენებელი 100 000 -მდეა, თუმცა მხოლოდ ამ კონკრეტულ მონაცემზე არ გვინდოდა ყურადღების გამახვილება. მოსახლეობის დიდ ნაწილს არ აქვს ზუსტი ინფორმაცია (ზოგი არ ინტერესდება, ზოგიც ვერ პოულობს შესაბამის ინფორმაციას), თუ რა რაოდენობით ცხოველი, წყლისა თუ ჰაერის ბინადარი იღუპება, დაბინძურებული წყლის მოხმარების შედეგად.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გამოკითულთა 80%-ს სასმელი წყალი დღე-ღამის განმავლობაში 24 საათის განმავლობა მიეწოდება, ხოლო 8% საერთოდ არაა უზრუნველყოფილი სასმელი წყლით.

დიაგრამა 2



მიუხედავად იმისა, რომ ეს კვლევა მოსახლეობის ძალიან მცირე ჯგუფში ჩატარდა, მაინც მივიღეთ გარკვეული ინფორმაცია, რამაც ზოგადი წარმოდგენა შეგვიქმნა იმ პრობლემებზე, რაც დაბინძურებულმა წყალმა შეუქმნა მოსახლეობას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. (n.d.). Retrieved from ekofact.com: https://ekofact.com/2010/05/30/76/
2. «NOVIB». (n.d.). Retrieved from http://www.genesis.org.ge/brochure19/brochure19.htm?fbclid=IwAR2Tt3ujnOWTFN6D16p6EN2yGvUq_vpr4Zvi7NFgrirjotOoay9w8uSTiz8
3. "ორჰუსის ცენტრი საქართველოში". (n.d.). *http://www.eiec.gov.ge/*. Retrieved from http://www.eiec.gov.ge/%E1%83%97%E1%83%94%E1%83%9B%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98/Water/Documents/Publication/%E1%83%AC%E1%83%A7%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90,-%E
4. „რადიო თავისუფლება". (2021). Retrieved from https://ekofact.com/2010/05/30/76/
5. EMBLAS. (2019, 04 03). Retrieved from www.euneighbours.eu: https://www.euneighbours.eu/en/east/eu-in-action/stories/black-sea-contaminated-plastic-how-can-we-reduce-damage united nation. (2019). Retrieved from https://www.un.org/en/global-issues/water
6. არსენიძე, ი. (2013). Retrieved from http://conference.sens-2013.tsu.ge/uploads/51cc63bfaa871Arsenidze_Irakli.pdf
7. ეკოფრე. (2021).
8. მწვანე ალტერნატივა. (2019). Retrieved from http://greenalt.org/: http://greenalt.org/wp-content/uploads/2019/10/Field_trip_chiatura_2019.pdf
9. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო. (n.d.). Retrieved from https://mepa.gov.ge/Ge/Laws
10. ტრაპაიძე, ვ. (2012). Retrieved from https://www.tsu.ge/data/file_db/library/trapaidze_resursebi.pdf
11. ქველაძე, ნ. (2014, 04). Retrieved from https://ninikoqveladze.wordpress.com/2014/04/05/%E1%83%-AC%E1%83%9A%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%93%E1%83%90%E1%83%91%E1%83%98-%E1%83%9C%E1%83%AB%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%91%E1%83%90/

საწარმოთა ფულადი ნაკადების ეფექტიანობის აქტუალური საკითხები საანალიზო საწარმოებში

ნიკა მათიაშვილი

ნაშრომის მიზანია საანალიზო საწარმოთა ფულადი ნაკადების ეფექტიანობის არსებული მდგომარეობის შეფასება. პასუხი გაეცეს კითხვას, რა ფინანსური გამოწვევების წინაშე დგას დღეს საწარმოები საქართველოში ფულადი რესურსების გამომუშავების სფეროში და შესაბამისად, შემუშავებულ იქნეს ფულადი ნაკადების ეფექტიანობისა და გადახდისუნარიანობის ზრდის პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციები.

კვლევის საგანია საანალიზო საწარმოთა ფულადი რესურსები.

კვლევის ობიექტებად შერჩეულ იქნა საქართველოში მოქმედი საწარმოები: სს „ნიკორა ტრეიდი“ და შპს „მაჯიტ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორგიან.

კვლევაში გამოყენებულია ეკონომიკური და სტატისტიკური ანალიზის, ფაქტორული და კოეფიციენტების ანალიზის მეთოდები.

შრომის დასკვნაში გადმოცემულია საანალიზო საწარმოთა წინაშე არსებული გამოწვევები გადახდისუნარიანობის, ფინანსური დამოუკიდებლობის და ფინანსური რისკების მიმართულებით და შემუშაებულია ადეკვატური ღონისძიებები.

საკვანძო სიტყვები: ფულადი ნაკადები, ფულის ბრუნვადობა, ფულის ეფექტიანობა.

საწამოთა ფინანსური უსაფრთხოების უზრუნველყოფის ერთ-ერთი ნიშვნელოვანი მიმართულებაა იმის შეფასება, თუ როგორი ტემპებით მოძრაობს ფულადი ნაკადები საწარმოში, როგორია მისი გადახდისუნარიანობის დონე და რამდენად ეფექტიანადაა გამოყენებული ფულადი რესურსები.

საწარმოებში ფულად რესურსებს მიეკუთვნება ნაღდი ფული და ფული საბანკო ანგარიშებზე არებული ფულადი თანხები ეროვნულ და უცხოურ ვალუტაში. ფულად თანხებს აბსოულუტურად ლიკვიდურ სახსრებს უწოდებენ რადგან მათი გარდაქმნა სხვა სახის რესურსად, ნებისმიერ მომენტში შეიძლება. ფულად რესურსებს მიეკუთვნება აგრეთვე მაღალლიკვიდური, სამ თვემდე ვადის მქონე ფასიანი ქაღალდები.

ფულადი ნაკადების ეფექტიანი გამოყენება პირდაპირ გავლენას ახდენს საწარმოთა გადახდისუნარიანობის ამაღლებასა და ფინანასური რისკების შემცირებაზე. საწარმოთა გადახდისუნარიანობის მაღალი დონე საწარმოთა მენეჯმენტს საშუალებას აძლევს, დროულად დაფაროს ვალდებულებები, შეიძინოს საჭირო რესურსები, შეუფერხებლად დააფინანსოს ახალი მაღალმომგებიანი პროექტები და პერმანენტულად გაზარდოს საწარმოს ფინანსური სტაბილურობის ხარისხი.

წინამდებარე ანალიზისათვის შერჩეულ იქნა სს „ნიკორა ტრეიდი“ და შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორგია“. სს „ნიკორა ტრეიდი“ ბაზარზე მოქმედებს „ნიკორა სუპერმარკეტის” და ლიბრეს ბრენდებით.

ნიკორას ქსელი ბაზარზე 2000 წელს გამოჩნდა, წლების მანძილზე აქტიურად ვითარდებოდა და დღეს ყველაზე მრავალრიცხოვანი ქსელია საქართველოს მასშტაბით. ზრდა მოხდა როგორც ორგანული განვითარების მეშვეობით, ასევე სხვა ქსელების

სხვადასხვა ფორმით შესყიდვის გზით. განვითარების პროცესში „ნიკორა ტრეიდმა“ შეიძინა „სანდეის“ ქსელი დასავლეთ საქართველოში, „ველესის“ ქსელი, ჰიპერმარკეტი „ლიბრე“ და „ნუგეშის“ სუპერმარკეტების ქსელები.

ამჟამად კომპანია თავის სავაჭრო ობიექტებში მომხმარებელს 10,000-ზე მეტი სახეობის პროდუქციას სთავაზობს, მათ შორის 500-ზე მეტი დასახელების პროდუქტი ნიკორას ჯგუფში შემავალი კომპანიების მიერაა წარმოებული. 2020 წლის 31 დეკემბრისთვის კომპანია ფლობდა 345 სავაჭრო ობიექტს თბილისსა და დანარჩენი საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში.

შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“ 2011 წლის 26 დეკემბერს დარეგისტრირდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით. მისი ძირითადი საქმიანობაა საქართველოში ჰიპერმარკეტებისა და სუპერმარკეტების ქსელის ფუნქციონირება და მართვა. 2012 წლის სექტემბერში კომპანიამ გახსნა თავისი პირველი ჰიპერმარკეტი „კარფური“ თბილისში. 2020 წლის დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარმოდგენილია სამი ჰიპერმარკეტით, 10 სუპერმარკეტითა და 27 პატარა ფორმატის სუპერმარკეტით.

კომპანიის მიზანია საქართველოში არსებული საოჯახო პროდუქტების საუკეთესო ხარისხისა და მრავალფეროვნების უზრუნველყოფა. კომპანიის სტრატეგია არის პროდუქტების ყველაზე დაბალ ფასად რეალიზაცია.

1. ფულადი ნაკადების ცვლილების ტენდენციები საანალიზო საწარმოებში

ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში საწარმოები აქვეყნებენ ინფორმაციას ფულადი რესურსების მოძრაობის შესახებ საოპერციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის მიხედვით ცალ-ცალკე, რაც საშუალებას იძლება დადგენილ იქნეს: ადგილი ხომა რ აქვს ფილის დეფიცის, რა გზებით შედიოდა ფულადი თანხები საწარმოში და რა მიმართულებთ იხარჯებოდა იგი. ამდენად, ამ ინფორმაციის კვლევა აქტუალიბას არ კარგავს.

პირველ რიგში განხილულ იქნა წმინდა ფულადი ნაკადების მაჩვენებლები საანალიზო საწარმოებში 2017-2020 წლების განმავლობაში (იხ. ცხრილი 1.1.). წმინდა ფულადი ნაკადი გამოითვლება შემოსული ფულისა და გასული (ანუ დახარჯული) ფულის თანხების სხვაობით. როგორც იმავე ცხრილიდან ჩანს, წმინდა ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან საანალიზო პერიოდში, ორივე საწარმოში დადებითი რიცხვია ანუ მათ არ ჰქონდათ ფულის დეფიციტი ძირითადი საქმიანობის სფეროში.

ცხრილი 1.1 წმინდა ფულადი ნაკადები საანალიზო საწარმოებში
(ათას ლარებში)

მაჩვენებლები	2017	2018	2019	2020
1. **წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	10,606	13,112	27,292	36,533
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“*	34,766	24,847	48,984	35,372
2. **წმინდა ფულადი ნაკადი საინვესტიციო საქმიანობიდან:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	(7,753)	(32,262)	(21,853)	(15,140)
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	(30,047)	(9,524)	(3,956)	(5,746)
3. **წმინდა ფულადი ნაკადი საფინანსო საქიანობიდან:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	3,542	10,894	(4,835)	(20,279)
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	0	(3,125)	(47,840)	(76,351)
4. **საერთო წმინდა ფულადი ნაკადები:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	10,176	2,692	3,238	3,856
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	51,472	63,595	60,476	13,310

საინვესტიციო საქმიანობიდან კი ორივე კომპანიაში ფულის დეფიციტს ჰქონდა ადგილი. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიაში“ დეფიციტი აღებულ პერიოდში, შემცირების ტენდენციით ხასიათდებოდა, რაც დადებითი მოვლენაა. მაგრამ, მაღალი დეფიციტი აქვს საფინანსო საქმიანობიდან, რაც არასასურველი მოვლენაა. მაგრამ, საერთო წმინდა ფულადი ნაკადი დადებითია ანუ ფულის პრეფიციტს (ანუ სიჭარბეს) ჰქონდა ადგილი, რადაგან, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებულმა ფულის სიჭარბემ, გადაფარა საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებიდან მიღებულ ფულის დეფიციტი.

ცხრილი 1.2. გადახდისუნარიანობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2017	2018	2019	2020
1. **აბსოლუტური ლივიდურობის კოეფიციენტი:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	0.15	0.04	0.03	0.03
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	0.19	0.20	0.18	0.04
2. **საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი:**				
სს „ნიკორა ტრეიდი”	0.57	0.52	0.49	0.41
შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	0.33	0.32	0.29	0.17

როგორც მაჩვენებლები მიუთითებენ (იხ. ცხრილი 1.2.), საანალიზო საწარმოებში გადახდისუნაროანობის დონე ძალიან დაბალია. აბსოლუტური ლიკვიდურობის კოეფიციენტი 0.20-ზე დაბალი არ უნდა იყოს. ამასთან შემცირების ტენდენციით ხასითდება (იხ. დიაგრამ 1.1.).

დიაგრამა 1.1



ხოლო, საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტი 2-სა და 3-ს შორის უნდა იმყოფებოდეს. მაგრამ, იგი ერთზეც კი ძალიან დაბალია (იხ. ცხრილი 1.2. და დიაგრამა 1.2.).

დიაგრამა1.2



როგორც 1.2. დიაგრამიდან ჩანს, ორივე საანალიზო საწარმოში გადახდისნარიანობა შემცირების ტენდენციის ხასიათდება.რაც არასასურველი მოვლენაა. ვფიქრობთ, ეს ძირითადად პანდემიის პერიოდის ნეგატიური მოვლენების შედეგია.

2. ფულადი ნაკადების ეფექტიანობის ამაღლების მიმართულებები

ფულადი რესურსების ეფექტიანობის შესწავლის მიზნით, გამოკვლეულ იქნა ფულის ეფექტიანობის შემდეგი მაჩვენებლები:

საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადის ეფექტიანობა =

= წმინდა ფულადი ნაკადი საოპერაციო საქმიანობიდან / შემოსავალ საოპერაციო საქმიანობიდან

ეს კოეფიციენტი აჩვანებს, ყოველ ერთ არ შემოსავალზე რეალურად, რამდენი ლარი ფულადი ააქტივი შედიოდა საწარმოში.

დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა = წმინდა მოგება / საერთო წმინდა ფულადი ნაკადი

იგი ახასიათებს, ყოველ ერთ ლარ ფულად რესურსზე რამდენი პროცენტი მოგება დარჩა საწარმოს მფლობელებისა და მენეჯმენტის საკუთრებაში.

ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი = საერთო წმინდა ფულადი ნაკადი / დღიური ხარჯები

ეს კოეფიციენტი აჩვენებს, მოცემულ მომენტში არსებული ფულადი აქტივი რამდენი დღის ხარჯების დაფარვის საშუალებას იძლევა.

ფულის ბრუნვის რიცხვი = შემოსავალი რეალიზაციიდან / ფულის საშუალო წლიური ნაშთი

მოცემული მაჩვენებლები შესწავლილია იმავე საანალიზო საწარმოების მაგალითზე (იხ. ცხრილი 2.1.).

ცხრილი 2.1 ფულის ეფექტიანობის მაჩვენებლები

მაჩვენებლები	2017	2018	2019	2020
1. საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის ეფექტიანობა:				
1. სს „ნიკორა ტრეიდი”	0.04	0.04	0.06	0.07
2. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	0.09	0.05	0.10	0.07
2. დადებითი წმინდა ფულადი ნაკადის რენტაბელობა:				
1. სს „ნიკორა ტრეიდი”	0.34	(0.42)	(3.90)	(3.29)
2. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	(0.34)	(0.43)	(0.54)	(2.52)
3. ფულადი უსაფრთხოების ინტერვალი:				
1. სს „ნიკორა ტრეიდი”	1.78	5.87	5.94	2.59
2. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	47.83	48.22	43.39	9.57
4. ფულის ბრუნვის რიცხვი:				
1. სს „ნიკორა ტრეიდი”	49	54	148	147
2. შპს „მაჯიდ ალ ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯია“	8	8	8	23

როგორც 2.1. ცხრილიდან ჩანს, განხილული ყველა მაჩვენებელი სანალიზო სა-წარ-მოებში 2018-2020 წლების პერიოდში, არასტაბილურობით ხასიათდებაოდა. ამასთანა, ფულადი აქტივები არაა გამოყენებული მომგებიანად. მთელ საანალიზო პერიოდში საწარმოები ზარალიანია. შესაბამისად, რენტაბელობა უარყოფითია, კომპანიები ხარჯებს თავიანთი შემოსავლებით ვერ ფარავენ. ორივე კომპანიაში მსგავსი ტენდენციაა.

დიაგრამა 2.1.



ფულის უსაფრთხოების ინტერვალი, ორივე საწარმოში შემცირების ტენდენციით ხასიათდება (იხ. დიაგრამა 2.1). თუმცა, საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულის ეფექტიანობის მაჩვენებლები დადებითია, რაც იმას ნიშნავს, რომ საწარმოში წლის განმავლობაში ძირითადი საქმიანობიდან შესული ფულადი რესურსი აღემატებოდა გაცემული ფულის სიდიდეს და საოპერაციო საქმიანობის მიმართულებით, საანალიზო საწარმოებს ფულის დეფიციტი არ ჰქონიათ.

დიაგრამა 2.2



ფულის ბრუბვის რიცხვის ტენდენცია (იხ. დიაგრამა 2.2.) ორივე საკვლევ საწარმოში ზრდის ტენდენციით ხასიათება. თუმცა, 2020 წელს ტემპი შენელებულია.

დასკვნა და რეკომენდაციები

ამრიგად, წარმოდეგნილ სტატიაში გამოკვლეულ იქნა ფულადი რესურსების გამოყენების მაჩვენებლები. კვლევა ჩატარდა სს „ნიკორა ტრეიდისა" და შპს „მაჯიდ ალ

ფუტაიმ ჰიპერმარკეტს ჯორჯიას“ მაგალითზე, რომელთა ძირითადი საქმიანობაა მოსახლეობის მომარაგება სამომხმარებლო პროდუქტებით. კვლევა ეხება 2017-2020 წლებს და შეიცავს პანდემიის პერიოდს.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ:

- ორივე საანალიზო კომპანიაში საანალიზო პერიოდში, საოპერაციო საქმიანობის მიმართულებით, ადგილი ჰქონდა ფულის სიჭარბეს, რაც დადებითი მოვლენაა;
- საინვესტიციო და საფინანსო საქმინობის მიმართულებებით, ადგილი ჰქონდა დეფიციტს, თუმცა, მათ აღემატება საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული პრეფიციტი;
- ფულის ბრუნვის რიცხვი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2019 და 2020 წლებში ფულის ბრუნვის რიცხვი სამჯერ გაიზარდა ორივე საწარმოში. რაც იმაზე მიუთითებს, რომ ფული ძალიან სწრაფად იხარჯებოდა, რაც სასურველი მოვლენა არაა;
- აბსოლუტური და საერთო ლიკვიდურობის კოეფიციენტები ორივე საწარმოში ნორმაზე დაბალია;
- ვალდებულებების ზრდის ტემპები ორივე საწარმოში მაღალია;
- ორივე საწარმო აღებულ პერიოდში ზარალიანია.

მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით, შემუშავებულ იქნა შემდეგი რეკომენდაციები:

- ზარალის აღმოფხვრის მიზნით, ხარჯებში ეკონომიის პოლიტიკის გატარება, განსაკუთრებით ადმინისტრაციულ ხარჯებში;
- ვალდებულებების წილის შემცირება;
- ფასების დივერსიფიკაცია. კერძოდ, ზოგიერთი სახის, მაგალითად, მაღალ მოთხოვნადი საქონელი გაიაფდეს, ხოლო, ნაკლებად მოთხოვნადი საქონელი შეიძლება გაძვირდეს;
- ფულადი რესურსების მიზნობრივი გამოყენების უზრუნველყოფა;
- პანდემიის შედეგად მიღებული დანაკარგების ნაწილობრივი ანაზღაურება მთავრობის მიერ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ჭილაძე ი. (2018), ფინანსურ ანალიზი, სახელმძღვანელო, გამომცემლობა „მწიგნობარი“. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/finansanaliz.pdf
2. ჭილაძე ი., თორია თ. (2022), საქართველოში საწარმოთა ფინანსური შედეგებისა და რისკების ცვლილებები პანდემიის შემდეგ. თსუ ეკონომიკის ფაკულტეტის კონფერენციის მასალები, გვ. 413-422. file:///C:/Users/G%20comp%20service/Desktop/ფაკულტ.%20კონფ-ების%20%20კრებულები%202021,%202022,/2022
3. ჭილაძე ი., კოზმანაშვილი ლ. (2019), საწარმოთა ფულადი ნაკადების ანგარიშგების ანალიზის აქტუალური საკითხები, IV საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია, 1-2 ნოემბერი, გვ:473-478. https://www.tsu.ge/data/file_db/economist_faculty/konf%20IV.pdf
4. Stephen H. Penman (2013), Financial Statement Analysis and Security Valuation. Fifth edition.

NFT-უნიკალური ციფრული საკუთრების უფლება, ეკონომიკური არსი და პერსპექტივები

მელია გიორგი

NFT დღეს ყველაზე აქტუალური თემაა, მაგრამ ყველამ არ იცის, თუ რას წარმოადგენს იგი. NFT საზოგადოებაში აზრთა სხვადასხვაობას იწვევს: კი ვისაუბრებ თუ რა არის NFT, რატომ არის ის უნიკალური, როგორ უნდა შევქმნათ იგი და ფინანსური თვალსაზრისით რამდენად გამართლებულია მისი არსებობა.

რა არის NFT-ი?

NFT ერთგვარი ციფრული აქტივია და მისი ყიდვა-გაყიდვა ონლაინაა შესაძლებელი. აღსანიშნავია, რომ მისი შეძენა, ძირითადად, კრიპტოვალუტით ხდება და, როგორც წესი, ის ბევრი კრიპტოვალუტისთვის დამახასიათებელი პროგრამული უზრუნველყოფითაა დაშიფრული.

თუმცა, განსხვავებით ისეთი კრიპტოვალუტისგან, როგორიც ბიტკოინია, NFT უნიკალურია და მისი ჩანაცვლება შეუძლებელია, ანუ ბიტკოინი ჩვეულებრივი ციფრული ვალუტაა, რომლის გადაცვლაც შესაძლებელია, NFT კი განსხვავებულია. თითოეულ მათგანს აქვს ციფრული ხელმოწერა, რაც შეუძლებელს ხდის NFT-ების გაცვლას. მაგალითად, „Charlie Bit My Finger“ არ არის „EVERYDAYS-ის“ ტოლფასი მხოლოდ იმიტომ, რომ ისინი, ორივე NFT-ები არიან.ბლოკჩეინის და კრიპტოვალუტების შესახებ ალბათ, ყველას გვსმენია. ციფრული ვალუტა, რომელმაც თავისი აქტუალურობით რამდენიმე წლის წინ ფაქტობრივად მთელი მსოფლიო მოიცვა, დაფუძნებულია კოდირებულ სქემაზე, რომელიც ციფრული ერთეულის გაყალბებას შეუძლებელს ხდის. შესაბამისად, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ ეს ვირტუალური ფულია. მართალია კრიპტობაზარს უფრო დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებდნენ, ვიდრე ეს რეალურად აღმოჩნდა, თუმცა ტექნიკურად ბლოკჩეინის სისტემა მყარი გამოდგა.

NFT-ები ხელოვნების ნიმუშების ციფრული აქტივიებია, რომელიც ბლოკჩეინის ციფრულ მონაცემთა ბაზასთანაა მიბმული. ამ კრიპტოაქტივებს სხვა ნებისმიერი კრიპტოვალუტისგან ერთი პრინციპული განსხვავება აქვს - თითოეული კოდი უნიკალურია და არც ერთ NFT-ს არ აქვს ეკვივალენტი. შესაბამისად, შეუძლებელია მისი რეპლიკაცია ან ეკვივალენტში გაცვლა.

აკრონიმი NFT-ი სწორედ ამ ჩაუნაცვლებლობას გამოხატავს (non fungible token) და ციფრული ხელოვნების მატერიალიზაციას შესაძლებელს ხდის.

- NFT-ები უნიკალური კრიპტოგრაფიული ტოკენებია, რომლებიც ბლოკჩეინზე არსებობს და მათი რეპლიკაცია შეუძლებელია.
- NFT-ები შეიძლება იყოს რეალური ნივთების ციფრული რეპრეზენტაცია.
- რეალურად ხელშესახები ნივთების „ტოკენიზირება“ ეფექტური ვაჭრობის საშუალებას იძლევა.
- NFT-ების გამოყენება ადამიანების იდენტობის, ქონების, უფლებების და მსგავსი უნიკალური მასალის გამოსახატად შეიძლება.

როგორ შევქმნათ NFT ?

პირველ რიგში, თქვენ უნდა განსაზღვროთ რომელი უნიკალური ციფრული აქ- ტივი გსურთ გადაიყვანოთ NFT-ში. ეს შეიძლება იყოს პირადი ნახატი, ფოტო, მუსიკა, ვიდეო თა-

მაშების კოლექცია, მემი, GIF ან თუნდაც ტვიტი. NFT არის უნიკალური ციფრული ელემენტი ერთი მფლობელით. ეს იშვიათობა ანიჭებს NFT-ს მნიშვნელობას. დარწმუნდით, რომ ფლობთ ინტელექტუალური საკუთრების უფლებებს იმ ნივთზე, რომლის გადაკეთებაც გსურთ NFT-ში. NFT-ის შექმნამ ციფრული აქტივისთვის, რომელსაც თქვენ არ ფლობთ, შესაძლოა იურიდიული პრობლემები შეგიქმნათ. მას შემდეგ რაც აირჩევთ თქვენს უნიკალურ ციფრულ აქტივს, დროა დაიწყოთ მისი NFT-ში გადაყვანის პროცესი. ეს იწყება ბლოკჩეინის ტექნოლოგიის განსაზღვრით, რომლის გამოყენებასაც აპირებთ თქვენი NFT-სთვის. ყველაზე პოპულარული NFT შემსრულებლებსა და შემქმნელებს შორის არის Ethereum (CRYPTO:ETH).

შემდეგ ასევე დაგჭირდებათ ციფრული საფულე. ციფრული საფულე მოგცემთ წვდომას ციფრულ აქტივებზე. საუკეთესო NFT საფულეები მოიცავს Metamask, Math Wallet, AlphaWallet, Trust Wallet და Coinbase Wallet. როდესაც გექნებათ კრიპტოვალუტა და ციფრული საფულე, უნდა დაიწყოთ NFT-ის შექმნა. თქვენ უნდა აირჩიოთ NFT ბაზარი. მაგალითად, Axie Marketplace არის ონლაინ მაღაზია საუკეთესო NFT თამაშისთვის.

ჩემთვის საუკეთესო ბაზარი არის OPENSEA, რადგან ის არის ლიდერი NFT-ის გაყიდვებში. ბაზარმა მხოლოდ 2021 წლის აგვისტოში გაყიდა 3,4 მილიარდი დოლარის ღირებულების NFT. NFT ბაზრის არჩევის შემდეგ, უნდა დააკავშიროთ იგი თქვენს ციფრულ საფულესთან. ეს საშუალებას მოგცემთ გადაიხადოთ საჭირო გადასახადი თქვენი NFT-ის დასამზადებლად და გაყიდვიდან ნებისმიერი შემოსავლის შესანახად.

ამის შემდეგ საბოლოო ეტაპია, სადაც შეგეძლებათ თქვენი ციფრული ფაილი გადააქციოთ გაყიდვად NFT-ად.

NFT-ის ფინანსური წარმატების რამდენიმე მაგალითი:

ცნობილი გიფის ავტორმა კრის ტორესსმა გადაწყვიტა ნამუშევრის შექმნის 10 წლისთავი NFT-ის გაყიდვით აღენიშნა. „Nyan Cat“ ბლოკჩეინზე 561,000 აშშ დოლარის ეკვივალენტად გაიყიდა.

ნახაზი 1 კრის ტორესის „Nyan Cat”

წყარო:https://helloblog.ge/story/NFT

ისტორიაში ყველაზე ძვირადღირებული NFT-ი 2021 წლის მარტში გაიყიდა. ციფრულ არტისტ Beeple-ის, იგივე მაიკ მინკელმენს, ახალმა მფლობელმა ნამუშევარში 69,3 მილიონი დოლარის ეკვივალენტი გადაუხადა.

ნახაზი 2. მაიკლ მინკელმენის ნახატი

წყარო:https://helloblog.ge/story/NFT

ჯერ კიდევ 2017 წელს, როცა NFT სულ ახალი გამოჩენილი იყო ბაზარზე, დეველოპერულმა სტუდიამ – Lavra Labs-მა შექმნა სერია Cryptopunks, რომელიც ერთ-ერთი პირველი NFT პროექტია. კრიპტოპანკები 10,000 ცალი 24×24 პიქსელისგან შემდგარი სერიებია, რომლებიც სხვადასხვა ატრიბუტით ადამიანების სახეებს ასახავს.

ნახაზი 3. სტუდია Lavra Labs-ის Cryptopunk-ის სერია

წყარო: https://helloblog.ge/story/NFT

ბევრს გაუჩნდება კითხვა თუ რა აქვთ ამ ნახატებს უნიკალური ? რატომ გაიყიდა ის ასე ძვირად? მაგრამ გავიხსენოთ ცნობილი ნახატები, თუნდაც მონა ლიზა“. ის 100 მილიონად იყო შეფასებული 1962 წელს. ღირებულებას ამ ნამუშრევრებს სწორედ ჩვენ, ადამიანები, ვაძლევთ. შესაბამისად, არ არის გასაკვირი თუ რატომ იყიდება NFT-ები ასეთ ფასად და ვფიქრობ, რომ მომავალში ის ჩაანაცვლებს ფიზიკურ ნამუშევრებს.

რისთვის გამოიყენება NFT?

ბლოკჩეინის ტექნოლოგია და NFT არტისტებსა და კონტენტის შემქმნელებს უნიკალურ შესაძლებლობას აძლევს, თავიანთი ნამუშევრების მონეტიზაცია მოახდინონ.

მაგალითად, მხატვრებს თავიანთი ნამუშევრების გასაყიდად გალერეები და აუქციონები აღარ სჭირდებათ. ამის ნაცვლად, მხატვარს შეუძლია, პირდაპირ მიჰყიდოს იგი პირდაპირ მომხმარებელს, როგორც NFT.

გარდა ამისა, მხატვრებს შეუძლიათ დააპროგრამონ ჰონორარი, რის მერეც თავი- ანთი ნამუშევრის ხელახლა გაყიდვისას ისინი გაყიდვების პროცენტს მიიღებენ. ეს NFT-ს მხატვრებისთვის კიდევ უფრო მიმზიდველს ხდის.

რატომ უნდა დავიწყოთJ NFTJ ბიზნესი ?

NFT შეიქმნა 2017 წელს და მისი არსებობის განმავლობაში უკვე 5 მლნ ტოკენი არის გაყიდული.

კომპანია OpenSea-ის საბაზრო ღირებულებამ, რომელიც შეუცვლელი ტოკენებით (non-fungible token, NFT) ვაჭრობის უმსხვილესი სივრცეა მსოფლიოში, 13,3 მლრდ დოლარს მიაღწია. კომპანიის ერთ-ერთმა თანადამფუძნებელმა დევინ ფინზერმა აღნიშნა, რომ ამ მოედანზე ტრანზაქციების მოცულობა გაიზარდა 600-ჯერ წინა წელთან შედარებით.

Dune Analytics-ის მონაცემებით, გასული წლის დეკემბერში ამ მოედანზე ვაჭრობის ჯამურმა მოცულობამ 3,5 მლრდ დოლარი შეადგინა, რითაც აჯობა კომპანიის 2021 წლის აგვისტოს რეკორდს, როცა 3,42 მლრდ დოლარი ივაჭრა.

ამ ბაზარზე სავაჭრო აქტივობის ზრდა მოდის Yuga Labs-ის “Bord Ape Yacht Club” (BAYC) და “Mutant Ape Yacht Club” (MAYC) განახლებული სიგიჟის ფონზე. 2021 წელს Bored Ape Yacht Club-მა ყველაზე მეტი ფული გამოიმუშავა OpenSea-ზე. დაარსების დღიდან Bored Apes-მა დააგროვა დაახლოებით $1,06 მილიარდი OpenSea-ზე. ეს შეადგენს პლატფორმის მთლიანი ვაჭრობის მოცულობის 6.3%-ს. ყოველდღიური ვაჭრობის მოცულობის თვალსაზრისით, BAYC-მა მოიპოვა $ 14 მილიონი.

ასევე ვარაუდობენ, რომ 2030 წლისთვის NFT ბაზრის მოცულობა 240 მილიარდ დოლარამდე გაიზრდება. მომავალ ცხრა წელიწადში NFT ბაზრის დაახლოებით 8% ძვირადღირებული ბრენდების მფლობელობაში იქნება.

იტალიურმა მოდის სახლმა Gucci-მ მაისში შექმნა Dionysus-ის ჩანთის ვირტუ-ალური ვერსია Roblox-ში, რომელიც დაახლოებით 4100 დოლარი ღირდა. სექტემბერში, ფრანგულმა ბრენდმა Balenciaga-მ გამოუშვა Fortnite მოდის ტანსაცმლის ხაზი, რომლის ყიდვაც დაახლოებით 8 დოლარად თამაშშია შესაძლებელი.

დასკვნა

ჯერ კიდევ 2021 წელს უკვე ყველასთვის ცნობილი იყო, რომ NFT სულ მალე ინტენსიურად შემოიჭრებოდა ჩვენს ცხოვრებაში და ასეც მოხდა. ეს ის ფენომენია, რომელზეც დღეს უამრავი ადამიანი საუბრობს, თუმცა, ბევრისთვის მაინც უცნობი რჩება, რეალურად, რას წარმოადგენს NFT ზემოთ წარმოდგენილი ინფორმაციების საშუალებით შეგვიძვლია ვთქვათ, რომ NFT უკვე დიდი პოპულარობით სარგებლობს საზოგადოებაში. NFT-ის გაყიდვების მოცულობა იზრდება, რაც გვაძლევს იმის თქმის საშუალებას, რომ მისგან საზოგადოებას შეუძლია ფინანსური სარგებლის მიღება. ჩვენ უკვე ციფრულ ეპოქაში ვცხოვრობთ, სადაც მალე ნაღდ ფულს ჩაანაცვლებს კრიპტოვალუტა. დიდი კომპანიები კი ცდილობენ ვირტუალური რეალობის გაუმჯობესებას, შესაბამისად NFT შეგვიძლია განვიხილოთ გრძელვადიან პერსპექტივაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://ka.bitcoinethereumnews.com/technology/a-detailed-guide-on-non-fungible-tokens-nft/
2. https://helloblog.ge/story/NFT
3. https://www.fool.com/investing/stock-market/market-sectors/financials/non-fungible-tokens/how-to-sell-nfts/
4. https://morethandigital.info/en/how-nft-and-crypto-impacts-the-real-economy/
5. https://commersant.ge/ge/post/nft-tokenebit-vachrobis-msoflioshi-umsxvilesi-savachro-moednis-girebulebam-13-mlrd-dolari-sheadgina
6. https://blog.mycoins.ge/news/bored-ape-nft-frenzy-opensea-nft-%E1%83%96%E1%83%94-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%9B%E1%83%9D%E1%83%AA%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%90%E1%83%96%E1%83%A0%E1%83%93%E1%83%90%E1%83%A1-%E1%83%92%E1%83%94%E1%83%92%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%95%E1%83%A1/
7. https://report.ge/economics/nft-is-bazris-motsulobam-shesadzloa-240-miliards-miaghtsios/

რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა საქართველოს სავაჭრო ბალანსზე

გიორგი მოდებაძე

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთი შეიჭრა უკრაინაში, რასაც წინ უძღოდა რუსეთის მიერ თვითგამოცხადებული დონეცკის რესპუბლიკისა და ლუჰანსკის სახალხო რესპუბლიკის აღიარება და შემდგომ სამხედრო ძალის თავმოყრა უკრაინის წინააღმდეგ. ომის შედეგები მალევე აისახა როგორც ამ ორი ქვეყნის, ასევე რეგიონის და მთლიანად მსოფლიოს მასშტაბით, ბუნებრივია, ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველო ყოფილა. შეგვიძლია ვთქვათ, რომ რუსეთის აგრესიას საქართველოს ეკონომიკაზე ძირითადად სამი მიზეზის გამო აქვს და ექნება მომავალშიც უარყოფითი გავლენა:

❖ *საქართველოს მნიშვნელოვან ეკონომიკურ პარტნიორებს წარმოადგენენ რუსეთი და უკრაინა, განსაკუთრებით ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით.*

❖ *დაპირისპირების ეპიცენტრი არის ჩვენი ქვეყნის რეგიონში, ხოლო საომარ მდგომარეობაში მყოფი რეგიონი, როგორც მოგეხსენებათ, ინვესტორთათვის მიმზიდველი არ გახლავთ.*

❖ *მთლიანად მსოფლიო ეკონომიკაზე აქვს უარყოფითი გავლენა ფართომასშტაბიან ომს და რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს, რაც ჩვენს ქვეყანასაც აზარალებს.*

ამ ეტაპზე შეუძლებელია იმის ზუსტად პროგნოზირება, თუ რამდენად დაზარალდება ჩვენი ეკონომიკა, რადგან რუსეთ-უკრაინის ომის საქართველოს ეკონომიკაზე გავლენას რამდენიმე მიმართულება აქვს. ზარალის ზუსტად აღრიცხვა შესაძლებელი იქნება, როდესაც ყველაფერი დასრულდება და ამ ავადსახსენებელი ომის პერიოდის ეკონომიკური მაჩვენებლების სტატისტიკა გვექნება.

მოცემულ ნაშრომში შევეცდებით ვისაუბროთ თუ რა გავლენა ექნება რუსეთ-უკრაინის ომს არა მთლიანად საქართველოს ეკონომიკაზე, არამედ მის ერთ-ერთ შემადგენელ ნაწილზე - საქართველოს სავაჭრო ბალანსზე. ყოველივეს ახსნას კი ვეცდებით იმის კვლევით თუ რა ეკონომიკური კავშირებია საქართველო-რუსეთსა და საქართველო-უკრაინას შორის, რა ზარალი მივიღეთ განვლილი პერიოდის განმავლობაში და მომავალში რა ბედი შეიძლება ეწიოს საქართველოს ეკონომიკას.

საქართველოს სავაჭრო ბალანსი

სანამ კონკრეტულად ომის გავლენაზე ვისაუბრებთ მოდით მოკლედ მიმოვიხილოთ თუ რა ვითარება გახლდათ ქვეყანაში ყოველივეს დაწყებამდე.

2022 წლის იანვარში საქართველოში წინასწარი მონაცემებით საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვამ 1 110.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 41.2%-ით მეტია. აქედან ექსპორტი 331.3 მლნ. აშშ დოლარს შეადგენს (47.6%-ით გაიზარდა), ხოლო იმპორტი 779.1 მლნ. აშშ დოლარს (38.7%-ით გაიზარდა). აქედან გამომდინარე საქართველოს უარყოფითმა სავაჭრო ბალანსმა, 2022 წლის იანვარში, 447.8 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც საგარეო სავაჭრო ბრუნვის 40.3 პროცენტი გახლავთ (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

ბოლო წლებში მიმდინარე ტენდენციის სანახავად იხილეთ დიაგრამა N1, რომელშიც ასახულია საგარეო ვაჭრობის ზოგადი მაჩვენებლები იანვრის მონაცემებით.

დიაგრამა N1



[1]

რაც შეეხება საქართველოს უმსხვილეს პარტნიორ ქვეყნებს საგარეო ვაჭრობის კუთხით მათი სია შეგიძლია იხილოთ დიაგრამა N2-ზე, რის მიხედვითაც 2022წლის იანვარში წინასწარი მონაცემებით თურქეთი, რუსეთი და აზერბაიჯანი გახლავთ სამი ყველაზე დიდი სავაჭრო პარტნიორები ჩვენი ქვეყნისათვის.

დიაგრამა N2

საქართველოს უმსხვილესი სავაჭრო პარტნიორი ქვეყნები 2022* წლის იანვრის ბრუნვის მიხედვით

	ექსპორტი		იმპორტი		ბრუნვა	
	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი	ათასი აშშ დოლარი	პროცენტული წილი
სულ	**331 346.1**	**100.0**	**779 142.8**	**100.0**	**1 110 488.9**	**100.0**
მათ შორის:						
თურქეთი	27 588.8	8.3	141 118.0	18.1	168 706.8	15.2
რუსეთი	42 684.0	12.9	85 929.5	11.0	128 613.5	11.6
აზერბაიჯანი	46 789.3	14.1	75 165.4	9.6	121 954.6	11.0
ჩინეთი	27 806.4	8.4	62 764.0	8.1	90 570.4	8.2
უკრაინა	31 629.0	9.5	33 557.9	4.3	65 186.9	5.9
ბულგარეთი	49 634.7	15.0	15 443.8	2.0	65 078.5	5.9
აშშ	4 088.2	1.2	35 738.9	4.6	39 827.1	3.6
იაპონია	1 308.5	0.4	35 050.2	4.5	36 358.8	3.3
გერმანია	5 086.7	1.5	28 143.7	3.6	33 230.4	3.0
სომხეთი	20 809.5	6.3	11 796.6	1.5	32 606.0	2.9
დანარჩენი პარტნიორი ქვეყნები – სულ	73 921.0	22.3	254 434.9	32.7	328 355.8	29.6

*წინასწარი მონაცემები.

[2]

ახლა ომის გავლენაზე რომ ვისაუბროთ რუსეთ-უკრაინის ომი უარყოფითად მოქმედებს და მომავალშიც იმოქმედებს საქართველოს ეკონომიკაზე ვაჭრობის, ტურიზმისა და ფულადი გზავნილების კუთხით. საქონელზე გაძვირებული ფასები საქართველოზეც აისახება. ნავთობისა და სურსათის ფასები მკვეთრად გაიზარდა ომის დაწყების შემდეგ გაურკვევ-

[1] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022)
[2] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022)

ლობასთან ერთად რუსეთიდან და უკრაინიდან საქონლის მიწოდების შეფერხების გამო. ყოველივე კი დიდ გავლენას ახდენს ინფლაციაზე, ეკონომიკურ ზრდასა და საგარეო ვაჭრობაზე.

მაგალითისთვის ომის დაწყებამდე არსებული პროგნოზით საქართველოს ეკონომიკური ზრდა 2022 წელს 5.5%-ი უნდა ყოფილიყო, რა მაჩვენებელიც ომის დაწყების შემდეგ 2.5%-მდე შემცირდა (World Bank, 2022). ეს კი მნიშვნელოვან გავლენას მოახდენს ქვეყნის სიღარიბის ზრდის კუთხით, რაც გამოიხატება ტურიზმის შემცირებაში, ფულადი გზავნილების კლებაში და ენერგიისა თუ საკვები პროდუქტების ფასების ზრდაში.

იმის გასაგებად თუ რატომ ხდება ასე მოდით დავადგინოთ თუ რა კავშირები გააჩნია ჩვენს ქვეყანას ომში მონაწილე სახელმწიფოებთან.

რუსეთის გავლენა საქართველოს სავაჭრო ბალანსზე

ბატონი ვლადიმერ პაპავას სიტყვებს თუ მოვიშველიებთ იგი ამბობს, რომ „საექსპორტო და საიმპორტო პოტენციალი შეიზღუდება, რადგანაც ექსპორტი რუსეთსა და უკრაინაში, ფაქტობრივად, შეუძლებელი იქნება. ესეც, რა თქმა უნდა, შეიზღუდება საომარი მოქმედებებისა თუ ეკონომიკური სანქციების გამო". (პაპავა, 2022). როგორც ზემოხსენებული მონაცემებიდანაც ჩანს ეკონომიკური თვალსაზრისით საქართველო რუსეთზე გაცილებით მეტად არის დამოკიდებული, ვიდრე უკრაინაზე. მიუხედავად იმისა, რომ ორი წლის წინ დაწყებულმა კოვიდ 19-ის პანდემიამ ქვეყნებს შორის საგარეო ეკონომიკური ურთიერთობები მნიშვნელოვნად შეამცირა, რის შედეგადაც შემცირდა რუსეთზე ეკონომიკური დამოკიდებულებაც, რუსეთი მაინც დარჩა საქართველოსთვის ერთ-ერთ უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორად.

რიცხვობრივად რომ აღვწეროთ ყოველივე, 2021 წელს საქართველომ რუსეთიდან გასულ წლებთან შედარებით ყველაზე მეტი შემოსავალი – 610 მლნ დოლარი მიიღო საქონლის ექსპორტით. რუსეთის წილი საქართველოს ექსპორტში 14.4%-ი გახლავთ და ამ მაჩვენებლით იგი პირველია ჩინეთის შემდგომ. 2021 წელს 2020 წელთან შედარებით ქართული პროდუქციის რუსეთში ექსპორტი 38%-ით გაიზარდა (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). ყოველივე შეგიძლია იხილოთ დიაგრამა N3-ზე.

დიაგრამა N3



[3]

[3] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022)

საყურადსაღებოა საქართველოს რუსულ ხორბალზე დამოკიდებულებაც. 2021 წელს 87 მლნ დოლარის ღირებულების 319 ათასი ტონა ხორბლის შემოტანა მოხდა, რაც საქართველოში იმპორტირებული ხორბლის 94%-ი გახლავთ. ხოლო ხორბლის ფქვილის იმპორტში რუსეთს 96%-იანი წილი უჭირავს (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

თუ რა ზიანი მიადგება საქართველოს რუსეთისგან საგარეო ვაჭრობის კუთხით, ეს სანქციების რუსეთის ეკონომიკაზე ასახვის სიმძიმესა და მასშტაბებზეა დამოკიდებული. ექსპორტის სრული შეწყვეტა გამორიცხულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ზარალი მაინც შეიძლება ძალიან დიდი იყოს. გაცილებით მეტი საფრთხის შემცველია ქართული ღვინის ექსპორტი, რადგან ბოლო წლებმა გვაჩვენა, რომ ის რუსეთის მხრიდან პოლიტიკური მანიპულაციების თემაც არის. საქართველო ყველაზე მწვავედ სწორედ ღვინის ექსპორტის შესაძლო შეზღუდვაზე რეაგირებს, რადგან იგი საკმაოდ დიდი რაოდენობით გადის რუსეთში და მას ჩვენი მთლიანი ექსპორტის თითქმის 4%-ი უკავია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

ტურიზმის მხრივ ქვეყანას დიდი დანაკლისი ვერ ექნება ომის შედეგად რადგან კოვიდ 19-ის პანდემიამ უკვე ძალიან დიდი ზიანი მიაყენა ამ მხრივ ჩვენს სამშობლოს. ყოველივე ნათლად ჩანს დიაგრამა N4-ზე:

დიაგრამა N4



[4]

2019 წელს რუსმა ტურისტებმა საქართველოში დაახლოებით 700 მლნ დოლარი დახარჯეს, 2021 წელს კი 65%-ით ნაკლები, დაახლოებით 240 მლნ დოლარი. 2019 წელს საქართველოში 1.5 მლნ-მდე რუსი ვიზიტორი შემოვიდა, 2021 წელს კი 213 ათასი. 2021 წელს რუსი ვიზიტორების წილი ვიზიტორების მთლიან რაოდენობაში 11.3% იყო (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022). ამ დიდი კლების შემდეგ, ბუნებრივია, დიდი ზარალის მიღება შეუძლებელიც კი გახდა.

[4] (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022)

როდესაც საქართველო-რუსეთის ეკონომიკურ დამოკიდებულებაზე ვსაუბრობთ აუცილებლად უნდა ვახსენოთ რუსეთში დასაქმებული ქართველების მიერ გადმორიცხული თანხები. 2021 წელს რუსეთიდან საქართველოში 411 მლნ აშშ დოლარი გადმოირიცხა. რუსეთის წილი მთლიან გზავნილებში 17.5% იყო (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022). ყოველივეს დიდი გავლენა აქვს ჩვენს ეკონომიკაზე თუმცა არა ისეთი, როგორც წარსულში. „მაგალითად, 2008 წლის აგვისტოს ომის დაწყებამდე, რუსეთიდან ფულადი გზავნილები საქართველოში მთელი ფულადი გზავნილების 60%-ს შეადგენდა, ხოლო დღევანელი მონაცემებით, მხოლოდ 20%-მდეა. რა თქმა უნდა, ეს ბევრად ნაკლებია, ვიდრე 60% და, ამ მხრივ, დღეს ნაკლებად ვართ რუსეთზე დამოკიდებული, მაგრამ მაინც ბევრია“ (პაპავა, 2022). ასევე აღსანიშნავია ის ფაქტიც რომ 2022 წელს ეს მაჩვენებელი მზრდადი ტენდენციით გამოირჩევა

რომ შევაჯამოთ, რუსეთთან ეკონომიკური ურთიერთობების სრულ შეწყვეტის ან რუსული ეკონომიკის სრულად განადგურების შემთხვევაში საქართველო რუსეთისგან 1 მლრდ დოლარზე მეტ წლიურ შემოსავალს დაკარგავს, თუმცა ყოველივე ნაკლებ სავარაუდოა. უფრო რეალურია 2015-2016 წლების მსგავსი სცენარის განმეორება, როდესაც საქართველოს შემოსავალი რუსულ ბაზარზე ექსპორტიდან და ფულადი გზავნილებიდან განახევრდა. აღნიშნული რეალური სცენარის შემთხვევაში საქართველო წლიურად უხეშად რომ ვთქვათ დაახლოებით 600 მლნ დოლარის შემოსავალს დაკარგავს, რასაც დაემატება რეგიონში არსებული ომის და მსოფლიო ეკონომიკის შენელების გავლენები, რისი რიცხვებში გამოსახვაც შეუძლებელია.

უკრაინის გავლენა საქართველოს სავაჭრო ბალანსზე

როგორც უკვე ვახსენეთ რუსეთის ეკონომიკისგან განსხვავებით საქართველო უკრაინის ეკონომიკაზე ნაკლებადაა დამოკიდებული. 2021 წელს უკრაინაში 307 მლნ დოლარის საქონელი გავიტანეთ, რაც წინა წელთან შედარებით 41%-იანი გაიზარდაა, ამ მონაცემით კი უკრაინას საქართველოს ექსპორტში მე-5 ადგილი უკავია. იმპორტში კი უკრაინა მე-7 ადგილზეა. გასულ წელს 418 მლნ დოლარის საქონელი შემოვიდა ქვეყანაში უკრაინიდან. უკრაინის მიმართულებით ექსპორტში პირველ ადგილზე 88 მლნ დოლარით მსუბუქი ავტომობილების რეექსპორტია, ხოლო შემოტანილ პროდუქციაში სიგარეტია პირველ ადგილზე 78 მლნ დოლარით (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

რაც შეეხება საქართველოში შემოსულ ვიზიტორებს ამ მხრივ უკრაინა მე-4 ადგილზე იმყოფება გასული წლის მონაცემებით. 2021 წელს უკრაინიდან 145 ათასი ვიზიტორი შემოვიდა. უკრაინის წილი ვიზიტორებში 8%-მდე აღწევს და უკრაინული ტურიზმიდან შემოსავალი დაახლოებით 100 მლნ დოლარია (საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 2022).

ხოლო უკრაინიდან ფულადმა გზავნილებმა 2021 წელს 93 მლნ დოლარი შეადგინა. მთლიან გზავნილებში უკრაინის წილი მხოლოდ 4%-ია (საქართველოს ეროვნული ბანკი, 2022). ხოლო ბოლო პერიოდში არაა გასაკვირი რომ იკლებს ყოველივე და 2022 წლის რამდენიმე თვეში აჭარბებს კიდეც ჩვენი ქვეყნიდან გადარიცხული თანხის ოდენობას უკრაინიდან შემოსულს.

რომ შევაჯამოთ უკრაინიდან ექსპორტით, ტურიზმით და ფულადი გზავნილებით საქართველომ 2021 წელს დაახლოებით ნახევარი მლრდ დოლარამდე შემოსავალი მიიღო. საქართველო-უკრაინის ეკონომიკურ ურთერთობებს საფრთხე არ ემუქრება, რუსეთისგან განსხვავებით, მაგრამ უკრაინის ეკონომიკა დიდ ზიანს იღებს და, შესაბამისად, საქართველოში უკრაინიდან მიღებული შემოსავლები აუცილებლად მკვეთრად შემცირდება. ხოლო ის თუ რა თანხა დააკლდება საქართველოს, დამოკიდებულია უკრაინის ეკონომიკის ზიანზე.

დასკვნა

ყველაზე მკაცრ სცენარში საქართველო რუსეთ-უკრაინის ომიდან უხეშად რომ ვთქვათ 2 მლრდ დოლარამდე შემოსავალს დაკარგავს, თუმცა რეალური რიცხვი გაცილებით ნაკლებია. როდესაც ომზე ვსაუბრობთ აუცილებლად გასათვალისწინებელია რეგიონის სხვა ქვეყნებსა და მსოფლიოზე რუსეთ-უკრაინის ომის გავლენა, რაც პირდაპირ თუ არაპირდაპირ გავლენას ახდენს ჩვენს ეკონომიკაზეც, რაც ჩვენს სავარაუდო რიცხვში გათვალისწინებული არ გახლავთ. საბოლოო ჯამში, საქართველოს რეალური ეკონომიკის ზრდა შეიძლება 2-3%-მდე შემცირდეს, როგორც ეს 2015-2016 წლებში მოხდა. ამასთან ერთად, საქართველოს მოსახლეობას დააზარალებს ომის გამო გაუფასურებული ლარი, რაც, თავის მხრივ, ინფლაციას უწყობს ხელს. რუსეთი და უკრაინა საქართველოსთვის მნიშვნელოვანი სასურსათო პროდუქტების მომწოდებლები არიან. მათგან იმპორტის შემცირება ქართულ ბაზარზე ფასებს ზრდის, თუმცა შესაძლებელია სხვა ქვეყნის პროდუქციით მათი ჩანაცვლება.

დღევანდელი პერსპექტივიდან რომ ვიმსჯელოთ, სიტუაციის გამოსასწორებლად მომავალში აუცილებლად უნდა მოხდეს მონეტარული პოლიტიკის შემსუბუქება, ტურიზმის პანდემიამდელი მაჩვენებლების აღდგენა და ზოგადად ეკონომიკური კავშირების აღდგენა სხვადასხვა ასპექტში, რადგან გლობალიზაციის პერიოდში შეუძლებელია ამის გარეშე სიტუაციის გაუმჯობესება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. პაპავა, ვ. (2022, 03 10). რა გავლენები ექნება რუსეთისთვის დაწესებულ სანქციებს ქართულ ეკონომიკაზე? (გ. გელხვიძე, Interviewer)
2. საქართველოს ეროვნული ბანკი. (2022). *ფულადი გზავნილები*. Retrieved from National Bank of Georgia: https://nbg.gov.ge/page/%E1%83%A4%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%90%E1%83%93%E1%83%98-%E1%83%92%E1%83%96%E1%83%90%E1%83%95%E1%83%9C%E1%83%98%E1%83%9A%E1%83%94%E1%83%91%E1%83%98
3. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *ექსპორტი*. Retrieved from საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/637/eksporti
4. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *იმპორტი*. Retrieved from საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/638/importi
5. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *საგარეო ვაჭრობა*. Retrieved from საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022, 02 21). *საქონლით საგარეო ვაჭრობა საქართველოში 2022*. თბილისი. Retrieved from საქსტატი.
7. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. (2022). *ტურიზმის სტატისტიკა*. Retrieved from საქსტატი: https://www.geostat.ge/ka/modules/categories/100/turizmis-statistika
8. World Bank. (2022, 04 19). *The World Bank in Georgia*. Retrieved from The World Bank : https://www.worldbank.org/en/country/georgia/overview#3

მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარების პერსპექტივა საქართველოში

ვერონიკა ნიორაძე
გიორგი ბერიანიძე

ინდუსტრიალიზაციის სახელით ცნობილი ეპოქა იყო ერთ-ერთი გარდამტეხი პერიოდი, რომელმაც ეკოლოგიური ფაქტორები თითქმის სრულიად უგულებელყო. სამეცნიერო ლიტერატურაში განხილულმა ოთხმა ინდუსტრიულმა რევოლუციამ კარი გაუღო მსხვილ, ავტომატიზაციაზე დამყარებულ წარმოებას. განვითარებული ქვეყნების ქცევამ, შეცვლილმა პრიორიტეტებმა და ეკოლოგიურმა კატასტროფებმა სამყაროს კლიმატის ცვლილებები, ჰაერისა და წყლის არასახარბიელო დონე და შემცირებული ბიომრავალფეროვნება მოუტანა. გასული საუკუნის 60-იანი წლებში საფუძველი ჩაეყარა გარემოდაცვით მოძრაობას. თანამედროვე მსოფლიომ თანდათან დაიწყო ფიქრი, საწარმოო პროცესში არაგანახლებადი რესურსების ჩანაცვლებაზე განახლებადი წყაროებით.

მოცემულ ნაშრომში განხილულია ზემოაღნიშნული პრობლემის მოგვარების გზები. აღწერილია მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების არსი და პრინციპები, გაანალიზებულია ის ძირითადი მიმართულები, რომლებმაც გადამწყვეტი როლი უნდა ითამაშონ გარემოსდაცვით საკითხებში. გარდა ამისა, გაანალიზებულია კვლევის შედეგები, რომლებმაც მნიშვნელოვანი დასკვნების გაკეთების საშუალება მოგვცა.

საკვანძო სიტყვები: *მდგრადი განვითარება, მწვანე ეკონომიკა, მწვანე აღდგენა, ლურჯი აღდგენა, მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია*

თანამედროვე ეპოქაში განსაკუთრებული როლი უკავია მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საკითხებს. აღნიშნული მიმართულებით არსებული პრობლემების გადაწყვეტის აქტუალურობა გამომდინარეობს, თავის მხრივ, მდგრადი განვითარების არსიდან, ვინაიდან ის ფუნდამენტურ როლს თამაშობს ეკონომიკური ზრდის საკითხში, ისე რომ დაცული იყოს მომავალი თაობის ინტერესებიც. იგი ითვალისწინებს ცხოვრების დონის უპირობო ზრდას, მათ შორის საზოგადოების კეთილდღეობის ზრდასაც და მომავალი თაობის უფლებას, რომ შეძლონ და ისარგებლონ გარემოში არსებული რესურსებით, გარემოზე ზიანის მიყენების გარეშე.

ბოლო პერიოდში საგრძნობლად გაიზარდა გარემოს დაბინძურებით გამოწვეულ დაავადებათა რაოდენობა. არსებულმა ეკონომიკურმა განვითარებამ კაცობრიობისა და ჩვენი პლანეტის ურთიერთდამოკიდებულება კრისიზამდე მიიყვანა, რაც დროულ ჩარევებს საჭიროებს, რათა არ დაიწყოს შეუქცევადი პროცესები.

მწვანე ეკონომიკის არსი და პრინციპები

მწვანე ეკონომიკის კონცეფცია დაიწყო მდგრადი განვითარების იდეიდან და დაფუძნებულია მდგრადი და გრძელვადიანი განვითარების სტრატეგიაზე. ზოგადად, მწვანე ეკონომიკა, ეს არის ეკონომიკური განვითარების მოდელი, რომელიც დამყარებულია

მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე. იგი მჭიდრო კავშირშია ეკოლოგიურ ეკონომიკასთან, ხელს უწყობს სიღარიბის აღმოფხვრას და მდგრადი განვითარების მიღწევას, შესაბამისი პოლიტიკის მეშვეობით აერთიანებს გარემოსდაცვით, სოციალურ და ეკონომიკურ საკითხებს.

გარემოს დასაცავად დაწყებულმა მოძრაობამ 70 წელი მიითვალა, ხოლო მდგრადი განვითარებისათვის მოძრაობის თვისებრივად ახალი ეტაპი დაიწყო 1987 წელს გაერო-ს დაცვისა და განვითარების მსოფლიო კომისიის მოხსენების - „ჩვენი საერთო მომავალი"- გამოქვეყნებით. ამის შემდგომ, უკვე 1992 წელს ქალაქ რიო-დე-ჟანეიროში მიიღეს კონვენცია, რომელშიც მონაწილეობა მსოფლიოს 106-მა ქვეყანამ მიიღო. აღნიშნულ კონფერენციაზე მიღებულ იქნა 5 დოკუმენტი: 1) დეკლარაცია გარემოსა და განვითარების შესახებ; 2) დღის წესრიგი XXI საუკუნისთვის; 3) განცხადება ტყეებისადმი დამოკიდებულების შესახებ; 4) კონვენცია კლიმატის ცვლილებების შესახებ; 5) კონვენცია ბიომრავალფეროვნების შესახებ. აღნიშნულ კონვენციას მოგვიანებით, 1997 წელს მოყვა კიოტოს ოქმის მიღება, რომელსაც ხელი 161-მა ქვეყანამ მოაწერა და რომელიც ითვალისწინებდა სათბური აირების გაფრქვევის რაიმე კონკრეტული ზღვრების დადგენას.

მოგვიანებით, 2015 წელს, გაეროს წევრი 193 ქვეყანა შეთანხმდა მდგრადი განვითარების დღის წესრიგის დოკუმენტზე, სათაურით - „ჩვენი სამყაროს გარდაქმნა; 2030 წლის დღის წესრიგი მდგრადი განვითარებისთვის". ეს დღის წესრიგი მოიცავს 17 მიზანს და 169 ამოცანას. აღსანიშნავია, რომ საქართველო იყო ერთ-ერთი პირველი სახელმწიფო, რომელმაც 2015 წელს მხარი დაუჭირა გაეროს მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) დამტკიცებას.

მწვანე ეკონომიკასა და მდგრად განვითარებას შორის კავშირს წარმოადგენს ის, რომ მწვანე ეკონომიკა დაიწყო მდგრადი განვითარების იდეიდან, დამყარებულია მდგრად განვითარებასა და ეკოლოგიური ეკონომიკის ცოდნაზე და დაფუძნებულია მდგრად და გრძელვადიან განვითარების სტრატეგიაზე. აღსანიშნავია ისიც, რომ მწვანე ეკონომიკის პრინციპებიდან ერთ-ერთი სწორედ მდგრადობის პრინციპია.

მწვანე ეკონომიკის თეორია სამ ძირითად აქსიომას ემყარება:

1. შეუძლებელია გავლენის სფეროების უსაზღვრო გაფართოება შეზღუდულ სივრცეში;

2. შეუძლებელია მუდმივად მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილება განსაზღვრული რაოდენობის რესურსების არსებობის პირობებში;

3. ყველაფერი, რაც დედამიწის ზედაპირზე არსებობს, მჭიდრო ურთიერთკავშირშია (შენგელია, 2017).

მწვანე ფილოსოფიის კონცეფცია ასევე მოიცავს „ლიმიტების" ცნებას. უსასრული ეკონომიკური ზრდა კონკრეტულ პლანეტაზე სრული რესურსებით არამდგრადია. თუ ჩვენ ვაპირებთ ვაწარმოოთ, მოვიხმაროთ და ნარჩენად ვაქციოთ უფრო მეტი რესურსი, ეს იქნება დამაქცეველი არამარტო მომავალი თაობისთვის, არამედ ბუნებისა და კაცობრიობისთვის ზოგადად დღესვე. მუდმივი ეკონომიკური ზრდის შეუძლებლობა არის კიდევ ერთი ფუნდამენტური თემა, რომელსაც ეყრდნობა მწვანე პოლიტიკა და რითიც მკვეთრად განსხვავდება სხვა იდეოლოგიებისგან.

მრავალი ეკონომისტის აზრით, მწვანე ეკონომიკა მოიცავს ექვს მთავარ სექტორს:

1. განახლებადი ენერგია (მზის, გეოთერმული, ბიოგაზის და სითბური უჯრედების ენერგია);

2. მწვანე შენობები (მწვანე პროდუქტები და მასალები, ენერგიის მწვანე მოდიფიკატორები);

3. წყლის მენეჯმენტი (წყლისა და წვიმის გამწმენდი სისტემები, შიდა წყლის ლანდშაფტი);

4. სუფთა ტრანსპორტი (ალტერნატიული საწვავი, ჰიბრიდული და ელექტრო სატრანსპორტო სისტემა);

5. ნარჩენების მართვა (ნიადაგის ნაყოფიერების გაუმჯობესება, უტილიზაცია);

6. მიწის მართვა (ორგანული სოფლის მეურნეობა, ტყეების განაშენიანება, ურბანული ტყეები და პარკები) (შენგელია, 2017).

კოალიციამ ინკლუზიური მწვანე ეკონომიკისთვის (Partners for an Inclusive Green Economy) შეიმუშავა მწვანე ეკონომიკის ხუთი პრინციპი, რომლებიც ეყრდნობა საერთაშორისო პოლიტიკის მნიშვნელოვან პრეცენდენტებს და რომლებმაც ერთად შეიძლება წარმართონ ეკონომიკური რეფორმების ეფექტიანობა სხვადასხვა მიმართულებით. ეს პრინციპებია: კეთილდღეობის პრინციპი; სამართლიანობის პრინციპი; მდგრადობის პრინციპი; ეფექტიანობისა და საკმარისობის პრინციპი და ჯანსაღი მართვის პრინციპი (Jung and Murphy, 2020, p.1).

ისეთი მნიშვნელოვანი ინსტიტუტები და ორგანიზაციები, როგორიცაა: გაერო, მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, მაკკინზის გლობალური ინსტიტუტი, მსოფლიო რესურსების ინსტიტუტი და სხვა გამოყოფენ პოსტკოვიდური ეკონომიკის აღდგენის შემდეგ მიმართულებებს: მწვანე აღდგენა; ლურჯი აღდგენა; ნაცრისფერი აღდგენა (იგი წარმოადგენს მწვანე აღდგენის საპირისპირო ცნებას); უფერული აღდგენა (გააჩნია ნეიტრალური ეფექტი სტატუს ქვოზე) (Dafnomilis et al., 2020). საინტერესოა პოსტკოვიდური ეკონომიკის აღდგენის ძირთადი მიმართულებების ანალიზი, რომლებზეც მრავალი ავტორი წერს: Hepburn et al., 2020; Northrop et al., 2020, Lewney et al., 2021; Gagnidze, 2022 და სხვები.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი ამ პროცესებს მეოთხე ინდუსტრიული რევოლუციის შინაარსით განიხილავს, ხოლო ევროკომისია 2022 წლის დოკუმენტებში მწვანე და ლურჯი აღდგენის პოლიტიკის განხორციელებას მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის (Industry 5.0) ფარგლებში 2030 წლისთვის გეგმავს.

მწვანე პოლიტიკა

მწვანე პოლიტიკა თანხვედრაშია სოციალურ, ეკონომიკურ და გარემოსდაცვით სარგებელთან. იგი მოიცავს შემდეგ ძირითად მიმართულებებს: განახლებადი ელექტროენერგიის წარმოებაში ინვესტიციების მხარდაჭერას და ქსელის მოქნილობის ღონისძიებებს, რომლებიც საჭიროა ენერგოუსაფრთხოების გასაუმჯობესებლად, რადგან წარმოების სიმძლავრის დიდი წილი შედგება წყვეტილი, არაშემნახველი განახლებადი წყა-*როებისგან; ინვესტიციების მხარდაჭერას შენობებისა და მოწყობილობების ენერგოეფექტიანობის გასაუმჯობესებლად. ასევე, ავტოტრანსპორტის რაოდენობის შემცირების სქემების დამუშავებას და საზოგადოებრივ ტრანსპორტში ინვესტიციების ხელშეწყობას,

რათა მოხდეს გარემოს მინიმალური დაბინძურება მავნე ნივთიერებების ემისიისგან. გარდა ამისა, აღსანიშნავია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებების სტიმულირება, როგორიცაა, მაგალითად, კლიმატ-მეგობრული სოფლის მეურნეობა, ეკოსისტემებისა და ტყეების აღდგენა (Lewney et al., 2021).

ვინაიდან მსოფლიოს მოსახლეობის 1/3 სანაპირო ზოლიდან 100კმ-ის რადიუსში ცხოვრობს, მნიშვნელოვანია ლურჯი აღდგენის პოლიტიკის დაგეგმვა-განხორციელება ის გულისხმობს 5 პრიორიტეტს:

✓ ინვესტირებას სანაპირო და საზღვაო ეკოსისტემების აღდგენასა და დაცვაში

✓ ინვესტირებას წყალარინების და გამოყენებული წყლის ხელმეორედ გასაფილტრ ინფრასტრუქტურაში

✓ ინვესტირებას საზღვარო არასაკვებ აკვაკულტურაში

✓ ნულოვანი გამონაბოლქვის მქონე საზღვაო ტრანსპორტის წახალისებას

✓ ოკეანეში მდგრადი განახლებადი ენერგიის წარმოების წახალისებას (Northrop et al., 2020).

მიუხედავად იმისა, რომ მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია შედარებით ახალი კონცეფციაა, სამეცნიერო ნაშრომებში ადრეც აღწერდნენ ამ ცნების ძირითად მახასიათებლებს. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუცია ინდუსტრიის ძალას განიხილავს როგორც სოციალური მიზნების მისაღწევ და მდგრადი კეთილდღეობის უზრუნველმყოფ გზას. ის აიძულებს წარმოებას, პატივი სცეს ჩვენი პლანეტის საზღვრებს, მის ეკოლოგიურ მდგომარეობას და მისი ბინადრების უსაფრთხოებას.

ეს ფართო მიზანი უკანა პლანზე სწევს წარმოებიდან და მომსახურებიდან მიღებული შემოსავლის მაქსიმიზაციის იდეას და ადგილს უთმობს სამ ელემენტს: ადამიანებზე ორიენტირებას, მდგრადობას და მედეგობას (იხ. დიაგრამა 1).

დიაგრამა 1. მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის მოდელი[1]

ადამიანებზე ორიენტირებულობა გულისხმობს, იმას რომ საწარმოო პროცესში ყურადღება ექცევა ადამიანის საჭიროებებსა და ინტერესებს. განწყობა - „რა შეგვიძლია

[1] წყარო: https://ec.europa.eu/info/news/industry-50-towards-more-sustainable-resilient-and-human-centric-industry-2021-jan-07_en გვ.13.

გავაკეთოთ ტექნოლოგიისთვის“ მეხუთე ინდუსტრიული რევოლუციის პირობებში გარ-დაიქმნება მიდგომად - „რა შეიძლება გააკეთოს ტექნოლოგიამ ჩვენთვის“.

მდგრადობის ქვეშ იგულისხმება წრიული ეკონომიკის შესაბამისი საწარმოო პროცესების მასშტაბების გაფართოება, რესურსების გამოყენების გახანგრძლივება, ნარჩენების ხელახალი გადამუშავება, დანაკარგების მინიმიზაცია და ადამიანის ბუნებაზე გავლენის შემცირება.

მედეგობა გულისხმობს, ინდუსტრიის უკეთესად აღჭურვას, საიმისოდ, რომ ინფრა-სტრუქტურა კრიზისის დროს დაცული იყოს შეფერხებებისგან.

საქართველოში მწვანე ეკონომიკის ინფორმირებულობის შესახებ კვლევის შედეგები

მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების საკითხებთან დაკავშირებით თვისებრივი კვლევა ჩატარდა 2022 წლის 13 მარტიდან 18 მაისამდე პერიოდში Google Survey-ის პლატფორმის გამოყენებით, ფეისბუქის სოციალური ქსელის მონაწილეები-სთვის. გამოიკითხა 150 რესპონდენტი.

დიაგრამა 2 ასახავს გამოკითხულთა სქესობრივ სტრუქტურას, საიდანაც ირკვევა, რომ 95 (63,3%) მდედრობითი სქესისაა, ხოლო 55 (36,7%) - მამრობითი.



დიაგრამა 2. რესპონდენტთა განაწილება სქესის მიხედვით

რესპონდენტთა ასაკობრივი სტრუქტურა ასახულია დიაგრამაზე 3, საიდანანაც ჩანს, რომ გამოკითხულთა თითქმის ნახევარი, 72(49%) 21-30 ასაკობრივ ჯგუფს მიეკუთვნება. რაოდენობრივად მეორე ადგილზეა 20 წლამდე ასაკობრივი ჯგუფი 48(32%), ხოლო ყველაზე მცირე რაოდენობა - 6(4,1%) იყო 51 და მეტი ასაკის მქონე.



დიაგრამა 3. რესპონდენტთა განწილება ასაკის მიხედვით

რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე მწვანე ეკონომიკის კონცეფციის შესახებ (დიაგრამა 4), ასე გადანაწილდა: მხოლოდ 56-მა (37,8%) უპასუხა, რომ იცის; 52-ს (35,1%) ნაწილობრივი ინფორმაცია აქვს, ხოლო ნაკლებინფორმირებულია 31(20,9%). 9(6,1%) რესპონდენტს საერთოდ არ აქვს ინფორმაცია მწვანე ეკონომიკის შესახებ.



დიაგრამა 4. რესპონდენტთა პასუხები მწვანე ეკონომიკის კონცეფციასთან დაკავშირებით

აღნიშნულმა პასუხებმა ცხადყო, რომ საზოგადოების საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი არ არის სათანადოდ ინფორმირებული მწვანე ეკონომიკის კონცეფციის შესახებ. თუ გავითვალისწინებთ იმას, რომ რესპონდენტთა თითქმის ნახევარი 21-30 ასაკობრივი ჯგუფიდანაა ეს შედეგი მწვანე ეკონომიკის ცნობადობის ასამაღლებლად ღონისძიებების ინტენსიურად ჩატარების აუცილებლობაზე მიუთითებს.

კითხვაზე, რამდენად მნიშვნელოვანია საქართველოსთვის და მსოფლიოსთვის მწვანე ეკონომიკის დანერგვა/განვითარება, პასუხების განაწილება წარმოდგენილია დიაგრამაზე 5.



დიაგრამა 5. რესპონდენტთა პასუხები საქართველოში და მსოფლიოში მწვანე ეკონომიკის დანერგვა/განვითარების მნიშვნელობის შესახებ

როგორც დიაგრამაზე 5 ჩანს, 84(56,8%) რესპონდენტი თვლის, რომ მწვანე ეკონომიკის დანერგვა და განვითარება საქართველოსა და მსოფლიოში ძალიან მნიშვნელოვანია; 49 (33,1%) მიიჩნევს, რომ მნიშვნელოვანია; 11(7,4%) ამბობს, რომ ნაკლებად მნიშვნელოვანია. 2-ის (1,4%) აზრით, უმნიშვნელოა, ხოლო 2-ს (1,4%) უჭირს პასუხის გაცემა. აღნიშნული მაჩვენებლები უფრო პოზიტიურია წინა კითხვაზე მიღებულ პასუხებთან შედარებით,

რადგან, როგროც ჩანს, მიუხედავად მწვანე ეკონომიკის კონცეფციის ნაკლებად ცოდნისა, რესპონდენტები მაინც გრძნობენ, რომ აღნიშნული საკმაოდ მნიშვნელოვან ფენომენს წარმოადგენს.

კითხვაზე, რომელ სფეროშია უმჯობესი მწვანე პროექტების განხორციელება, პასუხების განაწილება შემდეგია (იხ. დიაგრამა 6).



დიაგრამა 6. რესპონდენტთა პასუხების განაწილება კითხვაზე, რომელ სფეროშია აუცილებელი მწვანე პროექტების განხორციელება

რესპონდენტებმა უპირატესობა მიანიჭეს რესურსების ეფექტიანობას 59(41,8%), განახლებად ენერგიებს მიემხრო 41(29,1%), ხოლო ენერგოეფექტიანობას- 38(27%).

საინტერესო იყო ასევე ის, თუ მდგრადი განვითარების მიმართულებით გატარებულ რომელ პროგრამაზე სმენიათ რესპონდენტებს. აღნიშნულ კითხვაზე გაცემული პასუხები წარმოდგენილია დიაგრამაზე 7.



დიაგრამა 7. რესპონდენტთა პასუხები კითხვაზე, მდგრადი განვითარებუს მიმართულებით გატარებულ რომელ პროექტზე სმენიათ

როგორც დიაგრამა 7 ასახავს, რესპონდენტებში ცნობადობით აშკარად ჭარბობს პროგ-რამა „აწარმოე საქართველოში“ (85 პასუხი, 61,2%). რაც შეეხება პროგრამებს „ახალგაზრდა მეწარმე“ (51; 36,7%) და „სტარტაპ საქართველო“ (53; 38,1%), მათზე სმენიათ გამოკითხულთა თითქმის თანაბარ რაოდენობას, ხოლო გამოკითხულთაგან მხოლოდ 21 (15,1%)-ს აქვს ინფორმაცია პროექტზე „გადაიღე საქართველოში“.

დასკვნები და რეკომენდაციები

COVID-19 პანდემიამ მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევაზე უარყოფითად იმოქმედა, რაზეც მეტყველებს მდგრადი განვითარების მიზნების გლობალური საშუალო მაჩვენებლის შემცირება 2020 წელს. უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ეკოლოგიური პოლიტიკა ვერ პასუხობს თანამედროვე გამოწვევებს, რასაც ადასტურებს ეკოლოგიური ეფექტიანობის ინდექსში 102-ე პოზიცია 2020 წელს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მწვანე ეკონომიკა მდგრადი განვიტთარების კონცეფციის ნაწილია. აღნიშნული ადასტურებს, რომ საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარებისთვის აუცილებელია მწვანე ეკონომიკის ეფექტიანი პოლიტიკის შემუშავება და განხორციელება, რაც ევროკავშირის მიერ დასახული პოლიტიკის შემადგენელი ნაწილი უნდა გახდეს, თუ საქართველოს რეალურად სურს ამ კავშირის წევრობა.

ჩვენ მიერ ჩატარებულმა გამოკითხვამ ცხადყო, რომ მწვანე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მხრივ მოსახლეობის ინფორმირებულობა დაბალია. თუმცა, ისინი მაინც თვლიან, რომ საკითხის გადაწყვეტა მნიშვნელოვანია. ინფორმირებულობის ამაღლების დონე ხსნის შესაძლებლობის ფანჯარას აქტიური ეკონომიკური პოლიტიკის გასატარებლად.

კვლევიდან ასევე დასტურდება, რომ მოსახლეობა იცნობს მწვანე ეკონომიკის ხელშესაწყობად განხორციელებულ პროგრამებს („აწარმოე საქართველოში“ და ა.შ.) და სასურველია მათი მასშტაბების გაფართოება მწვანე და ლურჯი აღდგენის პოლიტიკის შესაბამისი პროექტების დაფინანსებით.

მწვანე და ლურჯი აღდგენის პოლიტიკის განსახორციელებლად საჭიროდ მიგვაჩნია სამეცნიერო კვლევების ხელშეწყობა შესაბამისი მიმართულებების მიხედვით. არანაკლებ მნიშვნელოვანია ადგილობრივი კადრების მომზადება, რომლებიც შეძლებენ უახლესი ტექნოლოგიების ექსპლუატაციასა და შეკეთებას, რაშიც უნივერსიტეტებისა და კოლეჯების როლი გადამწყვეტია. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი გარემოება ეხება მწვანე გადასახადების ეტაპობრივ შემოღებას. აღნიშნულის მიზანია დაიბეგროს საქმიანობის ის სახეები, რომლებიც იწვევენ გარემოზე უარყოფით შედეგებს. ასევე ვფიქრობთ, რომ მნიშვნელოვანია მწვანე სკოლების ქსელის გაფართოება (უკვე არსებობს 200-მდე სკოლა). აღსანიშნავია, რომ განათლების სამინისტრო გარკვეულ ნაბიჯებს დგამს ამ მიმართულებით (წარდგენილია აგრარული სფეროს სახელმძღვანელო დაწყებითი კალსების მოსწავლეებისთვის და ა.შ.), თუმცა, შემდგომი გააქტიურება აუცილებელია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. „მწვანე ეკონომიკა:არსი და გამოწვევები“. თსუ სამეცნიერო კონფერენცია, „ეკონომიკა-XXI საუკუნე“
2. „გაეროს მდგრადი განვითარების თანამშრომლობის ხელშეკრულება 2021-2025“. თბილისი. 2020
3. მებუკია მ. „მწვანე ეკონომიკა და მდგრადი განვითარება“. თბილისი.2020
4. მწვანე ალტერნატივა, „მწვანე პოლიტიკა და გარემოს დაცვა“.თბილისი. 2013
5. ოსაძე ლ. სრესელი ლ. „მწვანე ეკონომიკა-საქართველოს მდგრადი განვითარების საშუალება“. თსუ სამეცნიერო კონფერენცია, „ეკონომიკა-XXI საუკუნე“

6. „საქართველოს გარემოს დაცვის მოქმედებათა მესამე ეროვნული პროგრამა 2017-2021წწ“. სამუშაო ვერსია. თბილისი. 2017
7. „საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) განხორციელების მონიტორინგი“. თბილისი. 2019
8. ტალიკაძე ნ. „მწვანე ეკონომიკის კონცეფცია და საქართველოს პოზიცია გლობალურ მწვანე ეკონომიკაში“. თსუ სამეცნიერო კონფერენცია, „ეკონომიკა-XXI საუკუნე“
9. შენგელია,ფ. „მწვანე ეკონომიკა და სიღარიბე“. თსუ სამეცნიერი კონფერენცია „ეკონომიკური განვითარების სტრუქტურული და ინოვაციური პრობლემები“. თბილისი. 2017.
10. Gagnidze, I. (2022) The Numerous Challenges of the Post-COVID Economy. 6th FEB International Scientific Conference "Challenges in Economics and Business in the Post-COVID Times". Proceedings. pp. 11-19. DOI https://doi.org/10.18690/um.epf.5.2022.2
11. Dafnomilis, I., Elzen, M., Soest, H., Hans, F., Kuramochi, T., & Höhne, H. (2020). *Exploring the Impact of the COVID-19 Pandemic on Global Emission Projections*. PBL Netherlands Environmental Agency.
12. Hepburn, C., O'Callaghan, B., Stern, N., Stiglitz, J., & Zenghelis, D. (2020). Will COVID-19 Fiscal Recovery Packages Accelerate or Retard Progress on Climate Change? *Oxford Review of Economic Policy* 36 (Supplement_1): S359–S381. https://doi.org/10.1093/oxrep/graa015.
13. Jung, C., & Murphy, L. (2020). *Transforming the economy after Covid–19: A clean, fair and resilient recovery*, IPPR. Available from: http://www.ippr.org/research/publications/transforming-the-economy-after-covid19.
14. Lewney, R., Kiss-Dobronyi, B., Van Hummelen, S., & Barbieru, L. (2021). *Modelling a Global Inclusive Green Economy COVID-19 Recovery Programme. Partnership for Action on Green Economy*. Available from: https://www.un-page.org/files/public/covid-19_ige_global_technical_report_final.pdf.
15. Northrop, E., Konar, M., Frost, N., & Hollaway E. (2020). *A Sustainable and Equitable Blue Recovery to the COVID-19 Crisis.* Washington, DC: World Resources Institute. Available from: https://www.oceanpanel.org/bluerecovery
16. Industry 5.0. Towards a sustainable, human-centric and resilient European industry. Directorate-General for Research and Innovation. 2021. https://ec.europa.eu/info/news/industry-50-towards-more-sustainable-resilient-and-human-centric-industry-2021-jan-07_en

ინტერნეტ რესურსები

1. გარემოსა და ზრდის პარტნიორობა - http://recp.ge
2. მდგრადი განვითარების ანგარიში 2021: მიმოხილვა და საქართველოს შედეგები-https://idfi.ge
3. მწვანე ეკონომიკა და საქართველო - http://geoeconomics.ge
4. პრინციპები, პრიორიტეტები და გზები ინკლუზიური მწვანე ეკონომიკისთვის - https://www.greeneconomycoalition.org
5. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ოფიციალური ვებგვერდი http://www.economy.ge
6. საქართველო მწვანე ეკონომიკის მიმართულებით - https://www.eu4environment.org

კოვიდ-19ის გავლენა საქართველოს სადაზღვევო კომპანიების ფინანსურ მაჩვენებლებზე სადაზღვევო კომპანია „ირაოს“ მაგალითზე

ანა ჟვანია

კოვიდ-19ის პირობებმა მთელ მსოფლიოს დიდი პრობლემები და დაბრკოლებები შეუქმნა, გამონაკლისი, რა თქმა უნდა, არც საქართველო აღმოჩნდა. საბოლოო მონაცემებით, 2021წლის ბოლოს საქართველოში წარმოებული ბიზნესების 27% გაკოტრდა, რამაც საკმაოდ დიდი ზიანი მოუტანა საქართველოს ეკონომიკას.

პანდემიის პირობებში საკმაოდ რთული გახდა ბიზნესის წარმოება. სადაზღვევო კომპანიებიც ასევე ბიზნეს სექტორის ნაწილია, ისინი ერთ-ერთი წამყვანი ფინანსური ინსტიტუტებია მსოფლიოს ყველა ქვეყანაში. საინტერესოა, თუ როგორი პროგრესი ან რეგრესი განიცადა საქართველოს ფარგლებში სადაზღვევო სექტორმა.

უმეტესმა სადაზღვევო კომპანიებმა ოპერატიულად მოახდინეს ადაპტირება კოვიდის პირობებში და მოახერხეს თავიანთი სისტემების ოპტიმიზაცია და აღჭურვა პრესონალის ისე, რომ მათ კლიენტებს მოემსახურონ დისტანციურად. ასევე აღსანიშნავია ისიც, რომ მათ მოახერხეს მორგება პანდემიის სიტუაციაზე და გაითვალისწინეს ის საჭიროებები, რაც სჭირდებოდათ მომხმარებლებს. მაგალითად, კორონავირუსის დადასტურების შემთხვევაში სადაზღვევო კომპანიები იმ კლიენტების, რომლებიც სარგებლობენ მათი ჯანმრთელობის პოლისით, უზრუნველყოფდნენ მათ მკურნალობის ხარჯების დაფარვას და ასევე პოსტ-კოვიდური გამოკვლევების ჩატარებას.

საკმაოდ ვრცელია ჩამონათვალი იმისა, თუ რა გამოიწვია კოვიდ-19-მა სადაზღვევო სფეროში და ასევე ძალიან რთულია ვისაუბროთ ყველა საქართველოში რეგისტრირებულ სადაზღვევო კომპანიებზე, რადგანაც ამჟამად საქართველოში 18 სადაზღვევო კომპანია ოპერირებს ბაზარზე, ამიტომაც მე, როგორც პრაქტიკოს დაზღვევის მენეჯერს, მსურს ვისაუბრო ამ თემაზე შედარებით ვრცლად და თვალსაჩინოებისთვის გამოვიყენო სადაზღვევო კომპანია „ირაოს“ მონაცემები და ტენდენციები.

სადაზღვევო ბაზრის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით რეგისტრირებულია 18 სადაზღვევო კომპანია, რომლებიც ფლობენ სიცოცხლის და არასიცოცხლის დაზღვევის ლიცენზიას.

2021 წლის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 772,7 მილიონი ლარი. ამავე პერიოდის შედეგებით მზღვეველების სადაზღვევო მოგებამ შეადგინა 172,0 მილიონი ლარი, წმინდა მოგებამ კი 39,9 მილიონი ლარი.

სადაზღვევო კომპანიების აქტივების ჯამური მოცულობა შეადგენს 985,4 მილიონ ლარს, ხოლო კაპიტალი 324,1 მილიონ ლარს.

მსოფლიო ფინანსური კრიზისი ქართულ სადაზღვევო სექტორზე მეტ-ნაკლებად აისახა. რადგან ფსიქოლოგიური ფაქტორი პირდაპირ დაკავშირებულია ფინანსებთან, საქართველოში კაპიტალის დაგროვება ან სოციალური საჭიროებებისთვის მისი გამოყენება შემცირდა. მოსახლეობა უწინდებურად აღარ აფინანსებს საკუთარ სოციალურ საჭიროებებს. ეს ტენდენცია პირდაპირ აისახა სიცოცხლის, ასევე საერთო დაზღვევაზე. იურიდიულმა

და ფიზიკურმა პირებმა მკვეთრად შეკვეცეს ხარჯები, რაც პირდაპირ აისახება სადაზღვევო კომპანიებზე.

ძირითადად ზრდა ჯანმრთელობისა და ქონების დაზღვევის მიმართულებით არის. დღეს სადაზღვევო ბაზარზე წარმოდგენილია 18 სადაზღვევო კომპანია ჯამურად 279,1 მილიონ ლარიანი კაპიტალით.

2021 წლის პირველ კვარტალში სადაზღვევო სექტორის წმინდა მოგება 3.1 მილიონი ლარით შემცირდა და 13.5 მილიონი ლარი შეადგინა.

3 თვის განმავლობაში მოზიდულმა სადაზღვევო პრემიამ პირდაპირი დაზღვევის საქმიანობიდან შეადგინა 233,2 მილიონი ლარი, რაც 22.1 მილიონი ლარით აღემატება გასული წლის ანალოგიური პერიოდის მაჩვენებელს.

პირველი კვარტლის შედეგების თანახმად, საქართველოს მოსახლეობის 17% სამედიცინო დაზღვევით სარგებლობს, ხოლოJრეგისტრირებული ავტომობილების 6% დაზღვეულია

სექტორის წარმომადგენლები მოგების კლებას პანდემიის გარდა, გაძვირებულ სამედიცინო მომსახურებას უკავშირებენ და აღნიშნავენ, რომ ჯანმრთელობის დაზღვევაზე ფასები 10-15%-ის ფარგლებში გაზარდეს.

სადაზღვევო კომპანიების ფინანსური მაჩვენებლები სს ირაოს მაგალითზე

საქართველოში სულ მოზიდული პრემია პირდაპირი დაზღვევისგან

2019 წელს შეადგენდა-629 მლნ.ლარს,

2020 წელს-667.3 მლნ.ლარს, ხოლო

2021 წელს ეს ციფრი გაიზარდა და გახდა 772.7 მლნ.ლარი.

ეს იმის მანიშნებელია, რომ პანდემიის პირობებში დაზღვევაზედ მოთხოვნა საქართველოში არათუ შემცირდა, პირიქით, გაიზარდა.

ამას მოწმობს ირაოს მონაცემებიც. ირაოს მოზიდული პრემია 2019 წელს შეადგენდა 35.53 მლნ.ლარს, 2020წელს 38.52 მლნ.ლარს, ხოლო 2021 წელს- 49.3 მლნ.ლარს.







ინოვაციური პროდუქტები კოვიდ-19-ის პირობებში

2020 წელი, ყველა სხვა სფეროს მსგავსად, სადაზღვევო სფეროსთვისაც განსაკუთრებული გამოწვევებით სავსე აღმოჩნდა. COVID–19-ის პანდემიამ საკმაოდ მძიმე გავლენა იქონია სადაზღვევო ბაზრის ზრდასა და განვითარებაზე. „‘†-”“ სტაბილური განვითარების გრძელვადიანი პერსპექტივების სწრაფად გაანალიზებისთანავე დაიწყო ახალ რეალობაზე მორგებული და სრულიად ახალი, უფრო მოქნილი სერვისების დანერგვა. „ირაო“ იყო ერთ-ერთი პირველი კომპანია, რომელიც მუშაობის დისტანციურ რეჟიმზე გადავიდა, რათა თანამშრომლებისა და მომხმარებლების ჯანმრთელობისთვის საფრთხე არ შეექმნა.

2020-2021 წლის განმავლობაში ერთ-ერთი ძირითადი ამოცანა იყო ციფრული მიმართულების გაძლიერება, COVID–19-ის პანდემიამ კი უფრო დააჩქარა ამის განხორციელება. შედეგად, მომხმარებლებს საკმაოდ სწრაფად „‘†-”“ შესთავაზა დისტანციური სერვისები –

დაზღვეულებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ოჯახის ექიმთან დისტანციური კონსულტაცია და მიმართვის მიღება ონლაინ, შეიქმნა ახალი პლატფორმა, რითაც ონლაინ ანაზღაურების სერვისი უფრო მეტად გამარტივდა.

„ირაოს“ მომხმარებლების ინტერესებზე არის ორიენტირებული. სწორედ ამიტომ „ირაომ“ გადაწყვიტა, COVID–19-ით გამოწვეულ რთულ ვითარებაში გვერდში დასდგომოდა პანდემიით განსაკუთრებით დაზარალებულ კომპანიებსა და ფიზიკურ პირებს და მათ დაზღვევის გადასახადზე საშეღავათო პერიოდი შესთავაზა.

Covid-19-ის აფეთქებას არ მოუხდენია გავლენა კომპანიის ლიკვიდურობის მაჩვენებელზე. 2020-21 წელს, საერთო ჯამში პანდემიამ არ იქონია არსებითი უარყოფითი გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და საოპერაციო შედეგებზე.

2021 წლის მდგომარეობით, „ირაოს“ დაზღვევით მოსარგებლე პირთა რაოდენობა გასულ წელთან შედარებით გაიზარდა და 39 700-ს მიაღწია, მთელი წლის განმავლობაში გაცემული სადაზღვევო პოლისების ჯამურმა რაოდენობამ კი 0.5 მლნ. ლარს გადააჭარბა.

ხარისხის გაუმჯობესებაზე ზრუნვა 2020 წლის განსაკუთრებულ გამოწვევად იქცა, რადგან COVID–19-ის გავრცელებამ და მსოფლიო პანდემიამ, მნიშვნელოვანი გავლენა იქონია დაზღვეულთათვის სადაზღვევო სერვისის მიწოდებაზე. 2020 წლის პირველივე კვარტალში მოგვიწია ახალი რეალობისთვის მოგვერგო კომპანიის მიერ დაგეგმილი პროექტები და მთავარ ორიენტირებად დარჩენილიყო მაღალი ხარისხის მომსახურების მიწოდება და დაზღვეულების დისტანციური მომსახურება. „‘†-”“ უმოკლეს დროში დანერგა ტექნიკურად სრულად გამართული, დისტანციური სერვისები. ჩვენს დაზღვეულებს შევთავაზეთ ონლაინ ანაზღაურების სერვისი ნებისმიერი ოდენობის თანხაზე. დაზღვეულებისთვის ხელმისაწვდომი გავხადეთ ოჯახის ექიმთან დისტანციური კონსულტაცია და მიმართვის მიღება ონლაინ.

COVID–19-ის პანდემიიდან გამომდინარე დაზღვეულებს ოპერატიულად და დაჩქარებული წესით შევთავაზეთ ოჯახის ექიმის დისტანციური სამედიცინო მომსახურება, რომლის ფარგლებშიც პაციენტებს შეუძლიათ ცხელი ხაზის მეშვეობით ჩაეწერონ ექიმთან დისტანციურ კონსულტაციაზე და ასევე ელექტრონული ფორმით მიიღონ მიმართვები, როგორც მედიკამენტებზე, ასევე მათთვის სასურველ კლინიკაში სპეციალისტის მომსახურებასა თუ დიაგნოსტიკურ კვლევებზე;

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ დადგენილი რეგულაციის თანახმად, „ირაო“ აქტიურად მონაწილეობდა COVID–19-ის საეჭვო შემთხვევების და ინფიცირებული პაციენტების მართვაში. სახელმწიფოს მიერ დადგენილი გაიდლაინის მიხედვით მოხდა „ირაოს“ ოჯახის ექიმების გადამზადება და მათი ჩართვა ინფიცირებულთა მკურნალობაში. „ირაო“ ასევე აქტიურად ჩაერთო COVID–19-ის შემდგომი გართულებების მქონე დაზღვეულების მართვასა და მკურნალობაშიც.

დასკვნა

ბოლოს, მინდა ავღნიშნო, რომ სადაზღვევო კომპანიების დინამიკა პანდემიის პირობებში საკმაოდ საინტერესოა, რადგან მათ მოახერხეს საქართველოს ბაზარზე სწორი და

სწრაფი ოპერირება, შეიმუშავეს ისეთი მეთოდები, რომელმაც ხელი შეუწყვეს გარემოზე ადაპტირებას და კლიენტების მოზიდვას.

სადაზღვევო კომპანიების შენატანმა სახელმწიფო ბიუჯეტში ასევე ხელი შეუწყო ეკონომიკის შედარებით ნორმალურ დონეზე შენარჩუნებას, რადგან როგორც დასაწყისში ვახსენე, უმეტესი ნაწილი ბიზნეს სექტორისა შეჩერდა და საქართველოს ეკონომიკა საკმაოდ დიდი საფრთხის წინაშე იყო.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.insurance.gov.ge/
2. https://irao.ge/

საფასო დისკრიმინაცია

ბექა რაზმაძე

მოცემულ ნაშრომში წარმოგიდგენთ ეკონომიკაში ერთ-ერთი საინტერესო და აქტუალურ მიკროეკონომიკურ თემას: საფასო დისკრიმინაციას. მოგეხსენებათ საფასო დისკრიმინაცია არის ფართო ცნების ამსახველი მოვლენა, ხოლო კონკრეტულად ჩემ ნაშრომში გაეცნობით: თუ რას წარმოადგენს საფასო დისკრიმინაცია, მის სახეობებს, მიზნობრივ დანიშნულებებს და საფასო დისკრიმინაციისთვის შესაბამის გარემოებებს, რომლებიც არგუმენტირებულად ახსნილია პრაქტიკულ მაგალითებზე დაყრდნობით. ნაშრომის ბოლოს კი გაეცნობით დასკვნას, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ფირმისთვის საფასო დისკრიმინაცია.

საფასო დისკრიმინაციის არსი და სახეები

მთელი მსოფლიოს მასშტაბით საფასო დისკრიმინაცია გვევლინება სხვადასხვა ინდუსტრიაში განსხვავებული ფორმით, რაც უფრო აქტუალურს და მეტად საინტერესოს ხდის მის ცნებას.

საფასო დისკრიმინაცია არის მიკროეკონომიკური საფასო სტრატეგია, რომელშიც ერთი მიმწოდებლის მიერ მიწოდებული მსგავსი/იდენტური საქონელი ან მომსახურება სხვადასხვა ბაზრებზე სხვადასხვა ფასად იყიდება. ფასების ასეთი დიფერენცირება არსებითად ეყრდნობა მომხმარებლების მხრიდან გადახდის მზადყოფნას, რაშიც იგულისხმება სურვილი და შესაძლებლობა.

საფასო დისკრიმინაცია ხორციელდება მომხმარებლებზე ორიენტირებული შესაბამისი საფასო პოლიტიკის გატარებით. ამით ფირმა ცდილობს შეისწავლოს ბაზრის ის სეგმენტი, რომელზეც აპირებს ან უკვე ოპერირებს და შესაბამისი ძალისხმევით მოგების მაქსიმიზაცია უზრუნველყოს.

აღსანიშნავია, რომ ფასების დისკრიმინაცია ხორციელდება მომხმარებლის რწმენის საფუძველზე, რომ გარკვეულ ჯგუფს ან მომხმარებლებს შეიძლება მოსთხოვონ მეტ-ნაკლები თანხის გადახდა გარკვეული სეგმენტირებული თვისებების მონაცემებზე: როგორიცაა ასაკი, შემოსავალი, ცხოვრების სტილი და სხვა.

მოცემული მსჯელობის უკეთ ასახსნელად, განვიხილოთ ბრიტანული კინოთეატრის კომპანია ,,ODEON'' - ის მაგალითი. მისი საფასო სტრატეგია მდგომარეობს იმაში, რომ იგი სთავაზობს სხვადასხვა მომხმარებლებს ბილეთებს განსხვავებულ ფასში: ბავშვებს 3,79 სტერლინგი, ახალგაზრდისთვის 5,50 სტერლინგი და ასე შემდეგ. საბოლოოდ კი ეს კინოთეატრს აძლევს უპირატესობას დატვირთოს საკუთარი დარბაზი მაქსიმალურად რაც პირდაპირპროპორციულად იმოქმედებს კომპანიის შემოსავალზე

პირველი ხარისხის საფასო დისკრიმინაცია

პირველი ხარისხის საფასო დისკრიმინაცია - (სრულყოფილი საფასო დისკრიმინაცია) გვიჩვენებს თანხის სიდიდეს, რომლის გადასახდელადაც მზად არის მომხმარებელი.

აღნიშნული სტრატეგია იდეალურია, როგორც კომპანიისთვის ასევე მომხმარებლისთვის. მყიდველი თავის მხრივ გადაიხდის მაქსიმალურ თანხას, რისი შესაძლებლობა და სურვილი გააჩნია, ხოლო გამყიდველი კი მიაღწევს შემოსავლების და შესაბამისად მოგების მაქსიმიზაციას. პირველი ხარისხის პრაქტიკული ანალიზისთვის მოვიყვანოთ აუქციონის მაგალითი, სადაც გამყიდველი აწესებს ფასს, ხოლო დაინტერესებული მომხმარებლები შეევაჭრება, რის საფუძველზეც დგინდება პროდუქტის/ნივთის ღირებულება.

მეორე ხარისხის საფასო დისკრიმინაცია

საფასო დისკრიმინაციის ეს სახე ეყრდნობა პრინციპს: ,,ყიდულობ მეტს, იხდი ნაკლებს''. ეს არის რაოდენობრივი ფასდაკლება, რომლის დროსაც ფასი მცირდება განსაზღვრული სშკალით ერთჯერადი გაყიდვის ზომებიდან დამოკიდებულებაში. გამომდინარე იქიდან, რომ მოთხოვნის მრუდი დაღმავალია, შესაბამისად გამყიდველი იყენებს ამ ინფორმაციას და ყოველი გაყიდულ პროდუქციაზე ფასის დაკლებით ახდენს მოგების მაქსიმიზაციას.

გასათვალისწინებელია ასევე მეორე არანაკლებ მნიშვნელოვანი უპირატესობა მეორე ხარისხის საფასო დისკრიმინაციის დროს, რომელიც საოპერაციო ხარჯების შემცირებას წარმოადგენს. ეს მოვლენა კონკრეტულად ასახავს მსხვილი გადაყიდვების ფირმების სტრატეგიას, რაც საკმაოდ მომგებიანია.

მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაცია

მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაციისას მიმწოდებელი ყიდის სხვადასხვა მყიდველზე იდენტურ საქონელს სხვადასხვა ფასად, ეკონომიკური ინტერპრეტაციით იგი ახდენს ბაზრის სეგმენტაციას. თითოეული სეგმენტისთვის ფირმა აწესებს ისეთ ფასს, სადაც ზღვრული დანახარჯი დამატებით ერთეულზე უტოლდება ზღვრულ შემოსავალს. განვიხილოთ: ავიაკომპანიები, ისინი ნაკლებ ფასს უწესებენ სტუდენტებს, მოსწავლეებს, პენსიონერებს, ჯარისკაცებსა და ა. შ.

მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაციის მიზანია მოიზიდოს სხვადასხვა სოციალური ჯგუფები, რის საფუძველზეც კომპანიის მომხმარებლების რაოდენობა იზრდება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ მესამე ხარისხის საფასო დისკრიმინაციის დროს კომპანიას ექმნება რამდენიმე მოთხოვნის მრუდი, რომლებიც დამოკიდებულნი არიან ბაზრის სეგმენტაციაზე, კერძოდ თუ რამდენ ჯგუფად ჰყავს დაყოფილი კომპანიას ან რამდენად მგრძნობიარენი არიან მომხმარებლები კონკრეტული პროდუქციის ფასის მიმართ.

სამი მთავარი ფაქტორი საფასო დისკრიმინაციის განსახორციელებლად

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საფასო დისკრიმინაცია მოითხოვს გარკვეულ პირობებს, რათა წარმატებულად განხორციელდეს. ამისთვის გამოყოფილია სამი უმთავრესი ფაქტორი: ბიზნეს სეგმენტის შესწავლა, საბაზრო ძალაუფლება და პროდუქციის თავიდან გადაყიდვის არიდება.

ბიზნეს სეგმენტის შესწავლა

საფასო სტრატეგიის შემუშავებისას ზოგადი ინფორმაცია კომპანიის მომხმარებლებზე დიდ როლს თამაშობს. კომპანიამ უნდა იცოდეს მისი მომხმარებლის მზაობა და სურვილი მომსახურეობის/პროდუქტის შესაძენად, რაც საკმაოდ შრომატევადი და დიდ დანახარჯებთან დაკავშირებული პროცესია. ხშირად ფირმები პირველივე ეტაპზე ვერ ახერხებენ სწორი პოლიტიკის შემუშავებას, რადგან ბაზრის სეგმენტირება შესაძლებელია როგორც: შემოსავლების, ასაკის ან თუნდაც ცხოვრების სტილის მიხედვით, შესაბამისად ისინი მიმართავენ ზოგად სტატისტიკურ მონაცემებს ან ცდილობენ მცირე სეგმენტით დაწყებას, რაც ფირმას აღნიშნულ სფეროში გამოცდილებას შემატებს.

საბაზრო ძალაუფლება

უმნიშვნელოვანესი ფაქტორია ასევე საბაზრო ძალაუფლება. თეორიულად საფასო დისკრიმინაციის სტრატეგიის წამყვანი ფირმა უნდა იყოს ფასის დამწესებელი, გამომდინარე აქედან კონკურენტულ ბაზარზე ან რომელიმე სხვა სახის ბაზარზე, სადაც იგი ფასის მიმღებია ვერ შეძლებს საფასო სტრატეგიის შექმნას. აქვე გასათვალისწინებელია, რომ ზოგიერთი დარგი შეიძლება არ იყოს მონოპოლიური, მაგრამ გააჩნდეს საბაზრო ძალაუფლება. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ფირმას შეიძლება მოუწიოს საფასო დისკრიმინაციის სტრატეგიის მიტოვება იმ შემთხვევაში თუ მას გამოუჩნდება კონკურენტი, რომელთანაც ბუნებრივია ,,საფასო ომი'' გარდაუვალია.

საბაზრო ძალაუფლებას განსაზღვრავს ისეთი სიდიდეები როგორებიცაა: მასშტაბის ეკონომია, რესურსების კონტროლი, სახელმწიფო რეგულაციები და მომხმარებლის ერთგულება.

მარტივად, რომ ავხსნათ მასშტაბის ეკონომია ეს არის ხარჯების შემცირების პროცესი, რომელიც ხორციელდება წარმოების გაზრდის საფუძველზე.

ხელახლა გადაყიდვის პრევენცია

აღსანიშნავია, რომ ფირმამ არ უნდა დაუშვას გადაყიდვის პრობლემა საფასო დისკრიმინაციის დროს, ვინაიდან ეს გულისხმობს რომ მომხმარებელი, რომელმაც დაბალ ფასად შეიძინა პროდუქტი, ყიდის ამავე პროდუქტს უფრო მაღალ ფასად, რამაც შეიძლება კომპანიის შემოსავლების მინიმიზაცია და გარკვეული მომხმარებლების დაკარგვა გამოიწვიოს.

საფასო დისკრიმინაციის მიზნები და მოსალოდნელი შედეგები

როგორც უკვე აღვნიშნეთ, საფასო დისკრიმინაცია ეს არის სტრატეგია, რომელიც მიზანმიმართულია ფირმის კეთილდღეობის გასაუმჯობესებლად. სხვადასხვა ინდუსტრიაში საფასო დისკრიმინაცია უზრუნველყოფს განსხვავებული სახის უპირატესობებს. განვი-

ხილოთ ყველაზე გავრცელებული სამი შედეგი: მომხმარებლისთვის გამოცდილების შექმნა, სრული დატვირთვა და კომპანიისთვის ხელშეწყობა წინასწარი გეგმების შედგენაში.

გამოცდილების შექმნა ეს საკმაოდ საინტერესო მოვლენაა, პრაქტიკული მაგალითისთვის განვიხილოთ რესტორნები. როგორ ფიქრობთ რომელი რესტორანი იქნება მეტად მიმზიდველი პოტენციური მომხმარებლისთვის: რესტორანი, რომელსაც საკმაოდ ბევრი ადამიანი სტუმრობს თუ რესტორანი, რომელიც სხვადასხვა მიზეზების გამო არ არის დატვირთული და ნაკლებპოპულარული. ვეცდები ლოგიკური მსჯელობით განვიხილო ეს საკითხი. პირველ რიგში, გავითვალისწინოთ რომ ფირმა, რომელიც აწარმოებს სწორ საფასო დისკრიმინაციის პოლიტიკას, ხდის საკუთარ მომსახურეობას უფრო პოპულარულს, ეს თავის მხრივ რესტორნის შემთხვევაში გადამწყვეტ როლს თამაშობს, ვინაიდან პოტენციური მომხმარებელი უპირატესობას ანიჭებს სწორედაც, რომ უმრავლესობის მიერ აღიარებულ რესტორანს, რაზეც ინფორმაცია მოიპოვება არამარტო უშუალოდ რესტორნის სტუმრობით და მისი დათვალიერებით, არამედ არსებობს შესაბამისი პლატფორმები, სადაც მომხმარებლები ტოვებენ საკუთარ შთაბეჭდილებებს, როგორც ფასის ასევე მომსახურეობის ხარისხის თაობაზე.

სრული დატვირთვა იმ კომპანიებისთვის, რომლებსაც საკმაოდ მაღალი მუდმივი დანახარჯი გააჩნიათ, არის არამარტო მნიშვნელოვანი არამედ ბაზარზე ოპერირებისთვის აუცილებელი ფაქტორი. საინტერესო ფაქტი მუდმივ დანახარჯებზე არის ის, რომ მასზე მოკლევადიან პერიოდში მომხარებლების რაოდენობა ვერ ზემოქმედებს, მაგრამ ფირმის შემოსავლებისთვის ამას გადამწყვეტი ადგილი უჭირავს. ამ ინფორმაციაზე დაყრდნობით სწორი საფასო დისკრიმინაციის პოლიტიკის წარმართვით, ფირმა შეძლებს, რაც შეიძლება მაქსიმალურად გაზარდოს შემოსავლები, რათა მუდმივი დანახარჯები არამარტო დაფაროს, არამედ მოგების მარჟაც გაზარდოს.

განვიხილოთ პრაქტიკული მაგალითი, რომელიც კინოთეატრების ინდუსტრიას უკავშირდება, კერძოდ, თუ კინოთეატრი გადაწყვეტს რომ გაყიდოს მისი ბილეთები გარკვეულ ფიქსირებულ ფასად ყოველი მომხმარებლისთვის, დიდი ალბათობით დარბაზი ბოლომდე ვერ შეივსება, მაგრამ საკმარისია, შეიმუშაოს შესაბამისი საფასო პოლიტიკა: როგორცაა ბილეთების გაყიდვა უფრო დაბალ ფასში სტუდენტებისთვის ან ხანშიშესული ადამიანებისთვის, ან სამუშაო დღეებში ბილეთების იაფად გაყიდვა, ეს ვითარებას შეცვლის, რადგან უფრო მეტი მომხმარებელი დაინტერესდება ბილეთების შეძენით და საბოლოოდ ფირმის ეკონომიკური მდგომარეობას გაუმჯობესდება.

კიდევ ერთი საინტერესო შედეგი, რაც შეიძლება საფასო დისკრიმინაციის სტრატეგიამ მოუტანოს ფირმას, არის წინასწარი გეგმების შედგენის შესაძლებლობა და ასევე ფულის ბრუნვის გაუმჯობესება.

ამ კონკრეტული შედეგისთვის უფრო მეტად საავიაციო კომპანიები არიან მიზანმიმართულნი. ხშირად ისინი სთავაზობენ უფრო დაბალ ფასს წინასწარ შეძენილ ბილეთებზე, ვიდრე ბოლო წუთს შეძენილ ბილეთებზე, რაც ხელს უწყობს ფირმას ფრენებზე მოთხოვნის დადგენაში და ფრენების უკეთ დაგეგმვაში. ხოლო რაც შეეხება ფულის ბრუნვას, მარტივად რომ ავხსნათ ეს არის რეინვესტირების პროცესი, მოგეხსენებათ კომპანიები მუდმივად სთავაზობენ სიახლეებს მომხმარებლებს, თუნდაც ტექნიკის, სიმყუდროვის ან

ინოვაციური მომსახურებების სახით, ხოლო სწორი საფასო სტრატეგია მას მისცემს ფინანსურ შესაძლებლობას, რომ სხვადასხვა ინოვაციას გაუწიოს რეალიზაცია.

საბოლოოდ საფასო დისკრიმინაცია სხვადასხვა ინდუსტრიაში გვევლინება სხვადასხვა უპირატესობებით, როგორებიც არის: რესტორნის შემთხვევაში ცნობადობის გაზრდით, კინოთეატრის შემთხვევაში დარბაზის მაქსიმალური დატვირთვით, ხოლო ავია კომპანიის შემთხვევაში რეინვესტირებისა და ახალი ინოვაციების შემოღების შესაძლებლობების სახით. ზემოთ ხსენებული მაგალითები მოყვანილია საფასო დისკრიმინაციის მოვლენების ნათლად ასახსნელად, თუმცა მას გააჩნია საკმაოდ მრავალი სახის სტრუქტურა სხვადასხვა ბიზნესში: კლუბები ზოგჯერ სთავაზობენ სასმელებისა და კერძების კომბინაციებს უფრო დაბალ ფასში, ასევე ბენზინ-გასამართი კომპანიები სთავაზობენ ფასდაკლებას კუპონების სახით ან დღეების მიხედვით.

დასკვნა

პირველ რიგში, როგორც აღვნიშნე, საფასო დისკრიმინაცია ფირმების ხელშიმნიშვნელოვანი ინსტრუმენტია. აგრეთვე ნათლად ჩანს ის ფაქტიც, რომ სწორი საფასო პოლიტიკის გასატარებლად ფირმამ გარკვეული პირობები უნდა დააკმაყოფილოს, როგორიცაა: ბაზრის სეგმენტაცია, საბაზრო ძალაუფლება და პროდუქციის ხელახლა გადაყიდვის პრევენცია. აღსანიშნავია, რომ ასევე ვახსენეთ და განვიხილეთ რამდენიმე შესაძლო სარგებელი, პრაქტიკულ მაგალითებთან ერთად, რამაც ფირმებს გარკვეული უპირატესობები შემატა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://boycewire.com/price-discrimination-definition/ - written by Paul Boyce
2. Industrial Organization: Markets and Strategies Paul Bellef lamme and Martin Peitz http://web.uvic.ca/~pcourty/IO%20Pricing.pdf

საბანკო საქმის ტრანსფორმაცია საქართველოში

მარიამ ტაბატაძე

საბანკო სისტემა საქართველოში, საბაზრო ეკონომიკის პირობებში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც ქვეყნის ეკონომიკური სისტემის ეფექტიანობას განაპირობებს. დღევანდელ ქართულ საბანკო სისტემას 1991 წელს ჩაეყარა საფუძველი, რადგან დაახლოებით 70 წელი, საქართველოს საბჭოთა კავშირში ყოფნის დროს, არამარტო ქართული ბანკები არ არსებობდა, არამედ კერძო დამოუკიდებელი საბანკო სისტემის არსებობა არ იყო ნებადართული მაშინდელი კანონმდებლობის თანახმად. იყო მხოლოდ სახელმწიფო ბანკები, რომლებიც ძირითადად ფულის შემნახველი სალაროების ფუნქციას ასრულებდნენ. საბაზრო ურთიერთობათა დამკვიდრება და განვითარება წარმოუდგენელია კომერციული საბანკო სისტემის წარმატებული ფუნქციონირების გარეშე.

კომერციული ბანკების პროგრესული ცვლილების და ეფექტური განვითარების ფუნქციონირებისთვის მიზანშეწონილია რეფორმები, რომლებიც შეამცირებს რისკებს როგორც კრედიტორების, ასევე დეპოზიტორებისთვის რაც თავის მხრივ, გააუმჯობესებს კომერციული ბანკების საქმიანობის გამჭვირვალობას.

მიუხედავად ფართომასშტაბიანი თაღლითობებისა და საბანკო კულტურის ფაქტობრივად არარსებობისა, 90-იან წლებში დაფუძნებულმა თბს ბანკმა და საქართველოს ბანკმა წლებს გაუძლო და დღესაც ყველაზე წარმატებით არსებობენ ქართულ ბაზარზე.

ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის უმთავრესი პრიორიტეტია ეკონომიკური ზრდის მაღალი და მდგრადი ტემპების უზრუნველყოფა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ეკონომიკაში საბანკო სექტორის როლის ამაღლება სახელმწიფოს ერთ-ერთი უმთავრესი ამოცანაა.

საქართველოში საფინანსო შუამავლობის თითქმის 99 %-ს საბანკო სექტორი მოიცავს, რაც იმას ნიშნავს, რომ ფინანსური რესურსების მობილიზებას და მათი საინვესტიციო რესურსებად გარდაქმნას უპირატესად ახორციელებენ საბანკო ინსტიტუტები.

საბანკო საქმიანობის წარმოშობა და განვითარება საქართველოში

ბანკების არსებობას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. საქართველოს ტერიტორიაზე არსებულ ქვეყნებს – იბერიასა და კოლხეთს, სხვადასხვა სახის საკრედიტო დაწესებულებები – ზარაფებისა და მევახშეობის ინსტიტუტების სახით გააჩნდათ, რომლებიც დღევანდელი საბანკო სისტემის წინამორბედებს წარმოადგენდნენ.

ჯერ კიდევ დავით აღმაშენებელმა სავალუტო რეფორმა – ეროვნული ვალუტის დევალვაცია მოახდინა და მკაცრი სავალუტო კონტროლის დამყარებით ქვეყანაში უცხოელების მიერ ქართული დიზაინის მქონე სპილენძის ყალბი მონეტების შემოტანა აღკვეთა

XI – XIII სს. საქართველო ჩაბმული იყო მსოფლიო ვაჭრობაში, რის შედეგადაც ვითარდებოდა საკრედიტო დაწესებულებებიც, თუმცა XIII ს-ის მეორე ნახევრიდან, მას შემდეგ, რაც საქართველო განუწყვეტელი ბრძოლების არენად იქცა, რაიმე სახის საკრედიტო დაწესებულებების არსებობის შესახებ მასალები ისტორიულ წყაროებში აღარ მოიპოვება.

შემდეგ უკვე ერეკლე მეორეს დროს არსებობდა საზარფო დაწესებულება, ანუ დაწესებულება სადაც საანგარიშსწორებო ოპრაციებს აკეტებდნენ და ამასთან ჭრიდნენ ფულს.

1875 წლის 28 ივნისს თბილისში ილია ჭავჭავაძის თაოსნობით დაფუძნდა თავადაზნაურთა საადგილმამულო ბანკი, 1917 წელს თბილისში ფუნქციონირებდა ,,ცენტრობანკი"

საქართველოშიც სახელმწიფო ბანკის დაწესებულებათა ქსელი მნიშვნელოვნად გაფართოვდა 1922 წლისათვის. თავისუფალი მეწარმეობა და ქვეყნის დინამიური განვითარება ახალი საკრედიტო დაწესებულებების შექმნას მოითხოვდა.

1991 წლის აგვისტოსში საფუძველი ჩაეყარა საქართველოში ორიარუსიანი საბანკო სისტემის ჩამოყალიბებას და განსაზღვრა, თუ ვის და როგორ უნდა გენეხორციელებინა ფულადდსაკრედიტო ურთიერთობათა რეგულირება და რა როლი უნდა ეთამაშა ამ მიმართულებით საქართველოს ეროვნულ ბანკს. ქვეყნის ცენტრალურ ბანკს შექმნის პირველივე დღეებიდან ეწოდა ,,საქართველოს ეროვნული ბანკიო, რომელიც მძლავრ სახელმწიფოებრივ-ეკონომიკურ ინსტიტუტს წარმოადგენს.

საქართველოს თანამედროვე საბანკო სისტემა და კოვიდ პანდემიის გავლენა ეკონომიკაზე

საქართველოში _საბანკო სისტემის ფორმირება დაიწყო XVIII-XIX სს, საქართველოს ფულად-საკრედიტო სისტემის მთავარი რგოლის – ეროვნული ბანკის შექმნა და ცივილიზებული მეთოდებით ამუშავება დაიწყო დამოუკიდებლობის აღდგენის პირველი დღიდან.

აუცილებელი პირობა იყო სტაბილური ფულად-საკრედიტო სისტემის შექმნა, საფინანსო მომსახურეობის ბაზარზე კონკურენტუნარიანი გარემოს არსებობა და საბანკო სისტემის ნორმალური ფუნქციონირება.

ეკონომიკურ ეფექტს, რომელიც პანდემიამ ქვეყანას მოუტანა, ორი – სუბიექტური და ობიექტური - მხარე აქვს. ერთი განპირობებულია ობიექტური მოცემულობებით, როგორიცაა: მსოფლიო მასშტაბით ინვესტიციების შემცირება, საერთაშორისო მგზავრობის შემცირება, საერთაშორისო ვაჭრობის შეფერხება, გზავნილების შემცირება, განსაკუთრებით პანდემიის პირველ ეტაპზე და ა.შ.

ბიზნესსექტორის მდგომარეობაზე9 - ბრუნვისა და გამოშვების დინამიკაზე მეტყველებს დიაგრამა N2, რომელშიც ჩანს, რომ I და განსაკუთრებით II კვარტალში ქვეყანაში ეკონომიკა საგრძნობლად შემცირდა. ეს, ნაწილობრივ, იმ სახელისუფლებო გადაწყვეტილებებითაც იყო გამოწვეული, რომლებიც საწარმოებისა და ტრანსპორტირების, აგრეთვე სხვა აქტივობების, ფაქტობრივად, სრულ შეზღუდვას გულისხმობდა.



საბანკო სისტემის შემდგომი განვითარებისთვის აუცილებელი პირობები და რისკების სწორი შეფასება

სტაბილური გრძელვადიანი ეკონომიკური ზრდისათვის აუცილებელი პირობაა დაბალი და პროგნოზირებადი ინფლაცია. ამიტომ საქართველოს ეროვნული ბანკის ძირითად ფუნქციას, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის ცენტრალური ბანკების აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, ფასების სტაბილურობის უზრუნველყოფა წარმოადგენს

სწორედ სტაბილური ფასების პირობებში ხდება რესურსების მაქსიმალურად ეფექტიანად განაწილება, რაც საბანკო სისტემაში არსებული ფულადი სახსრების ოპტიმალურად გამოყენების საშუალებას იძლევა, ხოლო ეკონომიკურ აგენტებს თავიანთი დანაზოგების სწორად განთავსების ან საკრედიტო რესურსების მოზიდვის პირობებს უქმნის. არანაკლებ მნიშვნელოვანია ქვეყანაში გაცვლითი კურსის მოკლევადიანი რყევების შემცირება სავალუტო ბაზარზე, განსაკუთრებით საქართველოს პირობებში, როდესაც მოსახლეობისათვის ე.ი. „ნომინალური ღუზა“ სწორედ ლარის გაცვლითი კურსია და მოკლევადიანი გადაწყვეტილებების მიღებაც მისი დინამიკიდან გამომდინარე ხდება.

კომერციულ ბანკებში განსაკუთრებით მნიშვნელოვან ცვლილებებს მოითხოვს ფიზიკური და იურიდიული პირების საკრედიტო რისკების მართვის სფერო, სადაც რისკების მართვის სისტემების სრულყოფა მიმართული უნდა იყოს კლიენტების ყოველი კატეგორიისათვის, თუმცა გასათვალისწინებელია საპროცენტო, საბაზროდა საოპერაციო რისკების მართვის სისტემების განვითარებაც, რომ ბანკის მთავარი ამოცანაა.



შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს საბანკო სისტემის მრავალ პრობლემას შორის აღსანიშნავია საკრედიტო რესურსების ნაკლებობა და მათ შესავსებად წყაროების არარარსებობა. მათი მოგების შემავსებელი წყაროს გაზრდისათვის, დიდი მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს მათ ინტეგრაციას საზღვარგარეთულ ბანკებთან, საკორესპონდენტო ანგარიშების გახსნას, სავალუტო ოპერაციების წარმოებას საერთაშორისო სავალუტო ბაზარზე და უცხოური ფირმების სახსრების მოზიდვას.

დასკვნა

საბანკო სისტემის შესახებ კლასიკური მოძღვრება ეყრდ-ნობა იმ სამი წამყვანი კრიტერიუმის არსებობას, რომლებსაც ბანკები უნდა ითვალისწინებდნენ: ლიკვიდობა, რენტაბელობა და უსაფრთხოება.

თავიანთი ბუნებით ბანკები საიმედოობასა და უსაფრთხოებას უნდა განასახიერებდნენ. ამიტომ რისკების მართვის პროცესის ორგანიზაცია რისკების თავიდან აცილების, რგულირებისა და მინიმიზაციის მიმართულებით განხორციელებული პოლიტიკის ერთ-ერთი წამყვანი ელემენტი უნდა იყოს.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საბანკო სისტემის მდგრადობა და საიმედოობა განხილული უნდა იქნეს დინამიკაში, რომელიც მნიშვნელოვანია არამარტო საქმიანი აქტივობის დაცემის დროს, არამედ ქვეყნის ეკონომიკური აღმავლობის პროცესში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი.კოვზანაძე, გ.კონტრიძე - თანამედროვე საბანკო საქმე: თეორია და პრაქტიკა, 2019.
2. საქართველოს ეროვნული ბანკი წლიური ანგარიში, 2007 - 2018
3. ხათუნა ბარბაქაძე - საბანკო საქმიანობის რეგულირების აქტუალური საკითხები საქართველოში, 2008 წ. თბილისი
4. openscience.ge/bitstream/1/178/1/Samagistro%20LUka%20Shaishmelashvili
5. https://eecmd.org/wp-content/uploads/2021/01/Policy-Paper_Covid-19

Fintech

რობა ტატულაშვილი

ბოლო წლებში ინტერნეტმა, სმარტფონებთან და ტაბლეტებთან ერთად, ტექნოლოგიის მიერ ფინანსური ინდუსტრიის ჩანაცვლების სიჩქარე მნიშვნელოვნად გაზარდა.

ჯერ კიდევ 2018 წელს, საბანკო ხელმძღვანელების დაახლოებით 70%-მა თქვა, რომ ახალი სერვისების შესაქმნელად Fintech-ებთან და Bigtech-ებთან თანამშრომლობა იყო აუცილებელი. შესაბამისად, სექტორში ჩადებული ინვესტიციების მოცულობა ამ წელს მნიშვნელოვნად გაიზარდა და $112 მილიარდი შეადგინა.

პირველ რიგში მინდა განვმარტო რას ნიშნავს fintch. ,,ფინტექი'' სიტყვების ,,ფინანსური'' და ,,ტექნოლოგიის'' კომბინაციაა. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ეს ტერმინი ფინანსური ტექნოლოგიების სექტორში მოქმედი კომპანიების დასახასიათებლად გამოიყენება.

ძირითადად, ამ ტერმინს უკავშირებენ იმ კომპანიებს, რომლებიც ინოვაციურ ტექნოლოგიურ გადაწყვეტილებებს ავითარებენ. მათი სამოღვაწეო მიმართულებები კი მობილური და ონლაინგადახდები, ასევე ალტერნატიული ფინანსები და ფინანსური მენეჯმენტია.

აღსანიშნია, რომ Statista.com-ის პროგნოზით, 2022 წლისთვის ამერიკის მოსახლეობის 65% ციფრული ბანკებისა და სხვა ფინტექ კომპანიების მომხმარებელი გახდება.

რატომ? რა არის განსაკუთრებული ამ ტიპის კომპანიებში? – ამ კითხვებზე პასუხს ფინტექის შესახებ ყველაფრის გაცნობის შემდეგ ვნახავთ.

პირველ რიგში განვიხილოთ რა უპირატესობები გააჩნია ფინტექს დღესდღეობოთ:

– ფინტექის პროდუქტები მომხმარებელს ონლაინ მიეწოდება და, შესაბამისად, მათზე წვდომა ბევრად მოსახერხებელი და სწრაფია.

– მომხმარებლები პროდუქტებისა და სერვისების უფრო დიდი არჩევანით სარგებლობენ. ხოლო მათი შეძენა, მდებარეობის მიუხედავად, დისტანციურადაა შესაძლებელი.

– ფინტექ კომპანიებს არ სჭირდებათ ფულის ინვესტირება ფიზიკურ ინფრასტრუქტურაში, თუნდაც ფილიალების ქსელში. ამიტომ, მათ მომხმარებლებისთვის უკეთესი პირობების შეთავაზება შეუძლიათ.

– ტექნოლოგიის საშუალებით, ფინტექ კომპანიები მომხმარებელზე მეტ ინფორმაციას აგროვებენ და ინახავენ, რათა შემდეგ მეტად პერსონალიზებული პროდუქტები და მომსახურება შესთავაზონ.

ინდუსტრია უზარმაზარია - და გააგრძელებს გაფართოებას მომდევნო წლების განმავლობაში. CB Insights-ის თანახმად, არის „41 მხარდაჭერილი ფინტექ ქომპანია, რომელთა საერთო ღირებულებაა $154.1მილიარდი“. ერთ-ერთი მამოძრავებელი ფაქტორია ის, რომ ბევრი ტრადიციული ბანკი არის ტექნოლოგიის მხარდამჭერი და მიმღები, რომლებიც აქტიურად ახორციელებენ ინვესტიციებს, იძენენ ან პარტნიორობენ ფინტექს სტარტაპებთან, რადგან უფრო ადვილია ციფრულად მოაზროვნე კლიენტებს მისცენ ის, რაც მათ სურთ, ამასთან, ინდუსტრიის წინსვლა და რელევანტური შენარჩუნება.

ბანკინგი

მობილური ბანკინგი ფინტექ ინდუსტრიის დიდი ნაწილია. პერსონალური ფინანსების სამყაროში მომხმარებლები სულ უფრო ხშირად ითხოვენ მარტივ ციფრულ წვდომას თავიანთ საბანკო ანგარიშებზე, განსაკუთრებით მობილურ მოწყობილობაზე. მსხვილი ბანკების უმეტესობა ახლა გთავაზობთ მობილური ბანკინგის გარკვეულ ფუნქციას, განსაკუთრებით ციფრული პირველი ბანკების, ანუ „ნეობბანკების“ გაჩენით. ნეობანკები არსებითად არის ბანკები ყოველგვარი ფიზიკური ფილიალების გარეშე, რომლებიც ემსახურებიან კლიენტებს შემოწმებას, დანაზოგს, გადახდის სერვისებს და სესხებს სრულიად მობილურ და ციფრულ ინფრასტრუქტურაზე. ნეობბანკების რამდენიმე მაგალითია Chime, Simple და Varo.

კრიპტოვალუტა და ბლოკჩეინი

ფინტექის პარალელურად მიმდინარეობს კრიპტოვალუტისა და ბლოკჩეინის დაბადება. ბლოკჩეინი არის ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას აძლევს კრიპტოვალუტის მაინინგს და ბაზრებს არსებობდეს, ხოლო კრიპტოვალუტის ტექნოლოგიაში მიღწევები შეიძლება მიეკუთვნებოდეს როგორც ბლოკჩეინს, ასევე ფინტექს. მიუხედავად იმისა, რომ ბლოკჩეინი და კრიპტოვალუტა უნიკალური ტექნოლოგიებია, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს ფინტექის სფეროს მიღმა, თეორიულად, ორივე აუცილებელია პრაქტიკული აპლიკაციების შესაქმნელად, რომლებიც ფინტექს წინ წაიწევენ. ზოგიერთი მნიშვნელოვანი ბლოკჩეინის კომპანია, რომელიც უნდა იცოდეთ არის Gemini, Spring Labs და Circle, ხოლო კრიპტოვალუტაზე ორიენტირებული კომპანიების მაგალითებია Coinbase და SALT.



რატომ არის ფინტექი აქტუალური

ძალიან მარტივი სიტყვებით, FinTech ნიშნავს ფინანსურ ტექნოლოგიას. ეს ახალი ტექნოლოგია თავდაპირველად შეიქმნა კარგად დამკვიდრებული ფინანსური ინსტიტუტების უკანა სისტემებში გამოსაყენებლად. თუმცა, FinTech შემდეგ აყვავდა უზარმაზარ ფინანსურ ინდუსტრიაში, გააუმჯობესა და ავტომატიზირდა ფინანსური მომსახურების სექტორის მიწოდება და გამოყენება. შედეგად, ის მხარს უჭერს კომპანიებს, ბიზნესის მფლობელებს და მომხმარებლებს, ეხმარება მათ უკეთ მართონ თავიანთი ფინანსური ოპერაციები სპეციალიზებული პროგრამული უზრუნველყოფის და ალგორითმების გამოყენებით, რომლებიც პირველად გამოიყენებოდა კომპიუტერებზე და ახლა, თანდათანობით, სმარტფონებზე. დროთა განმავლობაში, FinTech გადავიდა მომხმარებელზე ორიენტირებულ სერვისებზე და ახლა მოიცავს სხვადასხვა სექტორებსა და ინდუსტრიებს, როგორიცაა საცალო ბანკინგი, განათლება, ფონდების მოზიდვა, არაკომერციული და მრავალი სხვა.

FinTech მნიშვნელოვანია, რადგან:

1. უნივერსალურია ინტერნეტის სიმძლავრისა და დღევანდელი საოცარი ტექნოლოგიების წყალობით, ფინანსური სერვისები არასოდეს ყოფილა ასე ხელმისაწვდომი. არ აქვს მნიშვნელობა სად მდებარეობს თქვენი კომპანია, მხოლოდ Wi-Fi გჭირდებათ, რათა შეხვიდეთ მომხიბვლელ FinTech სამყაროში. EY Global-მა ჩაატარა ინტერვიუ 27000-ზე მეტ მომხმარებელთან 27 ბაზარზე ექვსი კონტინენტის მასშტაბით (სადაც 27-დან 10 განვითარებადი ბაზრებია). საინტერესოა, რომ გამოკითხული მცირე და საშუალო ბიზნესის (მცირე და საშუალო საწარმოები) 56% იყენებს საბანკო და გადახდების FinTech სერვისს, ხოლო 46% იყენებს დაფინანსების FinTech სერვისს.

2. უფრო იაფია კორპორატიულ და საცალო ბანკებთან შედარებით, FinTech-ის მიერ შემოთავაზებული გადაწყვეტილებები ხშირად უფრო იაფია. დონა ფუსკალდო, Forbes-ის FinTech და კრიპტოვალუტის ჟურნალისტი, ამბობს, რომ მიუხედავად იმისა, რომ ტრადიციულ ბანკებს აქვთ ონლაინ სერვისები ანგარიშებზე წვდომისა და ფულის გადარიცხვისთვის, ისინი „არ არიან მომხმარებელზე მეგობრული ტექნოლოგიის უახლესი ზღვარზე და ისინი კვლავ დამოკიდებულნი არიან მათ მიერ დაწესებულ საკომისიოებზე. .” გარდა ამისა, ფუსკალდომ თქვა, რომ როგორც ძველი, ასევე ახალი FinTech ბანკები „მიზნად ისახავს თქვენი საბანკო ცხოვრების გამარტივებას და პერსონალურად მორგებას, საკომისიოს დაბალ ფასად“.

3. ეს უფრო უსაფრთხოა ბევრი ამტკიცებს, რამდენად სანდოა FinTech, როდესაც საქმე ეხება უსაფრთხოებას. თუმცა, ხშირ შემთხვევაში, ეს უფრო უსაფრთხოა, ვიდრე ტრადიციული ბანკინგი. როგორც Medium-ზე გამოქვეყნებულ სტატიაში ნათქვამია, რომ ტრადიციული ბანკები საკმაოდ ნელია კიბერუსაფრთხოების ზომების მიღებისას. Fintech-ის საფუძველი ტექნოლოგიაზეა დაფუძნებული და ტრადიციული ბანკები ამას განიხილავენ, როგორც უბრალო აუცილებელ დანამატს მათი ამჟამინდელი გამოცდილი მოდელებისთვის. სტატიაში ასევე ნათქვამია, რომ „კიბერკრიმინალებს უადვილდებათ დიდი და ჩვეულებრივი ბანკების სისტემებში შეღწევა, რადგან ინსტიტუტები არ ამახვილებენ ყურადღებას ტექნოლოგიაზე, როგორც Fintech-ზე“. ასე რომ, მიუხედავად იმისა, რომ FinTech-საც აქვს თავისი მოწყვლადობა, უსაფრთხოების პროცესის დამკვიდრება მას უკეთესად აქცევს კიბერუსაფრთხოების საკითხებს ტრადიციულ ბანკებთან შედარებით.

4. 4. ის ქმნის ეკონომიკურ ზრდას EY-ის გლობალური FinTech Adoption Index-ის 2019 წლის მიხედვით, გამოქვეყნებულმა სტატისტიკამ აჩვენა, რომ FinTech სერვისების მიღება 2015 წელს 16%-დან 2017 წელს 33%-მდე გაიზარდა და 2019 წელს 64%-ს მიაღწია. გარდა ამისა, CNBC იანვარში იტყობინება, რომ FinTech კომპანიებმა 2018 წელს რეკორდული $39.6 მილიარდი შეაგროვეს. უფრო კონკრეტულად, მხოლოდ ჩინეთში შვილად აყვანის მაჩვენებელი 95%-ია ფულის გადარიცხვისა და გადახდის აპლიკაციების გამო. ეს ადასტურებს, რომ FinTech არა მხოლოდ ეხმარება ეკონომიკას ზრდაში, არამედ დაამყარა ახალი წარმატებული კარიერა ინდუსტრიაში. 5. ეს აძლიერებს ბიზნესს FinTech გთავაზობთ გადაწყვეტილებებს, რომლებშიც ყველა ბიზნესს შეიძლება ჰქონდეს უზარმაზარი სარგებელი. მცირე და საშუალო საწარმოებს უფრო მეტად სჭირდებათ ეკონომიკური ზრდა, ვიდრე კარგად ჩამოყალიბებულ კომპანიებს, და მათ ხშირად უჭირთ იმ დაფინანსების უზრუნველყოფა, რომელიც საჭიროა აყვავებისთვის. ინოვაციური FinTech პროდუქტები ეფექტური და ეფექტურია და მცირე და საშუალო ბიზნესს აძლევს წვდომას დაფინანსების მრავალფეროვან მდიდარ ვარიანტზე. ეს ოფციები მორგებულია მცირე ბიზნესის საჭიროებებზე და მოიცავს ბაზრის (თანხმობათა) დაკრედიტებას, სავაჭრო და ელექტრონული კომერციის დაფინანსებას, ინვოისის დაფინანსებას, ონლაინ მიწოდების ჯაჭვის და ონლაინ ვაჭრობის დაფინანსებას.

5. ის ეხმარება კომპანიებს გადააქციონ დიდი მონაცემები მნიშვნელოვან მონაცემებად ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა შეაგროვონ ბევრი დიდი მონაცემი მათი მყიდველების, გაყიდვების, ვებსაიტების ტრაფიკის და მრავალი სხვა მონაცემთა პუნქტის საფუძველზე. თუმცა, მათ უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ ეს მონაცემები თავიანთ სასარგებლოდ,

რათა ის სასარგებლო იყოს ბიზნესისთვის. FinTech ეხმარება ყველა ზომის კომპანიებს გაიგონ და მართონ მათ მიერ შეგროვებული მონაცემები, ინსტრუმენტებისა და პროცესების შექმნით, რომლებიც აქცევს მათ მნიშვნელოვან მონაცემებად. ამ გზით, ბიზნესს შეუძლია გააანალიზოს შაბლონები, ტენდენციები ან ბმულები. გარდა ამისა, მას შეუძლია შექმნას ანგარიშები, რომლებიც დაეხმარება მათ თვალყური ადევნონ ახალ შეხედულებებსა და სასარგებლო ინფორმაციას, რათა შემდეგ შექმნან ეფექტური სტრატეგიები თავიანთ ინდუსტრიაში.

6. ის ეხმარება კომპანიებს გადააქციონ დიდი მონაცემები მნიშვნელოვან მონაცემებად ბიზნესებს აქვთ შესაძლებლობა შეაგროვონ ბევრი დიდი მონაცემი მათი მყიდველების, გაყიდვების, ვებსაიტების ტრაფიკის და მრავალი სხვა მონაცემთა პუნქტის საფუძველზე. თუმცა, მათ უნდა იცოდნენ, როგორ გამოიყენონ ეს მონაცემები თავიანთ სასარგებლოდ, რათა ის სასარგებლო იყოს ბიზნესისთვის. FinTech ეხმარება ყველა ზომის კომპანიებს გაიგონ და მართონ მათ მიერ შეგროვებული მონაცემები, ინსტრუმენტებისა და პროცესების შექმნით, რომლებიც აქცევს მათ მნიშვნელოვან მონაცემებად. ამ გზით, ბიზნესს შეუძლია გააანალიზოს შაბლონები, ტენდენციები ან ბმულები. გარდა ამისა, მას შეუძლია შექმნას ანგარიშები, რომლებიც დაეხმარება მათ თვალყური ადევნონ ახალ შეხედულებებსა და სასარგებლო ინფორმაციას, რათა შემდეგ შექმნან ეფექტური სტრატეგიები თავიანთ ინდუსტრიაში.

7. ის ქმნის ფინანსურ ჩართულობას FinTech-მა არამარტო გახადა ფინანსური სერვისები ხელმისაწვდომი ყველგან, არამედ ყველასთვისაც ხელმისაწვდომი გახადა. ხალხი შორდება ტრადიციულ საცალო საბანკო მომსახურებას და ახალი ციფრული კონკურენცია ფინანსურ სექტორში იზრდება. ამ დიგიტალიზაციამ შექმნა ახალი უნივერსალური პროგრამული შესაძლებლობების არაჩვეულებრივი განვითარება, შექმნა ფინანსური მომსახურების სექტორის არაჩვეულებრივი ევოლუცია. დაბოლოს, ადამიანებს, რომლებიც ცხოვრობენ ტრადიციული საბანკო ინფრასტრუქტურის გარეშე ქვეყნებში, ახლა შეუძლიათ მოიძიონ ფინანსური დახმარება, რომელიც მათ სჭირდებათ ონლაინ.

Fintech კომპანიებმა გლობალურად მოიპოვეს 94,7 მილიარდი დოლარის დაფინანსება 2021 წლის პირველი სამი კვარტლის განმავლობაში. რამდენიმე ინოვაციური ფინანსური სერვისი და უმსხვილესი ფინტექნოლოგიური კომპანია განაპირობებს ამ ზრდას ინვესტორების მოზიდვით, რომლებიც გვთავაზობენ ახალ ფინანსურ პროდუქტებსა და სერვისებს.

მაგრამ რამდენადაც უფრო და უფრო მეტი კომპანია შემოდის ფინანსური ტექნოლოგიების სივრცეში, შეიძლება რთული იყოს მათი გადახედვა და ძირითადი მოთამაშეების იდენტიფიცირება. დასახმარებლად, ქვემოთ ჩამოვთვალეთ ყველაზე დიდი ფინტექს სტარტაპები ექვსი მიმართულებით: საბანკო საქმე, გადახდები, ინვესტიციები და სიმდიდრის მენეჯმენტი, დაზღვევა, ვალუტა და გაცვლა, და დაკრედიტება და დაფინანსება. შენიშვნა: თანამშრომლებისა და დაფინანსების ყველა მონაცემი მოდის Crunchbase-დან.

საბანკო Fintech პროვაიდერები და სტარტაპები

monzo

თანამშრომელთა რაოდენობა: 1500-დან 5000-მდე მთლიანი დაფინანსება: $1.1 მილიარდი ერთი რამ უნდა იცოდეთ: გაერთიანებული სამეფოს მხოლოდ ციფრული მობილური ბანკი Monzo დაარსდა, როგორც Mondo 2015 წელს და ჰყავს თითქმის 5 მილიონი ანგარიშის მფლობელი.

Starling Bank

თანამშრომელთა რაოდენობა: 501-დან 1000-მდე მთლიანი დაფინანსება: $922 მილიონი ერთი რამ უნდა იცოდეთ: სტარლინგი დასახელდა საუკეთესო ბრიტანულ ბანკად ოთხი წლის განმავლობაში ზედიზედ 2018 წლიდან 2021 წლამდე და ემსახურება 2,5 მილიონზე მეტ კლიენტის ანგარიშს.

Ally Financial

თანამშრომელთა რაოდენობა: 1001-დან 5000-მდე

შესყიდვების რაოდენობა: 3

ინვესტიციების რაოდენობა: 7

ერთი რამ უნდა იცოდეთ: Ally Financial საჯარო გახდა 2014 წლის 10 აპრილს და მას იყენებს 8,5 მილიონზე მეტი ადამიანი 2020 წლის მონაცემებით.

პრობლემები

როგორც ფინტექი გაიზარდა, ასევე გაიზარდა შეშფოთება ფინტექ ინდუსტრიაში კიბერუსაფრთხოებასთან დაკავშირებით. ფინტექ კომპანიებისა და ბაზრების მასიურმა ზრდამ გლობალური მასშტაბით განაპირობა ფინტექ ინფრასტრუქტურის მოწყვლადობის გაძლიერება, ხოლო კიბერდანაშაულებრივი შეტევების სამიზნე. საბედნიეროდ, ტექნოლოგია აგრძელებს განვითარებას, რათა შემცირდეს არსებული თაღლითობის რისკები და შეამსუბუქოს საფრთხეები, რომლებიც კვლავ ჩნდება.სწრაფად დაემორჩილონ ამ ახალ რეგულაციებს.

- ვინაიდან FinTech სექტორი აერთიანებს ახალ ტექნოლოგიებს ამ მონაცემების დასამუშავებლად, აზრი მხოლოდ ახალი კანონებისა და გაიდლაინების შემოღებაა, რათა დაარეგულიროს, თუ როგორ ამუშავებს, ინახავს და წვდება FinTech-ს მონაცემებზე. ასე რომ, აუცილებელია, რომ FinTech ორგანიზაციები სწრაფად დაემორჩილონ ამ ორგანიზაციებს.

• თაღლითობისა და მავნე აქტორებისგან და რაც მთავარია, დაიცვას კლიენტების ინვესტიციები და მგრძნობიარე ინფორმაცია. წინააღმდეგ შემთხვევაში, კომპანიები შეიძლება აღმოჩნდნენ მონაცემთა დარღვევის შუაგულში!

გლობალური ძალაუფლება FINTECH-ის მომავლისთვის საქართველოში:

საქართველოს ფინტექ აკადემია არის მრავალფეროვნების ნიჭის განვითარების ინიციატივა ნებისმიერი სტუდენტისთვის, რათა გაიგოს მეტი ფინტექის შესახებ და დაუკავშირდეს ფინტექის დამსაქმებლებთან. მხოლოდ საქართველოში 12 საჯარო ფინტექს კომპანია გამოიმუშავებს $37 მილიარდს და $1 მილიარდზე მეტი სარისკო კაპიტალის ინვესტიცია განხორციელდა საქართველოს ადრეულ ეტაპზე ფინტექში 2020 წელს. 21,000 ადამიანი დასაქმებულია ტოპ ფინტექს კომპანიებში მეტრო ატლანტაში და 39,000 ადამიანი, მთლიანობაში, დამატებით 8,000 დასაქმებული.

სახელმწიფო ბიუჯეტის ეკონომიკური არსი და მისი მართვა

ანი ტლაშაძე

საქართველოში საბიუჯეტო სფეროში დაგროვილმა პრობლემებმა, განსაკუთრებული სიმწვავით იჩინა თავი, თანამედროვე ეკონომიკური გამოწვევებისა და მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის ფონზე. აქედან გამომდინარე დღეისათვის, სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანაა, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილურობის შენარჩუნება და მისი განვითარების სამომავლო პერსპექტივების განსაზღვრა.ნებისმიერი სახელმწიფოს ფუნქციონირების საფუძველი ეკონომიკის მდგრადი განვითარებაა, რისთვისაც აუცილებელია შესაბამისი საბიუჯეტო სისტემის ფორმირება და მყარი ფინანსური ბაზის შექმნა . ამასთან საბიუჯეტო სისტემის ფუნქციონირების სრულყოფის მიმართულებით, სახელმწიფო ხელისუფლების მიერ განხორციელებული ღონისძიებების მიუხედავად, მაინც ნაკლებად გახდა შესაძლებელი თანამედროვე ეტაპზე საბაზრო ეკონომიკაზე მორგებული, მეცნიერულად გააზრებული და დასაბუთებული საბიუჯეტო-საგადასახადო პოლიტიკის ფორმირება. სახელმწიფო ფინანსები ქვეყნის ეკონომიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ნაწილია. სახელმწიფო ახდენს ფულადი რესურსების მობილიზებას, რათა ისინი გარკვეული ვალდებულებების და ფუნქციების შესასრულებლად გამოიყენოს. სახელმწიფო ბიუჯეტი ასახავს სახელმწიფოს სოციალური და ეკონომიკური პოლიტიკის პრიორიტეტებს. იგი პირდაპირ ან ირიბად ახდენს გავლენას ყველა მოქალაქის კეთილდღეობაზე. მოსახლეობის ცხოვრების დონე დიდად არის დამოკიდებული ისეთ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც ეხება ჯანდაცვის, განათლებისა და სხვა სფეროების. სახელმწიფოს ეკონომიკური ძლიერება თუ სისუსტე დამოკიდებულია იმ ეკონომიკურ პოლიტიკაზე, რომელსაც მთავრობა გარკვეული ისტორიული მონაკვეთის ფარგლებში ახორციელებს.

ამრიგად, ქვეყნის ეკონომიკის სტაბილიზაციის პოლიტიკა უშუალო კავშირშია მის ფისკალურ პოლიტიკასთან, რომლის შესწავლა შეუძლებელია ფინანსური სისტემის წამყვანი რგოლისა და ძირითადი ფინანსური კატეგორიის – სახელმწიფო ბიუჯეტის გარეშე.ბიუჯეტის დაგეგმვის და აღსრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს ბიუჯეტის სახსრების რეგლამენტირებულ ჩარჩოებში მოქცევა და, შესაბამისად, მისი წყაროების რეალური განსაზღვრა.

ჩვენი მიზანია ბიუჯეტის ეფექტიანობის განსაზღვრა და მისი მართვის ანალიზი. ქვეყნის ეკონომიკის სტაბილური განვითარებისათვის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს წინაპირობას ეფექტიანი ფისკალური პოლიტიკის ფორმირება ფუნქციონირება წარმოადგენს, რისი მიღწევაც შესაძლებელია ქვეყანაში საბიუჯეტო სისტემის ფორმირებასა და მის ეფექტიან ფუნქციონირებასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხების შესწავლა-გაანალიზებითა და მათი გადაჭრისათვის საჭირო ღონისძიებების შემუშავებით.

საკვანძო სიტყვები: *ბიუჯეტი, პროგრამული დაგეგმვა, დეფიციტი და პროფიციტი, ქვეპროგრამა.*

ბიუჯეტი ფინანსური შინაარსით, არის დოკუმენტი იმის შესახებ, თუ გადასახადებიდან და სხვა წყაროებიდან რა მოცულობის შემოსულობების მიღებას გეგმავს მთავრობა და როგორ აპირებს მიღებული სახსრების დახარჯვას, რისი მიღწევა აქვს დაგეგმილი ამ ხარჯების გაწევით. აგრეთვე, ბიუჯეტი არის პოლიტიკური დოკუმენტი და იგი უნდა ასახავ-

დეს, თუ როგორ შეუწყობს ხელს წარმოდგენილი ხარჯები მთავრობის პოლიტიკური მიზნების, ამოცანებისა და პრიორიტეტების განხორციელებას. ბიუჯეტი სახელმწიფო მოხელეებს ასევე ანიჭებს უფლებამოსილებას და მიუთითებს, თუ როგორ უნდა მოიპოვონ სახსრები, როგორ დახარჯონ აღნიშნული თანხები და განსაზღვრავს იმ მომსახურებებს, რომელთა მიღებასაც მთავრობა მოელის მათგან დახარჯული სახსრების სანაცვლოდ. ბიუჯეტი არის სხვადასხვა დონის, რომელთა ერთიანობა ქმნის საბიუჯეტო სისტემას. დასახლებებს და ქალაქების უბნებს (დედაქალაქის უბნების გარდა) არ გააჩნიათ საკუთარი ბიუჯეტებს.

სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის სტრუქტურა მოიცავს შემდეგი სახის ინფორმაციას: თავდაპირველად მოცემულია სახელმწიფო ბიუჯეტის ძირითადი პარამეტრები, მათ შორის შემოსულობებისა და გადასახდელების გაშლა, ეკონომიკური და ფუნქციონალური კლასიფიკაციების მიხედვით, დეფიციტის მოცულობა და მისი დაფინანსების წყაროები, სახელმწიფო ვალის საპროგნოზო მოცულობა და სხვა; შემდეგ წარმოდგენილია ბიუჯეტით განსაზღვრული პრიორიტეტები და მათ ფარგლებში დაგეგმილი პროგრამების და ქვეპროგრამების აღწერა და მიზანი (პროგრამები დაჯგუფებულია პრიორიტეტების მიხედვით);ამის შემდგომ კი პროგრამები დაჯგუფებულია მათი განმახორციელებელი მხარჯავი დაწესებულებების მიხედვით და წარმოდგენილია თითოეული პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების მოცულობა. ამავე თავშია განსაზღვრული საერთო სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის გადასახდელების ამას მოსდევს ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულებისათვის გათვალისწინებული ტრანსფერების დეტალური ჩაშლა; ხოლო ბოლოს მოცემულია ბიუჯეტის კანონის მარეგულირებელი და გარდამავალი დებულებები.

დიაგრამა 1



დიაგრამა 2



"საქართველოს საბიუჯეტო სისტემის შესახებ" კანონის თანახმად საქართველოს საბიუჯეტო მოწყობა ეფუძნება 7 მთავარ პრინციპს ესენია :

1. ყოვლისმომცველობა _ ბიუჯეტის ყველა შემოსულობები და გადასახდელები სრულყოფილად უნდა აისახოს შესაბამისი დონის ბიუჯეტებში;

2. გამჭვირვალობა _ ბიუჯეტების პროექტების საკანონმდებლო ორგანოებში განხილვის პროცედურები უნდა იყოს საჯარო საზოგადოებისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისათვის; დამტკიცებული ბიუჯეტები და მათი შესრულების შესახებ ანგარიშები უნდა იქნეს გამოქვეყნებული; ბიუჯეტის შესახებ ინფორმაცია (გარდა საიდუმლო ინფორმაციისა) ხელმისაწვდომი უნდა იყოს ნებისმიერი პირისათვის;

3. ანგარიშვალდებულება _ საბიუჯეტო პროცესში მონაწილე ყველა პირი პასუხისმგებელია მის მიერ განხორციელებულ საქმიანობაზე და ბიუჯეტის შესახებ წარმოდგენილ ინფორმაციაზე;

4. დამოუკიდებლობა _ ცენტრალური ბიუჯეტი, ავტონომიური რესპუბლიკების რესპუბლიკური ბიუჯეტები და ადგილობრივი ბიუჯეტები დამოუკიდებელია, რასაც უზრუნველყოფს საკუთარი შემოსავლების წყაროები და საკუთარი ხარჯების დამოუკიდებლად განსაზღვრის უფლება;

5. ერთიანობა _ ხელმძღვანელობა უნდა მოხდეს ცენტრალური, ავტონომიური რესპუბლიკების და ადგილობრივი ხელისუფლებების მიერ საერთო საფუძვლებით, ერთიანი საბიუჯეტო კლასიფიკაციით, ანგარიშთა ერთიანი ჩამონათვალით, საბიუჯეტო დოკუმენტაციით, საქართველოს კონტროლის პალატის ზედამხედველობით სახელმწიფო ფინანსური კონტროლის ერთიანი პრინციპებით;

6. უნივერსალობა – ბიუჯეტის ყველა შემოსულობა უნდა მიიმართოს საერთო გადასახდელების დასაფინანსებლად. ამასთან, არც ერთი შემოსულობა, დონორების მიერ და-

ფინანსებული შემოსულობების გარდა, არ უნდა იქნეს მიმართული მიზნობრივად, კონ-კრეტული ხარჯის ან ღონისძიებების დასაფინანსებლად;

7. კონსოლიდირება – ყველა სახელმწიფო შემოსულობა უნდა აისახოს ხაზინის ერთიან ანგარიშზე, რომელიც იმართება სახელმწიფო ხაზინის მიერ და განთავსებულია საქართველოს ეროვნულ ბანკში.

რა თქმა უნდა ყველაფერთან ერთად სახელმწიფო ბიუჯეტის არსებობა ემსახურება გარკვეული სახის მიზნებისა და ფუნქციების შესრულებას მისი ძირითადი ფუნქციები კი შეგვიძლია ჩამოვაყალიბოთ შემდეგნაირად:

1. ბიუჯეტი წარმოადგენს ცენტრალური მთავრობების მიერ შემუშავებულ გეგმას, თუ როგორ მოიძიოს მთავრობამ სახსრები აღებული ვალდებულებების შესასრულებლად. რა სახის და მოცულობის თანხები უნდა იქნეს ამისათვის მობილიზებული სხვადასხვა სახის გადასახადებიდან, როგორიცაა დამატებული ღირებულების, აქციზის, მოგებისა და სხვა სახის გადასახადები.

2. ბიუჯეტი წარმოადგენს გეგმას, თუ როგორ უნდა დახარჯოს მთავრობამ მის მიერ მობილიზებული თანხები. რა ღონისძიებები უნდა იქნეს დაფინანსებული და როგორ უნდა განაწილდეს შემოსავლები სხვადასხვა სფეროებზე. კერძოდ, განათლებაზე, თავდაცვაზე, ჯანმრთელობაზე, სოციალურ დაცვასა და ა.შ. სხვა მიმართულებებზე.

3. ბიუჯეტი განსაზღვრავს მთავრობის მიერ ასაღები სახელმწიფო ვალისა და სესხების ლიმიტებს. თუ ხარჯები აჭარბებს შემოსავლებს, მთავრობამ უნდა აიღოს გარკვეული ვალი, რათა დაფაროს მისი მოსახლეობისათვის გაწეული მომსახურების ხარჯები და გადაიხადოს გასული წლების ვალები.

4. ბიუჯეტი გავლენას ახდენს ეროვნული ეკონომიკის განვითარებაზე. ზოგიერთი ხარჯი (როგორიცაა მაგალითად განათლებისა და მეცნიერების, აგრეთვე ახალი ტექნოლოგიების დანერგვის) შესაძლებელია ზრდის პროდუქტიულობას, რაც მომავალში გამოიწვევს მოსახლეობის შემოსავლის ზრდასაც. მეორე მხრივ კი, გადასახადები ამცირებს მოსახლეობის შემოსავალს და მათ ნაკლებ სახარჯ ფულს უტოვებს. გამომდინარე აქედან, ბიუჯეტი (შემოსულობები და გადასახდელები) უნდა დაბალანსდეს ისე, რომ იგი იქცეს ქვეყნის განვითარების მძლავრ ბერკეტად.

5.ბიუჯეტზე თავად ახდენენ გავლენას ეროვნული ეკონომიკური პროცესები. კერძოდ, მაღალი ეკონომიკური ზრდის პირობებში ბიზნესი უფრო აქტიურდება, იზრდება დასაქმების მოცულობა, შესაბამისად იზრდება როგორც მოქალაქეების, ასევე ქვეყნის ბიუჯეტის შემოსავალიც, განსაკუთრებით კი საგადასახადო შემოსავალი.

6. ბიუჯეტი წარმოადგენს სტრატეგიულ დოკუმენტს. ამასთან, ბიუჯეტი მოიცავს ინფორმაციას გასულ წლებში მთავრობის მიერ მოზიდულ და დახარჯულ თანხებზე, ასევე მოიცავს საპროგნოზო ინფორმაციას თანხების მომავალში დახარჯვასთან

ბიუჯეტი არსებობს დეფიციტური და პროფიციტური. იმ შემთხვევაში, როდესაც ბიუჯეტის შემოსავლები აღემატება მის ხარჯებს, ბიუჯეტი პროფიციტურია. ხოლო როდესაც შემოსავლები ხარჯებზე ნაკლებია ადგილი აქვს ბიუჯეტის დეფიციტს. ბიუჯეტის დეფიციტიც და პროფიციტიც მთავრობის მიერ წინასწარაა განსაზღვრული და მას ამტკიცებს პარლამენტი.

ბიუჯეტის დეფიციტი შეიძლება დაკავშირებული იყოს: • ქვეყნის ეკონომიკის განვითარების მიზნით მსხვილი ინვესტიციების გამოყოფასთან; • საგანგებო მოვლენებთან _ ომი, სტიქია, სოციალური აფეთქებები და სხვ. • ეკონომიკური კრიზისის გამწვავებასთან, როდესაც მთავრობა ვერ მართავს და მის კონტროლს მიღმაა დარჩენილი ქვეყნის ფინანსური ურთიერთობები. სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის სიდიდე დამოკიდებულია სახელმწიფო ხარჯების დონესა და საგადასახადო დაბეგვრის განაკვეთზე, რომლებმაც შეიძლება დიდი გავლენა მოახდინონ ერთობლივ მოთხოვნაზე და აქედან გამომდინარე შიდა ეროვნული პროდუქტის მოცულობაზე.

დეფიციტის ეკონომიკისადმი ტვირთი მის მთლიან შიდა პროდუქტთან (მშპ) ფარდობით განისაზღვრება. ტვირთის შესაფასებლად ნომინალური რიცხვები (მაგალითად, რამდენი მლნ ლარია დეფიციტი) ბევრს არაფერს ამბობს, რადგან დეფიციტის სიმძიმე დამოკიდებულია ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონეზე.

ქვეყნების მიხედვით ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელს საერთაშორისო სავალუტო ფონდი აქვეყნებს. სავალუტო ფონდი ინფორმაციას ე.წ. ნაერთი ბიუჯეტის დეფიციტზე აქვეყნებს. ნაერთი ბიუჯეტი ქვეყნის სახელმწიფო ბიუჯეტისა და ადგილობრივი ბიუჯეტების კონსოლიდირებული ვერსიაა. ფონდი დეფიციტის მაჩვენებლად ბიუჯეტის წმინდა სესხების მაჩვენებელს მიიჩნევს, ანუ ჯამში რა თანხა დააკლდა ბიუჯეტს, რაც ვალის აღებით დაიფარა.

დიაგრამა 3



ბიუჯეტის დეფიციტის მაჩვენებელი გამოიყენება მთავრობის მიერ განხორციელებული ფისკალური ღონისძიებების ძირითადი მიმართულებებისა და ეკონომიკურ გარემოზე გავლენის შესაფასებლად. შესაბამისად, სახელმწიფო ფინანსების არსებული სტატისტიკის საფუძველზე აღნიშნული მაჩვენებლის გაანგარიშებას განსაკუთრებული მნიშვნელობა

ბიუჯეტის დეფიტთან დაკავშირებულმა პრობემებმა განსაკუთრებით ბოლო ხანებში იჩინა თავი რაც პირდაპირკავშირშია პანდემიასთან.

დეფიციტის მთავარი მიზეზი პანდემიის პერიოდში გაზრდილი ხარჯები და შემცირებული შემოსავლებია, ეს იმის მიუხედავად, რომ 2021 წელს წინა წელთან შედარებით

ეკონომიკამ ნელი გამოცოცხლება დაიწყო და ბიუჯეტშიც ამ წლის პირველ 6 თვეში იმაზე მეტი თანხა შევიდა, ვიდრე დაგეგმილი იყო.

ეკონომიკური თავისუფლების აქტის მიხედვით ბიუჯეტის დეფიციტი 3%-ს არ უნდა აჭარებებდეს. 2021 წელს ეს მაჩვენებელი დაშვებულზე ორჯერ მეტია და 7%-ს ცდება. ამავე კანონის მიხედვით, ქვეყნის საგარეო ვალი არ შეიძლება იყოს მთლიანი შიდა პროდუქტის 60%-ზე მეტი. არადა, ბიუჯეტის დეფიციტის შევსების ყველაზე გავრცელებული გზა საგარეო ვალებია. საქართველომ პანდემიისას გაზრდილი საგარეო ვალებითაც ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ახლა სურს მისი ოდენობა წლის ბოლომდე 54,6%-მდე შეამციროს.

არსებული ბიუჯეტების და პროგნოზების მიხედვით ბიუჯეტის დეფიციტის შესახებ ასეთი სურათი იხატება:

პანდემიამდე:

2018 წელს ბიუჯეტის დეფიციტი 2,3%

2019 წელს 2,1%

პანდემია:

პირველი წელი - 2020 წელს 9,3%-იანი დეფიციტი დაფიქსირდა

2021 წლის ბოლოს სავარაუდო დეფიციტი 6,9%-ია

მომავალი 4 წელიწადი (პოსტპანდემიური პერიოდი):

2022 წელს დეფიციტი 4,4%-მდე ჩამოვა

2023 წელს ზღვრულ ნორმაზე, 3%-ზე დაბრუნდება

2024 წელს დეფიციტი 2,7% უნდა იყოს,

2025 წელს 2,5%

დიაგრამა 4



ქვეყნები, რომლებსაც ყველაზე მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი აქვთ:

სავალუტო ფონდის მიხედვით, 2021 წელს ბიუჯეტის ყველაზე მაღალი დეფიციტი ტიმორ-ლესტეს აქვს – მშპ-ის -44%. შემდეგ მოდის პალაუ 24%-ით და სან-მარინო და მალდივის კუნძულები 18-18%-ით.

საქართველოს მეზობელი ქვეყნებიდან ყველაზე მაღალი ბიუჯეტის დეფიციტი თურქეთს აქვს, მშპ-ის მიმართ 4.9%. შემდეგ სომხეთი მოდის მშპ-ის მიმართ 4%-ით. აზერბაიჯანის ბიუჯეტის დეფიციტი მშპ-ის 1.8%-ია, რუსეთის კი მშპ-ის 0.6%.

წელს მსოფლიოში 11 ქვეყანას ბიუჯეტის დეფიციტი არა აქვს. მათ მთავრობებს შემოსავალი უფრო მეტი აქვთ, ვიდრე ხარჯები. ყველაზე მაღალი სიჭარბე ნაურუს აქვს – მშპ-ის 24%. შემდეგ მოდის სამხრეთი სუდანი 7.4%-ით და ლიბია 6.8%-ით. არადეფიციტური ბიუჯეტები აქვთ ასევე მარშალის კუნძულებს, ანგოლას, კატარს, კონგოს, მიკრონეზიას, გრენადას, ტაივანს და იამაიკას.

ცხრილი 1

	ქვეყანა	მშპ-ის მიმართ, %
1	ტიმორ -ლესტე	-44
2	პალაუ	-24
3	სან-მარინო	-18
4	მალდივის კუნძულები	-18
5	არუბა	-17
6	ფიჯი	-16
7	განა	-14.5
8	ბაჰამის კუნძულები	-13.6
9	გაერთიანებული სამეფო	-12

ქვეყნის ბიუჯეტის დეფიციტის მთლიან შიდა პროდუქტთან ფარდობის მაჩვენებლით საქართველო მსოფლიოში 72-ე ადგილზეა.

დასკვნა და რეკომენდაციები

ნებისმიერი ქვეყნისთვის, მათ შორის საქართველოსთვისაც, უმძიმესი პრობლემაა ბიუჯეტის დეფიციტის ნორმალურ დონემდე (ერთნიშნა რიცხვამდე) დაყვანა. დეფიციტის წარმოქმნისას პირველ რიგში დაფინანსდება ბიუჯეტის მიმდინარე ხარჯები. ბიუჯეტის დაბალანსებისთვის მტკიცდება ბიუჯეტის ზღვრული სიდიდე. მსოფლიოში არ არის ქვეყანა, რომლესაც სხვადასხვა დონით არ ჰქონდეს ბიუჯეტის დეფიციტი.

სახელმწიფო ბიუჯეტი წარმოადგენს სახელმწიფოს უმნიშვნელოვანეს ფინანსურ დოკუმენტს. იგი არის ყველა უწყების მიერ განსახორციელებელი პროგრამების, ქვეპროგრამების და ღონისძიებების. საბიუჯეტო პოლიტიკის ძირითადი ამოცანებია: ეკონომიკური კრიზისისაგან თავის დაღწევა და წარმოების დაცემის შეჩერება; ფინანსური სტაბილიზაციის მიღწევა; ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის გაძლიერება საგადასახადო დაბეგვრის სრულყოფითა და სახელმწიფოს კუთვნილი გადასახადების მთლიანად ამოღებით; ბიუჯეტის არამწარმოებლური ხარჯების შემცირება; საინვესტიციო აქტივების სტიმულირება და ეროვნულ შემოსავალში დაგროვების ხვედრითი წილის გადიდება; სახელმწიფო ვალის მომსახურებაზე კონტროლის გაძლიერება. ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპზე ქვეყნის მაკროეკონომიკურ პოლიტიკას გააჩნია სამი მიზანი: ეკონომიკის მდგრადი განვითარება, დაბალი დონის ინფლაცია, ადგილობრივი და უცხოური ინვესტიციების ზრდა.

ამ მიზნების მისაღწევად უდიდესი როლი ენიჭება სახელმწიფო საბიუჯეტო რეგულირებას. სახელმწიფო ბიუჯეტს, როგორც წესი, საფუძვლად უნდა დაედოს სახელმწიფო პროგრამა და ამასთანავე მისი შესრულების შესაძლებლობების წინასწარი განჭვრეტა. თვით პროგრამა უნდა წარმოადგენდეს სახელმწიფოს მიერ გადასაწყვეტი მიზნების და ამოცანების ერთობლიობას და მის მისაღწევად განსაზღვრულ ღონისძიებათა სისტემას.

1. რაც უფრო მეტად იქნება მთავრობა დაფინანსების საგარეო წყაროებზე დამოკიდებული, მით უფრო მეტია ლარის გაუფასურების რისკი (საუბარია გაცვლით კურსზე) სამთავრობო ვალის მდგრადობისთვის. ამრიგად მნიშვნელოვანია, რომ მთავრობამ მოახერხოს საგარეო ვალდებულებების ნაწილობრივი ჩანაცვლება შიდა წყაროებიდან მოზიდული დაფინანსებით.

2. ბიუჯეტის დეფიციტის შემცირება კი მნიშვნელოვანია იმ კუთხით, რომ ერთი მხრივ, მაღალი დეფიციტი უარყოფითად აისახება საგარეო სავაჭრო ბალანსზე, მეორე მხრივ კი, კერძო ინვესტიციებზე.

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტის დამოკიდებულების ანალიზი ქვეყნის უმნიშვნელოვანეს მაკროეკონომიკური მაჩვენებლებთან. როგორც შესაბამისმა გაანგარიშებებმა გვიჩვენა, ჩვენი ეკონომიკის პირობებში, ბიუჯეტის დეფიციტი თითქმის ნეიტრალურია ეკონომიკური ზრდის მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი.
2. საქართველოს ფინანსტა სამინისტრო-ბიუჯეტის ანალიტიკური მონაცემები, სახელმწიფო ვალის მართვა, საბიუჯეტო კანონმდებლობა.
3. საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი-განმარტება ბიუჯეტის დეფიციტის გაანგარიშების შესახებ.
4. საქართველოს საბიუჯეტო სისტემა.
5. საქართველოს პარლამენტი ძირითადი მონაცემები
6. https://parliament.ge/search?q=%E1%83%91%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%AF%E1%83%94%E1%83%A2%E1%83%98
7. https://matsne.gov.ge/ka/document/view/91006?publication=51
8. https://mof.ge/
9. http://pbo.parliament.ge/ge/rs/methodology/item/137-2015-03-27-12-42-17.html

შიდა ტურიზმის განვითარების სტატისტიკური ტენდენციები და მოლოდინები საქართველოში

ოთარ ფსუტური

სტატიაში განხილულია შიდა ტურიზმის ძირითადი ტენდენციები საქართველოში. გაანალიზებულია განხორციელებული ვიზიტების, ვიზიტორების, ტურისტული ნაკადების რეგიონული სტატისტიკური მახასიათებლები, დახასიათებულია მოთხოვნადი ტურისტული პაკეტები და ლოკაციები, შეფასებულია საზოგადოების განწყობა შიდა მოგზაურობასთან დაკავშირებით.

შიდა ტურიზმის განვითარების მოლოდინების განსაზღვრისათვის გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელები, სადაც გაზიარებულ იქნა Google Drive-ის აპლიკაციაში ჩატვირთული სპეციალურად შემუშავებული დიზაინის ანკეტა.

სტატიაში მოცემულია ჩატარებული კვლევის შედეგები, გაანგარიშებულია შესაბამისი სტატისტიკური მაჩვენებლები, ჩამოყალიბებულია დასკვნები.

ორი მძიმე წლის შემდეგ ტურიზმი, საქართველოში ისევე როგორც მთელს მსოფლიოში, ნელ-ნელა იკრებს ძალას და მიმდინარე რეაბილიტაციის ფონზე თანდათან გადადის განუსაზღვრელობიდან კვლავ აღორძინების ეტაპზე. ამას მოწმობს გაზრდილი ტურისტული ნაკადები, მომატებული ჯავშნები და ქალაქში მომრავლებული ტურისტები.

რა ვითარებაა შიდა ტურისტულ ბაზარზე? იზრდება თუ არა მოთხოვნები შიდა ტურისტულ ლოკაციებზე და როგორია კონიუნქტურული სიტუაცია საქართველოში?

შეიძლება ითქვას მოლოდინები შიდა ტურიზმის განვითარებაზე არსებობს და ისინი, პოზიტიურია. ეპიდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების მოხსნამ საფუძველი დაუდო გამოცოცხლების ეტაპზე მყოფი შიდა ტურიზმის განვითარების შესაძლებლობებს. პანდემიამ ბევრად შეცვალა მოსახლეობის განწყობა მოგზაურობის მიმართ და თავისთავად ტრანსფორმირდა მოგზაურობის მიზნები. იზრდება მოთხოვნა ადგილობრივ ტურიზმზე, რაც თავის მხრივ ასტიმულირებს მის მიწოდებას. მითუმეტეს რომ საქართველო თავისი უნიკალური ბუნებრივ კლიმატური, ისტორიული, შემეცნებითი და ა.შ., თვალსაზრისით ისეთი ქვეყანაა, რომელსაც ბევრი სიურპრიზის შეთავაზება შეუძლია მოგზაურებისთვის.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, შიდა ტურიზმის განვითარების ტენდენციების გამოვლენა, არსებული პრობლემების იდენტიფიცირება, მისი კვლავ აღორძინების მოლოდინების რაოდენობრივი ანალიზი აქტუალური და ძალიან მნიშვნელოვანია. ჩემი კვლევის მიზანი იყო შიდა ტურიზის ძირითადი ტენდენციების გამოვლენა და მოლოდინების სტატისტიკური ანალიზი.

ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს რომ 2019 წლამდე იზრდებოდა შიდა ტურისტული ვიზიტების რაოდენობა, გამონაკლისი იყო 2017 წელი, როდესაც კლების ტემპმა წინა წელთან შედარებით 2.5% შეადგინა. 2020 წელს დაწყებულმა პანდემიურმა პროცესებმა უარყოფითად იმოქმედა ტურიზმზე და მკვეთრად გაუარესებული სტატისტიკა გამოვლინდა, მაგრამ მიუხედავად არსებული ეპიდრეგულაციებისა და შეზღდვებისა, 2021 წელს შიდა ტურიზმის სტატისტიკურმა მაჩვენებლებმა დაიწყო ზრდა.

დიაგრამა 1. შიდა ვიზიტების რაოდენობა 2015-2021 წლებში.



წყარო:დიაგრამა აგებულია საქსტატის მონაცემების მიხედვით.

ოფიციალური სტატისტიკური მონაცემების მიხედვით შიდა ტურიზმის დროს, როგორც მოსალოდნელი იყო ყველაზე მეტად აქტიურები აღმოჩნდნენ 31-50 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობა, მათი წილი ტურისტთა შორის საკვლევი პერიოდის ყველა წელს მერყეობდა 36%-38%- ს შორის. საკმაოდ მაღალი იყო 51-70 წლის ასაკობრივი ჯგუფის მოსახლეობის აქტივობაც. (იხ. ცხრილი 2).

დიაგრამა 2. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, ათასი კაცი



წყარო: დიაგრამა აგებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე

შიდა ვიზიტორებს შორის ტრადიციულად ქალბატონები სჭარბობენ, მათი წილი წლების მიხედვით 53,7%დან 56%-მდე მერყეობს და ეს ტენდენცია შენარჩუნებულია უკანასკნელი შვიდი წლის მანძილზე.

რაც შეეხება შიდა ტურიზმის რეგიონულ სტრუქტურას, ყველაზე მოთხოვნადი და შესამაბისად ყველაზე მეტი ვიზიტი საშუალოდ თვიურად განხორციელდა თბილისში, იმერეთში, აჭარასა და შიდა ქართლში. ზოგადად 2015-2021 წლებში შიდა ტურისტული ვიზიტების რაოდენობა იზრდებოდა 5,3%-ით. 2021 წელს ვიზიტების რაოდენობის ყველაზე მაღალი მატების ტემპი დაფიქსირდა შიდა ქართლში 41% და შემდეგ იმერეთში 34,2% .

ცხრილი 1. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტების საშუალო თვიური რაოდენობის განაწილება მონახულებული რეგიონების მიხედვით, ათასი

წელი	ქ. თბილისი	აჭარის ა/რ	იმერეთი	კახეთი	მცხეთა-მთია-ნეთი	სამეგრელო ზემო სვანეთი	სამცხე-ჯავახეთი	ქვემო ქარ-თლი	შიდა ქარ-ლი
2015	248.7	111.7	217.1	87.4	55.5	84.0	51.3	68.9	70.7
2016	264.0	117.5	223.0	84.1	66.0	81.5	42.9	75.5	83.4
2017	269.0	136.1	196.0	73.3	64.9	77.4	48.0	68.8	75.3
2018	288.8	147.9	198.9	83.4	63.5	76.5	48.0	72.7	76.9
2019	286.9	165.0	208.0	90.2	78.3	89.2	51.3	85.4	85.9
2020	237.0	124.1	180.2	90.6	75.8	70.3	38.3	77.9	88.2
2021	300.1	163.6	241.9	119.4	133.3	93.3	54.0	117.3	124.4

წყარო: ცხრილი აგებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე

ბოლო მონაცემებით, ყველაზე მეტი ვიზიტორი საშუალოდ თვეში ესტუმრა თბილისს, იმერეთს, აჭარას, მცხეთა-მთიანეთსა და შიდა ქართლს. საკვლევ პერიოდში ვიზიტორების რაოდენობა საშუალოდ ყოველწლიურად იზრდებოდა 6,9%-ით.

საქართველოს მოქალაქეები ძირითადად მოგზაურობენ ნათესავების, მეგობრების მონახულებისა და შემდეგ მეორე სახლის მონახულების მიზნით, თუმცა 2021 წელს 42%ით გაიზარდა დასვენების, გართობისა და რეკრეაციის მიზნით მოგზაურთა რაოდენობა, და გაუტოლდა 2019 წლის მაჩვენებელს, 39%-ით მოიმატა მეგობრებისა და ნათესავების მომნახულებელთა რიცხვმა, ეს მაჩვენებელი 2019 წელთან შედარებით უკვე 9%-ითაა გაზრდილი. გაიზარდა მკურნალობის მიზნით გადაადგილებულთა რაოდენობაც, თუმცა შემცირებულია, როგორც 2020, ისე 2019 წელთან შედარებით განათლების მიზნით ვიზიტორების რაოდენობა

ცხრილი 2. 15 წლის და უფროსი ასაკის საქართველოს რეზიდენტი ვიზიტორების მიერ საქართველოს ტერიტორიაზე განხორციელებული ვიზიტები მიზნის მიხედვით

წელი	დასვენება, გართობა, რეკრეაცია	მეგობრების/ ნათესავების მონახულება	განათლების მიღება	მკურნალობა, გაჯანსაღება	რელიგია/ მომლოცველობა	შოპინგი	მეორე სახლის მონახულება (აგარაკი ან სხვ.)	პროფესიული/ ეკონომიკური საქმიანობა
2015	78.4	561.5	6.1	105.6	18.7	117.2	68.2	61.9
2016	96.8	566.5	6.4	120.1	18.7	132.6	72.9	50.7
2017	104.6	530.4	6.0	117.7	21.5	141.1	68.5	46.4
2018	99.1	566.7	5.2	115.1	17.3	145.1	80.4	47.7
2019	114.8	606.1	8.0	105.0	23.1	146.5	112.8	56.2
2020	80.4	476.8	4.6	89.5	15.8	149.6	164.4	40.4
2021	114.4	662.0	3.5	126.0	20.8	186.4	224.2	49.2

წყარო: ცხრილი აგებულია საქსტატის მონაცემების საფუძველზე

საქართველოს მოქალაქეები მოგზაურობისას ყველაზე მეტ თანხას, 34%-ს. ხარჯავენ საყიდლებზე, 24%-ს სასმელზე და საკვებზე და 20%-ს ტრანსპორტზე. ხარჯების სტრუქტურა იდენტურია 2015-2021 წლის პერიდში და არ შეცვლილა, აქედან გამომდინარე ძირითადი ტენდენციები შენარჩუნებულია. თუმცა 2021 წელს გაწეული ხარჯების მოცულობა 2020 წელთან შედარებით გაიზარდა 54%-ით, 2019 წელთან შედარებით 47%-ით და 2015 წელთან შედარებით 67%-ით.

შიდა ტურიზმის რა მოლოდინები არსებობს საქართველოში?

მოლოდინების სტატისტიკური შეფასებისათვის მოვახდინეთ საქართველოს რეზიდენტების გამოკითხვა, რომლის შედეგების მიხედვითაც იდენტიფიცირებულ იქნა შიდა ტურიმზში არსებული ძირითადი პრობლემები, გამოვლენილ იქნა მოთხოვნადი ტურისტული პაკეტები და ლოკაციები, დახასიათებულ იქნა საზოგადოების განწყობა შიდა მოგზაურობასთან დაკავშირებით. კვლევისათვის გამოვიყენეთ სოციალური ქსელები, სადაც გავაზიარეთ Google Drive-ის აპლიკაციაში ჩატვირთული ანკეტა, სულ გამოკვლევაში მონაწილეობა მიიღო 300-მდე რესპონდენტმა. აღმოჩნდა, რომ უფრო მეტად აქტიურნი იყვნენ ქალბატონები, რომელთა წილი რესპოდენტებს შორის იყო 62.3%. გამოკითხულ რესპოდენტებს შორის აქტიურობით გამოირჩეოდა 15-24 წლის ახალგაზრდა ასაკობრივი ჯგუფი, რომელთა წილი მთლიან გამოკითულ რესპოდენტებში შეადგენდა 58.3%. გამოკითხულთა უმრავლესობა 62.9% იყო დაქირავებით დასაქმებული, თვითდასაქმებულთა წილი მხოლოდ 8%-ს შეადგენდა. გამოკვლევებმა აჩვენა, რომ რესპოდენტების დიდი ნაწილი 93.1% პანდემიამდე აპირებდა საქართველოში მოგზაურობას, რომელიც ვერ განახორციელა. ამიტომ, მიმდინარე პერიოდში განსაზღვრული აქვთ აქტიური ტურისტული მოგზაურობები სახვადასხვა ლოკაციებზე. გამოკითხულთა 33.7%-თვის ტურისტულად სასურველ ლოკაციას წარმოადგენდა აჭარა, ხოლო 25.8%-თვის კი სვანეთი. რესპოდენტთა 35% მოგზაურობის დროს უპირატესობას ანიჭებს სასტუმრო სახლის ტიპის განთავსების საშუალებას. 24% სასტუმროს, 20%-ახლობლის ბინას, 7% - ჰოსტელს, ხოლო სხვა განთავსების საშუალებაზე მიუთითა 14% - მა.

ვიზიტორების უმეტესობა მოგზაურობდა ძირითადად გართობა, დასვენება, რეკრეაციის მიზნით. ვიზიტების 81.0% სწორედ განხორციელდა დასვენება, გართობა რეკრეაციის მიზნით, 9.3% მეგობრებისა და ნათესავების მონახულების მიზნით, მკურნალობა/გამაჯანსღებელი მოტივით იმოგზაურა რესპონდენტების 4.6% და ა.შ. როგორც აღმოჩნდა, გამოკითხულთა შორის ყველაზე მიმზიდველი და მოთხოვნადი აღმოჩნდა მთის ტურიზმი. ტურიზმის ეს სახეობა პრიორიტეტულია რესპონდენტთა 28 %-სთვის, შემდეგ მოდის საზღვაო ტურიზმი 24%-იანი წილით, მესამე ადგილს იკავებს კულტურული ტურიზმი, რომელიც გამოკითხულთა 15,1%-ის აზრით ყველაზე ტრენდულია დღეს საქართველოში.. ექსტრემალური ტურიზმი აინტერესებს 14.5%, ეკო-ტურიზმი 7% და ა.შ.

მომავალში სასურველ ტურისტულ ლოკაციას რესპოდენტების 36.8%-თვის კვლავ წარმოადგენს სვანეთი. ასევე მოთხოვნადი აღმოჩნდა მარტვილისა და ოკაცეს კანიონის ტური, რომელიც რესპოდენტების 23.4%-ს სურს მოინახულოს, შემდეგ მოდის ყაზბეგი - 22.8%-ით და ბახმარო - 21.1%.

დიაგრამა 3. რესპონდენტების განაწილება მოთხოვნადი ტურისტული ლოკაციების მიხედვით.



წყარო: დიაგრამა აგებულია ჩვენს მიერ ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით

დასკვნის სახით შეიძლება ვთქვათ, რომ საქართველოში შიდა ტურიზმთან დაკავშირებით მოლოდინები დადებითია, საქართველოს მოქალაქეების ტურისტული ვიზიტები ზრდის ტენდენციით ხასიათდება, ჩატარებული კვლევის შედეგებით შიდა ტურისტებისთვის მიმზიდველია მთის, საზღვაო და ექსტრემალური ტურიზმი. ტურისტულად აქტიურს 31-50 წლის ასაკის მოსახლეობა წარმოადგენს. რესპოდენტებისატვის პირველ ადგილზე დასვენების, გართობის, რეკრეაციის მიზნით მოგზაურობა წარმოადგენს, თუმცა სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით ჯერ კიდევ სჭარობს ახლობლებისა და ნათესავების მონახულების მიზნით ქვეყნის ფარგლებში მოგზაურობა, რესპოინდენტთა შორის პოპულარულ ლოკაციას კვლავაც წარმოადგენს სვანეთი.

შიდა ტურიზმის ინფორმაციული ბაზის სრულყოფისათვის მნიშვნელოვანი იქნება მობილური ოპერატორების ჩართვა შიდა ვიზიტორების მიერ სხვადასხვა ტურისტული ლოკაციების ვიზიტისას, რაც ჩვენი აზრით,დროულ და მეტად საჭირო სიახლეს წარმოადგენს სტატისტიკის პრაქტიკაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე, ო. შიდა ტურიზმის განვითარების ძირითადი ტენდენციები საქართველოში. ივ.ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამენიერო კონფერენციის ,,გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“ შრომების კრებული. 2018
2. ახვლედიანი ნ, ვირსალაძე, ნ. ონიანი, ი-ტურიზმის სფეროს ეკონომიკურ-სტატისტიკური ანალიზი და ძირითადი მიმართულებები. სამეცნიერო გამოცემა ,,სტატისტიკის სწავლება და სტატისტიკური კვლევები საქართველოში.“ თბ., 2018. გვ. 51-60.

3. აბესაძე, ნ. მინდორაშვილი, მ. ფარესაშვილი, ნ. ტურისტული ხარჯების სტატისტიკური ინდიკატორები საქართველოში. ივანე ჯავახიშვილის სახელობის თსუ-ის საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია „გლობალიზაციის გამოწვევები ეკონომიკასა და ბიზნესში“თბ., 2015, გვ. 26-33
4. აბესაძე ნ. ,ტურიზმის სტატისტიკა საქართველოში: რეალობა და პრობლემები. მეექვსე საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენცია ,,ეკონომიკა და ბიზნესი“ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2017, გვ. 341-346
5. www.geostat.ge

უმუშევრობა და ფილიპსის მრუდი

ვიქტორია ქეჯენაშვილი

უმუშევრობა კვლავ რჩება ქვეყნის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევად. საქართველოში უმუშევრობის მაღალი დონე მკვეთრად ამცირებს, როგორც მოსახლეობის, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტის შემოსავლებს. უმუშევრობის ყველაზე დიდი ნეგატიური შედეგი გამოშვებული პროდუქციის და გაწეული მომსახურების რაოდენობის კლებაა. როდესაც დასაქმების მსურველთა უმრავლესობა ვერ პოულობს სამუშაოს, საქონლისა და მომსახურების პოტენციური წარმოება უკვალოდ იკარგება. საქართველოში დღეს არსებული სიღარიბის მთავარი ინდიკატორი სწორედ უმუშევრობის მაღალი დონეა.

საქართველოში კი უმუშევრობას აქვს რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებით, თავისებურებებით ხასიათდება დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონები. ამის მაგალითია - გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფი, სადაც უმუშევრობის სპეციფიკური ვითარება წარმოიქმნა და საჭირო გახდა მისი დაძლევის განსხვავებული გზების ძიება. ნაშრომში ჩვენს მიერ ჩატარებული შერჩევითი ანკეტური გამოკვლევის შედეგად დადგენილია უმუშევრობის მიზეზები და დასახულია გზები მის შესამცირებლად.

თემის აქტუალურობა. უმუშევრობის პრობლემა მთელ მსოფლიოში კვლავ ერთ- ერთ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხად რჩება. რა თქმა უნდა, საქართველოც არის იმ ქვეყნებს შორის, სადაც ეს პრობლემა განსაკუთრებული სიმწვავით დგას.

საქართველო არის პოსტსაბჭოური ქვეყანა, რომელმაც გამოიარა ძალიან მძიმე გარდამავალი პერიოდი. დავიწყოთ იქიდან, რომ ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლა ნებისმიერ საზოგადოებაში გარკვეულ პრობლემებს ქმნის. თუმცა, ამ პრობლემებს ჩვენს ქვეყანაში დაემატა შიდა პოლიტიკური დესტაბილიზაცია, რომლის მაქსიმალურად გამწვავებასაც ცდილობდნენ გარე ძალები. მათ ეს აშკარად გამოუვიდათ და შედეგად ქვეყანაშიწარმოიშვა არა ერთი სოციალურ- ეკონომიკურ-პოლიტიკური პრობლემა, რომელთა აღმოფხვრასა და მოგვარებას დღესაც ცდილობს საქართველო. ამ პრობლემებს შორის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი არის უმუშევრობა, რომელმაც, ქვეყანაში ჩატარებული სოციოლოგიური კვლევების თანახმად, უკვე რამდენიმე წელია გადაასწრო ოკუპაციის პრობლემას (რომელიც წესით, რა თქმა უნდა, ნომერ პირველი უნდა იყოს).

„მასობრივი ქრონიკული უმუშევრობა მწვავე სოციალური პრობლემაა. იგი აფერხებს ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.“ უმუშევრობა, ჩვენს ქვეყანაში რამოდენიმე პრობლემას განსაკუთრებული სიმწვავით აყენებს. მათ შორისაა სოციალური უთანასწორობის პრობლემა.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემას იწვევს, მათ შორისაა: მუშაკთა დეკვალიფიკაცია, სიღარიბის ზრდა, ადამიანთა ფსიქიკის შერყევა, მორალის დაცემა, თვითმკვლელობა, კრიმინოგენური სიტუაციის გამწვავება, ქორწინებისა და შობადობის შემცირება, განქორწინებულთა რიცხვისა და გარდაცვლილთა რაოდენობის ზრდა და ა.შ. ნაშრომში აღნიშნული საკითხები უფრო სიღრმისეულად იქნება განხილული.

საქართველოში უმუშევრობას აქვს რეგიონული თავისებურებანი. განსაკუთრებით, თავისებურებებით ხასიათდება დიდი ქალაქების საგარეუბნო ზონები. ამის კლასიკური მაგალითია - გარდაბნის რაიონის სოფელი მარტყოფი, სადაც უმუშევრობის სპეციფიკური პირობები წარმოიქმნა და გამოვლინდა მისი დაძლევის განსხვავებული გზები.

საბაზრო ეკონომიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ნაწილია შრომის ბაზარი. შრომის ბაზარი, თუკი ის გამართულად ფუნქციონირებს, ხელს უწყობს მეცნიერულ-ტექ-ნოლოგიური პროგრესის დაჩქრებას, ახალი ტექნოლოგიების დანერგვას, მაქსიმალურად ცდილობს დაიცვას, როგორც დასაქმებული, ასევე დამსაქმებელი, ანუ აუმჯობესებს შრომის პირობებს, მაღალი კონკურენციის საფუძველზე უზრუნველყოფს მწარმოებლურობის ამაღლებას.

შრომითი უნარის მატარებელი ადამიანი, ესაა პიროვნება, რომელიც თავისი მიზნებიდან გამომდინარე, მიზანმიმართულად იყენებს საკუთარ შრომით უნარს, რათა მიიღოს გარკვეული შემოსავალი. აღსანიშნავია, რომ შრომის ბაზრის საშუალებით, ადამიანები ცდილობენ ისეთი სამუშაოს პოვნას, რომელიც მაქსიმალურად დააკმაყოფილებს მათ მოთხოვნილებებს, ღირსეულ შემოსავალთან ერთად, უზრუნველყოფს მათი პიროვნული და შრომითი უნარების განვითარებას და ხელს შეუწყობს სამუშაო ძალის ნორმალურ კვლავწარმოებას. აქედან გამომდინარე, ცხადია თუ რამხელა მნიშვნელობა აქვს შრომის ბაზრის გამართულად ფუნქციონირებას.

შრომის ბაზარი ერთმანეთთან აკავშირებს და ათანხმებს დამქირევებლებსა და დაქირავებულებს. იგი უზრუნველყოფს საბაზრო ეკონომიკის ფუნქციონირებას სამუშაო ძალის მოთხოვნისა და მიწოდების კანონის მოქმედების საფუძველზე. თუ შრომის ბაზარზე მოთხოვნა და მიწოდება ერთმანეთს უტოლდება, მაშინ საქმე გვაქვს საბაზრო წონასწორობასთან. თუ ეს წონასწორობა დაირღვევა, მაშინ შრომის ბაზარზე გვექნება ან სამუშაო ძალის დეფიციტი (მოთხოვნა აჭარბებს მიწოდებას) ან უმუშევრობა (მიწოდება აჭარბებს მოთხოვნას). „თუ შრომის ბაზარზე წარმოიშვება უმუშევრობა, მაშინ დასაქმებულთა ხელფასის განაკვეთი დაიწყებს კლებას და ეს პროცესი გაგრძელდება იქამდე, ვიდრე შრომის მიწოდება შრომაზე მოთხოვბნას კვლავ არ გაუტოლდება“.

უმუშევრობის, ისევე როგორც ნებისმიერი სხვა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენის ანალიზისთვის, საჭიროა მათი არა მარტო თვისობრივი დახასიათება, არამედ რაოდენობრივი შეფასებაც. უმუშევრობის ძირითად მაჩვენებლებს მიეკუთვნება: უმუშევრობის რიცხოვნობა; უმუშევრობის ხანგრძლივობა; უმუშევრობის დონე; უმუშევართა სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურა; უმუშევართა პროფესიულ- კვალიფიციური სტრუქტურა; უმუშევართა დარგობრივი და ტერიტორიული სტრუქტურა; უმუშევართა შემადგენლობა სოციალური დაჯგუფების მიხედვით; შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი.

უმუშევართა რაოდენობის დადგენის ორი ძირითადი მეთოდი არსებობს: პირველი, უმუშევრობის მაჩვენებელი დგინდება მოსახლეობის გარკვეული ნაწილის შერჩევითი დაკვირვების საფუძველზე, რაც პერიოდულად ტარდება და მეორე, უმუშევრობის მაჩვენებელი შეიძლება დადგინდეს დასაქმების სახელმწიფო სამსახურებში უმუშევრის სტატუსის მოსაპოვებლად შემოსული განცხადებების საფუძველზე.

უმუშევრობის ხანგრძლივობა - ეკონომიკურად აქტიური ადამიანის უმუშევრად დარჩენის პერიოდი შეიძლება იყოს სხვადასხვა. ყველაზე ხანმოკლეა ფრიქციული უმუშევრობა, რომელიც, როგორც წესი, შეიძლება რამდენიმე კვირა ან თვე გაგრძელდეს. ფრიქციულთან შედარებით, უფრო ხანგრძლივია სტრუქტურული უმუშევრობა, რომელიც შე-

იძლება ერთ წლამდეც კი გაგრძელდეს. რაც შეეხება ციკლურ უმუშევრობას, იგი საზოგადოებისთვის მეტად არასასურველ მოვლენას წარმოადგენს. მას მეორენაირად გრძელვადიან ანუ ქრონიკულ უმუშევრობასაც უწოდებენ, ამ დროს უმუშევრად ყოფნის პერიოდი 1-3 წელს ან უფრო მეტ ხანს გრძელდება.

უმუშევრობის დონე - უმუშევრობის მდგომარეობის შეფასების რაოდენობრივი მაჩვენებლებიდან ყველაზე უფრო ფართოდაა გავრცელებული უმუშევრობის დონე. იგი გაიანგარიშება, როგორც უმუშევართა რაოდენობის შეფარდება სამუშაო ძალის ანუ ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის რაოდენობასთან.

უმუშევრობის დონე (%) = უმუშევართა რაოდენობა/სამუშაო ძალის რაოდენობა X 100%

$$Ud=Ur/Sr\times100$$

უმუშევრობის სქესობრივ-ასაკობრივი სტრუქტურის ანალიზისას შეიძლება გამოიყოს და დახასიათდეს სხვადასხვა მაჩვენებლები. მაგალითად, ქალთა რამდენი პროცენტია უმუშევარი, შრომისუნარიან მამაკაცთა რამდენი პროცენტია სამსახურის გარეშე დარჩენილი, ასევე რა ასაკის მოსახლეობაში დგას უფრო მწვავედ უმუშევრობის პრობლემა და ა.შ. ამგვარადვე შეიძლება გაანალიზდეს უმუშევრობის პროფესიულ- კვალიფიციური და დარგობრივ-ტერიტორიული სტრუქტურა (მაგ: რომელი პროფესიის ადამიანებს უფრო უჭირთ სამსახურის პოვნა, კონკრეტული ქვეყნის რომელ რეგიონშია უმუშევრობის დონე უფრო მაღალი და სხვ.).

შრომის ბაზარზე არსებული სიტუაციის ანალიზისთვის ხშირად გამოიყენება შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტი. იგი გვიჩვენებს ერთ ვაკანტურ სამუშაო ადგილზე უმუშევრების რაოდენობას (გაიანგარიშება უმუშევართა რაოდენობის შეფარდებით ვაკანტური ადგილების რაოდენობასთან). ამ კოეფიციენტის გაანგარიშების საფუძველია თავისუფალი სამუშაო ადგილებისა და უმუშევრების რაოდენობის შესახებ არსებული მონაცემები. შრომის ბაზრის დაძაბულობის კოეფიციენტის მიხედვით შეიძლება მსჯელობა უმუშევრობის ხანგრძლივობისა და დასაქმების შესაძლებლობის შესახებ.

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის, დასაქმებისა და უმუშევრობის შეფასება ხორციელდება შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (შსო) მიერ დადგენილი სტანდარტებით. აღნიშნული ორგანიზაციის წევრი ქვეყნები, მათ შორის საქართველოც, სწორეს ამ სტანდარტებით სარგებლობენ:

1. ეკონომიკურად აქტიური - 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც მუშაობს ან სთავაზობს თავის შრომას იმ საქონლისა და მომსახურების საწარმოებლად, რომელიც გაეროს ეროვნული ანგარიშების სისტემაში ეროვნული პროდუქტის განსაზღვრის ჩარჩოში ხვდება (დასაქმებულებისა და უმუშევრების ჯამი).

2. დასაქმებული (დაქირავებული ან თვითდასაქმებული) – 15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში მუშაობდა სულ მცირე, ერთი საათი მაინც, შემოსავლის მიღების მიზნით, ეხმარებოდა უსასყიდლოდ სხვა შინამეურნეობის წევრებს ან რაიმე მიზეზით არ იმყოფებოდა სამუშაოზე, თუმცა ფორმალურად ირიცხებოდა მომუშავედ.

3. დაქირავებული - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ასრულებდა განსაზღვრულ სამუშაოს ხელფასის ან სხვა სახის ანაზღაურების მიღების მიზნით. აგრეთვე, პირი, რომელსაც აქვს სამუშაო ადგილი, მაგრამ დროე-

ბით არ მუშაობს შვებულების, ავადმყოფობის, წარმოების დროებით გაჩერების, სამუშაოდან დროებით დათხოვნის ან სხვა მსგავსი მიზეზის გამო.

4. თვითდასაქმებული - მესაკუთრის საქმიანობა საანგარიშო პერიოდში, მოგების ან ოჯახური შემოსავლის მიღების მიზნით. აგრეთვე, ოჯახურ საწარმოში/მეურნეობაში უსასყიდლოდ მომუშავე პირი.

5. უმუშევარი - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.

6. ეკონომიკურად არააქტიური - 15 წლის და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა გამოკითხვის მომენტის წინა 7 დღის განმავლობაში (ერთი საათითაც კი) და არ ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში. აგრეთვე, პირი, რომელიც ეძებდა სამუშაოს გამოკითხვის მომენტის წინა 4 კვირის განმავლობაში, მაგრამ სამუშაოს მოძებნის შემთხვევაში არ იყო მზად მუშაობის დასაწყებად უახლოესი 2 კვირის განმავლობაში.

ეკონომისტთა განმარტებით, უმუშევრობა არის სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა რომელიც ახასიათებს ადამიანთა იმ კატეგორიას, რომლებიც ნებით ან იძულებით მოკლებულნი არიან მუშაობის შესაძლებლობას გარკვეული პერიოდის განმავლობაში.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის განმარტების მიხედვით, უმუშევრად მოიაზრება „15 წლისა და უფროსი ასაკის პირი, რომელიც არ მუშაობდა (ერთი საათითაც კი) გამოკითხვის მომენტამდე 7 დღის პერიოდში, ეძებდა სამუშაოს ბოლო 4 კვირის განმავლობაში და მზად იყო მუშაობის დასაწყებად მომავალი 2 კვირის განმავლობაში.ნ დაახლოებით ამგვარ განმარტებას გვთავაზობს ევროსტატიც, რომლის თანახმად, უმუშევრად მოიაზრება ადამიანი, რომელსაც საანგარიშო პერიოდში არ ჰქონდა სამსახური, მზად იყო მუშაობის დასაწყებად საანგარიშო პერიოდის მომდევნო 2 კვირის განმავლობაში და წინამდებარე 4 კვირის განმავლობაში აქტიურად ეძებდა სამსახურს.

უმუშევრობა საბაზრო ეკონომიკის განუყოფელი ნაწილია. ეს იმას ნიშნავს, რომ საბაზრო ეკონომიკის გარდაუვალ თვისებას წარმოადგენს უმუშევრობის გარკვეული დონის არსებობა, მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობა ქვეყნის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის (წონასწორობის დარღვევა შრომის ბაზარზე, რაც თავის მხრივ, არა ერთ მაკროეკონომიკურ ცვლადზე ახდენს გავლენას) ერთ-ერთი თვალსაჩინო მაჩვენებელია. ამ მოვლენას ეკონომისტები უწოდებენ „უმუშევრობის ბუნებრივ დონეს“. უმუშევრობა ზემოთ ხსენებულ მაკროეკონომიკურ არასტაბილურობას იწვევს სწორედ მაშინ, როდესაც ფაქტობრივი უმუშევრობის დონე დადგენილ ბუნებრივ ზღვარს (უმუშევრობის ბუნებრივ დონეს) აღემატება. უმუშევრობის ბუნებრივი დონის უფრო ღრმა ანალიზისთვის, თავდაპირველად საჭიროა ჩამოვაყალიბოთ და განვმარტოთ უმუშევრობის სახეები.

უმუშევრობა შეიძლება იყოს სხვადასხვა სახის. მის დაყოფას კატეგორიებად, საფუძვლად უდევს მისივე გამომწვევი მიზეზების სხვადასხვაობა.

უმუშევრობის თეორიამ თავისი განვითარების გარკვეული ეტაპები განვლო. განსხვავებულად ჰყოფდნენ უმუშევრობის სახეებს კეინზამდელ და კეინზის შემდგომ პერიოდებში. მაგალითად, კეინზამდელ პერიოდში, როდესაც მსოფლიოში გაბატონებული იყო კლასიკური ეკონომიკური მოძღვრება, გამოიყოფოდა უმუშევრობის შემდეგი სახეები: დროებითი უმუშევრობა, სეზონური უმუშევრობა, ციკლური უმუშევრობა და სტრუქტურული

უმუშევრობა. კლასიკოსთა აზრით, ნებისმიერი სახის უმუშევრობა, მათ შორის ციკლური და სტრუქტურული უმუშევრობაც კი, ატარებდა ნებაყოფლობით ხასიათს.

დღესდღეობით, თანამედროვე ეკონომიკურ ლიტერატურაში გამოყოფენ უმუშევრობის შემდეგ ძირითად სახეებს: ფრიქციული, სტრუქტურული და ციკლური უმუშევრობა.

1. ფრიქციული უმუშევრობა - პროფესიისა და საქმიანობის სახეების არჩევის „თავისუფლების“ პირობებში გარკვეული მომუშავეები დროის გარკვეულ მომენტში უმუშევარ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან, ზოგიერთები ნებაყოფლობით იცვლიან სამუშაო ადგილს, ზოგი დროებით კარგავს სეზონურ სამუშაოს და კიდევ არსებობს მომუშავეთა კატეგორია – ახალგაზრდები, რომლებიც პირველად ეძებენ სამუშაოს. როდესაც ყველა ეს დასახელებული ადამიანი მოძებნის ახალ სამუშაოს ან ძველს დაუბრუნდება დროებით გათავისუფლების შემდეგ, მათ შეცვლის სამუშაოს სხვა „მძებნელები“ და დროებით გათავისუფლებული მომუშავეები, რომლებიც მათ ადგილს დაიკავებენ უმუშევართა „საერთო ფონდში“.

2. სტრუქტურული უმუშევრობა - დროთა განმავლობაში სამომხმარებლო მოთხოვნის სტრუქტურასა და ტექნოლოგიაში ხდება ცვლილებები, რომლებიც, თავის მხრივ, ცვლიან სამუშაო ძალაზე ერთობლივი მოთხოვნის სტრუქტურას. ასეთ ცვლილებათა შედეგად მოთხოვნა პროფესიათა ზოგიერთ სახეობაზე (რომლებიც ადრე არ არსებობდა) იზრდება. მოცემულ შემთხვევაში უმუშევრობა წარმოიშობა იმიტომ, რომ სამუშაო ძალა სრულად ვერ პასუხობს ახალ ცვლილებებს სამუშაო ადგილების სტრუქტურაში. ზოგიერთი მომუშავე დაინახავს, რომ ის პროფესიული ჩვევები, რომლებიც მათ ახლა გააჩნიათ, უკვე აღარ შეესაბმება ბაზრის მოთხოვნებს: მათი გამოცდილება და უნარი მოძველდა და გამოუსადეგარი გახდა ტექნოლოგიასა და სამომხმარებლო მოთხოვნის ხასიათში ცვლილებათა გამო.

3. ციკლური უმუშევრობა - წარმოიშვება დაქვეითების პერიოდში, ე. ი. ეკონომიკური ციკლის იმ ფაზაში, რომელიც მთლიანი ხარჯების უკმარისობით ხასიათდება

უმუშევრობა მთელს მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ეკონომიკურ ლიტერატურაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა უმუშევრობის, როგორც ეკონომიკური, ასევე სოციალური შედეგების ანალიზს. უმუშევრობა აფერხებს ქვეყნის სოციალურ- ეკონომიკურ განვითარებას და ხელს უშლის მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას. უმუშევრობის ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებს შორის აღსანიშნავია: მატერიალური დოვლათის დიდძალი დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, ინტენსიური გარე შრომითი მიგრაცია, ინფლაციის ზრდა, დემოგრაფიული ვითარების გამწვავება, მუშაკთა დეკვალიფიკაცია, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა.

1. მატერიალური დოვლათის დანაკარგები - მატერიალური დოვლათის დანაკარგს სხვანაირად უწარმოებელ საქონელსა და მომსახურებას უწოდებენ. აქედან გამომდინარე, უმუშევრობა იწვევს მთლიანი შიდა პროდუქტის შემცირებას. რაც უფრო დიდია უმუშევრობის დონე, მით მეტია მატერიალური დოვლათის დანაკარგები და მით უფრო მეტად მცირდება მთლიანი შიდა პროდუქტი (GDP).

2. შემოსავლების დანაკარგები - როგორც ვიცით უმუშევრობა შემოსავალს აკარგვინებს, როგორც ცალკეულ ინდივიდებს, ასევე სახელმწიფოს ბიუჯეტსაც. იქიდან გამომდინარე, რომ შემოსავლის გარკვეული ნაწილი იბეგრება, უმუშევრობის დონის ზრდამ სახელმწიფოს შეიძლება საკმაოდ დიდი თანხები დააკარგვინოს. სახელმწიფოს დანაკარ-

გების გამოთვლა შემდეგნაირად შეგვიძლია: ქვეყანაში საშუალო ხელფასს გავამრავლებთ უმუშევართა რაოდენობაზე და გამოვითვლით მიღებული რიცხვის 20%-ს (ვინაიდან საქართველოში საშემოსავლო გადასახადი, სწორედ, 20 %-ია).

3. მასობრივი სიღარიბე - ხანგრძლივმა და მასობრივმა უმუშევრობამ შეიძლება მიგვიყვანოს ზოგადად ქვეყნის გაღარიბებამდე. ეს იმიტომ, რომ უმუშევრობის მაღალი დონე ეხება არა მარტო კონკრეტულ ინდივიდებს ან მათი ოჯახის წევრებს, არამედ მთლიანად ქვეყნის ყველა მოქალაქეს, რადგან იგი იწვევს ქვეყნის ეკონომიკის საერთო მაჩვენებლების გაუარესებას. მაგალითად, თუ უმუშევრობის დონე განსაკუთრებულად იზრდება, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სახელმწიფო კარგავს საკმაოდ სოლიდურ შემოსავლებს. ამის გამო მან შეიძლება ვეღარ შეძლოს პენსიის გაზრდა, ან უარეს შემთხვევაში საერთოდ ვეღარ გადაიხადოს მისი გარკვეული ნაწილი. აგრეთვე, დიდი ზიანი შეიძლება მიადგეს სხვა სოციალური პროგრამების განხორციელებასაც.

4. გარე შრომითი მიგრაცია - მოსახლეობის მიგრაცია შეიძლება დაკავშირებული იყოს სხვადასხვა მიზეზებთან. მაგალითად: კვალიფიკაციის ამაღლება, განათლების მიღება, იძულებითი მიგრაცია (მაგ: ომის დროს) და ა.შ. მასობრივი მიგრაციის ერთ- ერთი თვალსაჩინო გამომწვევი მიზეზია უმუშევრობა.

გარე შრომით მიგრაციას გააჩნია, როგორც დადებითი, ასევე უარყოფითი მხარეები. მისი დადებითი მხარეებია: ამ დროს ქვეყანაში განიმუხტება მწვავე სოციალური ვითარება; მიგრირებული ადამიანი არჩენს არა მარტო თავის თავს, არამედ ოჯახსაც, რომელიც დატოვა სამშობლოში;მიგრაციაში მყოფ ადამიანთა გარკვეული ნაწილი იმაღლებს კვალიფიკაციას და შემდეგ, როდესაც სამშობლოში ბრუნდებიან, უფრო მარტივად პოულობენ სამსახურს და უფრო მეტად მწარმოებლურებიც ხდებიან.მიუხედავად ამისა, გარე შრომით მიგრაციას გააჩნია გაცილებით მეტი უარყოფითი მხარე. მაგალითად: მიგრაციაში მყოფი ადამიანი შეიძლება საერთოდ ვეღარ დაბრუნდეს სამშობლოში (მითუმეტეს თუ არალეგალურად იმყოფება საზღვარგარეთ); ხშირად მათ უმრავლესობას უწევს არა თავიანთი სპეციალობით, არამედ არაპრესტიჟულ, დამამცირებელ სამუშაოზე მუშაობა, რაც თავისთავად, აგრეთვე იწვევს ემიგრანტთა დეკვალიფიკაციას; ხშირად ირღვევა მათი უფლებები, რასაც ხმამაღლა ვერ აცხადებენ არალეგალობის გამო; იზრდება ტრეფიკინგის საფრთხე და ა.შ.

5. დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება - თუ გავითვალისწინებთ გარკვეულ ასპექტებს, დავინახავთ, რომ უმუშევრობასა და ქვეყნის დემოგრაფიულ განვითარებას შორის არსებობს მკაფიო დამოკიდებულება. უმუშევრობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ იწვევს სიღარიბეს, ხოლო ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, იწვევს დემოგრაფიული ვითარების გაუარესებას. მაგალითად, სიღარიბე ობიექტური მიზეზების გამო აფერხებს ახალგაზრდების დაქორწინებას, იზრდება მიგრანტთა რაოდენობა, რაც, რა თქმა უნდა, ამცირებს ქორწინებათა რიცხვს. სიღარიბის ზრდა მოქმედებს მოკვდაობაზეც. ადამიანი, რაც უფრო კარგად იკვებება, ცხოვრობს კომფორტულ ბინაში, ისვენებს კულტურულად და ა.შ., მით უფრო ჯანმრთელია და მოკვდაობაც, შესაბამისად, დაბალია.

6. ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა - სპეციალისტთა დასკვნით, უმუშევრობა ძალიან დიდ ფსიქოლოგიურ ზეგავლენას (უარყოფითი თვალსაზრისით) ახდენს ადამიანზე და მისი ოჯახის წევრებზე. უმუშევარი, მითუმეტეს თუ ის არის ოჯახის მარჩენალი, მუდმივად განიცდის ფსიქოლოგიურ სტრესს, უჩნდება არასრულფასოვნების განცდა და ფიქრობს იმაზე, რომ იგი საზოგადოებისთვის არის ზედმეტი.

7. შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაცია - უმუშევრობის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და ყურადსაღები სოციალურ-ეკონომიკური შედეგი არის ის, რომ იგი იწვევს მუშაკთა დეკვალიფიკაციას. უმუშევრობის პერიოდში ადამიანს არა მარტო არ ემატება ახალი ცოდნა და გამოცდილება, არამედ ისიც ავიწყდება რაც იცოდა, ამიტომ თუ სახელმწიფომ არ იზრუნა მის გადამზადებაზე, იგი ვეღარ შეასრულებს თავის საქმეს ისე, როგორც ასრულებდა ადრე.

გარდა ზემოთ აღნიშნულისა, უმუშევრობას გააჩნია გარკვეული თანმდევი მოვლენები, რომლებიც ცალსახად უარყოფითად მოქმედებს ეკონომიკაზე და ზოგადად საზოგადოებაზე. მაგალითად, უმუშევრობა ე.წ. ჩრდილოვანი ეკონომიკისთვის ქმნის ხელსაყრელ გარემო-პირობებს. ადამიანთა უმეტესობა ხდება თვითდასაქმებული, აქვს მცირე შემოსავალი, თუმცა გადასახადების თავიდან აცილების მიზნით, სახელმწიფო ორგანოებისგან ფარულად აწარმოებს თავის საქმიანობას.

აგრეთვე, ხანგრძლივი უმუშევრობა ხშირად იწვევს საზოგადოებაში კრიმინოგენული სიტუაციის გამწვავებას. როგორც კვლევებით დასტურდება, დამნაშავეთა დიდი ნაწილი, სწორედ უმუშევართა რიგებიდანაა.

მიუხედავად იმისა, რომ უმუშევრობას ამდენი უარყოფითი სოციალურ- ეკონომიკური შედეგები მოაქვს, მას ასევე გააჩნია გარკვეული დადებითი მხარეებიც. როგორც ნაშრომის შესავალ ნაწილში აღვნიშნეთ, უმუშევრობა ხელს უწყობს სამუშაო ძალის ე.წ. „რეზერვის“ ფორმირებას, რაც გარკვეული მანევრირების შესაძლებლობას იძლევა ახალი ტიპის სამუშაო ადგილების გაჩენის შემთხვევაში. საბოლოოდ, უმუშევრობის დადებითი თვისებები შეიძლება შემდეგნაირად ჩამოვაყალიბოთ: (1)სამუშაო ძალის რეზერვის ფორმირება; (2)დასაქმებულებს შორის კონკურენციის ზრდა; (3)იზრდება შრომის მწარმოებლურობის დონე; (4)ადამიანს, ამ დროს უფრო მეტი თავისუფალი დრო აქვს კვალიფიკაციის ამაღლებისთვის, დასვენებისთვის და გართობისთვის; (5)ხელს უწყობს მომუშავეთა, როგორც კვალიფიციური, ასევე ტერიტორიული მობილობის დონის გაზრდას.

აღსანიშნავია, რომ „უმუშევრობას ზემოთ ჩამოთვლილი დადებითი ფუნქციების შესრულება შეუძლია მხოლოდ მაშინ, როდესაც მისი ფაქტიური დონე საზოგადოებრივად დასაშვებ „ბუნებრივ დონეს“ უახლოვდება. წინააღმდეგ შემთხვევაში, მასობრივი უმუშევრობა, განსაკუთრებით თუ იგი დიდი ხნის მანძილზე გრძელდება, დამანგრევლად მოქმედებს ეკონომიკის ფუნქციონირებაზე.“

დასაქმება – ეს არის სოციალურ-ეკონომიკური კატეგორია, რომელიც ახასიათებს სოციალურ–შრომითი ურთიერთობების სხვადასხვა ფორმებს და დაკავშირებულია შემოსავლის მიღების მიზნით საზოგადოებრივად სასარგებლო საქმიანობაში ადამიანების მონაწილეობასთან.

სრული დასაქმება– არის მდგომარეობა, როდესაც ყველა, ვისაც სურს შრომის მაღალი ანაზღაურება, პოულობს სამუშაო ადგილს. ამის წინაპირობაა სამუშაოს მაძიებელში მუშაობის სურვილის არსებობა, შრომის უნარის განკარგვის მოტივი და ასევე შესაბამისი სამუშაო ადგილების შეთავაზება.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2019 წლის 17 მაისს გამოქვეყნებული მონაცემების მიხედვით 2018 წელს საქართველოში უმუშევრობის დონე 2017 წელთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.7 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ცხრა წლის განმავლობაში უმუშევრობის დონის შემცირების ტენდენცია ფიქსირდება, ამასთან უკანასკნელი 15 წლის განმავლობაში აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს აღწევს.

დიაგრამა 1.1. უმუშევართა დონე საქართველოში, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 17.05.2019

[

რაც შეეხება 2019 წლის პირველ კვარტალს, ამ პერიოდში საქართველოში უმუშევრობის დონე წინა წლის შესაბამისპერიოდთან შედარებით 1.2 პროცენტული პუნქტით შემცირდა და 12.8 პროცენტი შეადგინა. უნდა აღინიშნოს ისიც, რომ 2019 წლის პირველ კვარტალში უმუშევრობის დონე, წინა, 2018 წლის მეოთხე კვარტალთან

შედარებით 0.5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. აღნიშნული შეიძლება ჩაითვალოს სრულიად ბუნებრივად, ვინაიდან, როგორც ვიცით, მეოთხე კვარტალი ეკონომიკურად, ზოგადად, უფრო მეტი აქტიურობით ხასიათდება, ვიდრე პირველი კვარტალი. აღნისნული მონაცემები გრაფიკულად ასე გამოიყურება:

დიაგრამა 1.2. უმუშევრობის დონე საქართველოში კვარტლების მიხედვით, %



წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, 20.05.2019

2018 წელს დაქირავებულთა წილი დასაქმებულებში 50.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა კლების ტენდენცია ფიქსირდება და პირველად 2018 წელს დაქირავებულთა რაოდენობამ გადააჭარბა თვითდასაქმებულებს.

2018 წელს დაქირავებულთა წილი დასაქმებულებში 50.8 პროცენტს შეადგენდა, რაც 2.5 პროცენტული პუნქტით არის გაზრდილი წინა წელთან შედარებით. უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში თვითდასაქმებულთა კლების ტენდენცია ფიქსირდება და პირველად 2018 წელს დაქირავებულთა რაოდენობამ გადააჭარბა თვითდასაქმებულებს.

ინფლანცია

ინფლაცია, როგორც ეკონომიკური მოვლენა ხანგრძლივი პერიოდია არსებობს. ითვლება, რომ მისი აღმოცენება ნაწილობრივ კავშირშია ფულის წარმოშობასთან, რომლის ფუნქციონირებაში განუწყვეტლივ მონაწილეობს.

ტერმინი "ინფლაცია" პირველად გამოყენებულ იქნა ჩრდილოეთ ამერიკაში სამოქალაქო ომის პერიოდში 1861-1865 წლებში და ნიშნავდა ფულადი მიმოქცევის პროცესის გაბერვას. XIX საუკუნეში ეს ტერმინი გამოიყენებოდა ასევე ინგლისსა და საფრანგეთში. თუმცა ეკონომიკურ ლიტერატურაში ინფლაციის გაგებამ დიდი გავრცელება XX საუკუნეში პირველი მსოფლიო ომის შემდეგ მიიღო. საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ეს ტერმინი მხოლოდ 20-იან წლებში გამოჩნდა.

ინფლაცია - ეს არის ფულის გაუფასურება, მისი მსყიდველთუნარიანობის დაქვეითება, დისბალანსი მოთხოვნასა და მიწოდებას შორის. პირდაპირ თარგმანში ტერმინი "ინფლაცია" ნიშნავს "გაბერვას" ე.ი მიმოქცევის არხების გადატვირთვას მოჭარბებული ქაღალდის ფულით, რომელიც არაა უზრუნველყოფილი შესაბამისი საქონლის მასის ზრდის ნორმით.

ინფლაციის ბევრად ლაკონური განმარტებაა - ფასების საერთო დონის ზრდა, უფრო ზოგადი - მიმოქცევის არხების ფულადი მასით გადატვირთვა საქონელთბრუნვის მაღალი მოთხოვნიდან გამომდინარე, რაც იწვევს ფულადი ერთეულის გაუფასურებას და შესაბამისად საქონელზე ფასის ზრდას. ინფლაცია - არის წმინდა სოციალურ-ეკონომიკური მოვლენა, რომელიც იბადება საბაზრო მეურნეობის სხვადასხვა სფეროში წარმოების დისპროპორციით. ინფლაცია თანამედროვე მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში ეკონომიკის განვითარების ყველაზე მწვავე პრობლემაა.

თავდაპირველად ინფლაცია, როგორც წესი, ჩნდებოდა საგანგებო შემთხვევებში. მაგალითად, სახელმწიფოთა შორის ომის პერიოდში. ქვეყნები ხშირად დიდი რაოდენობით ქაღალდის ფულს უშვებდნენ, რათა საომარი ხარჯები დაეფარათ. ბოლო 20-30 წლის განმავლობაში ინფლაცია მრავალი ქვეყნის ეკონომიკის ქრონიკულ დაავადებად იქცა.

არსებობს ინფლაციის სხვადასხვა ტიპები, ფასების ზრდის ტემპების მიხედვით განასხვავებენ:

მცოვავი ინფლაცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია შედარებით ფასების ზრდის დაბალი ტემპი, დაახლოებით 10 % ან ცოტა მეტი წელიწადში. ასეთი ტიპის ინფლაცია დამახასიათებელია განვითარებული საბაზრო ეკონომიკის მქონე ქვეყნების უმეტესობისათვის და არ წარმოადგენს რაიმე უჩვეულოს.

გალოპირებული ინფლაცია - ფასების ზრდის 20-200 %-ით.

ჰიპერინფლაცია, რომლის დროსაც ფასები ასტრონომიულად იზრდება, კატასტროფულად განსხვავდება ფასები და ხელფასები, საზოგადოების ყველაზე უზრუნველყოფილი ფენების კეთილდღეობა ინგრევა, მსხვილი კომპანიები მოგების გარეშე რჩებიან და

წამგებიანი ხდება მათი საქმიანობა. წარმატებული ბიზნესის ქონა ჰიპერინფლაციის პირობებში პრაქტიკულად წარმოუდგენელია. საუბარი შეიძლება ეხებოდეს მხოლოდ გადარჩენის სტრატეგიას, რომლის რეცეპტიც ასეთია : წარმოების გამარტივება, შიდა კავშირების შემცირება, ფირმის შიდა ელემენტების ბაზის ნატურალიზაცია და ა.შ. ყველაზე ხშირად კომპანიებს უწევთ საკუთარი სათბურების, ფერმების შექმნა, რასაც აქცენტი გადააქვს ბარტერულ გაცვლაზე.

ფასების ბალანსირებული ზრდის დონის მიხედვით განასხვავებენ:

ბალანსირებულ ინფლაციას, რომლის დროსაც სხვადასხვა საქონელთა ფასები უცვლელია ერთმანეთთან მიმართებაში.

არაბალანსირებულ ინფლაციას, რომლის დროსაც სხვადასხვა საქონელთა ფასები ერთმანეთთან მიმართებაში განსხვავებული პროპორციით განუწყვეტლივ იცვლება.

მოლოდინის რეჟიმიდან გამომდინარე გამოყოფენ ასევე:

მოსალოდნელ ინფლაციას, რომელიც შეიძლება წინასწარ განსაზღვრო, დააპროგნოზო დროის გარკვეულ პერიოდში, იგი წარმოადგენს მთავრობის მოქმედების პირდაპირ რეზულტატს.

მოულოდნელი ინფლაციისათვის დამახასიათებელია ფასების სწრაფი, უეცარი აწევა, რაც უარყოფითად მოქმედებს გადასახადებსა და ფულის მიმოქცევაზე.

თუ არსებობს მოსახლეობაში ინფლაციის მოლოდინი, მაშინ ასეთი სიტუაცია იწვევს მოთხოვნის გაზრდას, რაც თავის მხრივ ეკონომიკაში სირთულეებს წარმოშობს და საზოგადოების მოთხოვნის რეალურ სურათს ცვლის. მთავრობა გამოუვალ მდგომარეობაში აღმოჩნდება, რაც ამყარებს ინფლაციის მოლოდინს, ამას კი მოჰყვება ფასების ზრდა. თუმცა იმ შემთხვევაში , როცა ეკონომიკაში ფასების უეცარი ზრდა ხდება, რომელიც არც კი მოიაზრებოდა ანუ არ იყო ინფლაციის მოლოდინი, ჩნდება ე.წ "ფიგუს ეფექტი"ე.ი მოსახლეობაში მოთხოვნის სწრაფი ვარდნა ხდება იმ იმედით, რომ ფასები შემცირდება. შედეგად მოთხოვნის შემცირება მწარმოებელს აიძულებს ფასების შემცირებას, რითაც ყველაფერი წონასწორობაში დგება.

ინფლაციის გამომწვევი მიზეზებია:

დისპროპორციულობა - სახელმწიფო შემოსავლებისა და ხარჯების არაბალანსირებულობა ე.ი სახელმწიფო ბიუჯეტის დეფიციტი, რომელიც ხშირ შემთხვევაში იფარება "მბეჭდავი დაზგის"გამოყენებით, რაც საბოლოოდ ფასების დონის ზრდას იწვევს ანუ ინფლაციასთან მივყავართ.

ინფლაციურ-სახიფათო ინვესტიციები - ძირითადად ეკონომიკის მილიტარიზაციას გულისხმობს.

თავისუფალი ბაზრისა და კონკურენციისარარსებობა - თანამედროვე ბაზარი გარკვეულ დონეზე ოლიგოპოლიზირებულია. ოლიგოპოლისტი ისწრაფვის რა შეინარჩუნოს ფასების მაღალი დონე დაინტერესებულია დეფიციტის შექმნით. (წარმოების შემცირებით და საქონლის შეთავაზებით).

იმპორტირებული ინფლაცია - მისი როლი ეკონომიკის ღიაობის ზრდასთან ერთად იზრდება, სახელმწიფოს ბრძოლის შესაძლებლობები გარკვეულწილად შეზღუდულია.

ინფლაციური მოლოდინი - ამის მაგალითები ყოველდღიურ ცხოვრებაშიც შეინიშნება.

დასავლეთელი ეკონომისტები გამოყოფენ კონცეფციებს: ინფლაციის მოთხოვნა და ხარჯები.

ინფლაციის მოთხოვნა - ეს არის წონასწორობის დარღვევა მოთხოვნასა და მიწოდებას შორის, მოთხოვნის მხრიდან, რომლის ძირითადი მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფო შეღავათების გაზრდა და ა.შ. შედეგად კი მიიღება ფასების ზრდა.

ინფლაციის ხარჯები - ფასების დონის ზრდის შედეგად წარმოების ხარჯების ზრდა, რომლის მიზეზი შეიძლება იყოს სახელმწიფოს ეკონომიკური და ფინანსური პოლიტიკა და ა.შ.

ზოგადად, ეკონომისტები 4 ტიპის ინფლაციას გამოყოფენ:

1. მოთხოვნით გამოწვეული ინფლაცია,როდესაც მთლიანი მოთხოვნა ეკონომიკაში აჭარბებს არსებულ მიწოდებას ანუ სხვაგვარად ეს არის ე.წ. მონეტარული ინფლაცია.

2. ხარჯებით გამოწვეული ინფლაცია,როდესაც მზა პროდუქტებსა და მომსახურებაზე ფასები იმატებს ნედლ მასალებზე ფასების ზრდის გამო ან როდესაც ხელფასების მატება წარმოებული პროდუქციის ერთეულ ფასს ზრდის.

3. ფასწარმოქმნით გამოწვეული ინფლაცია ანუ დაწესებული ფასის ინფლაცია, როდესაც რამდენიმე ბიზნესი გადაწყვეტს, მოუმატოს ფასებს საკუთარი მოგების გაზრდის მიზნით ანუ სხვაგვარად თუ ვიტყვით, ოლიგოპოლიურიინფლაცია. ოლიგოპოლიებს შეუძლიათ დააწესონ საკუთარი ფასები და გაზარდონ ეს ფასები, როდესაც მოესურვებათ _ ე.წ. კარტელური გარიგებებით.

4. სექტორული ინფლაცია, როდესაც ერთ დარგში ფასების ზრდა სხვა სექტორში ზრდის ფასებს, მაგალითად, ნავთობსა და ნავთობპროდუქტებზე ფასების ზრდა საკვებისა და სხვა სექტორებში ფასების ზრდას იწვევს. ინფლაციის ამ ტიპების გარდა, იმ ქვეყნებში, რომლებიც იმპორტზე დამოკიდებულები არიან, იმპორტირებული ინფლაცია არსებობს (მოწოდების შოკები), რომელიც სხვა მიზეზთა შორის ერთ-ერთი გავრცელებული ფაქტორია, რომელიც ინფლაციის დონის ზრდას იწვევს.

პრაქტიკაში ძნელია ინფლაციის ერთი ტიპი მეორისგან განვასხვავოთ, ისინი ერთმანეთთან მჭიდროდ არიან კავშირში.

ინფლაციის შედეგებია:

1)შემოსავლისა და სიმდიდრის გადანაწილება

2)ეკონომიკური ინფორმაციის არასტაბილურობა

3) რეალური პროცენტის დაცემა და ა.შ.

ინფლაციასთან დაკავშირებული ტერმინებია :

დისინფლაცია - ინფლაციის დონის შემცირება, ან ეფექტი, რომელიც ამცირებს ინფლაციურ ზეწოლას.

დეფლაცია - ფასთა საერთო დონის ვარდნა.

რეფლაცია - დეფლაციის რევერსისთვის სტიმულის გამოყენება.

ჰიპერინფლაცია - სწრაფი ინფლაცია წონასწორობისკენ ტენდენციის გარეშე.

ინფლაცია არის იმ საქონლისა და მომსახურების საშუალო ფასის დონის ზრდა, რომელიც იწარმოება და იყიდება ეკონომიკაში. ინფლაცია, თავისი უარყოფითი შედეგების გამო, საზოგადოებაში უარყოფით ემოციებს იწვევს. მაღალ ინფლაციასთან დაკავშირებული უარყოფითი ასპექტებია:

ხარჯების ზრდა, რაც ძლიერ დარტყმას აყენებს მთლიანად საზოგადოებას და განსაკუთრებით, დაბალშემოსავლიან ოჯახებს,

ეროვნული ვალუტის მსყიდველუნარიანობის კლება,

ეროვნული ვალუტის გაუფასურება უცხოურ ვალუტასთან მიმართებაში,

რეალური მოგების კლება ბიზნესში,

ინვესტიციებზე ამონაგების შემცირება,

საპროცენტო განაკვეთების მატება, რაც კრედიტებს აძვირებს და ა.შ.

ამავე დროს, თუ ინფლაციის დონე ქვეყანაში მაღალია, ვიდრე მის სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში, პროდუქტების კონკურენტულობა ეცემა, რაც აფერხებს ეკონომიკის ზრდას.

ფილიპსის მრუდი არის A. W. Phillips-ის მიერ შემუშავებული ეკონომიკური კონცეფცია, რომელშიც ნათქვამია, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას აქვს სტაბილური და უკუპროპორციული ურთიერთობა. თეორია ამტკიცებს, რომ ეკონომიკურ ზრდასთან ერთად მოდის ინფლაცია, რამაც უნდა გამოიწვიოს უფრო მეტი სამუშაო ადგილი და ნაკლები უმუშევრობა. ამასთან, თავდაპირველი კონცეფცია ემპირიულად გარკვეულწილად გაუარესდა, რადგან 1970-იან წლებში სტაგფლაცია მოხდა, როდესაც იყო მაღალი ინფლაცია და უმუშევრობა.

გასაღებები

ფილიპსის მრუდი აცხადებს, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას უკუპროპორციული ურთიერთობა აქვთ. უმაღლესი ინფლაცია ასოცირდება უმუშევრობის დონესთან და პირიქით.

ფილიპსის მრუდი იყო კონცეფცია, რომელიც მე -20 საუკუნეში მაკროეკონომიკური პოლიტიკის წარმართვის მიზნით გამოიყენებოდა, მაგრამ 1970-იანი წლების სტაგფლაციამ კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა.

ფილიპსის მრუდის გააზრება მომხმარებლისა და მუშაკის მოლოდინის გათვალისწინებით, აჩვენებს, რომ ინფლაციასა და უმუშევრობას შორის კავშირი შეიძლება გრძელვადიან პერსპექტივაში, ან თუნდაც პოტენციურად მოკლევადიან პერსპექტივაში არ შენარჩუნდეს.

ფილიპსის მრუდის გაგება

ფილიპსის მრუდის კონცეფციის თანახმად, უმუშევრობის ცვლილებას ეკონომიკაში აქვს პროგნოზირებადი გავლენა ფასების ინფლაციაზე. შებრუნებული კავშირი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის გამოსახულია დაღმავალ დახრილი, ჩაზნექილი მრუდი, ინფლაცია Y ღერძზე და უმუშევრობა X ღერძზე. ინფლაციის ზრდა ამცირებს უმუშევრობას და პირიქით. გარდა ამისა, უმუშევრობის შემცირებაზე ფოკუსირება ასევე ზრდის ინფლაციას და პირიქით.

1960-იანი წლების რწმენა იყო, რომ ნებისმიერი ფისკალური სტიმული გაზრდის მთლიანი მოთხოვნილებას და წამოიწყებს შემდეგ ეფექტებს. შრომითი მოთხოვნილება იზრდება, უმუშევარი მუშები მოგვიანებით იკლებს და კომპანიები ზრდის ხელფასებს კონკურენციისა და მცირე ტალანტების მოსაზიდად. ხელფასების კორპორატიული ღირებულება იზრდება და კომპანიები ამ ხარჯებს მომხმარებლებს გადასცემენ ფასების ზრდის სახით.

ამ რწმენის სისტემამ ბევრ მთავრობას შეუწყო ხელი "stop-go" სტრატეგიის შემუშავებაში, სადაც დაწესდა ინფლაციის მიზნობრივი მაჩვენებელი, ხოლო ფისკალური და მონეტარული პოლიტიკა გამოიყენებოდა ეკონომიკის გაფართოების ან კონტრაქტის მისაღწევად, მიზნის მისაღწევად. ამასთან, ინფლაციასა და უმუშევრობას შორის სტაბილური ვაჭ-

რობა ჩაიშალა 1970-იან წლებში სტაგფლაციის ზრდასთან ერთად, ეჭვქვეშ დააყენა ფილიპსის მრუდის ნამდვილობა.

2020 წლის 27 აგვისტოს ფედერალურმა სარეზერვო სისტემაში განაცხადეს, რომ ის აღარ გაზრდის პროცენტებს პროცენტული დონის ქვემოთ მყოფი უმუშევრობის გამო, თუ ინფლაცია დაბალი იქნება. მან ასევე შეცვალა ინფლაციის მიზანი საშუალოზე, რაც ნიშნავს, რომ ის საშუალებას მისცემს ინფლაციას გარკვეულწილად გაიზარდოს 2% -იანი სამიზნეზე, რათა შეადგინოს პერიოდები, როდესაც ეს იყო 2% -ზე ნაკლები.

სტაგფლაცია ხდება მაშინ, როდესაც ეკონომიკა განიცდის სტაგნაციურ ეკონომიკურ ზრდას, მაღალ უმუშევრობას და ფასების მაღალ ინფლაციას. ეს სცენარი, რა თქმა უნდა, პირდაპირ ეწინააღმდეგება ფილიპსის მრუდის მიღმა არსებულ თეორიას. შეერთებულ შტატებს სტაგფლაცია არასოდეს განუცდია 1970-იან წლებამდე, როდესაც უმუშევრობის ზრდა ინფლაციის შემცირებას არ დაემთხვა. 1973-იდან 1975 წლამდე აშშ–ის ეკონომიკამ ზედიზედ შეამცირა მშპ-ს ექვსი მეოთხედი და ამავე დროს გაამმაგა მისი ინფლაცია.

მოლოდინი და ფილიპსის გრძელვადიანი მრუდი

სტაგფლაციის ფენომენმა და ფილიპსის მრუდის რღვევამ აიძულა ეკონომისტები უფრო ღრმად შეესწავლათ მოლოდინის როლი უმუშევრობასა და ინფლაციას შორის ურთიერთობაში. იმის გამო, რომ მუშებს და მომხმარებლებს შეუძლიათ შეცვალონ თავიანთი მოლოდინები ინფლაციის სამომავლო მაჩვენებლებთან დაკავშირებით, ინფლაციისა და უმუშევრობის ამჟამინდელი მაჩვენებლების საფუძველზე, უკუგანვითარებული ურთიერთობა ინფლაციასა და უმუშევრობას მხოლოდ მოკლევადიან პერიოდში შეუძლია.

როდესაც ცენტრალური ბანკი ზრდის ინფლაციას უმუშევრობის დაწევის მიზნით, ამან შეიძლება გამოიწვიოს პირველადი ცვლილება ფილიპსის მოკლევადიანი მრუდის გასწვრივ, მაგრამ როგორც მუშა და მომხმარებელთა მოლოდინები ინფლაციასთან ადაპტირდება ახალ გარემოში, გრძელვადიან პერსპექტივაში თავად ფილიპსის მრუდი შეიძლება გარედან გადაწევა. ეს განსაკუთრებით ითვლება უმუშევრობის ბუნებრივი მაჩვენებლის ან NAIRU- ს (უმუშევრობის არაჩქარებული ინფლაციის მაჩვენებელი) გარშემო, რაც არსებითად წარმოადგენს ხახუნის და ინსტიტუციონალური უმუშევრობის ნორმალურ ეკონომიკას. გრძელვადიან პერსპექტივაში, თუ მოლოდინი შეიძლება მოერგოს ინფლაციის დონის ცვლილებებს, მაშინ გრძელვადიანი ფილიპსის მრუდი ჰგავს და ვერტიკალურ ხაზს NAIRU; მონეტარული პოლიტიკა უბრალოდ ზრდის ან ამცირებს ინფლაციის დონეს მას შემდეგ, რაც ბაზრის მოლოდინი გაამართლებს მათ.

სტაგფლაციის პერიოდში, მუშაკებმა და მომხმარებლებმა შეიძლება დაიწყონ რაციონალური მოლოდინი, თუ ინფლაცია გაიზრდება, როგორც კი შეიტყობენ, რომ მონეტარული ორგანო გეგმავს გაფართოების მონეტარული პოლიტიკის გატარებას.ამან შეიძლება გამოიწვიოს საგარეო ცვლა მოკლევადიან პერსპექტივაში ფილიპსის მრუდის გაფართოების მონეტარული პოლიტიკის გატარებამდეც, ისე რომ მოკლევადიან პერსპექტივაშიც ამ პოლიტიკამ მცირედი გავლენა იქონიოს უმუშევრობის შემცირებაზე, და, ფაქტობრივად, ფილიპსის მოკლევადიანი მრუდი ასევე ხდება ვერტიკალური ხაზი NAIRU- სთან

დასკვნა

უმუშევრობა საქართველოს ერთ-ერთი ყველაზე მთავარი პრობლემაა. გარდა იმისა, რომ უმუშევრობა არის მაკროეკონომიკური არასტაბილურობის ყველაზე თვალსაჩინო მაგალითი, იგი იწვევს არა ერთ სოციალურ და პოლიტიკურ პრობლემას.

უმუშევრობა არა ერთ სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს იწვევს, მათ შორის საქართველოსთვის ყველაზე მწვავედ დგას: მატერიალური დოვლათის დანაკარგები, შემოსავლების დანაკარგები, მასობრივი სიღარიბე, გარე შრომითი მიგრაცია, დემოგრაფიული მდგომარეობის გამწვავება, ადამიანის ფსიქიკის შერყევა და ნერვული სისტემის მოშლა, შრომისუნარიანი მოსახლეობის დეკვალიფიკაცია და ა.შ.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე 1,2 პროცენტული პუნქტით არის შემცირებული. რაც შეეხება 2019 წლის პირველ კვარტალს, აქაც შეინიშნება დადებითი ტენდენციები: უმუშევრობის დონე 2019 წლის პირველ კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელთან შედარებით 1,2 პროცენტით არის შემცირებული. მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ 2009 წლიდან უმუშევრობის დონე საქართველოში მუდმივად ხასიათდება კლების ტენდენციით. აგრეთვე, უკანასკნელი 15 წლის მანძილზე, აღნიშნულმა მაჩვენებელმა 2018 წელს ყველაზე დაბალ ნიშნულს მიაღწია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. აბესაძე რ. ეკონომიკური განვითარება და უმუშევრობა. ჟურნალი:
2. „ეკონომისტი“, 2017, ტომი XIII, #2, 13-21.
3. კაკულია მ., კაპანაძე ნ., ლომჯარია ვ., ქურხული ლ. უმუშევრობის სტრუქტურა და სტრუქტურული უმუშევრობა საქართველოში. თბილისი,
4. „რონდელის ფონდი“, 2016.
5. კეინზი, ჯ. მ. დასაქმების, პროცენტისა და ფულის ზოგადი თეორია. ქუთაისი, 1995.
6. ცარციძე მ. უმუშევრობა, როგორც შრომითი მიგრაციის განმსაზღვრელი მთავარი ფაქტორი საქართველოში, თბილისი.
7. ცარციძე მ. შრომის ბაზრის ეკონომიკა. სალექციო კურსი.
8. http://geostat.ge/?action

ინოვაცია ფარმაცევტულ სექტორში

ანა ყაჭიაშვილი

ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მეწარმეობის განვითარებას. მეწარმეობის განვითარება კი წარმოდუგენელია მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების გარეშე. იმისათვის, რომ ბიზნესი წარმატებული იყოს პირველ რიგში აუცილებელია იდეა და შემდგომ უკვე ამ იდეის რეალობაში დანერგვა და განხორციელება. თანამედროვე სამყაროში ყველაფერი ელვის სისწრაფით ვითარდება, ერთ გამოგონებას მეორე ცვლის. ინოვაცია მცირე ბიზნესის საფუძველს წარმოადგენს. იგი ერთ-ერთი საშუალებაა იმისათვის, რომ კომპანია ადვილად ადაპტირდეს სწრაფად ცვალებად ბიზნეს გარემოსთან. კორონა ვირუსის პანდემიის მძიმე წლებმა გვაჩვენა, რომ აუცილებელია სწრაფი რეაგირება გარემო-პირობების ცვლილების შესაბამისად. მიუხედავად იმისა, რომ პანდემიის დროს ბევრი ბიზნესი უბრალოდ გაკოტრდა, ჯანდაცვის სექტორი და კონკრეტულად ფარმაცევტული ბიზნესი მოწოდების სიმაღლეზე იდგა მთელი ამ პერიოდის განმავლობაში. ეს სფერო მეტად საინტერესოა მეწარმეობის კუთხით, რადგან მიუხედავად გაზრდილი კონკურენციისა, სხვა სფეროსთან შედარებით აქ შედარებით ნაკლები რისკია ისეთი ფორსმაჟორული სიტუაციების დროს, როგორიცაა პანდემია, ომი, ბინებრივი კატასტროფა და ასე შემდეგ. ასეთ სიტუაციაში არ თუ მცირდება, არამედ იზრდება ფარმაცევტულ საქონელზე მოთხოვნა, განსაკუთრებით პირველადი მოხმარების სამედიციონო პროდუქციაზე. სწორედ ამიტომ იყო, რომ კორონა ვირუსის პანდემიის პერიოდში აფთიაქებში ძალიან გრძელი რიგების გამო გართულებული იყო მედიკამენტების და პირველადი მოხმარების პროდუქციის შეძენა. დღესაც, მიუხედავად იმისა, რომ პანდემია თითქმის დასრულდა, რიგების პრობლემა მაინც გადაუჭრელი რჩება, ეს ეხება განსაკუთრებით დიდ ქალაქებს. არსებობს, ფარმაცევტული პროდუქციის გარკვეული კატეგორია, რომელის შეძენაც მომხმარებელს ფარმაცევტის დახმარების გარეშე შეუძლია, მაგრამ იმის გამო, რომ დღემდე უბრალო ტკივილგამაყუჩებლის ან სადეზინფექციო ხსნარის შესაძენად მომხმარებელი აფთიაქში უნდა შევიდეს და რიგში ჩადგეს, იკარგება ამ მომხმარებლის ძვირფასი დრო, რადგან მას სხვა ალტერნატივა არ გააჩნია. დღესდრეობით, როცა დრო ასეთი ძვირფასი და შეზღუდულია, აუცილებელია მოიძებნოს ამ პრობლემის გადაჭრის გზა.

პრობლემის გადაჭრის გზები

ქართულ ბაზარზე პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზას წარმოადგენს თვითმომსახურების აპარატების შემოტანა, რომლებიც დაიდგმება ხალხმრავალ ადგილებში: სავაჭრო მოლებში, მეტროსადგურებში, ავტობუსის გაჩერებებთან, სკოლებთან, საბავშვო ბაღებთან, უნივერსიტეტებტან.

ქართულ ბაზარზე აღნიშნული პროექტი სიახლეს წარმოადგენს. აქმდე ადგილი არ ჰქონია მსგავს შეთავაზებას, შესაბამისად აღნიშნულ წამოწყებას პირდაპირი კონკურენტები არ ეყოლება, მაგრამ ირიბ კონკურენციას გაუწევს სხვა ფარმაცევტული კომპანიები და სტანდარტული აფთიაქები, რომლებიც მსგავსი დასახელების პროდუქციას ყიდიან, თუმცა ამ იდეის მთავარი უპირატესობაა თვითმომსახურების სიმარტივე და რაც მთავარია

მომხმარებელს არ მოუწევს რიგში ისეთი აუცილებელი და საჭირო პროდუქციის შესაძენად, როგორიცაა მაგალითად, პირბადე, სადეზინფექციო ხსნარი და ა.შ.

პროდუქტი და მომსახურება

თვითმომსახურების აპარატში შეთავაზებულ პროდუქტებს შორის იქნება დღევანდელობაში ისეთი საჭირო პროდუქტები, როგორიცაა სამედიცინო პირბადე, ხელთათმანები, სადეზინფექციო ხსნარები, ანტიბაქტერიული საპნები(რამოდენიმე დასახელების), კბილის პასტა (4-5 ბრენდის) და მესამე ჯგუფის მედიკამენტები, რომელთა გაყიდვაც, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, ნებადართულია ურეცეპტოდ. დღეს დღეობით საქართველოში 3000-ზე მეტი ასეთი მედიკამენტია აღიარებული, მაგრამ ბაზრის მოთხოვნიდან გამომდინარე, აპარატში განთავსებული იქნება ის მედიკამენტები, რომლებიც ყველაზე მეტად იქნება მოთხოვნადი. ბოლოდროინდელი კვლევებით დადასტურებულია, რომ საქართველოში ყველაზე მოთხოვნადია: ტკივილგამაყუჩებლები, დამამშვიდებლები, ანტივირუსული და წნევის დასარეგულირებადი საშუალებები. ტოპ ათეული კი ასე გამოიყურება: „ნიმესილი," „ციტრამონი," „დიკლოფეროლი", „კორსიზი", „ტერაფლუ", „ნოლგრიპი", გაციებსი ჩაი(ყველა სახის), „ქალმი", „ვამელანი" და „ლორისტა". („ბიზნეს-პრესნიუსი", 2020). აპარატებში წარმოდგენილი ასორტიმენტის ცვლილება მოხდება ბაზარზე მოთხოვნის ცვლილების შესაბამისად.

ამ აპარატების მთავარი უპირატესობა არის ის, რომ მომსახურების ხარჯები შემცირებულია, რაც საშუალებას მოგვცემს ყველაზე მოთხოვნადი ფარმაცევტული პროდუქტები კონკურენტებთან შედარებით დაბალ ფასად გავყიდოთ. მომხმარებელი თავად მივა მასთან ყველაზე ახლო მდგარ აპარატთან, ან შეიძლება სახლში მიმავალს გზად უბრალოდ შეხვდეს აპარატი და გაახსენდეს, რომ რომელიმე პროდუქტი სჭირდება. იგი თავად აარჩევს მისთვის სასურველ პროდუქს და ღილაკზე ერთი თითის დაჭერით, ყოველგვარი გრძელი რიგებისა და ლოდინის გარეშე, მიიღებს სასურველ პროდუქტს. იმისათვის, რომ ამ თვითმომსახურების აპარატებთანაც არ წარმოიქმნას რიგის პრობლემა, ერთმანეთის გვერდით რამდენიმე უნდა დაიდგას. ამ რაოდენობას უკვე ბაზარი დაარეგულირებს. გადახდა შესაძლებელი იქნება, როგორც საბანკო ბარათით, ასევე მონეტებით და ბანკნოტებით.

დარგში ბიზნესის მდგომარეობის ანალიზი

დღესდღეობით ფარმაცევტული სფერო და ზოგადად ჯანდაცვის სექტორი ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ბიზნესის კეთების თვალსაზრისით. კოვიდ პანდემიის შემდეგ ეს არის ერთადერთი სფერო, რომელიც სრული დატვირთვით მუშაობს და არავითარი რეგულაციები და ლოქდაუნი არ ეხება. ამიტომ შეიძლება ითქვას, რომ რისკების თვალსაზრისით ფარმაცევტულ სფეროში ბიზნესის დაწყება საკმაოდ მომგებიანად გამოიყურება.

რაც შეეხება ქართულ ბაზარს – დღეს საქართველოში ფარმაცევტული წარმოების ნებართვა გააჩნია 69 დაწესებულებას. კომპანიების მიერ წარმოებული პროდუქცია განთავსებულია, როგორც ადგილობრივ ბაზარზე, ასევე ხორციელდება მისი ექსპორტი მსოფლი-

ოს სხვადასხვა ქვეყანაში. დღესდღეობით საქართველოში დაახლოებით 14000 ფარმაცევტული პროდუქტია დაშვებული.

საქართველოში ფარმაცევტიული პრეპარატების და მასალების წარმოება ზრდის დადებითი ტენდენციებით ხასიათდება.

*

წყარო:საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო.

უდიდესი მნიშვნელობა აქვს აღნიშნული პროექტის განცორციიელებას, რადგან ეს საშუალებას გვაძლევს აუცილებელი, ყოველდღიური მოხმარების ფარმაცევტული პროდუქცუა ყველასთვის ხელმისაწვდომი გავხადოთ, თან ისე, რომ მოქალაქეებს არ მოუწიოთ რიგებში დგომა და თავიანთი ძვირფასი დროის ხარჯვა. ეს პროექტი თანაბრად მოუტანს სარგებელს როგორც მოსახლეობას, ასევე სახელმწიფოს და ბიზნეს სექტორს. იგი ამცირებს კორონა პანდემიის გავრცელების რისკებს, გარდა ამისა თვითმომსახურების საშუალებით იზოგება მომსახურების ხარჯები, რომლებიც შემდგომ პროდუქციის ფასნამატში აისახებოდა. შედეგად მოსახლეობა უფრო დაბალ ფასად შეძლებს შიძინოს აღნიშნული პროდუქცია.

მომხმარებლები

თვითმომსახურების აპარატის მომხმარებლები იქნებიან ფიზიკური პირები, რომლებიც საკუთარი საბოლოო მოხმარებისთვის შეიძენენ პროდუქციას. თვითმომსახურების აპარატებით სარგებლობა იმდენად მარტივია, რომ ის გათვლილი იქნება ნებისმიერი ასაკისა და სქესის წარმომადგენელზე. ეს აპარატები ძირითადად მოემსახურებიან საშუალო და დაბალი შემოსავლების მქონე ფენას. ეს აპარატები არ იქნება გათვლილი რაღაც კონკრეტულ სეგმენტზე, მას ექნება საყოველთაო გამოყენება და იმუშავებს კვირაში შვიდი დღე, 24 საათი, რათა მომხმარებელს ნებისმიერ დროს შეეძლოს მიიღოს თავისთვის საურველი პროდუქტი.

ფასწარმოქმნა

თვითმომსახურების აპარატები საშუალებას გვაძლევს, რომ მასში განვათავსოთ 80-მდე დასახელების პროდუქცია, თითოეულის მაქსიმალური რაოდენობა 20-ია. მიზანშეწონილია პროდუქციაზე დააწესდეს 18%-იან ფასნამატი, რაც გაცილებით დაბალია კონკურენტებთან შედარებით. ფასები იქნება ჩვეულებრივ საბაზრო ფასზე დაბალი ან მაქსიმუმ საბაზრო ფასის ტოლი. ეს მოხდება მომსახურების შემცირებული ხარჯების ფონზე. მუშაობის პროცესში გამოიკვეთება მომგებიანი და წამგებიანი პროდუქცია. წამგებიანი პროდუქცია ჩანაცვლდება ახალი ალტერნატივით.

თვითმომსახურების აპარატები

როგორც უკვე აღვნიშნეთ ეს აპარატები ქართული ბაზრისტვის სიახლეს წარმოადგენს, შესაბამისად ამ აპარატების წარმოება საქართველოში არ ხორციელდება. სხვადასხვა

უცხოური კომპანია აწარმოებს ამ აპარატებს და იმისათვის, რომ ეს პროექტი განხორციელდეს აუცილებელი იქნება ამ აპარატების საზღვარგარეთიდან შემოტანა. მაგალითად ჩინეტში კომპანია AFEN-ი აწარმოებს ამ თვითმომსახურების აპარატებს, რომელთა ღირებულება 3000-4000 აშშ დოლარის ფარგლებში მეყებოს და 20-ზე მეტი დასახელების პროდუქტის განთავსებაა შესაძლებელი. სხვადასხვა კომპანია სხვადასხვა ხარისხისა და ფასის აპარატებს აწარმოებს. ჩინეთში და იაპონიაში ხშირად შეხვდებით თვითმომსახურების აპარატებს, რომლებიც გაჯერებულია ფარმაცევტული პროდუქციით. მსგავსი ტიპის თვითმომსახურების აპარატები ძალიან კომფორტული, უსაფრთხო და მოსახერხებელია. უსაფრთხოების მიზნით ამ აპარატებზე დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ამ აპარატების და მომხმარებლის უსაფრთხოებას.

მოსალოდნელი უარყოფითი ეფექტები

მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნული ინოვაციური პროექტი ძალიან მომხიბვლელია, მაინც არსებობს გარკვეული საფრთხეები. მაგალითად აღნიშნული აპარატების ქართულ ბაზარზე შემოტანამ შესაძლებელია სამსახურის გარეშე დატოვოს აფთიაქების მომსახურე პერსონალი, თუმცა ამის საპირისპიროდ ამ აპარატებს დასჭირდება პერსონალი, რომელიც ხელახლა შეავსებს დაცარიელებულ აპარატს.

გარდა ამისა, როგორც ვიცით სიახლეებთან შეგუება ყოველთვის ადვილი არ არის. ასაკიანი მოსახლეობისათვის ამ აპარატის მოხმარება შესაძლებელია სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. ამიტომ აუცილებელია მაქსიმალურად კარგად იყოს გადმოცემული ამ აპარატების მოხმარების ინსტრუქცია.

მიუხედავად იმისა, რომ ამ აპარატებს აქვს სათვალთვალო კამერები და ასევე სიგნალიზაცია, მაინც არ არის ბოლომდე დაცული, რადგან შესაძლებელია ის დააზიანონ ქურდობის მიზნით, ან უბრალოდ გაუფრთხილებლობით.

დასკვნა

ასე რომ, აღნიშნული პროექტი ინოვაციას წარმოადგენს ქართული ბაზრისთვის. მისი პრაქტიკაში დანერგვა წაადგება, როგორც კერძო ასევე სახლემწიფო სექტორს. ისეთ ქვეყნებში, როგორიცაა იაპონია, სამხრეთ კორეა, ჩინეთი, ეს აპარატები უკვე აქტიურად გამოიყენება და საკმაოდ წარმატებით მუშაობს. ამ აპარატების დანერგვის შედეგად მომხმარებლები, მარტივად, სწრაფად და ყოველგვარი რისკების გარეშე, ღილაკზე ერთი თითის დაჭერით შეძლებენ მიიღონ სასურველი პროდუქცია ეკონომიურ ფასად. გადახდა შესაძლებელი იქნება, როგორც საბანკო ბარათით, ასევე ნაღდი ფულით. აპარატთან მუშაობის მოკლე ინსტრუქცია დატანილი უნდა იყოს თავითონ აპარატზე, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე. აღნიშნული პროექტი საუკეთესო გამოსავალია, მოსახლეობისთვის კომფორტის შესაქმნელად და მათი დროის დასაზოგად.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. მკურნალი(ჟურნალ-გაზეთი) https://mkurnali.ge/skhvadaskhva/5076-iii-jgufis-medikamentebi.html?fbclid=IwAR2cjjwIRDnov97HLnMDIhOFLoyERPugcJ0JPekuwrQ8EEOiXyFGVtOlLZk
2. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ანგარიში http://www.moesd.gov.ge/uploads/files/2017/reformebi/ria_gmp.pdf
3. პალიტრანიუსი https://palitranews.ge/video/10-qvelaze-motkhovnadi-medikamenti-sakartveloshi-mokalakeebi-tsamlebshi-dzalian-did-tankhas-kharjaven
4. AFEN https://m.made-in-china.com/product/Afen-Drink-Snack-and-Coffee-Combination-Vending-Machine-with-Bill-Reader-and-Coin-Changer-691509501.html

განათლების თანამედროვე პრობლემები საქართველოში

თამარ ჩხუტიაშვილი

*სანამ თემის მთავარ სათქმელზე გადავალ, მინდა განვმარტო რა არის განათლება. „**განათლება, სწავლა, ცოდნა - აი, ერთადერთი საშუალება, რომელსაც შეუძლიან წამალი დასდოს ჩვენს ცხოვრებას**" წერდა ილია. მართლაც,განათლება ეს არის სწავლის ხელშემწყობი პროცესი, ანუ ცოდნის, უნარების, ღირებულებების, მორალის, რწმენის, ჩვევებისა და პიროვნული განვითარების შეძენის პროცესი. განათლება წარმოიშვა როგორც კულტურული მემკვიდრეობის გადაცემა ერთი თაობიდან მეორეზე. დღეს საგანმანათლებლო მიზნები სულ უფრო მეტად მოიცავს ახალ იდეებს, როგორიცაა მოსწავლეთა ლიბერალიზმი, წარმოდგენილი ინფორმაციის შესახებ კრიტიკული აზროვნება, თანამედროვე საზოგადოებისთვის საჭირო უნარების შეძენას, თანაგრძნობასა და რთული პროფესიული უნარების ათვისებას. რაც შეეხება სასწავლო პარამეტრებს, იუნესკო განსაზღვრავს ძირითად სასწავლო პარამეტრს. ფორმალური განათლება ტარდება საგანმანათლებლო და სასწავლო დაწესებულებებში, რომელიც ჩვეულებრივ სტრუქტურირებულია სასწავლო მიზნებითა და ამოცანებით, ხოლო სწავლა, როგორც წესი, ხელმძღვანელობს მასწავლებელს. უმეტეს რეგიონებში ფორმალური განათლება სავალდებულოა გარკვეულ ასაკამდე და ჩვეულებრივ იყოფა საგანმანათლებლო ეტაპებად, როგორიცაა საბავშვო ბაღი, სკოლა და სასწავლებელი. არაფორმალური სწავლება ხდება როგორც ფორმალური განათლების დამატება ან ალტერნატივა. ის შეიძლება იყოს სტრუქტურირებული საგანმანათლებლო ღონისძიებების მიხედვით, მაგრამ უფრო მოქნილი სახით და ჩვეულებრივ ხდება თემზე დაფუძნებულ, სამუშაო ადგილზე ან საზოგადოებაზე დაფუძნებულ გარემოში. და ბოლოს, არაფორმალური გარემო ჩნდება ყოველდღიურ ცხოვრებაში, ოჯახში, ნებისმიერი გამოცდილება, რომელსაც აქვს განმავითარებელი გავლენა ადამიანის აზროვნებაზე, გრძნობაზე ან მოქმედებაზე, შეიძლება ჩაითვალოს საგანმანათლებლო გარემოდ.*

ქვემოთ მოცემულია სამი სურათი სადაც წარმოდგენილია სამი სახის სასწავლო დაწესებულება:საბავშვო ბაღი,სკოლა და უმაღლესი სასწავლებელი. აქედან, ყველაზე მეტად მინდა ყურადღება გავამახვილო საბავშვო ბაღზე,იქ მომუშავე აღმზრდელებზე და მათ კვალიფიკაციებზე,რადგან მათი კვალიფიციურობა ძალიან მნიშვნელოვანია,რადგან ბავშვი სწორედ საბავშვო ბაღში, აღმზრდელების მიერ იღებს სწავლის საფუძველს.

მოპოვებული ინფორმაციის საფუძველზე, ცნობილია, რომ, სკოლამდელი განათლების დარგში, აღმზრდელთა სულ რაღაც 29.9%-ია უმაღლესი განათლების მქონე, 25.9%-

პროფესიული განათლების მქონე,ხოლო 44.2%-აღმზრდელები,რომელთაც არანაირი განათლება არ გააჩნიათ სკოლამდელი განათლების სფეროში.

ხარისხიანი განათლება უაღრესად მნიშვნელოვანია როგორც კონკრეტული ინდივიდის, ისე საზოგადოების განვითარებისთვის, რადგან ის ადამიანის წარმატებული და ნაყოფიერი მომავლის საწინდარია. მიუხედავად ბოლო წლების მნიშვნელოვანი მიღწევებისა, საქართველოს განათლების სისტემა ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევის წინაშე დგას. საქართველოში განათლებაზე დახარჯული თანხა ბევრად ნაკლებია, ვიდრე ერთ სულ მოსახლეზე მთლიანი შიდა პროდუქტი+ იგივე მაჩვენებლის მქონე სხვა ქვეყნებში. განათლების დაბალი ხარისხი ბავშვებისთვის უმთავრესი გამოწვევაა საქართველოში. ქართველი მოსწავლეების აკადემიური მოსწრების მაჩვენებელი სასურველზე დაბალია მოსწავლეთა ცოდნის შეფასების საერთაშორისო კვლევებში. ასევე, 15 წლის მოსწავლეთა დაახლოებით ორი მესამედი ვერ აკმაყოფილებს მინიმალურ სტანდარტებს წაკითხულის გააზრების, საბუნებისმეტყველო საგნებისა და მათემატიკის ცოდნის თვალსაზრისით. მოსწავლეთა დაბალი აკადემიური მოსწრების შედეგია ისიც, რომ ბევრი ახალგაზრდა არ იღებს სრულ საშუალო განათლებას და შესაბამისად, ახალგაზრდების დიდი ნაწილი ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. განათლების ხარისხს საგრძნობლად აუარესებს ასევე მასწავლებელთა დაბალი კვალიფიკაცია და მასწავლებელთა დასაქმების არაეფექტიანი სისტემა. ასე რომ განათლების დაბალი დონე ბევრ ფაქტორზე არის დამოკიდებული,პირველ რიგში კი ამ უდიდესი პრობლემის გადაჭრა უნდა მოხერხდეს პედაგოგ-მასწავლებლების კვალიფიკაციის ამაღლებით.

საინტერესოა ასევე, ის ფაქტი თუ როგორ უმკლავდება საქართველო განათლებასთან დაკავშირებულ პრობლემას. იგი თანამშრომლობს ესტონეთისა და პოლონეთის მთავრობებთან რათა გაუმჯობესდეს საქართველოს განათლების სისტემის ხარისხი და ინკლუზიურობის დონე. ამ პარტნიორობის მიზანია სკოლამდელი და სასკოლო დაწესებულებების პედაგოგთა მომზადების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და დანერგვა ცხრა ქართულ სახელმწიფო უნივერსიტეტში. ამ თანამშრომლობის ფარგლებში 15 პარტნიორ სკოლაში ამოქმედდა დაწყებითი კლასების ახალი ეროვნული სასწავლო გეგმა, რომელმაც შემოიტანა სწავლების ინოვაციური მეთოდები და ციფრული ტექნოლოგიები განათლებაში. ახალი ეროვნული სასწავლო გეგმის აღნიშნული მოდელი შემდგომ მთელი ქვეყნის მასშტაბით სხვა სკოლებშიც გავრცელდება. ამ პარტნიორობის შედეგად ქართველი ბავშვები შეიძენენ ისეთ ცოდნასა და უნარებს, რომლებიც საჭიროა სწრაფად ცვალებად, გლობალიზებულ და ტექნოლოგიურად განვითარებულ სამყაროში თვითრეალიზაციისთვის. ასევე,ბავშვებს ექნებათ თანაბარი წვდომა განათლების სფეროს ყველა სიახლეზე. საქართველო ასევე აქტიურად თანამშრომლობს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან და განვითარების საკითხებზე მომუშავე სხვა პარტნიორებთან იმ მიზნით, რომ ინკლუზიური განათლება ყოველდღიურ რეალობად იქცეს საქართველოში. გაძლიერდა ინკლუზიური განათლების სამართლებრივი და ადმინისტრაციული მექანიზმი და საგანგებო საგანმანათლებლო საჭიროებათა და შეზღუდულ შესაძლებლობათა მქონე დაახლოებით 7000 ბავშვი ჩვეულებრივ სკოლებში სწავლობს. გაუმჯობესდა განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა განათლების მიღმა დარჩენილი და სკოლის მიტოვების რისკის წინაშე მდგარი ბავშვების შესახებ მონაცემთა შეგროვებით.

თუმცა ეს მონაცემები უფრო ღრმა სისტემურ ანალიზს საჭიროებს, რათა დადგინდეს სკოლის მიტოვების გამომწვევი ფაქტორები.

„ყველას აქვს განათლების მიღებისა და მისი ფორმის არჩევის უფლება; სახელმწიფო უზრუნველყოფს ქვეყნის საგანმანათლებლო სისტემის ჰარმონიზაციას საერთაშორისო სივრცეში“ – ასე წერია ქვეყნის უმაღლეს კანონში. თუმცა არც ჩვენი ქვეყნის უნივერსიტეტების მიერ გაცემული დიპლომია ნოსტრიფიცირებული, რაც საერთაშორისო დონეზე აღიარებას ნიშნავს და არც ქვეყნის განათლების სისტემაა ისეთი, რომელიც სტუდენტისა და მშობლის მოთხოვნებს სრულად დააკმაყოფილებს. ბოლო წლების განმავლობაში გამოქვეყნებული არაერთი საუნივერსიტეტო რეიტინგების მიუხედავად, არც ერთი ქართული უმაღლესი სასწავლებელი არც ერთ სიაში არ მოხვედრილა. მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ დღეს ქვეყანაში უმაღლესი თუ პროფესიული სასწავლო დაწესებულება თითქმის ყველა ფეხის ნაბიჯზეა განთავსებული და ოფიციალური მონაცემებით, მათი ჯამური რაოდენობა 150-ს აჭარბებს.

არ შემიძლია არ დავეთანხმო ,ასევე, საპარლამენტო უმრავლესობის წევრის, პროფესორისა და ლექტორის ბ. ლევან ბერძენიშვილის მოსაზრებას რომელიც ამბობს:,,ჩემი აზრით, ამჟამად არსებული უნივერსიტეტები არ აკმაყოფილებენ ამჟამად არსებულ კანონის მოთხოვნებს. და მიუხედავად ამისა, რატომ არსებობენ არ ვიცი. ხარისხიანი უნივერსიტეტი რომ გერქვას, ძალიან ბევრი ნიუანსია გასათვალისწინებელი, აქვს თუ არა დაწესებულებას სათანადო ტერიტორია, ბიბლიოთეკა, სტუდენტს მუშაობის საშუალება ეძლევა თუ არა და ა.შ. ყველა ამ კრიტერიუმით, თუ მკაცრად მივუდგებით, საქართველოში 10 უმაღლესი სასწავლებელი დარჩება. ვერ გეტყვით რომელი, შესაძლოა, გაერთიანდნენ კიდეც, თუმცა ამ წუთას ან თვალს ხუჭავენ, ან არ ვიცი. ფაქტია, რომ უმაღლეს სასწავლებელში შეიძლება წიგნი არ იყოს და მას უმაღლესი სასწავლებელი ერქვას“.

რაც შეეხება განათლების ხარისხს და საჭიროა თუ არა ამდენი უნივერსიტეტი – საკითხისადმი ასეთი ხისტი მიდგომა არ არის საჭირო. სახელმწიფო ვალდებულია, რომ ხარისხიანი განათლება უზრუნველყოს. ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული, თუ რამდენად ეფექტიანად მუშაობს ხარისხის განვითარების სისტემა და ხელშემწყობი მექანიზმები. განათლებისა და მეცნიერების სისტემის განვითარების სტრატეგიული მიმართულებების დოკუმენტში ხაზგასმით არის ნათქვამი, რომ ხარისხის განვითარების არსებული სისტემა ვერ უზრუნველყოფს საკმარის ინფორმაციას სისტემის შედეგების შესახებ და ყურადღებას ამახვილებს რესურსების და არა შედეგების შეფასებაზე. სწორედ ამ მიმართულებით არის საჭირო მუშაობა და აუცილებელია ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მექანიზმების დახვეწა, რათა განვითარებასა და შედეგების შეფასებაზე ორიენტირებული სისტემა ჩამოყალიბდეს, რაც თავისთავად ხელს შეუწყობს უმაღლესი განათლების ხარისხის ევროპულ სტანდარტებთან თავსებადობას.

დღევანდელი კანონმდებლობით, უმაღლესი განათლების სისტემის საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა და მისი ხარისხის მუდმივი გაზრდა სახელმწიფოს პრეროგატივაა. ამ მიზნით, 2010 წლიდან უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პროცესი უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ძირითად გარე მექანიზმად გამოცხადდა. შეიქმნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი, ერთადერთი უწყება, რომელიც საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტებთან შესაბა-

მისობას ამოწმებს. როგორც მეცნიერები ამბობენ, - ეს არის ტვინი, ერთგვარი ჰაბი, სადაც ყველა ინფორმაცია იკრებს თავს. ორგანიზაცია მძლავრია, მაგრამ ძალიან ჩუმი. მის შესახებ ინფორმაცია ფაქტობრივად არ არსებობს. ხარისხის კუთხით კი მსოფლიოს საუკეთესო უნივერსიტეტების რეიტინგით თუ ვიმსჯელებთ, ცალსახაა, რომ საქართველოს უნივერსიტეტებს ძალიან უჭირთ. მსოფლიოს საუკეთესო 800 უნივერსიტეტს შორის არცერთი არაა ქართული, თუმცა იმედია საქართველო სამომავლოდ მოახერხებს მსოფლიოს საუკეთესო საგანმანათლებლო ქვეყვებს შორის ყოფნას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გომართელი ა. ,,როგორ დავწეროთ საკონფერენციო ნაშრომი''
2. https://www.tsuholic.ge
3. General Education | UNICEF Georgiahttps://www.unicef.org ›
4. ვიკიპედიაhttps://ka.wikipedia.org

ფირმის გაციფრულება

ლუდმილა ხატოიანი

დიჯიტალიზაცია

ერთიანი ციფრული ბაზრის არსებობა უზრუნველყოფს ციფრული პროდუქტის, მომსახურებისა და კაპიტალის თავისუფალ გადაადგილებას. ერთიანი ციფრული ბაზარი ინდივიდებსა და ფირმებს საშუალებას აძლევს, განურჩევლად მათი ეროვნებისა და საცხოვრებელი ადგილისა, ჰქონდეთ წვდომა და განახორციელონ ონლაინ აქტივობები თავისუფალი კონკურენციის, მომხმარებელთა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის პირობებში.

ციფრულმა რევოლუციამ აბსოლუტური გარდაქმნა მოახდინა ბიზნესის ოპერირების პროცესში

დიჯიტალიზაცია არის ციფრული ტექნოლოგიების გამოყენებით ბიზნეს ელემენტების ისე გარდაქმნა,რომ კომპანიამ მოიპოვოს კონკურენტული უპირატესობა თანამედროვე ბაზრის გამოწვევებთან თანხვედრაში.

რაციონალური იქნება თუ კომპანიის ციფრული ტრანსფორმაციის საფუძვლად თანამედროვე ტექნოლოგიებთან ერთად ახალ ბიზნეს მოდელებსაც განვიხილავთ.

დიჯიტალ ტრანსფორმაციის მიზანია გაზარდოს კომპანიის შესაძლებლობები ინტერნეტის საშუალებით.

ციფრულმა რევოლუციამ აბსოლუტური გარდაქმნა მოახდინა ბიზნესის ოპერირების პროცესში. შეიცვალა როგორც დამსაქმებელთა მოთხოვნები, ასევე ტალანტების ხედვა მათთვის სასურველი სამუშაო გარემოს მიმართ. ტექნოლოგიების ცოდნასთან ერთად, აუცილებელია, თითოეულ თანამშრომელს გააზრებული ჰქონდეს კიბერ უსაფრთხოების, მონაცემთა დაგროვების და გამოყენების მნიშვნელობა და კარგად იცნობდეს კიბერ ჰიგიენის წესებს.

გასათვალისწინებელი ფაქტორი დიჯიტალიზაციის დაწყებამდე

ორგანიზაციული კულტურის ამ ფორმით გარდაქმნისთვის, კომპანიებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ 5 ძირითად ფაქტორზე:

- უზრუნველყონ ინფორმაციის გამჭვირვალობა თანამშრომლებში - რა გავლენა ექნება დიჯიტალიზაციას კომპანიის შემოსავლებზე, მომგებიანობასა და პროდუქტიულობაზე
- წაახალისონ გუნდური მუშაობა და კოლაბორაცია, რაც გულისხმობს დეპარტამენტებს შორის მჭიდრო თანამშრმლობას, ერთობლივ მსჯელობას, იდეებისა და ცოდნის გაზიარებას
- დაგეგმონ შესაბამისი ტრენინგები და გუნდის ყველა წევრს მისცენ შესაძლებლობა მარტივად ადაპტირდნენ ახალ ტექნოლოგიებთან
- გახდნენ მეტად რისკ-მიმღებნი, რადგან სწრაფად ცვალებად ციფრულ გარემოს სწრაფადვე სჭირდება მოქმედება. სწორედ ინოვატორები და early-adopter-ები იღებენ მეტ შესაძლებლობას მეტი რისკის ფასად
- წაახალისონ ინოვაციები და ახალი იდეები - კომპანიის ლიდერებმა უნდა შეძლონ ყველა მოსაზრებისა და იდეის მიღება და განხილვა. ერთი შეხედვით არც თუ ისე პერსპექტიული იდეა შესაძლოა კომპანიის წარმატების გასაღებად იქცეს.

ბიზნეს მოდელის შეცვლა გაციფრულებით

მაგალითისთვის ავიღოთ კომპანია,რომელიც ბაზარზე აწარმოებს ისეთ წვრილმან დეტალებს, როგორიცაა ჭანჭიკები,ქანჩები და ა.შ.ბაზარი გაჯერებულია ერთი ტიპის პროდუქციით,რომლებიც ერთ საფასო სეგმენტს მიეკუთვნებიან და ხარისხიც დაახლოებით ერთნაირი აქვთ.

ამიტომ,ამ შემთხვევაში ციფრული ტრანსფორმაციის უპირატესობას განვიხილავდი კლიენტთა მოთხოვნის ანალიზის გაუმჯობესების ჭრილში.

შედეგად შეიქმნა მობილური აპლიკაცია კლიენტური კომპანიის ინჟინერებისათვის-,რომელშიც მიმოიცვლებოდა ინფორმაცია დეტალების დანიშნულების ადგილას მიტანის შესახებ,აგრეთვე რაიმე წუნი თუ გააჩნდა პროდუქციას და ა.შ.

შესაბამისად,ამ აპის მეშვეობით ხელმისაწვდომი გახდა მომხმარებლების მოთხოვნილების გამოცნობა და პროდუქციის წარმოებაზე ამით ორიენტირება.მსგავსი პრინციპი უდევს საფუძვლად მაგალითს, რომელსაც ქვემოთ შემოგთავაზებთ.

რა არის cookies და რისთვის იყენებენ?

cookie არსებითად არის მარტივი ტექსტური ფაილი, რომლის ფუნქციებიც საკმაოდ მრავალფეროვანიაJშინაარსიდან გამომდინარე.მათ შეუძლიათ შეინახონ ტექნიკური ფუნქციონალური მონაცემები,Jინფორმაციის შეგროვება გამოყენებული აღჭურვილობის შესახებ, ინფორმაცია მოწყობილობის ადგილმდებარეობის შესახებ და თუნდაც მხოლოდ სტატისტიკური ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ ვურთიერთობთ კონკრეტულ ვებ-გვერდთან, რომელმაც გადაწყვიტა მისი შენახვა.

ქუქი – ფაილები ზოგადად არ ინახავს პერსონალურ მონაცემებსJმომხმარებლის, რომელსაც შეუძლია შეარბილოს მათი კონფიდენციალურობა. ამასთან, მათ ასევე აქვთ მრავალი რისკი, რაც დამოკიდებულია იმაზე, თუ როგორ იყენებს მათ მომსახურების მიმწოდებელი.J

ონლაინ კომერციის ზრდასთან ერთადJმათ ყურადღება გაამახვილეს ქუქი – ფაილების გამოყენებაზე მომხმარებლის ანალიზის შესასრულებლად და ამრიგად, შექმნეს სარეკლამო პროფილები, რაც უფრო მეტის გაყიდვაში დაგეხმარებათ.Jამრიგად, ზოგჯერ ჩანს, რომ ჩვენ ვიღებთ რეკლამას ზუსტად ის, რასაც ვეძებთ ან ჩვენი ინტერესების შესაბამისად.

RPA-ის ევოლუცია სადაზღვევო ინდუსტრიაში

თავდაპირველად, სადაზღვევო კომპანიებმა RPA რობოტები გამოიყენეს დიდი მოცულობის, არაკომპლექსური პროცესებისთვის, რომლებიც გულისხმობდა ბაზებში მონაცემთა ხელით შეყვანას, მოძიებასა და შეგროვებას. McKinsey-ის კვლევის თანახმად, სადაზღვევო კომპანიებში თანამშრომელთა დროის 50% სწორედ მონაცემების შეგროვებასა და დამუშავებაზე იხარჯებოდა.

სადაზღვევო კომპანიებმა, რომლებმაც RPA ტექნოლოგია მონაცემების შეგროვება დამუშავების პროცესებისთვის გამოიყენეს, ძალიან მცირე დროში მოახერხეს ხარჯების შემცირება და პროდუქტიულობის გაზრდა.

ამის შემდეგ სადაზღვევო კომპანიებმა რობოტები ბევრ პროცესში ჩართეს,შედეგად კი:

- კომპანიებმა ელ.ფოსტით დაფიქსირებულ მომართვებზე რეაგირება 600% -ით უფრო სწრაფად მოახერხეს.
- 50%-მდე გაიზარდა თანამშრომელთა საშუალო პროდუქტიულობა.
- მექანიკური შეცდომების შემთხვევები 100%-ით შემცირდა
- თითოეული ტრანზაქციის ხარჯი 91%-ით შეამცირეს.

RPA რობოტების გამოყენებით ავტომატიზაციის პოტენციალი განსხვავდება პროცესების მიხედვით, თუმცა რობოტების დახმარებით მნიშვნელოვანი რესურსის დაზოგვა თითქმის ყველა პროცესში არის შესაძლებელი.

პროცესების რობოტიზაცია RPA სადაზღვევო ინდუსტრიაში ბოლო წლების განმავლობაში განსაკუთრებით გავრცელდა. ორგანიზაციებისთვის პროცესების რობოტიზაცია გახდა რთული პროცესების მარტივად გადაწყვეტის გზა. მაღალი დონის ავტომატიზაცია სადაზღვევო კომპანიებს საშუალებას აძლევს სწორად გადაანაწილონ თავიანთი რესურსები და გაზარდონ კომპანიის ეფექტიანობა

ფირმის გაციფრულების უპირატესობები

- განვითარების ახალი შესაძლებლობები და გზები

თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება ყოველდღიურ ოპერაციებსა თუ მომხმარებელთან ურთიერთობის ეტაპზე ბიზნესს განვითარების ახალ შესაძლებლობებსა და გზებს უხსნის.

- მომხმარებელზე ორიენტირებული ბიზნესი

მონაცემები, მუდმივი კომუნიკაცია და უკუკავშირი – Data driven marketing -ის სამი მნიშვნელოვანი ელემენტია. რისთვისაც კომპანიას სჭირდება მარკეტინგული ტექნოლოგიებისა და თანამედროვე მონაცმებზე დაფუძნებული მარკეტინგული ხედვის დანერგვა კომპანიაში.

- პროცესების ოპტიმიზაცია და ტრანსფორმაცია

ტექნოლოგიებისა და ოპტიმიზაციის მეთოდოლოგიების მეშვეობით კომპანია იძენს ახალ შესაძლებლობებს, უმჯობესდება პროცესები, ხდება შეცდომებისა და მოცდენების აღმოფხვრა და კომპანიაში ინერგება პროცესებზე ორიენტირებული მიდგომა

- პროდუქტისა და სერვისის ტრანსფორმირება

დიდი კონკურენციის პირობებში განსაკუთრებით მნიშვნელოვანია კონკრეტული პროდუქტებისა თუ სერვისის დროულ ტრანსფორმაცია, პროდუქტისა და სერვისის მიწოდების არხების სწორ ანალიზი და სტრატეგიული ნაბიჯების გადადგმა კონკურენტული უპირატესობის მოსაპოვებლად

- ბიზნესის მოქნილობა

სწრაფ გადაწყვეტილებებთან, ახალი სისტემებთან და რესურსების განაწილებასთან ერთად ასევე მნიშვნელოვანია უწყვეტი და მარტივი წვდომა რელევანტურ და ლაივ რე-

ჟიმში მიღებულ ინფორმაციაზე, რომელსაც კომპანია ციფრული ხელსაწყოების საშუალებით იღებს.

- მომარაგების უკეთესი ჯაჭვი

მომარაგების ჯაჭვის გაციფრულებით შესაძლებელია პროცესის სრული სურათის დანახვა და თანამშრომლობის გაუმჯობესება, რაც ზრდის ეფექტიანობას.

ციფრული ტრანსფორმაციის 5 ეტაპი

პირველ,გააზრების ეტაპზე კომპანია იაზრებს იმ ფაქტს,რომ იგი დგას მოქნილობასთან და ადაპტაციასთან დაკავშირებული გამოწვევების წინაშე.

მეორე ეტაპზე კომპანიის მენეჯმენტი იწყებს რესურსების მოძიებას კომპანიის შიგნით ან პარტნიორი ორგანიზაციის სახით.

რადგან უკვე ციფრული ტრანსფორმაციის გეგმა მზად არის,იწყება პროცესი.კომპანიაში მიმდინარეობს თანამედროვე ტექნოლოგიების დანერგვა და მათი გამოყენება.

მეოთხე ეტაპზე პროცესი აქტიურად მიმდინარეობს.საბაზისო ცვლილებები განხორციელებულია და გარკვეული შედეგები და სარგებლები უკვე ხელზეა.

ბოლო-მდგრადი განვითარების ეტაპზე ძირითადი ცვლილებები განხორციელებულია.ამ საფეხურზე უკვე ხდება ინფორმაციის და გამოცდილების გაზიარება და მიმოცვლა.

ციფრული ტრანსფორმაციის ტექნოლოგიები რითეილ ინდუსტრიისთვის

ინდუსტრიებს ერთმანეთისგან განსხვავებული პროცესები, საჭიროებები და მოთხოვნილებები აქვთ. შესაბამისად, რითეილ ინდუსტრიის ციფრულ ტრანსფორმაციას სპეციფიკური ტექნოლოგიები და გადაწყვეტები სჭირდება:

- საწარმოს ავტომატიზაცია

პროცესების ავტომატიზაცია კომპანიაში ამცირებს საოპერაციო ხარჯებს, ოპერაციებზე დახარჯულ დროსა და ადამიანური შეცდომებს.

- ანალიტიკა

ციფრულ ტექნოლოგიებზე გადასვლის პარალელურად ბუნებრივია იზრდება კომპანიების მიერ დაგროვებული მონაცემებიც. ეს მონაცემები კომპანიებისთვის ერთ-ერთი ყველაზე ღირებული აქტივია, რომლის დამუშავება და ანალიზი სრულიად ახალ შესაძლებლობებს იძლევა. Business Intelligence (BI) სისტემა, კომპანიის შედეგების დამუშავების და რეპრეზენტირების ყველაზე მოსახერხებელი ინსტრუმენტია და კომპანიაში მიმდინარე პროცესებზე 360 გრადუსიან სურათს იძლევა.

- გაყიდვის არხების გაციფრულება

გაყიდვის არხების რითეილის ინდუსტრიისთვის ციფრული ტრანსფორმაციის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მიმართულებაა. მომხმარებლები უკვე წლებია სარგებლობენ Amazon-ის, ebay-ის და სხვა მსხვილი ონლაინ მაღაზიებით და მოლოდინებიც შესაბამისი აქვთ.

გაყიდვის არხების გაციფრულებაში არ იგულისხმება მხოლოდ საიტის შექმნა და შემდეგ მასზე პროდუქტის განთავსება. ეს კომპლექსური, მრავალმიმართულებიანი პროცესია, რომელიც მრავალ პლატფორმას მოიცავს.

- რეკომენდაციების სისტემა

რეკომენდაციების სისტემა მსოფლიოს წამყვანი ონლაინ მაღაზიებისთვის უკვე კარგად ნაცნობი ტექნოლოგიაა, რომელიც მონაცემებზე დაყრდნობით და მანქანური სწავლების (ML) გამოყენებით მომხმარებელს სთავაზობს პერსონალურად მისთვის ყველაზე საინტერესო პროდუქტს, რომლის ყიდვის ალბათობაც ყველაზე მაღალია.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://bdodigital.ge/ratom-aris-vatchrobis-industriisthvis-tsiphruli-transphormatsia-autsilebeli/
2. https://vc.ru/offline/77205-tri-keysa-didzhitalizacii-kak-pomenyat-biznes-model-i-sozdat-novye-rynki
3. https://bdodigital.ge/tsiphruli-transphormatsiis-etapebi-da-tsiphruli-simtsiphis-machveneblebi-biznesshi/
4. https://www.bdo.ge/ka-ge/publikaciebi/mtavari-publikaciebi/tanamshromelta-roli-biznesis-cifrul-transpormaciashi

მონოპოლია

ნინო ჯაღიაშვილი

მოცემულ ნაშრომში წარმოგიდგენთ ეკონომიკაში ერთ-ერთ საინტერესო და მნიშვნელოვან მიკროეკონომიკურ თემას: მონოპოლიას. კონკრეტულად ჩემს ნაშრომში გაეცნობით თუ რას წარმოადგენს მონოპოლია, როგორია მონოპოლისტური ბაზარი, როგორ ცდილობს მონოპოლისტი მოგების მაქსიმიზაციის მიღწევას, რატომ არის მონოპოლისტი ენდოგენურ ფაქტორებზე დამოკიდებული. თემის აქტუალობისა და გამრავალფეროვნების მიზნით წარმოგიდგენთ ჩვენს დროში არსებული მონოპოლიის მაგალითებს, ასევე განვიხილავ მის დადებით და უარყოფით მხარეებს.

საკვანძო სიტყვები: *მონოპოლია, მოგების მაქსიმიზაცია მონოპოლიისთვის, მონოპოლია და მიწოდების მრუდი, მრავალი საწარმოს მქონე მონოპოლია, მონოპოლიის თანამედროვე მაგალითები, Microsoft, მონოპოლია საქართველოს მაგალითზე.*

რა არის მონოპოლია და როგორია მისი მოგების მაქსიმიზაციის პირობა

მონოპოლიის არსისა და მნიშვნელობის გასაგებად განვმარტოთ რას წარმოადგენს იგი. მონოპოლია არის საბაზრო სტრუქტურა, სადაც ერთადერთი ფირმა ყიდის უნიკალურ პროდუქტს, რომლის უშუალო შემცვლელი ბაზარზე არ მოიძებნება. უმრავლეს შემთხვევაში ბაზარზე მრავალი გამყიდველია, თუმცა გაყიდული პროდუქციის უმეტესი ნაწილი ერთ ფირმაზე მოდის. მონოპოლიისთვის მთავარი მიზანი მოგებას წარმოადგენს, ისევე როგორც სხვა საბაზრო ფორმებისთვის. მას უფრო მეტი შანსი აქვს, რადგან ერთადერთი გამყიდველია და ხარისხიანი, სწორი პროდუქციის წარმოების პირობებში (ვგულისხმობ ადამიანთა იმ სეგმენტის გათვალისწინებას, რომლისთვისაც იგი აწარმოებს პროდუქტს) მოგებას აუცილებლად მიიღებს. თუმცა აქ უფრო მნიშვნელოვანი საკითხია მოგების მაქსიმიზაცია. როდის აღწევს მონოპოლისტი მაქსიმალურ მოგებას? რადგან ის ერთადერთი გამყიდველია, მისი გამოშვებული პროდუქციის რაოდენობას არსებითი მნიშვნელობა აქვს მომხმარებლებისთვის. აღსანიშნავია, რომ იგი ბაზარზე ფასის დამწესებელია და არა მიმღები. მონოპოლია მოგების მაქსიმიზაციისთვის საჭირო წარმოების მოცულობას ირჩევს, ხოლო საქონელზე მოთხოვნის შესაბამის ფასს აწესებს. მოგების მაქსიმიზაციის უზრუნველყოფისთვის იგი დაინტერესებულია, რაც შეიძლება მეტი პროდუქციის გაყიდვით, თუმცა ეს შესაძლებელია თუ დამატებითი ერთეულის წარმოების გაყიდვა მოახერხოს დაწესებული ფასის შემცირების გზით.

მონოპოლისტის მოგება მაქსიმალურია, როდესაც ზღვრული დანახარჯი ზღვრული ამონაგების ტოლია. ამდენად, იგი გამოისახება შემდეგნაირად MR=MC. მონოპოლისტისთვის შეუძლებელია მოგების გაზრდა გამოშვებული პროდუქციის რაოდენობის შემცირებით ან გაზრდით. მონოპოლისტური ბაზრის მოგების შესაბამის პროდუქციის რაოდენობას თუ Q^*-ით აღვნიშნავთ, მაშინ მოგების მაქსიმიზაციის პირობა მისთვის შემდეგნაირ სახეს მიიღებს $MR(Q^*)=MC(Q^*)$.

როგორც ყველა ბაზარს, მონოპოლიასაც აქვს შესაბამისი წონასწორული მდგომარეობა. მონოპოლიურ ბაზარზე წონასწორობის რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონზომიერება არსებობს:

მონოპოლისტის მაქსიმალური მოგების შესაბამისი ფასი აღემატება ზღვრულ დანახარჯებს

მონოპოლიურ ბაზარზე გრძელვადიან პერიოდში ფირმას მაინც აქვს დადებითი მოგება. მონოპოლისტებს გრძელვადიან პერიოდშიც არ ემუქრებათ კონკურენტების ბაზარზე გამოჩენის საშიშროება, რაც ნულოვანი მოგების მიღებას გამოიწვევდა

მიუხედავად იმისა,რომ მონოპოლისტი ზღვრულ დანახარჯზე მეტ ფასს აწესებს, მაინც არსებობს სამომხმარებლო ნამატი.

მიწოდების მრუდი და მონოპოლია

მონოპოლისტური ფირმა, კონკურენტული ფირმისაგან განსხვავებით ფასის დამწესებელია. კონკურენტული ფირმისთვის ფასი განიხილება, როგორც გარედან მოცემული ეგზოგენური ფაქტორი. რაც შეეხება მონოპოლიურ ფირმას, მისთვის ფასი არის ენდოგენური ფაქტორი, ანუ მონოპოლისტი თავად განსაზღვრავს მას, ისევე როგორც გამოშვების მოცულობას. ფასსა და წარმოებული პროდუქციის მოცულობას შორის არსებული დამოკიდებულება, რაც კონკურენტული ბაზრისთვის არსებობს, მონოპოლიის შემთხვევაში არ გვაქვს. ამიტომ, მონოპოლიას არ აქვს მიწოდების მრუდი. ე.ი. მონოპოლიას შეუძლია სხვადასხვა ფასის დროს ერთი და იგივე პროდუქციის რაოდენობის წარმოება.

მრავალი საწარმოს მქონე მონოპოლია

მონოპოლიის თეორია მართებულია მრავალი საწარმოს მქონე მონოპოლიის შემთხვევაშიც. მას სხვანაირად კარტელიც ეწოდება, ანუ მონოპოლიის ერთ-ერთი ფორმა როდესაც მწარმოებლები ფასსა და გამოშვების რაოდენობას ერთმანეთთან ათანხმებენ. როდესაც კარტელური გაერთიანების წევრები შეთანხმებას არ არღვევენ, კარტელი მოქმედებს როგორც მრავალი საწარმოს მქონე მონოპოლია. შესაბამისად, კარტელის მოგების მაქსიმიზაციის პირობა იდენტურის მრავალი საწარმოს მქონე მონოპოლიის მოგების მაქსიმიზაციის პირობისა. კარტელის საუკეთესო მაგალითს წარმოადგენს ოპეკი, რომლის ძირითადი მიზნებია: უზრუნველყოს ნავთობის რეგულარული მიწოდება ქვეყნებში; უზრუნველყოს ნავთობპროდუქტებისა და ნავთობის ფასების სტაბილურობა; განსაზღვროს ნავთობის წარმოებისა და რეალიზების სტრატეგიები;

მაიკროსოფტი როგორც მონოპოლისტი

Microsoft Corporation (Microsoft-ის კორპორაცია) — მულტინაციონალური კომპიუტერული ტექნოლოგიების კორპორაცია, რომლის სათავო ოფისი ვაშინგტონშია. კომპანია ამზადებს, აპატენტებს კომპიუტერული მოწყობილობებისთვის განკუთვნილი პროგრამული უზრუნველყოფის ფართო სპექტრს. ბოლო დროს კი, მან აპარატულ უზრუნველყოფის

წარმოებაც დაიწყო. კომპანია 1975 წლის 4 აპრილს ბილ გეიტსისა და პოლ ალენის მიერ იქ-ნა დაარსებული.

მაიკროსოფტი არის ნამდვილად უნიკალური პროდუქტების შემქმენელი მონოპო-ლისტური კორპორაცია, რომელიც უზრუნველყოფს მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში ისეთი პროდუქტებით მომარაგებას როგორიცაა ვინდოუსი xbox, Microsoft Office და ასე შემდეგ.

აქედან გამომდინარე მონოპოლისტი ინოვატორია, როგორც აღნიშნულ მაგალითშია და მისი შექმნილი პროდუქტებით როგორც მცირე ისე ფართო სექტორი სარგებლობს.

მაიკროსოფტის, როგორც მონოპოლისტის მზარდი შემოსავალი მის წარმატებასა და განვითარებაზე მიუთითებს. ის სწორად იყენებს ამ შემოსავალს და მსოფლიოს ახალ, პრო-დუქტებს სთავაზობს.

მაიკროსოფტის ბიზნეს კულტურა

ხშირად მონოპოლისტებს უარყოფითი მხრიდან აკვირდებიან თუმცა უნდა აღვნიშ-ნოთ ამ შემთხვევაში მაიკროსოფტის ინოვაციური პროდუქტი რომელიც ახალგაზრდებს საშუალებას აძლევს განვითარდნენ. DigiGirlz Day არის შესანიშნავი გზა გაეცნოთ ტექნო-ლოგიურ კარიერას, გააკეთოთ რაიმე სახალისო და ნახოთ ახალი ტექნოლოგიები. ყოველი დღე სტრუქტურირებულია თამაშების ან აპების შექმნის პრაქტიკულ სესიებზე, გამოც-დილ პროფესიონალებთან კითხვა-პასუხის და დღეს არსებული ყველაზე პოპულარული ახალი ტექნოლოგიების შესწავლაზე.

აქედან გამომდინარე მაიკროსოფტის, როგორც მონოპოლისტის არსებობა შეგვიძლია დადებითი მხრიდან შევაფასოთ. მისი ღვაწლი დღევანდელ მსოფლიოში უდიდესია, რად-გან იგი გამოირჩევა თავისი ტექნოლოგიური განვითარებით და საზოგადოებისთვის სა-სარგებლო და საინტერესო პროდუქტების შეთავაზებით.დარწმუნებით შეიძლება ითქვას, რომ პანდემიის დროს მან გაუმარტივა მსოფლიოს დისტანციური სერვისებით მუშაობა. უფრო კონკრეტულად, რომ ვთქვათ Microsoft Teams-ის საშუალებით, ნებისმიერ ადამიანს გაუჩნდა შესაძლებლობა, ჩართულიყო სასწავლო თუ სამსახურებრივ პროცესში.

ბუნებრივი და ხელოვნური მონოპოლია საქართველოს მაგალითზე

დასაწყისშივე შევთანხმდეთ იმაზე, რომ საქართველოს ყველა მოქალაქე ვალდებუ-ლია, გადაიხადოს კომუნალური გადასახადები, თუ ის შესაბამის მომსახურებასა და სარ-გებელს იღებს. თუმცა აქ გასათვალისწინებელია ერთი დეტალი: რამდენად სამართლიანია ისეთი ვითარება, როდესაც, მაგალითად, ის ადამიანები, რომლებიც წყალს გრაფიკით იღე-ბენ და ის ადამიანები, რომლებსაც წყლის გრაფიკი არ ეხებათ, თანაბარ გადასახადს იხდი-ან?

ჩვენ მიერ დასახელებულ შემთხვევაში ელექტროენერგიის, ბუნებრივი აირისა და წყლის მიმწოდებელი კომპანიები ექსკლუზიურად ფლობენ ქალაქში შესაბამის ინფრას-ტრუქტურას და გამომდინარე აღნიშნულიდან, ძნელად წარმოსადგენია, რომ მათ ოდესმე კონკურენტი გამოუჩნდეთ. ნებისმიერ ახალ ფირმას, რომელიც შესაძლებელია თეორიუ-

ლად გამოჩნდეს ბაზარზე, მოუწევს ელექტროენერგიის, წყლისა თუ ბუნებრივი აირის მიწოდების სრულიად ახალი ინფრასტრუქტურის შექმნა ქალაქში, რაც ცხადია, ფანტაზიის სფეროა.

ეკონომიკური კონტექსტის თანახმად, ქალაქ თბილისში ბუნებრივი მონოპოლია ხელოვნურად შექმნა.მაგალითად, თბილისში ბუნებრივი მონოპოლიაა თბილისის წყალი, თელასი, ვინაიდან მათ აქვთ ერთგვარი ექსკლუზივი მათი პროდუქციის მოწოდებაში და ამ სფეროში კონკურენტის გამოჩენა ნაკლებად სავარაუდოა. თუმცა, ეს ის სფეროებია, რომლებიც, მართლაც როგორც გამონაკლისები, ყველა ქვეყანაში დიდი ხანია მსგავსი ფორმით ჩამოყალიბდა, მაგრამ ავტოპარკინგი, ქართულ შემთხვევაში, არის ხელოვნურად შექმნილი ბუნებრივი მონოპოლია, ანუ ხელოვნურად შეიქმნა კომპანია, რომელიც აღნიშნული სფეროს "მფლობელია" და სხვა ნებისმიერ კომპანიას მხოლოდ მისი "გავლით" მოუწევს საქმიანობის განხორციელება. შეიძლება ითქვას, რომ სხვა ნებისმიერი კომპანია, რომელსაც, ასევე, შეიძლება გაუჩნდეს თბილისში ავტოპარკინგის ბიზნესის იდეა, სითი პარკთან უკვე წაგებულ მდგომარეობაშია.

მონოპოლიის დადებითი და უარყოფითი მხარეები

დასასრულს კი გამოვყოფ მონოპოლიის დადებით და უარყოფით მხარეებს. მის დადებითი მხარეებია: მონოპოლიური ფირმები შესაძლებელია იყვნენ წარმატებულები და ინოვაციურები, რასაც ადასტურებს ჩემს მიერ განხილული მაიკროსოფტის მაგალითი; მონოპოლიური ფირმის მაღალი მოგება შესაძლოა გამოიყენონ განვითარებისთვისა და კვლევებისთვის; მასშტაბის ეკონომია;

რაც შეეხება უარყოფით მხარეებს, მონოპოლიისთვის დამახასიათებელია უფრო მაღალი ფასები ვიდრე კონკურენტულ ბაზრებზე; მონოპოლისტებს აქვთ ნაკლები სტიმული რომ იყვნენ ოპტიმალურები; მონოპოლია კონკრეტულ შემთხვევებში ხასიათდება ნაკლები არჩევანით მომხმარებლებისთვის.

დასკვნა

მონოპოლია მნიშვნელოვან და გავლენიან საბაზრო სტრუქტურას წარმოადგენს. მონოპოლისტების ქმედება შესაძლოა როგორც დადებითად ასევე უარყოფითად აისახოს ბაზარზე თუმცა შეუძლებელია არ შევამჩნიოთ მისი ინოვაციურობა და მაღალხარისხიანი პროდუქციის გამოშვება. ამდენად, მონოპოლიებმა შესაძლოა დადებითად გამოიყენონ თავიანთი მაღალი მოგება და დაიმსახურონ მომხმარებელთა ერთგულება და კმაყოფილება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://www.microsoft.com
2. https://netgazeti.ge
3. https://www.economicshelp.org

საქართველოს საგარეო ვაჭრობის ეკონომიკური მნიშვნელობა გლობალური პანდემიის პირობებში

ნატა ჯოხაძე
ნათია აბულაძე

მსოფლიო ეკონომიკის განვითარებისა და გლობალიზაციის ტემპებმა ქვეყნებს შორის ურთიერთობა საგრძნობლად გაზარდა, რამაც განაპირობა ის, რომ დღეს-დღეობით საგარეო ვაჭრობის მნიშვნელობა გაცილებით დიდია და გადამწყვეტია მისი როლი მაკროეკონომიკურ პროცესებში.

სავაჭრო ურთიერთობების განვითარება ქვეყნის ეკონომიკის განვითარების ძირითადი საფუძველია. დღესდღეობით გლობალიზაცია გარდაუვალი პროცესია, რადგან ქვეყნებს შორის პოლიტიკური თუ ეკონომიკური ურთიერთობა უფრო ხშირ და მნიშვნელოვან სახეს იღებს. აქედან გამომდინარე სავსებით ბუნებრივია ქვეყნებს შორის საქმიანი ურთიერთობის გაღრმავებისკენ სწრაფვა.

საქართველოს თუ განვიხილავთ მსოფლიო ეკონომიკის ჭრილში, თამამად შეგვძლია ვთქვათ, რომ ჩვენი ქვეყანა აქტიურად არის ჩართული ამ პროცესში და მთავრობაც შესაბამისად ინტენსიურ ნაბიჯებს დგამს. საერთაშორისო ურთიერთობების, კერძოდ საგარეო ვაჭრობის ხელშესაწყობად საკმაოდ ბევრი რეფორმა ტარდება, რაც მიმართულია სწორი და სტრატეგიული გეგმების ჩამოყალიბებისკენ.

საკვანძო სიტყვები: *საგარეო ვაჭრობა, გლობალური პანდემია, ექსპორტი, იმპორტი, სავაჭრო რეჟიმი, საერთაშორისო ურთიერთობები*

საქართველოსთვის, ისევე როგორც მსოფლიოსთვის, საგარეო ვაჭრობის დადებით სალდოს ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური ბალანსისთვის და ლარის კურსის გამყარებისთვის. აქედან გამომდინარე საჭიროა, როგორც საექსპორტო პოტენციალის ზრდა,ისე ექსპორტზე ორიენტირებული დარგების განვითარება.

საქართველოს ეკონომიკური ზრდის პროცესში საგარეო ვაჭრობას, წმინდა ექსპორტს მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს, რასაც მიუთითებს ბოლო წლებში მისი ზრდის მაჩვენებელი. ეკონომიკური ზრდა სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში არსებულ მდგომარეობასთან პირდაპირ კავშირშია, შესაბამისად თუ სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებში ადგილობრივი მოხმარება გაიზრდება და ეროვნული ვალუტა გამყარდება ეს, რასაკვირველია, დადებითად აისახება საქართველოს ექსპორტის ზრდაზე. ძირითადად, საქართველოს სავაჭრო პარტნიორები ევროპისა და ცენტრალური აზიის მაღალი შემოსავლის არმქონე ქვეყნების ჯგუფში შემავალი ეკონომიკებია. ამ ქვეყნების ეკონომიკის დიდი ნაწილი გაზისა და ნავთობის ინდუსტრიას უჭირავს. შესაბამისად ნავთობზე ფასის ცვლილება ძალიან დიდ გავლენას ახდენს რეგიონის ეკონომიკურ მდგომარეობაზე.

საქართველოს მთავრობის ინიციატივით ქვეყანაში ხორციელდება სატარიფო პოლიტიკა და ტექნიკური რეგულირების სფეროს რეფორმა, რის შედეგადაც საქართველოს დღესდღეობით გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური საგარეო სავაჭრო პოლიტიკა, რაც თავისთავად გულისხმობს გამარტივებულ საგარეო ვაჭრობის რეჟმსა და საბაჟო პროცედურებს, დაბალ საიმპორტო ტარიფებსა და მინიმალურ არასატარიფო რეგულაციებს.

მსოფლიოს ეკონომიკურ ბაზარზე ქვეყნის ოპერირებას გაცილებით ამარტივებს ქვეყანაში მოქმედი სავაჭრო რეჟიმი თუ საერთაშორისო ხელშეკრულებები. საქართველოს ბაზარზე ერთ-ერთი დიდი წარმატება და აღსანიშანავი ფაქტია ევროკავშირთან ყოვლისმომცველი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ შეთანხმება (DCFTA). ჩვენი, როგორც განვითარებადი ქვეყნის, საგარეო პოლიტიკის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა არის ევროკავშირის წარმომადგენელ ქვეყნებთან მჭიდრო, სარფიანი და მიზანმიმართული ურთიერთობა.ხოლო რაც შეეხება DCFTA-ს ის გულისხმობს როგორც საქონლით, ისე მომსახურებით ვაჭრობის ლიბერალიზაციას.ამასთან ერთად ის მოიცავს ვაჭრობასთან დაკავშირებულ მრავალ საკითხს, რომელთა შორისაც გვხვდება სურსათის უვნებლობა, ფინანსური მომსახურება და სხვა. DCFTA საქართველოს და არამხოლოდ ჩვენს ქვეყანას აძლევს საშუალებას ეტაპობრივად შეძლოს მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ეკონომიკური მაჩვენებლების - კაპიტალის, მომსახურებისა და საქონელის- თავისუფალი გადაადგილება.

DCFTA-ს დახმარებით საქართველო შეძლებს გაიფართოვოს გზა მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარებზე და პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, ჩვენს ქვეყანაში წარმოებული საქონელი და მომსახურება გახდეს მსოფლიოსათვის ხელმისაწვდომი. DCFTA-ს ამოქმედება ასევე დაეხმარება ახალი საწარმოების დაარსებას და ახალი საექსპორტო პროდუქტის გაჩენას.

საქართველოში მოქმედი სავაჭრო რეჟიმებია:

- **უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი** - საქართველოს სავაჭრო პარტნიორების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (ვმო) წევრი და შესაბამისად მის წევრ ქვეყნებთან (158 ქვეყანა) სავაჭრო ურთიერთობები ხორციელდება „უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის“ საფუძველზე.
- **პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა** - პრეფერენციების განზოგადებული სისტემის (GSP) ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნებიდან იმპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აადვილებს განვითარებადი ქვეყნის საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნის ბაზარზე. საქართველო არის შემდეგი ქვეყნების პრეფერენციათა განზოგადებული სისტემის რეჟიმის ბენეფიციარი: ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია.
- **თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმი**- გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის ვაჭრობის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადებისგან, გარდა ურთიერთშეთანხმებული გამონაკლისებისა. საქართველოს თავისუფალი ვაჭრობის რეჟმი აქვს დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან.
- **მრავალმხრივი საერთაშორისო ხელშეკრილებები თავისუფალი ვაჭრობის შესახებ**

დსთ-ს წევრ ქვეყნებთან, რუსეთის ფედერაციის გარდა, თავისუფალი ვაჭრობა რეგულირდება „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ დსთ-სთან 1994 წლის მრავალმხრივი შეთანხმებით და ასევე ორმხრივ ფორმატში იმ ქვეყნებთან, რომელთანაც საქართველოს გაფორმებული აქვს ორმხრივი შეთანხმება.

ამასთან, საქართველო არის დემოკრატიისა და ეკონომიკური განვითარების ორგანიზაცია - სუამ-ის ფარგლებში მოქმედი „თავისუფალი სავაჭრო ზონის შექმნის შესახებ“ 2002 წლის მრავალმხრივი შეთანხმების მონაწილე ქვეყანა.

საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს შემდეგ ქვეყნებთან: აზერბაიჯანი, სომხეთი, უკრაინა, რუსეთი, მოლდოვა, ყაზახეთი, უზბეკეთი, თურქმენეთი, თურქეთი.

2020 წლის მონაცემებით საქართველოს ნომერ პირველი სავაჭრო პარტნიორი აზერბაიჯანია, სადაც ექსპორტირებული საქონელი და მომსახურება მთლიანი ექსპორტის 13.3%-ია, მეორე კი რუსეთი გახლავთ რომლის წილიც 13.2%-ია, მესამე ადგილს რაც შეეხება, მას იკავებს სომხეთი 10.9% წილით. აღნიშნულ ქვეყნებში ექსპორტირებული საქონელი და მომსახურება მთლიანი ექსპორტის 1/3-ს აღემატება. იმპორტის თვალსაზრისით, ნომერ პირველი პარტნიორი ქვეყანა საქართველოსთვის თურქეთია, საიდანაც იმპორტირებული საქონელი და მომსახურება მთლიანი იმპორტის 17.8%ია, ხოლო რიგით მეორე ადგილი უჭირავს რუსეთიდან იმპორტირებული საქონელსა და მომსახურებას 10.8%. გაცილებით ნაკლები წილი აქვს აზერბაიჯანიდან იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებას, რომელიც 6.1%-ს შეადგენს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, საქართველოს ძირითადი სავაჭრო პარტნიორები იმ რეგიონების ქვეყნებია, რომელთა ნაწილი ნავთობპროდუქტების წმინდა ექსპორტიორია. მათ შორისაა სწორედ რუსეთი და აზერბაიჯანი, რომელთა საერთო წილი მთლიან ექსპორტში არის 26.5%. აქედან გამომდინარე, ნავთობზე ფასის დაცემა აღნიშნული ქვეყნებიდან საგარეო მოთხოვნის შესუსტებაში გამოიხატება, რადგან ნავთობპროდუქტების ექსპორტიორი ქვეყნებში ფასის კლება ადგილობრივი მოხმარების შემცირებასთანაა დაკავშირებული. ამას განაპირობებს ეკონომიკაში ნავთობის ინდუსტრიის მაღალი წილი.

რუსეთსა და აზერბაიჯანს რეგიონის სხვა ეკონომიკებთანაც მჭიდრო სავაჭრო ურთიერთობა აქვთ, რაც საქართველოსა და რეგიონის სხვა ქვეყნების ვაჭრობაზეც უარყოფითად აისახება. ასეთი გამოცდილება 2014-2016 წლებში ნავთობის ფასების ვარდნის პირობებში იყო. ამ პერიოდში ნავთობის ფასის კოლაფსმა მნიშვნელოვანი გავლენა იქონია რეგიონის ეკონომიკურ ზრდაზე და მათ შორის საქართველოს ზრდის ტემპზეც. კერძოდ, 2011-2013 წლებში რეგიონის საშუალოდ 4,6%-იანი ზრდის ტემპი 2014-2016 წლებში საშუალოდ 1.6%-ამდე შემცირდა. ამავე პერიოდში, საქართველოს ზრდის ტემპმა საშუალოდ 2.4 პ.პ-იანი კლება განიცადა.

2020 წლის გლობალურმა პანდემიამ ყველაზე მეტად ტურიზმი, სამუშაო ძალის მიგრაცია და საგარეო ვაჭრობა შეაფერხა. ამავე წელს საგარეო ვაჭრობა 5.3%-ით შემცირდა. ამის მიუხედავად, 2020 წლის რეცესიის შემდეგ ეკონომიკის აღდგენის პროცესი ბევრ ქვეყანაში საკმაოდ სწრაფად დაიწყო და 2021 წელს მსოფლიო ეკონომიკა საგრძნობლადაც გაიზარდა.

საქართველომ პანდემიისგან მიღებული საგარეო შოკი საკმაოდ მწვავედ განიცადა. 2020 წლის მონაცემებით საქართველოს საგარეო ვაჭრობის ბრუნვა 15%-ით შემცირდა, მათ შორის ექსპორტი 12%-ით, ხოლო იმპორტი 16%-ით შემცირდა.

2021 წელს კი საქართველოს საქონლით საგარეო სავაჭრო ბრუნვა 25.6%-ით გაიზარდა, რაც საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია. ექსპორტი გაიზარდა 27%-ით. რეკორდულ წლიურ მაჩვენებელს მიაღწია იმპორტმაც, რომელიც გაიზარდა 25%-ით ანუ 2 მილიარდი დოლარით და გაუტოლდა 10.1 მილიარდ დოლარს. თუ შევადარებთ აღნიშნულ მონაცემებს 2019 წელს ექსპორტი 444 მლნ დოლარით გაიზარდა, ხოლო იმპორტი 554 მლნ დოლარით.

როგორც ვხედავთ იმპორტი ექსპორტზე მეტად გაიზარდა რამაც საქართველოს სავაჭრო დეფიციტი გაზარდა 1.1 მილიარდი დოლარით, ხოლო წლიურმა დეფიციტმა შეადგინა 5.8 მილიარდი დოლარი. 2021 წელზე მაღალი სავაჭრო დეფიციტი საქართველოში მხოლოდ 2018 წელს დაფიქსირდა 6 მილიარდი დოლარი. გაზრდილი სავაჭრო დეფიციტი გადაფარა ემიგრანტებისგან გადმორიცხულმა თანხებმა, საგარეო ვალის აღებამ და გაზრდილმა შემოსავლებმა.

გლობალური პანდემიის მიუხედავად, ქვეყნების მიხედვით 2021 წელს საქართველოს ექსპორტი ყველაზე მეტად რუსეთში გაიზარდა 169 მილიარდი დოლარით და შეადგინა 610 მილიარდი. რუსეთის ბაზარზე ექსპორტში პირველ ადგილს იკავებს ფეროშენადნობები, ღვინის ექსპორტი 11 მლნ დოლარით გაიზარდა, ხოლო 17 მლნ დოლარით გაიზარდა მინერალური და მტკნარი წყლების ექსპორტი. ექსპორტის ზრდის მაჩვენებლით მეორე ადგილასაა ჩინეთი, სადაც საქართველომ 138 მლნ დოლარით მეტი საქონელი გაიტანა. ჩინეთს საქართველოს ექსპორტში პირველი ადგილი უჭირავს 616 მლნ დოლარით. ჩინეთში ექსპორტირებულ საქონელს შორის პირველი ადგილასაა სპილენძის მადნები და კონცენტრატები. მათი ექსპორტი 2021 წელს გაიზარდა 98 მლნ დოლარით. რეექსპორტის გამოკლებით ადგილობრივი ექსპორტი 2021 წელს 30%-ით გაიზარდა და შეადგინა 3.1 მილიარდი დოლარი. ადგილობრივი წარმოების ექსპორტში პირველი ადგილი სპილენძის მადნებსა და კონცენტრატებს უჭირავს. მეორე ადგილზე ფეროშენადნობებია, ხოლო მესამე ადგილზეა ღვინის ექსპორტი.

ცხრილი 1



2021 წელს ნომინალურ გამოსახულებაში ექსპორტზე მეტად იმპორტი გაიზარდა (2 მილიარდი დოლარით). ქვეყნების მიხედვით იმპორტი ყველაზე მეტად გაიზარდა თურქეთთან (416 მლნ დოლარით). ჩინეთიდან იმპორტი გაიზარდა 156 მლნ დო-

ლარით, რუსეთიდან იმპორტი გაიზარდა 140 მლნ დოლარით. ევროკავშირის ქვეყნებიდან იმპორტი 458 მლნ დოლარით გაიზარდა.

საქართველოს იმპორტში პირველ ადგილას იკავებს თურქეთი (1,824 მლნ დოლარი), თურქეთის შემდეგ მოდის რუსეთი (1,028 მლნ დოლარი), მესამე ადგილასაა ჩინეთი (865 მლნ დოლარი), მეოთხე ადგილას აშშ (625 მლნ დოლარი), ხოლო მეხუთე ადგილზეა აზერბაიჯანი (604 მლნ დოლარით).

თუ განვიხილავთ სასაქონლო ჯგუფებს, 2021 წელს ყველაზე მეტად გაიზარდა ნავთობპროდუქტების, კერძოდ საწვავის იმპორტი (324 მლნ დოლარით). ამასთანავე გაიზარდა სპილენძის მადნებისა და კონცენტრატების იმპორტი მსუბუქი ავტომობილების, კომპიუტერებისა და მათი ნაწილების, ვაქცინების, მობილური ტელეფონების, მედიკამენტებისა და ბუნებრივი აირის იმპორტი.

საქართველოს იმპორტში პირველი ადგილი უჭირავს მსუბუქ ავტომობილებს (2021 წელს შემოვიდა 899 მლნ დოლარის), მეორე ადგილზეა ნავთობპროდუქტები 823 მლნ დოლარით, მესამე ადგილზე სპილენძის მადნები და კონცენტრატებია 736 მლნ დოლარით. მათ შემდეგ უკვე მოდის სამკურნალო საშუალებები 382 მლნ დოლარით.

ცხრილი 2



2021 წლის იანვარ-ივნისში ევროკავშირთან ბრუნვა 14%-ით გაიზარდა და მთლიანი ბრუნვის 21% დაიკავა. ექსპორტი შემცირდა 3%-ით და მთლიანი ექსპორტის 17% შეადგინა. იმპორტი ევროკავშირიდან 21%-ით გაიზარდა და მთლიანი იმპორტის 21% დაიკავა. ევროკავშირში ადგილობრივი ექსპორტი 7%-ით შემცირდა და ევროკავშირში მთლიანი ექსპორტის 88% დაიკავა. ადგილობრივი ექსპორტის კლება განაპირობა სპილენძის მადნების და კონცენტრატების ექსპორტის კლებამ. რეექსპორტის 12% შეადგენს: მსუბუქი ავტომობილები, სპირტიანი სასმელები, ელექტრული წყალგამახურებლები, კოსმეტიკური საშუალებები, ნავთობი და ნავთობპროდუქტები, რეზინის საბურავები.

დასკვნა

კვლევამ გვიჩვენა, რომ საგარეო ვაჭრობას ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი ადგილი უჭირავს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების პროცესში. იგი ხელს უწყობს ქვეყნებს შორის საქონლისა თუ მომსახურების გაცვლა-გამოცვლასა და ვაჭრობას იმ კონკრეტული რესურსებით რომლებშიც ქვეყანას შეფარდებითი უპირატესობა აქვს. საგარეო ვაჭრობის სრულყოფილად წარმართვაზე არაერთი ფაქტორი ახდენს გავლენას თუმცა დღევანდელ რეალობას თუ შევხედავთ ყველაზე აქტუალური და მნიშვნელოვანი მაინც კოვიდ პანდემიის ვითარებაა, რაც პირდაპირ აფერხებს ძალიან ბევრ ეკონომიკურ პროცესს, თუმცა ნაშრომში მოყვანილი მონაცემებითა და კვლევებით შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ საქართველო გაუმკლავდა იმ რთულ ვითარებას, რომელიც 2020 წელს შეიქმნა ვირუსის ქვეყნის საზღრებს შიგნით გავრცელებით და რომლის ფონზეც ეჭვ ქვეშ დადგა ჩვენი ეკონომიკური განვითარების საკითხები. მართალია, ეკონომიკური კოლაფსი ისევე, როგორც მსოფლიოს ბევრმა ქვეყანამ, საქართველომაც იწვნია, თუმცა ამის და მიუხედავად მაინც მოხდა სირთულეებთან გამკლავება და ეკონომიკური ზრდა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. https://forbes.ge/saqarthvelos-2021-tslis-sagareo-vatchroba-rekordul-dephitsitthan-akhlos/
2. https://bm.ge/ka/article/saqartvelo-da-regioni-vachrobis-dinamika---maisi/86970
3. https://www.entrepreneur.com/article/348113
4. https://geosilkroad.company/news/%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%94%E1%83%9D-%E1%83%95%E1%83%90%E1%83%AD%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%91%E1%83%90-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%A5%E1%83%90%E1%83%A0%E1%83%97%E1%83%95/
5. https://businessformula.ge/News/5226
6. https://www.geostat.ge/ka/modules/categories/35/sagareo-vachroba

უნივერსიტეტის
გამომცემლობა